

იქცა ადამიანი

ქვემოთ და ზემოთ
ქვემოთ და ზემოთ

სადაც არის

/ ადამიანი /


სადაც არის

72
72(-99.962.1)
ა 216

© გამომცემლობა „ხელოვნება“ 1979
იხ(სა)335

M-605

80101
55-79



წინასიტყვაობა

წინამდებარე მონოგრაფია საინგილოს ხალხური ხუროთმოძღვრული ძეგლების ძველი ნიმუშების შესწავლის პირველ ცდას წარმოადგენს.

ქართულ საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობათა გენეზისის დასადგენად, აუცილებელია თანამედროვე საქართველოს საზღვრებში არსებულ ხალხური ძეგლების შესწავლასთან ერთად, დღევანდელ ადმინისტრაციულ საზღვრებს მიღმა შემორჩენილი ქართული ისტორიული ძეგლების შესწავლაც.

ქართველ ტომთა პირველადი დასახლების ფორმებისა და დაგეგმარების ელემენტების შესახებ (ხუროთმოძღვრული თვალსაზრისით), სამეცნიერო ლიტერატურაში ჯერჯერობით ცოტაა ცნობილი; ეს განსაკუთრებით ითქმის იმ ქართველი ტომების ხალხურ ხუროთმოძღვრებაზე, რომლებიც დღეს საქართველოს ადმინისტრაციულ საზღვრებს მიღმა იმყოფებიან. ერთ-ერთი მათგანია საინგილო, რომლის ხუროთმოძღვრება ნაკლებადაა გაშუქებული სამეცნიერო ლიტერატურაში.

თითქმის არაფერი ვიცით აგრეთვე მოძმე რესპუბლიკების ტერიტორიებზე არსებული ქართული სოფლებისა და მათი ხალხური ძეგლების შესახებ. ასე მაგალითად, — დაღესტანში, ჩრდილო ოსეთში, სტავროპოლის მხარისა და აზერბაიჯანის ტერიტორიაზე ქართველი მოსახლეობის და მათ ხუროთმოძღვრულ ძეგლთა ნაშთების არსებობის შესახებ; აღარაფერს ვამბობთ წარსულ საუკუნეებში იძულებით გასახლებულ იმ ქართველებზე, რომლებმაც თან გაიყოლიეს თავიანთი ეროვნული კულტურის მრავალსაუკუნოვანი ტრადიციები და დღესაც მოსახლეობენ ირანში — ხეარასანს, გილანს, მაზანდარანსა და ფერეიდანში. ქართველები მოსახლეობენ აგრეთვე თურქეთის საზღვრებში მოქცეულ ძველ საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ პროვინციებში, ისტორიულ ტაო-კლარჯეთში, შავშეთში და სხვ. სადაც უხვადაა შემორჩენილი ქართული ხუროთმოძღვრების ბრწყინვალე ძეგლები.

თანამედროვე ეტაპზე სხვადასხვა ეროვნების, რელიგიის, კულტურის და ხალხური ტრადიციების მქონე შორეულ თუ ახლო სახელმწიფოთა ტერიტორიებზე მყოფ ქართველ და ქართველურ ტომთა ხალხური ძეგლების მიკვლევა და შესწავლა, რა თქმა უნდა, მეტად ძნელია და დიდ დაბრკოლებათა დაძლევის მოითხოვს.

აღნიშნული საველე მასალის შეგროვება ხანგრძლივი დროის მანძილზე მიმდინარეობდა.

ჩვენს მიერ ფიქსირებული ქართული ძეგლები სამი სახისაა:

1. ხალხური საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები. 2. საკულტო (ქრისტიანულ რელიგიასთან დაკავშირებული ხუროთმოძღვრების მონუმენტური ძეგლები) და 3. თავდაცვითი დანიშნულების ნაგებობანი.

სამივე სახის ძეგლთა ერთობლივი განხილვა ერთ მონოგრაფიაში გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ საკულტო და თავდაცვითი ნაგებობის შერეობის ტექნიკა, მათი ზოგიერთი ხუროთმოძღვრულ-სივრცითი ფორმა, გეგმის აღნაგობა და კონსტრუქციული სტრუქტურა, როგორც ირკვევა, მკიდრო გენეტიკურ კავშირშია ხალხურ ძეგლებთან. ამ ძეგლთა ურთიერთკავშირში განხილვა საინტერესოა აგრეთვე საქართველოს სამშენებლო ხელოვნების ისტორიის თვალსაზრისითაც, სადაც ვლინდება სამშენებლო ტექნიკის უძველესი ხერხები, რომელთაც წარმოშობის დროს ფესვები შორეულ წარსულში აქვთ გადგმული.

ხუროთმოძღვრების ხასიათი, როგორც მატერიალური კულტურის, სახელდობრ, ხელოვნების ერთ-ერთი დარგისა, მრავალ ფაქტორებზეა დამოკიდებული, რის გამოც ხალხური ხუროთმოძღვრების შესწავლა მართო ძეგლების ფიქსირებასა და მათ უბრალო აღწერას არ ნიშნავს.

ძველი ხალხური ხუროთმოძღვრება დღემდე ინარჩუნებს დიდ მნიშვნელობასა და ინტერესს. ეს სრულიად გასაგებია. ხალხური ხუროთმოძღვრების ძეგლების ფართო მასშტაბით გამოკვლევითა და შესწავლით უფრო ღრმად ჩაფვდებით ეროვნული ფორმების, მათი სტრუქტურის აღმოცენებისა და განვითარების ყველა ეტაპს, მათ კონკრეტულ არსს. ყოველივე ეს კი გაამდიდრებს ჩვენს ხუროთმოძღვრულ ფანტაზიას — ხელს შეუწყობს ეროვნული ფორმების სწორად გაგებასა და პროგრესიული ელემენტების ათვისებას. თანამედროვე ხუროთმოძღვრებაში უნდა შეიწოვოს და შეითვისოს საუკუნეთა მანძილზე შექმნილი საუკეთესო ხუროთმოძღვრულ-სამშენებლო ტრადიციები.

კულტურის სხვა დარგებთან შედარებით, საინგილოს ტერიტორიაზე დღემდე შემორჩენილი ხალხური ხუროთმოძღვრული ძეგლები უფრო კარგადაა დაცული უცხო ელემენტების შეღწევისაგან, ნაკლებადაა ასიმილირებული, ისინი

თითქმის უტყველად გადადიან შთამომავლობიდან შთამომავლობაზე და ინარჩუნებენ ეროვნულ კოლორიტს.


მისი ღრმა მეცნიერული შესწავლა უნდა ემყარებოდეს იმ ფაქტორებს, იმ ნიადაგს, რომელშიც აღმოცენებულია, განვითარებულია ესა თუ ის ძეგლი და ბოლოს განუცდია დაკნინება და კვდომა.


ამრიგად, ხალხური ხუროთმოძღვრების განვითარება, მრავალმხრივ რთული პროცესია და დამოკიდებულია ისტორიულ-პოლიტიკურ, სოციალ-ეკონომიურ და ბუნებრივ-კლიმატურ პირობებზე, საწარმოო ძალთა განვითარებაზე, ადგილობრივი საშენი მასალების რესურსებზე, სამშენებლო ტექნიკის დონეზე, უტილიტარულ და იდეურ-მხატვრული ფუნქციების თავისებურებაზე.

წინამდებარე მონოგრაფიის ფორმა და ხასიათი, კვლევის მეთოდისა და საილუსტრაციო მასალის შერჩევის პრინციპი ისეთივეა, როგორც ადრე გამოცემულ პირველ და მეორე წიგნებში.

საინგილოს ხალხური ხუროთმოძღვრების მონოგრაფიული შესწავლის პირველი ცდა, რა თქმა უნდა, ვერ იქნება უნაკლო და სრული.

ჩვენ დიდი მადლობით მივიღებთ ყოველგვარ სასარგებლო შენიშვნას, რჩევას და გაეითვალისწინებთ შემდგომ მუშაობაში.





თ ა ვ ი პ ი რ ვ ე ლ ი

საინგილოს ხუროთმოძღვრების შესწავლა და ლიტერატურული წყაროების მიმოხილვა

საქართველოში ხალხური ხუროთმოძღვრების მეცნიერული შესწავლის დაწყების დღიდან თითქმის ორმოცდაათი წელიწადი გავიდა.

დროის ამ მონაკვეთში გამოქვეყნებულ იქნა მთელი რიგი ნაშრომებისა, რომლებიც თვალნათლივ წარმოგვიდგენენ, როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებულ ძველ საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობათა ფორმებს. მეტნაკლებად შესწავლილია ქართლის, მესხეთის, ხევსურეთის, სვანეთის, რაჭალეჩხუმის, აჭარის და აფხაზეთის ხალხური ხუროთმოძღვრული ძეგლები.

წინამდებარე მონოგრაფიაში გაშუქებულია საქართველოს ერთ-ერთი ისტორიული მხარის, საინგილოს ტერიტორიაზე დღემდე შემორჩენილი ქართული არქიტექტურის ძეგლთა ნიმუშები.

აქ ჯერ კიდევ მრავალი საყურადღებო საერო

და საკულტო ძეგლია დასაფიქსირებელი და შესასწავლი. ისინი სხვადასხვა დარგის მკვლევართა მოლოდინში დღითი დღე კნინდებიან. მათი უმეტესობა იმდენად სავალალო მდგომარეობაშია, რომ თუ დროზე არ იქნა მიღებული ზომები მათ დასაცავად, გამოუწვორებელი შედეგების წინაშე აღმოვჩნდებით.

ამ მხარეში შემორჩენილი ქრისტიანული ცივილიზაციის მონუმენტურ ძეგლთა ნიმუშები, ისევე როგორც ხალხური ხუროთმოძღვრული ძეგლების სახეები, ქართული არქიტექტურის ჩარჩოებში ექცევიან და მის უშუალო მემკვიდრეობაზე მიუთითებენ.

საინგილოს მიწა-წყალზე მიკვლეული და ფიქსირებული ხუროთმოძღვრული ძეგლები დროთა სიღრმეში ისეა ჩაძირული, რომ მათი პირვანდელი ფორმით აღდგენა და შესწავლა მრავალ სიძნელესთანაა დაკავშირებული.

წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი წ ყ ა რ ო ე ბ ი

წინამდებარე გამოკვლევის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს ძველი წერილობითი წყაროებისა და ახალი პერიოდის პუბლიკაციათა ზოგადი მიმოხილვა:

ძველი ჰერეთი თავისი წარსულით, როგორც საქართველოს აღმოსავლეთი განაპირა მხარე, უძველესი დროიდან იზიდავდა სხვადასხვა დარგის უცხოელ მკვლევარებსა და მოგზაურთ. იგი „ქარ-

თულ წყაროებში ალბანეთი-პერეთის სახელით იყო ცნობილი, ამ სახელის ფართო გაგებით¹, მის შესახებ სხვადასხვა სახის უძველესი ცნობები გადმოცემული აქვთ ბერძენ, რომელ, ბიზანტიელ მწერლებსა და ევროპულ მოგზაურებს, იგი მოხსენიებულა და აღწერილია აგრეთვე ქართულ, სომხურ, არაბულ და სხვა წყაროებში.

საქართველოზე არსებულ წერილობით წყაროებს შორის დაცულია აგრეთვე გეოგრაფიული, ისტორიული, სოციალურ-პოლიტიკური, ეთნოგრაფიული და სხვა ხასიათის ცნობები ძველი პერეთის შესახებ. მართალია, საინგლის ტერიტორიაზე დღემდე შემორჩენილი ხალხური და მონუმენტური ძეგლების არქიტექტურის შესახებ ძველ წყაროებსა და ლიტერატურაში მეტად მცირეა თქმული, მაგრამ რაც არის, დიდი მნიშვნელობისაა.

უცხოური წყაროებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილი ბერძნულსა და ბიზანტიურს უკავია; ბერძნული და ბიზანტიური წყაროები საქართველოს შესახებ ლიტერატურულ მიმოქცევაში შემოდის მას შემდეგ, რაც გამოცემულ იქნა ქ. თბილისის პირველი გიმნაზიის მასწავლებლის კ. ფ. ჰანის მიერ ბერძნულიდან ნათარგმნი კრებული „Известия древних греческих писателей о Кавказе“, часть I, Тифлис, 1884 г. ეს ნაშრომი მთელი ათეული წლების მანძილზე დიდ სამსახურს უწევდა საქართველოს ისტორიით დაინტერესებულ მკვლევართ.

1890—1904 წწ. გამოვიდა ე. ლატიშევის მიერ ბერძნულიდან თარგმნილი კრებული — „Сведения греческих писателей о Скифии и Кавказе“ რომელმაც კიდევ უფრო ხელმისაწვდომი გახადა როგორც ბერძნულ, ისე რომაულ წყაროებში კავკასიის შესახებ დაცული ცნობები.

ბერძნული ორიგინალური წყაროებით სარგებლობა, რა თქმა უნდა, ყველა ქართველი მკვლევარისათვის არ იყო ხელმისაწვდომი, ამიტომ ქართულ ენაზე თარგმანს იმთავითვე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ქართული ფილოლოგიების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ დროულად მოჰკიდეს ამ საქმეს ხელი, ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვან წყაროს ჩვენი გამოკვლევებისათვის წარმოადგენს სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ დამუშავებული და გამოცემული ბიზანტიელ ავტორთა თხზულებები, რომელთა გამოქვეყნება ქართულ ენაზე დაიწყო „გეოგრაფიკის“ სახელწოდებით 1934 წლიდან.

ანტიკური ხანის უცხოელ მწერალთა შორის

საქართველოსა და, კერძოდ, პერეთზე ყველაზე მნიშვნელოვან წერილობით ცნობებს გვაწვდის სტრაბონი (ძვ. წ. 64/63—ახ. წ. 23/24), თავისი „გეოგრაფიის“ ფურცლებზე.

სტრაბონის გადმოცემით, ალბანელები (პერები) „ცხოვრობენ იბერებსა და კასპის ზღვას შორის; აღმოსავლეთით ისაზღვრებიან ზღვით, ხოლო დასავლეთით ემეზობლებიან იბერებს. რაც შეეხება დარჩენილ მხარეებს — ჩრდილოეთისა გამოაგრებულა კავკასიონის მთებით... სამხრეთისაკენ არის მეზობლად მდებარე არმენია, რომელიც ნაწილობრივ დაბლობია, ნაწილობრივ მთიანი, როგორც მაგალითად კომპოსენე², სადაც იბერებსა და ალბანელებს ესაზღვრებიან არმენიელები“³.

სტრაბონის თავის გეოგრაფიულ თხზულებაში აღწერილი აქვს აგრეთვე ალბანეთის (პერეთის) ბუნება, ჰავა, მოსახლეობა, მათი სამეურნეო საქმიანობა, სარწმუნოება, საბრძოლო იარაღების ნაირსახეობა, უძველესი ყოფის ამსახველი ტრადიციები და სხვა; აქ აღძრული საკითხები, ყველა ერთნაირი სისრულით არაა გაშუქებული.

სტრაბონის გადმოცემით, ანტიკური ხანაში კავკასიის ალბანეთი შედგებოდა 26 ენაზე მოლაპარაკე სხვადასხვა ტომისაგან⁴ და გაერთიანებული იყო ერთ გეოგრაფიულ ერთეულად, ალბანურ ტომთა პოლიტიკური გაერთიანების სახით; ამ ნაკრებ ეთნიკურ ჯგუფში, როგორც ირკვევა, ქართველ ტომებს უმთავრესი ადგილი ეკავათ, ზემოთ აღნიშნულ 26 ენაზე მოლაპარაკე ტომებიდან რომელი ენა იყო გავრცელებული, ამის შესახებ სტრაბონის გეოგრაფიაში არაფერია ნათქვამი⁵.

სტრაბონის მიხედვით, ყველა ტომის ენა აღრიდელ პერიოდში ერთნაირი უფლებით სარგებლობდა⁶. სტრაბონი იქვე დასძენს, რომ ეს ტომები „ერთმანეთს არ ერევიან“⁷.

სტრაბონის ცნობით ალბანების შემდეგ ერთ-ერთი ხალხმრავალი უძველესი ტომით (კასპიებით) დასახლებული ყოფილა ალბანთა ქვეყანაში შემავალი კასპიანე... ახლა ეს ტომი აღარ არსებობს. „შესასვლელი იბერიიდან ალბანიაში არის უწყ-

² კომპოსენე — კამბელოვანი — თანამედროვე ქიზიყი.

³ თ. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, სტრაბონის გეოგრაფია, ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1957., გვ. 131.

⁴ იქვე ი, გვ. 134.

⁵ გეოგრაფია, ბიზანტიელ მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. 1, თბ., 1961, გვ. 18.

⁶ თ. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, იქვე, გვ. 134.

¹ ნ. ლ მ ო უ რ ი, იბერიის (ქართლის) სამეფოს პოლიტიკური საზღვრების საკითხებისათვის, სოხუმის პედინსტიტუტის შრომები, ტ. VII, 1954, გვ. 3.

ლო და ოღორ-ჩოღორ კომბინებზე, რომელიც მდ. ალაზანისთან არის¹.

სტრატონის ცნობები ალბანეთზე მხოლოდ ამით არ ამოიწურება, იგი გაცილებით ვრცელა და ქვე-მით გზადაგზა მოგვიხდება მათი დამოწმება.

გარდა სტრატონისა, უძველეს ცნობებს ალბანებზე გვაწვდის აგრეთვე ძველი ბერძენი დამოწმებელი ავტორები: ისტორიკოს პლინიუსი (29-79 წწ)², პტოლემეოსი (70-147 წწ)³, გამორჩენილი გეოგრაფი ფლავიუს არიანე (100—160 წწ)⁴, აბიანე (90—170 წწ)⁵, დიონ კასიო (155—235 წწ)⁶, ფილოსოფოსი თემისტოისი (317—388 წწ)⁷ და სხვ. მათ შრომებში ნაწვევებებს სახით მოცემულია ალბანეთის ტერიტორიის მოკლე გეოგრაფიული აღწერა, მოსახლეობისა და მათი სამეურნეო საქმიანობის დახასიათება, ალბანთა და იბერთა ზოგიერთი მეფის სახელი და სხვ.

ძველი ჰერეთის მატერიალური კულტურის ძეგლია შესწავლისათვის განუზომელი მნიშვნელობა ენიჭება „ქართლის ცხოვრებას“.

„ქართლის ცხოვრების“ ფურცლებზე გაშუქებულია ძველი ჰერეთის გეოგრაფიული სახელების წარმოშობის ზოგიერთი საკითხი, ისტორიული საზღვრები, ჰერეთის საერისთოს გამგებელთა (ერისთავთა და მეფეთა) ვინაობა, გარკვეულ მტერთა შემოსევები. მოცემულია საყურადღებო ცნობები მოსახლეობისა და სარწმუნოების შესახებ, ზოგიერთი საკულტო ხუროთმოძღვრული ძეგლის აშენების თარიღი და ა. შ.

ძველ ქართულ წერილობით წყაროთა შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ცნობილი ქართველი მეცნიერის—ვახუშტი ბაგრატიონის ისტორიულ-გეოგრაფიულ თხზულებას. მასში მოცემულია „აღწერა ჰერეთისა, კახეთისა და კუხეთის კვალად თუშეთისა და დიდოეთისა“⁸. ამ თა-

ვში ვახუშტი ბაგრატიონი გვაცნობს ძველი ჰერეთის ჰავას, ფლორასა და ფაუნას, ფიფინეთისა და ქურმუხის ხეობათა ლანდშაფტებს, აწ გადაშენებულ უძველეს ქალაქებსა და სოფლებს, ნამოსახლარ ადგილებს და სხვ.

ავტორი დიდ ყურადღებას უთმობს აგრეთვე მატერიალური კულტურის ისეთ ძეგლებს, როგორცაა: მეფეთა სასახლეები, ციხე-სიმაგრეები, კოშკები, ეკლესიები, ფუნდუკები და სხვ. საყურადღებოა ის გარემოება, რომ ზემოხსენებული ძეგლები ვახუშტის აღნიშნული აქვს სათანადო პირობითი ნიშნებით მის მიერ შედგენილ საქართველოს ისტორიულ რუკაზე; ამ ძეგლების მოკლე დახასიათებასთან ერთად იგი მიუთითებს მის აღმშენებლებზე, გეოგრაფიულ მდებარეობაზე, ნაგებობის მდგომარეობაზე, კონსტრუქციულ აღნაგობაზე, სივრცობრივ ფორმაზე (ხშირად მითითებულია ეკლესიის ტიპი: „გუმბათიანი“ ან „უგუმბათო“) და სხვ.

ალბანეთის შესახებ ჩვენთვის საყურადღებო ცნობები მოიპოვება აგრეთვე სომხურ წყაროებში. საინტერესოა ცნობები აქვს მოცემული მოსე კალანკატუელს, რომლის ისტორიული თხზულება „ალბანეთის ისტორიის“ სახელწოდებითაა ცნობილი; დიდ ინტერესს იწვევს XII—XIII საუკუნის ცნობილი სომეხი მწერლის მხითარ გოშის „ალბანეთის ქრონიკა“ და სხვ.

მოსე კალანკატუელს „ალბანეთის ისტორიაში“ გამოყენებული აქვს აგრეთვე IV, V, VI საუკუნეების წერილობითი წყაროები. მისი თხზულების I და II ნაწილი შეიცავს სხვადასხვა სახის ცნობას ალბანეთის, სომხეთისა და ივერიის შესახებ, უძველესი დროიდან VII საუკუნემდე; III ნაწილში აღწერილია VIII—X სს. ალბანეთის ისტორიულ-პოლიტიკური მოვლენები.

მხითარ გოშის „ალბანეთის ქრონიკას“ მკვლევარები 1130-1162 წლებით ათარიღებენ. „საქართველოში ეს პერიოდი ემთხვევა დავით აღმაშენებლის ძის დემეტრე I (1125-1156 წწ) მეფობას“⁹.

„ალბანეთის ქრონიკაში“ მხითარ გოშს მოცემული აქვს მღვდელმთავრების (ეპისკოპოსთა, არქი-ეპისკოპოსთა და კათალიკოსთა) სია; აღწერილია მათი მოღვაწეობის პერიოდი; ასევე ქართველ მეფეთა (დემეტრე I, დავით III და გიორგი III) ლაშქრობის ამბები და სხვ.

მხითარ გოშის „ალბანეთის ქრონიკა“ შეიცავს

ქართველოსა (საქართველოს გეოგრაფია), თბილისი, 1941, გვ. 95—96, თ. ლომოურის და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით.

⁹ ლ. დავლიანიძე, მხითარ გოშის ალბანეთის ქრონიკა, ქართული წყარომცოდნეობა, ტ. II, თბ., 1968, გვ. 28.

¹ თ. ყაუხჩიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 134.
² Плиний, Естественная история, книга VI, гл. 10 (შ 26) по изданию Майхофа, 1906, Москва, იხ. აგრეთვე, — К. Ган, Известия древних греческих и римских писателей о Кавказе, часть I, Тифлис, 1884, стр. 109, 197.

³ К. Ган, დასახ. ნაშრ.
⁴ В. Латинцев, Известия древних писателей греческих и латинских о Скифии и Кавказе, т. I, выпуск 2, СПб, 1904 г.

⁵ აბიანე, მითრიდატეს ომების ისტორია, თბ., 1959, გვ. 199, 220, 223, 225.

⁶ დიონ კასიოს ცნობები საქართველოს შესახებ, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და შესავალი და კომენტარები დურთო ნოდარ ლომოურმა, თბ., 1966, გვ. 50.

⁷ გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. I, თბ., 1961, გვ. 47—48.

⁸ ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა სა-

ზოგიერთ ისეთ ცნობას საქართველოს ისტორიასთან დაკავშირებით, რომელიც აღრე აღნიშნული არ ყოფილა ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში¹.

ძველა ჰერეთის (აღბანეთის) შესახებ ფრიად მნიშვნელოვანი ცნობები დატული არაბულ და სპარსულ წყაროებშიც, რომლებიც ძირითადად გვაუწყებენ VIII—XIII საუკუნეების ისტორიულ მოვლენებს, გავწვდინ გეოგრაფიული ხასიათის მასალას და სხვ.

არაბული ისტორიული და გეოგრაფიული პირველწყაროები შეისწავლა და გამოიკვლია დიდმა რუსმა მეცნიერმა, არაბისტმა ი. კრაჩუკვიკიმ;

მის ნაშრომებში თავმოყრილია არაბი ავტორების ცნობები ძველი ჰერეთის შესახებ, რომლებშიც ძირითადად გაშუქებულია ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრის, ქალაქების და გზების, მეზობელ ქვეყნებთან საკუთრო ურთიერთობის საკითხები და სხვ.

არაბი ავტორებიდან ყველაზე საყურადღებო ცნობები IX-X სს. მოლავწის იბნ ხორდადბენს მიეძღვნება აღბანეთის შესახებ².

აღმოსავლურ წყაროთაგან დიდმნიშვნელოვანია სპარსული ისტორიოგრაფის ისქანდერ მუნშის თხზულება „ქვეყნის დამამშვენებელი აბასის ისტორია“³, რომელშიც ავტორი დაწვრილებით აღწერს შაჰ-აბასის გამანადგურებელ თავდასხმებს ძველი ჰერეთის იმ ნაწილის მოსახლეობაზე, დღეს საინგილოს სახელით რომ ვიცნობთ. აქ მოთხრობილია, როგორ გადასწვა შაჰ-აბასმა „შურისძიების მახვილითა“ და „რისხვის ცეცხლით“ ამ მხარეში ყოველი „ნელი და ხელი“, „უტყვი და მეტყველი“. საინგილოს ქრისტიანული ქართველი მოსახლეობა ისეთ ზოცვა-ჟღერით და ნგრევას მიეცა, რომ მათგან და „შენებულებისაგან“ არაფერი დარჩენილა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ XVII საუკუნის საქართველოს ისტორიისათვის ცნობების სიუხვითა და სიზუსტით ისქანდერ მუნშის ნაწარმოებებს ვერც ერთი სხვა სპარსული წყარო ვერ შეედრება⁴.

ახალი პერიოდის ლიტერატურა: რუსეთის მმართველი წრეების ინტერესი საინგილოსადმი, მისი ისტორიის, გეოგრაფიისა და ეთნოგრაფიისადმი იზრდება მას შემდეგ, როცა საინ-

გილოს ტერიტორია (ჰარ-ბელაქანი) 1803 წლიდან შევიდა რუსეთის მფარველობის ქვეშ.

ამ პერიოდიდან იწყება ცარიზმის მმართველ წრეებისა და რუსეთის სამეცნიერო საზოგადოების მიერ განსაკუთრებული ყურადღების გამახვილება საქართველოს ცალკეულ მხარეთა მიმართ. თავდაპირველად იგი ეკონომიურ, პოლიტიკურ და სამხედრო მოსახრებებით იყო გაპირობებული. ძველი ჰერეთის ტერიტორია ამ მხრივ იმდროინდელი რუსეთისათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ერთეულს წარმოადგენდა.

პირველი მკვლევარი, რომელიც სამხრეთ კავკასიის მხარეთა შესასწავლად ვაგზავნა რუსეთმა (სპეციალური დავალებით), პროფ. ფრიდრიხ კრუზე იყო. იმხანად იგი ბალტიისპირეთის ქვეყნების ისტორიისა და არქეოლოგიის დიდ სპეციალისტად ითვლებოდა. მან შემოიარა რუსეთთან ახლად შემოერთებული სამხრეთ კავკასიის ოლქები, მათ შორის ჰარ-ბელაქანის მხარე და შეკრიბა მეტად საინტერესო პოლიტიკური, გეოგრაფიული და ისტორიული ცნობები, რაც 1835 წელს გამოაქვეყნა კიდეც⁵.

აღსანიშნავია აგრეთვე გიორგი ავალიშვილის ნაშრომი „მგზავრობა“ (1819-1820 წწ). წიგნში მოცემულია მეტად საინტერესო ცნობები — თურქეთის იმპერიისა და ეგვიპტის გამაჰმადიანებულ ქართველთა ცხოვრების შესახებ, ასევე იერუსალიმის — ქართული კულტურის ცენტრისა და მისი წმინდა ადგილების შესახებ, აქვე მოცემულია ზოგიერთი საინტერესო ხალხური ზურთომოდღერული ტერმინი, რომელიც გვხვდება საინგილოში და სხვ.

დ. ზუბარევა იმოგზაურა საქართველოს მთიანეთში — თუშეთში, ფშავ-ხევსურეთში; კახეთსა და ჰარ-ბელაქანის მხარეში. მან ეს მოგზაურობა პირველად დაუკავშირა ძველი ჰერეთის ისტორიულ სიძველეთა და მკვლერი მოსახლეობის ყოფი-ცხოვრების შესწავლას.

დ. ზუბარევა აღნიშნული მოგზაურობის მასალები გამოაქვეყნა 1841 წელს «Поездка, в Кавказию, Пшавию, Хевсурию и Джаре-Белаканскую область». დასახელებულ ნაშრომში მოცემულია საინტერესო ცნობები ზაქათალის ციხე-სიმაგრის, „კავკასიის დიდი კედლის“ იმხანად არსებული ნაშთების და მისი აღმშენებლის შესახებ და სხვ. აღწერილია ქართველი მოსახლეობის —

¹ ლ. დავლიანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 33.
² И. Ю. Крачовский, Избранные сочинения, том IV, Москва—Ленинград, 1957 г., стр. 35—36.
³ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის უცხოური წყაროების კომისიამ ისქანდერ მუნშის შემოსენებული ნაშრომი გამოცა ქართულ ენაზე 1969 წ.
⁴ ვ. ფუთურიძე, ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1968, გვ. 9.

⁵ Ф. Крузе. «О важности Южнокавказских областей России в отношении антикварному и Птолемею, главном писателе в рассуждении географии сей страны», ЖМНП. 1835, ч. V., стр. 423—438.

მთისა და ბარის ზალხური საცხოვრებელი სახლები. ჩვენი დიდად საინტერესოა ცნობილი ფრანგი მწერლისა და მოგზაურის ალექსანდრე დიუმას შთაბეჭდილებათა წიგნი „კავკასია“¹.

აღ. დიუმა კავკასიაში პეტერბურგიდან გამოემგზავრა, საქართველოში ჩამოვიდა 1858 წ.

როგორც ცნობილია, აღ. დიუმამ მხატვარ მუანეს თანხლებით საქართველოს ტერიტორიაზე მოგზაურობა დაიწყო ძველი პეტერბურგის მიწა-წყლიდან.

აღსანიშნავია, რომ აღ. დიუმას პირველი შთაბეჭდილებები საქართველოს შესახებ მოცემული აქვს ისტორიული საინგილოს მაგალითზე; იგი დაუფრავი აღტაცებით აღწერს ნუხისა და მისი მონადირეების ბუნებრივ სილამაზეს, მდინარე ალაზნის სანაპიროებსა და კავკასიის ლანდშაფტს, ლეკების სამყოფელ — „საძრომ“ ადგილებს. აღწერს იმ შემარწუნებელ შიშინობას „ლეკების თავდასხმის“ გამო რომ სუფევდა იმხანად საინგილოს ტერიტორიაზე.

აღ. დიუმა „კავკასიაში“ თავისებურად წარმოგვისახავს „კავკასიის დიდ კედელს“ და მის გასწვრივ მდებარე მიდამოებს, თავდაცვით ნაგებობებს ამ ქეგლის მაშინდელ მდგომარეობას და სხვ. იგი დიდი დაკვირებით აღწერს საქართველოს ციხე-სიმაგრეებს, კოშკებს, მოცემული აქვს ეთნოგრაფიული ხასიათის საინტერესო ცნობები. ამ ქეგლებს აღარებს მის მიერ სხვადასხვა ქვეყანაში ნანახ ქეგლებს.

აღ. დიუმას მოგზაურობიდან დაახლოებით ხუთი წლის შემდეგ საინგილოში იმოგზაურა გამოჩენილმა მეცნიერმა ა. პოსერბსკიმ. ამ მოგზაურობის მასალების საფუძველზე დაწერილი ნაშრომი «Закатальский округ», მან წაწილ-წაწილ გამოაქვეყნა 1864 წელს „კავკასიაში“ (№ 39, № 48, № 60, № 61).

ა. პოსერბსკის ნაშრომში ვრცელადაა გაშუქებული ამ მხარის მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა, ისტორიულ-პოლიტიკური ვითარება. ავტორი მეტად მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის ქართული კარ-მიდამოებისა და საცხოვრებელი სახლების შესახებ; აქვე გვაცნობს ადგილობრივ საშენ მასალებს და კლიმატურ პირობებს. ვრცელად აქვს გაშუქებული ადგილობრივი მოსახლეობის ყოფაცხოვრება და ძირითადი სამეურნეო საქმიანობა.

საქართველოს სიძველეთა შესწავლის საქმეში

დიდი დამსახურება მიუძღვის საქართველოს ისტორიის თვალსაჩინო მკვლევარს დიმიტრი ბაქრაძეს.

1866 წელს გაზეთ „დროების“ (№ 43—№ 44) ფურცლებზე მან დაბეჭდა სტატია „ინგილოები“, რომელსაც არა აქვს ავტორის ხელმოწერა.

1879 წელს დ. ბაქრაძე დაინიშნა ზაქათალის „წოდებრივ-საადგილმამული კომისიის“ თავმჯდომარის მოვალეობის აღმასრულებლად².

ზაქათალის „საადგილმამული კომისიამ“ 1883 წლამდე იარსება. 1883 წლიდან იგი გააუქმეს და მის ნაცვლად შეიქმნა ისეთივე დანიშნულების კომისია მთელი საქართველოს მასშტაბით. თავმჯდომარედ კვლავ დ. ბაქრაძე დაინიშნა. „რაც მთავარია აღნიშნული კომისია საქართველოს რაიონებში მოგზაურობათა მოწყობის საშუალებას იძლეოდა“³. ამ დღიდან დ. ბაქრაძე აწყოებს საქართველოს სხვადასხვა მხარეში საექსპედიციო მოგზაურობებს, — ერთ-ერთი ასეთი ექსპედიცია საინგილოს ტერიტორიაზე სიძველეთა შესწავლის მიზნით ჩატარდა. მოგზაურობის შედეგები მან 1890 წელს გამოაქვეყნა: «Заметки о закатальском округе».

აღნიშნულ ნაშრომებში დ. ბაქრაძეს ვრცელად აქვს გაშუქებული ისტორიულ-პოლიტიკური და გეოგრაფიულ-ეთნოგრაფიული ხასიათის საკითხები; იგი იძლევა მოკლე ცნობებს საინგილოს ზალხური საცხოვრებელი სახლებისა და კარ-მიდამოთა ძველი ტიპების შესახებაც.

1867 წელს — „კავკასიაში“ (№-92, №-93, №-94) გამოქვეყნდა კ. ნიკიტინის ნაშრომი «ЕЛИСЕНИ», რომელშიც განხილულია საინგილოს (ელისენის) ფლორა და ფაუნა, ამ მხარის ისტორიის ცალკეული მომენტები; ავტორი გადმოგვცემს საინტერესო ცნობებს „კავკასიის დიდი კედლის“ შესახებ. იძლევა ძველ ნაქალაქარ და ნასახლარ ადგილების, საკულტო ხუროთმოძღვრული ძეგლების მოკლე დახასიათებას. მას განხილული აქვს აგრეთვე ზოგიერთი სოფლისა და ქალაქის უძველეს გეოგრაფიულ სახელწოდებათა ეტიმოლოგიის საკითხები და სხვ.

1882 წელს გამოდის ზ. გულისაშვილის პუბლიკაცია — „მგზავრის შენიშვნები საინგილოსა და ქიზიყზედ“, რომელიც მოსე ჯანაშვილის აზრით საინგილოზე გამოკვლეულ მასალათა შორის „ფასიან ნაწერებს“ წარმოადგენს.

ამ ნაშრომში ვრცელად და სარწმუნოდაა აღწერილი საინგილოს ძველი სოფლები, ბაღ-ვენახები, ინგილო გლეხის კარ-მიდამო, ნასოფლარი ადგილე-

¹ ალექსანდრე დიუმა, კავკასია, მოგზაურობის შთაბეჭდილებანი, თარგმანი ფრანგულიდან თინათინ ქიქოძის, თბილისი, 1970.

² მ. დუმაძე, ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე, თბილისი, 1950, გვ. 74.

³ იქვე.

ბი და სხვ. საყურადღებოა ავტორის შენიშვნა სამოსახლო მიწის ნაკვეთის — „რუბის“ (პარცელის) დაგეგმვისა და განაშენიანების ძველი ტრადიციული საცხოვრებელი სახლის ე. წ. ქართული დარბაზის გავრცელების შესახებ. ავტორს ქართული დარბაზული საცხოვრებელი უნდავს თავისი ტიპური დედაბოძებითა და მამაბაბური კერით, დამახასიათებელი წალოებით, როგორც თვითონ აღნიშნავს, „ქართული თარობით“.

საინგილოს მატერიალური კულტურის, სახელდობრ, ქრისტიანული ძეგლების პირველ თვალსაჩინო მკვლევარს ვეგლინგება ალ. ხახანაშვილი. მან საინგილოს ტერიტორიაზე სამჭერ იმოგზაურა (1892, 1893 და 1895 წწ). თავისი მოგზაურობის მასალები სახელწოდებით: Экспедиция на Кавказ, 1892, 1893, 1895, მან გამოაქვეყნა 1898 წ. კრებულში: «Материалы по археологии Кавказа». т. VII.

ალ. ხახანაშვილმა გამოიკვლია ისეთი უნიკალური ძეგლები, როგორებიცაა: ლექართის, ყუმის, ქურმუხის და სხვა ტაძრები, რომელთა მხოლოდ ნანგრევებია იყო შემორჩენილი. იგი საინტერესო ცნობებს გვაწვდის აგრეთვე „კავკასიის დიდი კედლისა“ და უძველესი სოფლების ქართულ სახელწოდებათა შესახებ.

ალ. ხახანაშვილმა პირველმა შემოიტანა სამეცნიერო ლიტერატურაში ძვირფასი მასალა ამ ისტორიული მხარის ხუროთმოძღვრულ ძეგლებზე.

1901 წლიდან უერნალ „მოგზაურში“ გამოჩნდა ცნობილი საზოგადო მოღვაწის, საინგილოს მკვიდრის¹ დიმიტრი ჭანაშვილის ვრცელი გამოკვლევა „გეოგრაფიული და ისტორიული აღწერა ჰერეთისა“, რომელიც წლების განმავლობაში სისტემატურად, ნაწილ-ნაწილად იბეჭდებოდა².

დ. ჭანაშვილს საინგილოს ტერიტორიაზე უნახავი არც ერთი ძეგლი არ დარჩენია. მას ძალზე აღელვებდა საინგილოს ისტორიული ბედუქვლმართობა. დიდი სიყვარულით მუშაობდა იგი ქართულ ეროვნულ სიძველეთა გამოსაკვლევად.

ზემოსხენებულ ნაშრომში დიმიტრი ჭანაშვილს მოცემული აქვს ეთნოგრაფიული ხასიათის საინტერესო ცნობები; მან საფუძვლიანად განიხილა საინგილოს გეოგრაფიულ-კლიმატური პირობები; აღწერა ნამოსახლარი ადგილები და ძველი ქართული სოფლები; მან დაწვრილებით აღწერა, მო-

ნუმენტური საეკლტო ძეგლების — ტაძრების, ეკლესიების, სასახლეებისა და ციხესიმაგრეთა ადგილსამყოფელი, შეაგროვა იმხანად არსებული „კავკასიის დიდი კედლის“ შესახებ ცნობები და სხვ.

განსაკუთრებით აღსანიშნავია გამოჩენილი ქართველი მეცნიერის და საზოგადო მოღვაწის მოსკოვური ჭანაშვილის მრავალმხრივი გამოკვლევები საინგილოს შესახებ³. ცალკეული ეთნოგრაფიული ნარკვევები სრული სახით — „საინგილოს“ სახელწოდებით — მან გამოაქვეყნა ისტორიული და ეთნოგრაფიული კრებულში — „ძველი საქართველოს“ მეორე ტომში, 1901 წელს.

ამ ნაშრომში ღვაწლმოსილი მეცნიერი დაწვრილებით გვაცნობს საინგილოს ბუნებას — ფლორასა და ფაუნას, მკვიდრ მოსახლეობასა და მათ შრომა-საქმიანობას, უღარესად მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის აგრეთვე ძველი სოფლებისა და ქალაქების შესახებ, განხილული აქვს მათი ქართული წარმოშობის გეოგრაფიული სახელები და სხვ.

განსაკუთრებით დიდ ინტერესს იწვევს თხზულების ის ნაწილი, რომელშიაც განხილულია ინგილოთა სახლ-კარი და მამული. ავტორი დაწვრილებით აღწერს საინგილოს ტერიტორიაზე გავრცელებულ ხალხურ ტიპურ კარ-მიღამოს, ქიშკრებს, საცხოვრებელ სახლებს, სამეურნეო ნაგებობებს და დიდი გულისტკივილით მოგვითხრობს დამპყრობელთა მიერ დატყვევებულ მონუმენტურ ძეგლებზე.

საინგილოს შესახებ არსებული ლიტერატურის ფონდში თვალსაჩინო ადგილი უკავია ზ. ედილის (ედილაშვილის) ნარკვევებს. საინგილოს სიძველეთა შესახებ მან მასალების შეგროვება ჭერ კიდევ ცხრაასიან წლებში დაიწყო; ამ კეთილშობილური საქმიანობისათვის მას სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე არ უღალატია. თავისი გამოკვლევის შესახებ იგი სისტემატურად აქვეყნებდა ქართულ პერიოდულ პრესაში.

ზ. ედილის ნარკვევები საინგილოს შესახებ ცალკე წიგნად გამოიცა 1947 წელს, მასში დაწვრილებითაა აღწერილი საინგილოს ბუნება და ადგილმდებარეობა, ისტორიული წარსული, ინგილოთა ყოფა-ცხოვრება, სოფლები, ისტორიული ძეგლები, (ტაძრები, მცირე ფორმის ეკლესიები, ციხე-კოშკები, ცნობილი „კავკასიის კედელი“ და სხვ.).

საინგილოს მონუმენტური ძეგლების არქიტექტურის შესახებ დიდხანს არაფერი იყო ცნობილი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ მოკლე ისტო-

¹ დ. ჭანაშვილი ცნობილი იყო აგრეთვე „ინგილოს“ ფსევდონიმითაც.

² ზემოაღნიშნული გამოკვლევის გამოკვეთვება ცალკეული წერილების სახით „ინგილოს“ ჭანაშვილმა დაიწყო 1901 წლის ეურს. „მოგზაურის“ მეოთხე ნომერში და დაასრულა 1903 წლის მეოთხე ნომერში.

³ მოსკოვი ჭანაშვილის კალამს ეკუთვნის დაახლოებით ასზე მეტი შრომა, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი გამოცემული აქვს სხვადასხვა ფსევდონიმით: „იონე ქართველი“, „მორწმუნე“, „ბერი“, „ესიომ“, „მ. ჯ.—ლი“ და სხვა.

რიულ ცნობებს, რომლებიც პირველად ალ. ხახანა-ვეილმა გამოაქვეყნა.

1947 წ. არქიტექტორმა პ. დ. ბარანოვსკიმ გამო-აქვეყნა ფრიალ მნიშვნელოვანი ნაშრომი — «Памятники в селениях Кум и Лекит»¹.

პ. დ. ბარანოვსკიმ პირველმა გამოიკვლია და მე-ცინიერულად შეისწავლა საინგილოს ყუმის ბაზი-ლიყისა და ლექართის მრგვალი გუმბათოვანი ტაძ-რის არქიტექტურა.

1939 წელს მან აზერბაიჯანის ძეგლთა დაცვის სამმართველოს თაოსნობით არქეოლოგიური გა-თხრები ჩაატარა ყუმის ბაზილიკის ვარშემო.

როგორც თვითონ ავტორი აღნიშნავდა, მან ვერ დაასრულა ამ ძეგლთა მთლიანი შესწავლა, რის გა-მომცე საჭიროდ თვლიდა შემდგომში ზოგიერთი სა-კითხის დაზუსტებას, მაგრამ იგი დღემდე განუ-ხორციელებელი დარჩა.

საკულტო მონუმენტური ძეგლების შესწავ-ლასთან ერთად იზრდება ინტერესი თავდაცვით და საცხოვრებელ ნაგებობათა გამოკვლევისადმი.

ზემთ მიმოხილული ლიტერატურიდან ირკვევა, რომ ერთ-ერთ მნიშვნელოვან ძეგლს საინგილოს ტერიტორიაზე წარმოადგენს ე. წ. „აკვასიის კე-დელი“; არ დარჩენილა არც ერთი მკვლევარი თუ მოგზაური, რომ ამ უნიკალური ძეგლისათვის ყუ-რადღება არ მიეძევა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ძეგლის სრული მეცნიერული შესწავლა არავის უცდია ჩვენი საუკუნის ორმოციან წლებამდე.

1950 წელს გამოქვეყნდა ე. ა. პახომოვის გამოკვლევა ზემოხსენებული კედლის შესახებ — «Закаतालская длинная стена».

ე. ა. პახომოვი და ა. ალესიკო-ზადემ ხსენებული ძეგლის შესწავლა დაიწყეს ჯერ კიდევ 1936 წლის ზაფხულში აზერბაიჯანის მეცნ. აკადემიის სამუშაო გეგმის შესაბამისად.

ე. პახომოვიმ აღნიშნული კედლის მიდამოებში მცირე მასშტაბის არქეოლოგიური გათხრებით ჩა-ატარა, რომლის შედეგადაც გამოვლინდა ამ ძეგ-ლის სისტემაში შემაჯავლი სხვადასხვა სახის ნაგე-ბობები — კოშკები, საცხოვრებელი, საკულტო და-ნიშნულების შენობები და სხვ.

როგორც ირკვევა, არქეოლოგიური გათხრებით მოპოვებული მასალა ავტორს სათანადო დასკვნე-ბის გამოტანის საშუალებას არ აძლევს. იგი ეკრ-დნობა საკუთარ ვარაუდსა და ინტუიციას და „ზა-ქათალის გრძელი კედლის“ სისტემას კასპიის ზღვისპირეთში აღმოჩენილ სასანური მშენებლობის

¹ კებული «Архитектура Азербайджана эпохи Ни-зამи», Москва — Баку, 1947.

ნაშთების ანალოგიად თვლის. ამის საფუძველზე იგი ამ „გრძელ კედელსაც“ V-VII სს. ათარიღებს.

ჩვენი აზრით ამ უნიკალური ძეგლის შესწავლა ჯერ კიდევ დასრულებული არაა. მასთან დაკავში-რებული ზოგიერთი საკითხის გაშუქება ახალი მო-ნაცემების საფუძველზე მოითხოვს სრულყოფასა და საბოლოოდ დაზუსტებას.

ჩვენი საუკუნის ორმოცდაათიანი წლებიდან სა-ინგილოს მატერიალური კულტურის ძეგლების შესწავლას სხვადასხვა დარგის მკვლევარებთან ერ-თად არქიტექტორებმაც მოკიდეს ხელი.

დიდ ინტერესს იწვევს არქიტექტორების — ლ. ბრეტანიციის და ლ. მამიკონოვის გამოკვლევა «Оборонительные сооружения Закаतालского и Белаганского районов», რომელიც გამოქვეყ-ნდა 1950 წელს.

ამ ნაშრომში მოცემულია მეტიც საინტერესო გრაფიკული მასალა ანაზომებისა და ჩანახატების სახით. მასში ასახულია საინგილოს ზემოხსენებულ რაიონებში დღემდე შემორჩენილ თავდაცვით ნა-გებობათა ნაშთები, ციხე-კოშკები, ბუჩის ნაგებობე-ბი, კოშკური საცხოვრებლები და სხვ.

არქიტექტორებმა ს. დატიევიმ და დ. მოტისმა პირველად მოგვეცეს ზაქათალის რაიონის ხალხურ საცხოვრებელთა ხუროთმოძღვრული დახასიათება, რომლებმაც 1950 წელს ბაქოში გამოაქვეყნეს თა-ვიანთი ნაშრომი «Жилые XVIII и XIX веков Закаतालского района»².

ნაშრომში ვრცლადაა წარმოდგენილი XVIII — XIX საუკუნეთა ხალხური საცხოვრებელი სასლე-ბის ძირითადი ტიპები (გრაფიკული მასალის სა-ხით — გეგმები, ფასადები, კრილები), მოცემულია საინგილოს ისტორიულ მიწა-წყალზე ხალხური სა-ცხოვრებლების გავრცელებული ტიპების გამო-კვლევა.

ავტორები ვეაძლევენ ზაქათალის რაიონის ტე-რიტორიაზე დღემდე შემორჩენილი საცხოვრებელი სასლების ძველი ტიპების გრაფიკული მასალის ხუ-როთმოძღვრულ-მხატვრულ ანალიზს, მაგრამ არა-ფერია ნათქვამი საცხოვრებელი სასლის გემებისა და ზივრკითი აღნაგობის განვითარების ტტადიების შესახებ, რომელთა ფორმირებაში დიდ როლს ას-რულებს, ეროვნული ხუროთმოძღვრული მოტივე-ბი, სარწმუნოება, ზნე-ჩვეულება და სხვ.

ასევე თითქმის არაფერია ნათქვამი შესწავლილი საცხოვრებლების ხუროთმოძღვრების ეროვნულ ხასიათზე; ეს საკითხი იმდენადაა საინტერე-

² აღნიშნულ ექსპედიციებში სხვადასხვა დროს სის-ტემატურად მონაწილეობდნენ არქიტექტორები: ს. დატიევი, დ. მოტისი, ს. რაიგოროდსკი, ლ. ბრეტანიცი, მ. მამიკონო-ვი და სხვ.

სო, რამდენადც, როგორც ვიცი, ზაქათალის ისტორიული ადგილების მოსახლეობა ძველად მხოლოდ ქართული იყო.

ისტორიული ალბანეთის სიძველეთა შესახებ ყურადღებას იმსახურებს კ. ვ. ტრევერის ნაშრომი «Очерки по истории и культуре Кавказской Албании»¹, რომელიც გამოცემულ იქნა 1959 წელს.

აღნიშნულ თხზულებაში ავტორი ვრცლად მიმოიხილავს ძველი პერეთის (ალბანეთის) კულტურას, აშუშებს მისი ისტორიულ-პოლიტიკური პროცესების განვითარებას, არკვევს პერეთის დაქინების ძირითად მიზეზებს.

ნაშრომში ვრცლადაა წარმოდგენილი კავკასიის ალბანეთის შესახებ არსებული კომპლექსური მასალა, რომელშიაც ცალკეულ თავებადაა დაყოფილი ხუროთმოძღვრების, ხელოვნებისა და ეთნოგრაფიის ამსახველი ძეგლების საკითხები.

ავტორი გვაცნობს ძველი პერეთისა და კავკასიის ხალხთა მატერიალური კულტურის შესახებ არსებულ მდიდარ მასალას და ამის საფუძველზე იძლევა ზოგიერთი ძეგლის შედარებით ანალიზს.

იმ პერიოდის მატერიალური კულტურის შესასწავლად, რომლის შესახებაც არავითარი წერილობითი წყაროები არ მოგვეპოვება, კ. ვ. ტრევერი ფართოდ მიმართავს ძველი ალბანეთის ტერიტორიაზე სხვადასხვა დროს წარმოებული არქეოლოგიური გათხრებით მოპოვებულ მასალას, ავტორის გამოყენებული აქვს — ნიჭში (ყოფ. ნუხის მახრა), სოფ. არხილოსკალოში (კახეთი), მინგეჩაურსა და სხვ. ადგილებში მოპოვებული დიდიძალი კერამიკა, სხვადასხვა სახის სამკაული, ჭედური და ქვაზე ამოკვეთილი ნიმუშები, რომელთა შედარებითი ანალიზის საფუძველზე გამოაქვს დასკვნები.

ყურადღებას იმსახურებს 1963 წელს გამოქვეყნებული გ. მ. ალი-ზადეს ნაშრომი «Народное зодчество Азербайджана и его прогрессивные традиции».

აღნიშნული პუბლიკაცია განსაკუთრებით საინტერესოა იმ მხრივ, რომ იგი მიძღვნილია აზერბაიჯანის ხალხური ხუროთმოძღვრების შესწავლისადმი, რომელშიაც ნაწილობრივ განხილულია აზერბაიჯანის საზღვრებში მოქცეული საინგლოს ტერიტორიაზე დღემდე შემორჩენილი ქართული ხალხური საცხოვრებლისა და კარ-მიდამოთა ტიპური ნიმუშებიც.

ავტორი გვაწვდის დასახლებისათვის საჭირო ტერიტორიის შერჩევის ზოგიერთ ხერხს, განიხი-

ლავს ხალხურ ნაგებობებზე ადგილობრივი ბუნებრივი პირობების ზეგავლენის საკითხებს, დადგენილი აქვს ხალხური საცხოვრებელი სახლების გემის კომპოზიციის სტადიალური განვითარების სქემა და სივრცობრივი აღნაგობა, საცხოვრებელი სახლის დეკორი, კონსტრუქციული სტრუქტურა და სხვ.

ენობილია, რომ მონუმენტური ძეგლებისა და ძველი ხალხური ნაგებობების სიუხვით საინგლოს მიწა-წყალზე ცენტრალური ადგილი კახის რაიონს უკავია; ავტორი კი საცხოვრებელი რაიონის ამ მეტად მნიშვნელოვანი ზონის ხალხურ ძეგლებს ნაკლებად აქცევს ყურადღებას, ამიტომაცაა, რომ ნაშრომში ამ ადგილების საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები ძალზე უფერულადაა წარმოდგენილი.

აქ აშკარად შეიმჩნევა ეროვნული ნივთიერი კულტურის ორი სფერო. კუშმარბიტი მეცნიერული დასკვნებისათვის საჭიროა ეს ორი შემხვედრი ხალხური ხუროთმოძღვრული ფორმა შევადაროთ ერთმანეთს და დაეუპირისპიროთ. რა თქმა უნდა, ამისათვის აუცილებელია შედარებითი ანალიზის საფუძველზე ორივე მათგანი ღრმად გვექონდეს შესწავლილი.

მართალია, მათი გვემარების ელემენტები რაღაც საერთო მსგავსებას აშქაფებენ, მაგრამ ამ ორი ერთმანეთს საპირისპირო ხალხურ ხუროთმოძღვრული ფორმების განვითარების გზები სრულიად განსხვავებულია, ვინაიდან მათ ტიპობრივ ჩამოყალიბებას სხვადასხვა სარწმუნოება და ეროვნულ ნიადაგზე აღმოცენებული ურყევი ტრადიციები უღევს საფუძველად.

სოფ. ნიჯის მახლობლად 1926 წელს ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგები 1927 წელს გამოაქვეყნა დ. შარფოვმა². მასში განხილულია გათხრების შედეგად მოპოვებული ინვენტარი: მხატვრული კერამიკა, სამკაულები და სხვ.

1935 წელს გამოქვეყნდა ნ. ბ. ბაკალანოვის ნაშრომი «Архитектурные памятники Дагестана». ნაშრომში გაშუქებულია ადამიანის საცხოვრებელი ბინის სტადიური განვითარების ზოგადი საკითხები, დაღესტნის მაღალმთიანი ზონის ხალხურ საცხოვრებელთა ტიპები, ხალხურ ნაგებობათა ძველი სამშენებლო ტექნიკის ზოგიერთი საკითხები — ქვის კედლების უხსნაროდ აგების საინტერესო ხალხური მეთოდები (უღულაბო წყობა) და სხვ.

გ. ნიორაძის ნაშრომი „ალაზნის ველის გათხრები“, მიეძღვნა სოფ. სამაფყაროს მახლობლად (ალაზნის ველზე) ჩატარებულ არქეოლოგიურ გა-

¹ კ. ვ. ტრევერის გამოცემული აქვს აგრეთვე ცალკე წიგნად ნარკვევი შემდეგი სახელწოდებით — Вопросы о культуре Кавказской Албании, Москва, 1960.

² Д. Шарфов, Раскопки в Ялонлу Тапа (Нухинский у. 1926...), Баку, 1927.

თხრებს (გამოქვეყნდა 1940 წ.). ავტორს განხილული აქვს ალაზნის ველის უნიკალური მხატვრული კერამიკა და ადარებს მას მინგეჩაურისა და სოფ. ნიჩის კუბრულს კოლექციას.

სპეციალურ გამოკვლევათა შორის დიდი მნიშვნელობა აქვს ქართველი მეცნიერის ნ. ბერძენიშვილის ნაშრომს „აღმოსავლეთი კახეთის წარსულიდან“, რომელიც დაიბეჭდა 1958 წელს „მიმოხილველის“ მესამე კრებულში. ნაშრომი ეძღვნება ისტორიული საინგილოს წარსულს; მასში გაშუქებულია ისტორიულ-პოლიტიკური პროცესებისა და ისტორიული გეოგრაფიის ზოგიერთი საკითხი.

საყურადღებოა 1958 წელს გამოქვეყნებული მ. დუმბაძის ნაშრომი „აღმოსავლეთ კახეთის (საინგილოს) ისტორიიდან“, რომელშიც აღწერილია მონღოლთა შემოსევები, შაჰ-აბასისა და დაღესტნელი ლეკების თავდასხმების წინააღმდეგ ქართველთა ბრძოლების ისტორია; აქვე მოკლულა დახასიათებული მონუმენტური ძეგლები.

1956 წელს მ. ა. კახიევის რედაქციით გამოქვეყნდა «Памятники истории Азербайджана». ნაშრომში მოცემულია ლეკართის მრგვალი ტაძრის, ყუმის ბაზილიკისა და ქურუმების ტაძრის შესახებ მოკლე ისტორიული ცნობები, ფოტოილუსტრაციები და სხვ.

ქართული ხელოვნების მხატვრული მემკვიდრეობის სიძველეთა გამოკვლევის დარგში დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართველ მეცნიერს გ. ჩუბინაშვილს. ღვაწლმოსილი მეცნიერის ნაშრომი «О художественной среде и хронологических рамках Мингечаурского рельефа» (გამოქვეყნდა 1957 წ.) მიეძღვნა მინგეჩაურში, 1938 წლის არქეოლოგიურ გათხრებით მოპოვებული ჰერული რელიეფის დათარიღებისა და მისი ფუნქციის დადგენის საკითხებს.

ნაშრომში მოცემულია ქვაზე მხატვრულად დამუშავებული რელიეფის—ფარშვანგების გამოსალებათა სიუჟეტური პარალელები (იდენტური გამოსახულებანი) ქართულ ხელოვნებაში და სხვ.

გ. ჩუბინაშვილის ნაშრომთა შორის ყურადღებას იმსახურებს მისი კაპიტალური გამოკვლევა «Архитектура Кахетии», რომელიც (საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ 1959 წელს გამოსცა), წარმოადგენს ქართული ხელოვნების მხატვრული მემკვიდრეობის საუწყეს. მასში ამომწურავადაა შესწავლილი IV—VII სს. ხელოვნების ძეგლების ფანეთარება საქართველოს ამ უკიდურეს აღმოსავლეთ მხარეში.

ამ ნაშრომის მეორე თავში ავტორის მოცემული

აქვს ვრცელი ანალიზი კახეთის ბაზილიკური ტიპის ნაგებობებისა, მათ შორის საინგილოს (აღმოსავლეთ კახეთის) ერთ-ერთი ბრწყინვალე ძეგლისა — სოფ. ყუმის ბაზილიკა.

ვრცელი კრიტიკული შედარებითი ანალიზისა და არქიტექტორ პ. დ. ბარანოვსკის ნაშრომის («Памятники в селениях Кум и Лехит») ინტერპრეტაციის საფუძველზე დეაწლმოსილ მეცნიერს განხილული აქვს ყუმის ბაზილიკის დთარიღების საკითხიც. VII თავში მოცემულია კახეთის გუმბათოვანი არქიტექტურის ძეგლები, რომელთა ჯგუფში მოქცეულია კახეთის უკიდურესი აღმოსავლეთით, საინგილოს ტერიტორიაზე მდებარე, დღემდე კარგად შემონახული ორი ძეგლი: გიშისა და ზედგზითის (Зедгзити) ეკლესიები.

საინგილოსადმი მიძღვნილ გამოკვლევათა შორის ყურადღებოა იმსახურებს 1957 წელს გამოქვეყნებული ა. ჩხეკელიის ნაშრომი „შზან საინგილოში“ და გ. გამახარაშვილის „საინგილო“ (გამოქვეყნდა 1960 წელს).

ბოლო პერიოდის ახალი გამოკვლევებიდან აღსანიშნავია თ. პაპუაშვილის მონოგრაფია — „ჰერეთის ისტორიის საკითხები“ (გამოქვეყნებულია 1970 წ.), რომელშიაც მთელი სისრულით არის მიმოხილული ჰერეთის სოციალ-ეკონომიური და პოლიტიკური განვითარების ისტორიული პროცესები უძველესი ხანიდან მოყოლებული ვიდრე XII ს. პირველ მეოთხედამდე. ახალგაზრდა მეცნიერის დამსახურებად უნდა ჩათვალოს ის, რომ მან პირველმა მოგვცა ჰერეთის ისტორიული განვითარების თავისებურებათა მკაფიო სურათი. არანაკლებ მნიშვნელოვანია თ. პაპუაშვილის მეორე მონოგრაფია — „ჭარ-ბელაქანი“ (ისტორიული ნარკვევი 1972 წ.). ამ ნაშრომში ავტორის დაწვრილებით აქვს მიმოხილული საინგილოს (ჭარ-ბელაქანი) სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკური განვითარების პროცესები, XVI საუკუნიდან XIX საუკუნის 30-იან წლებამდე.

ეს ნაშრომი წარმოადგენს მონოგრაფიულ გამოკვლევას, რომელშიც მთელი სისრულითაა მოცემული საინგილოს ისტორიული განვითარების ძირითადი საფეხურები.


იმავე წელს გამოქვეყნდა გ. ჩანგაშვილის „საინგილო“. აღნიშნულ ნაშრომში ავტორს მოცემული აქვს საინტერესო მასალა საინგილოს შესახებ, რო-


მელშიაც ასახულია გეოგრაფიულ-ბუნებრივ-კლიმატური თავისებურებანი, ძირითადი ისტორიული მომენტები, დემოგრაფიული ხასიათის მასალა და სხვ.

გამოქვეყნებული წყაროებისა და ლიტერატურის ძირითადი ფონდი, რა თქმა უნდა, მარტო ამით არ ამოიწურება; მთელი სისრულით მათი უბრალო ჩამოთვლაც კი შორს წაგვიყვანდა. არსებობს

სხვა ნაშრომებიც, სადაც მოცემულია ზოგადი ხასიათის მნიშვნელოვანი ცნობები და საინტერესო ფაქტობრივი მასალა.

დასასრულ უნდა აღინიშნოს, რომ საინგილო-სადმი მეცნიერული ინტერესი დღემდე არ შენელებულა, და ამ მხარის მატერიალური კულტურის მრავალმხრივი და სრულყოფილი შესწავლა ჯერ კიდევ დიდ შრომას მოითხოვს.





თ ა შ ი მ ი ო რ ა ე

საინჟილოო გეოგრაფიული და ისტორიულ-პოლიტიკური მიმოხილვა

გეოგრაფიულ სახელთა ზოგიერთი განმარტავის შესახებ

საჭიროდ ვთვლით მკითხველის ყურადღება გამამხვილოთ ისეთ გეოგრაფიულ სახელებზე, როგორცაა: ჰერეთი, ალბანეთი, ალგანია, ელისენი, საინგილო და სხვ., რომლებიც საუკუნეთა მანძილზე ერთმანეთის სინონიმებს წარმოადგენენ.

პოლიტიკურ-სოციალური და ეკონომიური მოვლენების თავისებური განვითარების შედეგად საინგილო (საქართველოს აღმოსავლეთი სასაზღვრო ზონა), ტერიტორიულად ხშირად განიცდიდა ცვლილებებს — შესაბამისად იცვლებოდა მისი გეოგრაფიული სახელწოდებაც. ასე მაგალითად, მისი უძველესი სახელწოდება „ჰერეთი“ (ალბანეთი), რომლის ნაწილს წარმოადგენს საინგილო, მოხსენიებულია V საუკუნის ქართული ორიგინალური მწერლობის ისეთ ძეგლში, როგორცაა იაკობ ცურტაველის (ხუტესის) „წამებანი შუშანიისი“, სადაც ვკითხულობთ: „...ვითარცა მოიწია იგი (ვარქსენ პიტიახშმა) ზაზღვართა ქართლისათა, ქუეყანასა მას ჰერეთისასა“¹. „...ჰერეთი მოხსენიებულია „ქა-

რთლის ცხოვრებაშიც“², როგორც ქართული მიწა-წყალი, კახეთის სამეფოში შემავალი გეოგრაფიული ერთეული; ამიტომ ორი სატომო სახელი — ჰერეთი და კახეთი ისტორიულად ხშირად ერთ კომპოზიტად გვეხმარება, ასე მაგალითად: („კახეთ-ჰერეთი“, „ჰერ-კახნი“, „ჰერთა და კახთა“ და სხვ.). თვით ტერმინ „ჰერეთის“, გეოგრაფიული სახელწოდების წარმოშობაზე ნათელ წარმოდგენას გვაძლევს ლეონტი მროველის ისტორიული თხზულება ე. წ. „ცხოვრება ქართველთა მეფეთა, (ამბავი რვათა ძმათა)“. როგორც ცნობილია, ამ თხზულების მიხედვით ქართველთა შორეულ წინაპარს თარგამოსს რვა შვილი ჰყოლია, რომელთაგან ერთერთს ერქვა ჰეროს. თარგამოსმა თავის შვილებს „განუყო ქვეყანა, .. რომელი წილით ზღომოდა მას და ყველას მიუჩინა თავისი საზღვარი.“³

¹ ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, 1955, ტ. I, გვ. 295; ტ. II, გვ. 96, 102, 137, 153. თბილისი 1959, ასევე იხ. უ. ბროსე, ქართლის ცხოვრება, პეტროგრადი, 1849, გვ. 15.

² ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, თბილისი, 1955, ტ. I, გვ. 4.

¹ იაკობ ცურტაველი, მარტვილობაი შუშანიისი, თბილისი, 1938, სახ. უნივერსიტეტის გამოცემა.

„...ჭეროს მისცა ქუეყანა მტკურისა ჩრდილო, მცირისა ალაზნისა შესართავთაგან ვიდრე ტყუბამდე, რომელსა აწ ჰქვიან გულგულა. და ამან ჰეროს აღაშენა პირველად ქალაქი შესაკრებელთა შორის ორთავე ალაზნათსა და უწოდა სახელი თაჲთი ჰერეთი. და მის გამო ჰქვიან ჰერეთსა ჰერეთი. და აწ მას ადგილსა ჰქვიან ზორანთა“¹ (სურ. 1).

ჰერეთი ბერძნულ და ლათინურ წყაროებში მოხსენიებულია ალბანეთის სახელწოდებით, ხოლო სომხურში „ალვანად“ („ალვანქ“).

გეოგრაფიული სახელი „ალბანეთი“ ცნობილია აგრეთვე ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, ამიტომ მას „ბალკანეთის ალბანეთი“ ეწოდება. (იგივე ტერმინი გვხვდება იტალიის და შოტლანდიის ტოპონიმიაში)². აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მკვიდრი მოსახლეობა „ბალკანეთის ალბანეთს“ „შკიპერიას“ უწოდებს, რაც ალბანურად „არწივების ქუეყანას“ ნიშნავს³.

როგორც ირკვევა, „ჰერეთი“ — „ალბანეთი“ — „ალვანია“ უძველესი გეოგრაფიული სახელებია, რომელთა წარმოშობის თავდაპირველი ფორმები, ასევე მათ შორის ტოპონიმური კავშირი, მეცნიერების მიერ ჯერ კიდევ კარგად შესწავლილი და დადგენილი არაა.

ნ. მარის განმარტებით სიტყვა „ალბანეთი“, ასევე „ადლესტანიც“, „მთიან ქუეყანას“ ნიშნავს⁴; აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ სატომო სახელის „ჰერების“ ეთნოგენეზისის და ტერმინ „ჰერეთის“ ეტიმოლოგიის შესახებ არსებობს საკმაოდ ვრცელი, ახალი გამოკვლევა, რომელშიც თავმოყრილია ამ საკითხთან დაკავშირებული უცხოურ და ქართულ წყაროებში დატული ფრიალ საყურადღებო დიდძალი მასალა⁵.

რაც შეეხება ტერმინ „ალბანეთის“ სინონიმურ გამოთქმას, ე. წ. „ალვანიას“ იგი ისტორიკოსების მიერ ასევე სხვადასხვანაირადაა ახსნილი.

ერთ-ერთი საგარეულო ახსნას გვაძლევს გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსი თეიმურაზ ბაგრატიონი (ბატონიშვილი).

მისი აზრით, „ესე წოდება ალვანია — არს უძვე-

¹ ქართლის ცხოვრება, ს. ყაზბიშვილის რედაქციით, თბილისი, 1955, ტ. 1, გვ. 5.

² К. В. Тревер, К вопросу о культуре Кавказской Албании, Москва, 1960, стр. 1.

³ გ. ნ. გებტანი, ნ. ზ. გებტანი, გ. ო. ზარდალიშვილი და ე. ჰ. მესხი, გეოგრაფიულ სახელწოდებათა ახსნა-განმარტება, თბილისი, 1965, გვ. 17.

⁴ Н. Я. Марр, Кавказские племенные названия и местные параллели, Российская Акад. наук, У — Петроград, 1922, გვ. 16 მისივე Избранные работы, т. 1, Ленинград, 1933, стр. 328.

⁵ თ. პაპუაშვილი, ო. ჰერეთის ისტორიის საკითხები, თბილისი, 1970, გვ. 5—114.

ლესთა ეამთა შინა სახელის-დება. ალვანი არს სოფელი დასაწყისსა შინა შინავანისა კახეთის გაღმამხარისასა, გაღმით ალაზან მდინარისა, პირისპირ დიდისა მის დაბისა ახმეტისა და ქვემოთ ალვანისა მინდორი დიდი ალვანის მინდორად სახელდებული;... რომელნივე მოაზრობენ, ვითარმედ მასლობელ ალვანისა სოფლისა ამის წინა ხსენებულისა, მთასა შინა კავკასიისა აღმოდრიდა ცეცხლი ადგილით, ფრიალ დიდი რომელიცაო დაშრტა შემდგომად ფრიალ ადრით ეპითავან ქრისტეს მოსვლისა და მის მიერ ალ-ვანად იწოდაო პირველად ადგილი იგი და შემდგომად ყოველი იგი ქუ-ჰყანაი“⁶.

ზემოთქმულიდან ჩანს, რომ ტერმინ „ალვანიას“ ანალოგიური, უძველესი სახელწოდებათა გაღმონაშთები დღემდე კიდევ არის შემორჩენილი კახეთის ტერიტორიაზე ადგილთა გეოგრაფიულ სახელწოდებად. ისტორიკოსის მხედველობაში აქვს თანამედროვე ახმეტის რაიონში არსებული სოფლის სახელწოდება ალვანი.


გეოგრაფიული სახელწოდება „საინგილო“ („ინგილო“). როგორც ტერმინი, ხმარებაში შემოდის XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან. ცნობილია, რომ ამჟამად საინგილო ეწოდება ინგილოებით დასახლებულ ადგილს; მაგრამ ადრინდელ წერილობით წყაროებში სახელწოდება „საინგილო“ და „ინგილო“ არსად არ იხსენიება. ტერმინ „ინგილოს“ შესახებ სხვადასხვა აზრი არსებობს, მიუხედავად ამისა, ერთი რამ უცხადია: „ინგილო“ სატომო სახელი — ე. წ. ეთნიკური ტერმინი არ არის.

ლექი ფეოდალების მიერ ქართული სოფლების დაპყრობის შემდეგ ლეკური „უბატონო თემების“ მომხრე ქართველი გლეხობა ბატონყმურ მდგომარეობაში აღმოჩნდა.

„ამავე დროს მათ თანდათანობით აიძულეს ქართველი მოსახლეობა მაჰმადიანობა მიეღო. აი, ამ დამორჩილებულ-დაბეგერულ ქართველ გლეხს ეწოდა ინგილო, განსხვავებით ტერმინ — ლეკისაგან, რომელშიც უპირატესად მებატონე ან თავისუფალი იგულისხმებოდა, დამოუკიდებლად იმისაგან, თუ ვინ იყო ის წარმოშობით: ავარიელი, წახურელი თუ ქართველი („ვალეკებულო“); ასე, რომ „ლეკი“ და „ინგილო“ უფრო სოციალური შინაარსის ცნებებია, ვიდრე ეთნიკური“⁷.

⁶ თ ე ი შ რ ა ზ ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი, ისტორია დაწყებითგან იფერისა. ესე იგი გიორგიისა, რომელ არს სრულიად საქართველოსა — ქმნილი საქართველოს მეათეებეტის მეფის გიორგის ძის თეიმურაზისაგან, სანკატერბურდს, 1848 წელსა გვ. 20—21.

⁷ ნ. ბერძენიშვილი, აღმოსავლეთ კახეთის წარსულიდან მიმოხილველი, თბილისი, 1953, ტ. III, გვ. 84.



ვიკრძობითი ნიშნები

- ⊙ მთავარი ქალაქები
- ⊖ შუენე ქალაქები
- ✦ ციხე-სიმაგრეები
- ⦶ მთავარი გზა
- ⦶ საერა გზა
- ბოლოე
- დაბა სოფლები
- ⦶ კალაქები

სურ. 1. კახეთი და საინჯლო (კერეთი) გე-18 საუკუნეში.

როგორც ირკვევა, სახელწოდება „ინგილო“ სოციალური ტერმინია, არსებობს აგრეთვე ასეთი აზრით, თითქოს სახელწოდება „ინგილო“ სპარსულ-თურქული სიტყვა „ჰენგიდან“ იყოს წარმოშობილი, რაც ნიშნავს ამოგდებულს, მორაჯულბულს, იმ გაგებით, რომ ქართველებს ქრისტიანული რჯული (რწმენა) დააგმობინეს და მაჰმადიანური მიაღებინეს. „თვითონ ინგილოები ამ სა-

ტყვის შემოდებას შაჰ-აბასის შემოსევას უკავშირებენ, როლის დროსაც საინგილო ამოვარდა“¹.

ასეთია ტერმინ „ინგილოს“ საკითხის შესახებ დღემდე არსებული ცნობები, ჩვენი აზრით, აუცილებელია სპეციალისტების მიერ ამ ტერმინის მრავალმხრივი დაზუსტება სათანადო ქეშმარიტი დასკვნების გამოსატანად.

გეოგრაფიული ბარემო და კლიმატური პირობები

საინგილო ანუ შიდა კახეთის ისტორიული ნაწილი, სახელდობრ, ჩრდილო-აღმოსავლეთი კახეთი, რომელსაც „გალმა მხარს“ ეძახდნენ, ისტორიული პერეთის ტერიტორიაზე მდებარეობს.

საინგილო ძველთაგანვე საქართველოს ერთ-ერთი საერისთავო იყო და მას როგორც იბერიის აღმოსავლეთ პროვინციას, უდიდესი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. მას საქართველოს აღმოსავლეთის „რკინის ჰიშკარს“ უწოდებდნენ.

თანამედროვე საინგილოს ტერიტორია მოიცავს: ბელაქნის, ზაქათალისა და კახის რაიონებს. ამჟამად იგი მოქცეულია მოქმე აზერბაიჯანის სსრ საზღვრებში. მას უკავია კავკასიის მთაგორიანი ქედის სამხრეთი ფერდობების ტყით დაფარული ხეობები და მდინარე ალაზნის მარცხენა ნაპირის დაბლობი ადგილები.

ვახუშტი ბაგრატიონს თავის გეოგრაფიულ თხზულებაში—„აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ მოცემული აქვს ცნობები „კაქისა და ელისენისათვის — გაღმა-მხარისა და შიგნით კახეთისათვის“; ზემოხსენებული სახელები — კაქ-ელისენი და გაღმა-მხარი თანდათანობით განდევნა ახალმა ტერმინმა — საინგილომ.

ვახუშტის მოღვაწეობის პერიოდში გეოგრაფიული სახელწოდება საინგილო, რა თქმა უნდა, არ ყოფილა დამკვიდრებული არც ხალხში და არც ლიტერატურაში. ამიტომ ცხადია, ვახუშტი თავის თხზულებაში მას გაღმა-მხარედ ანუ ელისენად იხსენიებს.

საინგილოს (ელისენის) საზღვრებს ვახუშტი შემდგენიარად განსაზღვრავს „მზღვრის (საზღვრავს — ი. ა.) ელისენს აღმოსავლეთით მთა კავკასი, კულმულხსა და მის შორის; სამხრით ალი-სულტნის სა-

ზღვარი; ჩრდილოეთ წყალი ბელაქნისა; დასავლეთ ალაზანი“².

დომ. ჭანაშვილის, ზ. ედილაშვილის, მ. ჯანაშვილის და სხვათა ნაშრომებში საინგილოს საზღვრების შესახებ, შეინიშნება მეტ-ნაკლები განსხვავება. მოსე ჭანაშვილს აღნიშნული აქვს, რომ „საინგილო შიგნით-კახეთის ნაწილია და, მასადაღამე მდებარეობს მდინარე ალაზნის ხეობაში, დღეს მას შეადგენს სიღნაღისა და ნუნის მაზრების და აგრეთვე დაღესტნის მომიჯნავე ზაქათალის მაზრა, რომელსაც ჩრდილო-აღმოსავლეთ მხრით აჭყულებია კავკასიონი, დასავლეთ-სამხრეთის მხრით კი შემორტყმია ალაზანი და შავი-მთა, ნაწყვეტი სიღნაღზე, მომავალ ციფ-გომბორის კვერნაკისა. სიგრე მისი უდრის 73,78 ოთხკუთხ მილს ანუ 3571. 34 ოთხკ. ვერსს. ალაზნიდან კავკასიონის ძირიდანვე ველი, ხან იშლება, ფართოვდება და ხან ვიწროვდება, ასე რომ, ამ მდინარიოვან ხსენებული მთის ძირამდე ზოგან 30—40-ოდე და ზოგან 20—25-ოდე ვერსი ძლივს იქნება“³.

ზ. ედილაშვილის განმარტებით, „ეს მხარე, რომელსაც სიღამაზით ვერც ერთი კუთხე საქართველოსი ვერ სჭარბობს, იწყება იქ, სადაც დღევანდელი კახეთი თავდება და საზღვრად მას უძევს პატარა მდინარე მაზმიჩაი (ისტორიული მაჰის წყალი). აქედან მისდევს კავკასიონის მთაგრების ყოფილ შექის ანუ ნუნის მიჯანდის, იქამდის, სადაც პატარა მდინარე კანი-კობის (სისხლის ღელე) ჩამოწანწკარებს და ერთვის უფრო დიდ, საკვირველად მიხლავნილ-მობლავნილ მდინარე ვერ-

¹ ი. ხენკელი, მზიან საინგილოში, თბილისი, 1957, გვ. 3.

² ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა (საქართველოს გეოგრაფია). თ. ლომოურის და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბილისი, 1941, გვ. 96.

³ მოსე ჭანაშვილი, საინგილო („ძველი საქართველო“), ტ. II, თბილისი, 1910, გვ. 3—4.

ჩანს. მთელი ეს სიგრძე, დაწყებული მაქისწყლიდან კანიკა-ობ ეგრეჩაიშდის, 80 კილომეტრს არ აღემატება. ასევე კავკასიონის მთაგრებილი საზღვრავს მას თავისი ბრწყინვალე მწვერვალებით ჩრდილოეთით, ხოლო სამხრეთით — ალაზანი, რომელიც აქ ზანტად მიიზღაზნება. მთელი სიგანე მთაგრეხილიდან ალაზანდის 25—30 კილომეტრამდე აღწევს¹.

თანამედროვე საინგილოს საზღვრების შესახებ ყველაზე ზუსტი და ლაონური განსაზღვრა მოცემული აქვს ნ. ბერძენიშვილს — „საინგილო დღეს ეწოდება კახეთის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე ქვეყანას, რომელიც საბჭოთა აზერბაიჯანში შედის და მის სამ რაიონს შეადგენს: ბელაქნის, ზაქათლის და კახის“².

თანამედროვე გეოგრაფების მიერ ახლად მოპოვებული მასალების საფუძველზე ძველ წყაროებში მოცემული საინგილოს საზღვრები კორექტირებულია და დაზუსტებული. დადგინოლია, რომ საინგილოს ჩრდილოეთით საზღვრავს კახეთის კავკასიონის ქედი, დასავლეთით — მდ. მაწიმის წყალი (მახმიჩაი), სამხრეთით — მდ. ალაზანი, ხოლო აღმოსავლეთით საზღვრავს მდ. გიშის წყალი, „რომელიც ქ. ნუხასა და სოფ. გიშს შორის მიედინება და მდ. ეგრეჩაის („მრუდე წყალს“) უერთდება“³.

ამრიგად, დასავლეთით მდ. მაქის წყლიდან, (იგივე მაწიმის) ვიდრე აღმოსავლეთით მდ. გიშის წყლამდე მანძილი დაახლოებით 100 კილომეტრამდე აღწევს, ხოლო სამხრეთით მდ. ალაზნიდან, ვიდრე ჩრდილოეთით კახეთის კავკასიონამდე მანძილი საშუალოდ 20-60 კმ არ აღემატება.

ამ მონაცემების მიხედვით საინგილოს დაახლოებით 4,8 ათასი კვადრატული კილომეტრი ფართობი უკავია.

საინგილოს ტერიტორია კონტრასტული ადგილმდებარეობით ხასიათდება; მისი ვაკისა და მაღალმთიანი ადგილების ბუნება და კლიმატური პირობები ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავდება. ამ ფაქტორების გამო განსხვავებულია მოსახლეობის შრომა-საქმიანობაც.

დაბლბო ზონაში ზაფხული ცხელია, ხოლო ზამთარი იმდენად რბილი, რომ ყინვები იშვიათად იცის. მთაგორიან ადგილებში ზაფხული გრილია და ზამთარი კი, ვაკე ადგილებთან შედარებით სუსხიანი. საშუალო წლიური ტემპერატურა 14—15° — შორის მერყეობს⁴.

საინგილო — თავისი ფლორითა და ფაუნით, ჭეშმარიტად ერთ-ერთი მდიდარი და ულამაზესი მხარეა, მთელ ამიერკავკასიაში „არს ადგილი ესე

ფრიად ნაყოფიერი ყოველი მარცვლითა, ვენახ-ხილითა, რამეთუ ტყენიცა საესე არიან ხილითა. ნადირნი, პირუტყენი, ფრინველნი მრავალნი, აბრეშუმი, ბრინჯი, ბანბა მრავალად. გარნა ჰავითა ცხელი, ხაშმიანი ზაფხულს, არამედ მთის კერძნი კეთილ-აგარაკოვანი და მშვენიერი, ხოლო ზამთარს კეთილჰაეროვანი, თბილი, უთოვლო, უყინულო“⁵.

როგორც შემდეგ დავრწმუნდებით საინგილოს კლიმატურ პირობებს დიდი ზეგავლენა მოუხდენია დასახლების სისტემაზე, ასევე საცხოვრებელ და სამეურნეო სარეგობათა დაგეგმარებაზე, კონსტრუქციულ ნატურქტურაზე და მათ ტიპობრივ ჩამოყალიბებაზე.

დაბალ ზონაში ხალხურ ნაგებობათა თხელკედლიანი მსუბუქი კონსტრუქციების მშენებლობის ხელოვნება თბილი, უთოვლო, უყინულო, ზამთრის დამახასიათებელი კლიმატმა განაპირობა, ხოლო მთა ადგილებში, რაც უფრო მაღლა აყვავებული ხეობათა დასახლებულ ადგილებს, შედარებით ცივი ჰავის შესაბამისად ხალხურ ნაგებობათა კედლების სისქე მატულობს.

მოსახლეობა და საქმიანობა. ცნობილია, რომ დღევანდელი საინგილოს ტერიტორიაზე ძველთაგანვე მოსახლეობდა ქართული ტომი ე. წ. ჰერები, მას სხვა ქართველ ტომთა შორის თავისი მაღალი კულტურით თვალსაჩინო ადგილი ეკავა, იგი ეთნიკური და კულტურული თვალსაზრისით ძალზე ახლო იდგა აღმოსავლურ — ქართულ ტომებთან — ქართველთან და კახებთან⁶. იმ ხანიდან მოყოლებული აქ მოსახლეობდნენ: ჰერები, კუხები, კახები, ქართველი და სხვ. აქვე უნდა დავძინოთ, რომ აღნიშნული სატომო სახელებიდან წარმოიშვა ცალკეული მხარეების გეოგრაფიული სახელებიც — „კუხეთი“, „კახეთი“ და „ჰერეთი“ „სამსავე ტერმინს“ „კახეთი“, „კოხეთი“, ანუ „კუხეთი“ და „ჰერეთი“ სხვადასხვა დროს სხვადასხვა მნიშვნელობა ჰქონდა, „ზოგჯერ ჰერეთი თითქმის მთელ კახეთს ეწოდებოდა, ხშირად კახეთი ჰერეთსაც შეიცავდა“⁷.

უძველესი წერილობითი წყაროებიდან ასევე დასტურდება, რომ ალბანეთის (ალგანეთის) ტერიტორიის მთისა და ბარის ზონებში მოსახლეობდნენ აგრეთვე სხვა ეთნიკური ჯგუფები: გარგარები,

¹ გ. ჩან გაშვილი, საინგილო (გეოგრაფიული-ისტორიული ნარკვევი), თბილისი, 1970, გვ. 6.

² Труды географического общества Азербайджанской ССР, Баку, 1960, стр. 14.

³ ეახუშტი, აღწერა საქართველოსა, თბილისი, 1941, გვ. 96.

⁴ თ. პაპუაშვილი, ჰერეთის ისტორიის საკითხები, თბილისი, 1970, გვ. 64.

⁵ ივ. ჭავჭავაძე, ქართველი ერის ისტორია, წიგნი პირველი. თბილისი, მეხუთე გამოცემა, გვ. 207.

¹ ზ. ედილი, საინგილო, თბილისი, 1947, გვ. 3—4.

² ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 67.

უტბები, იგივე უტბები (უთები — უდინები) ლეგები, ლაზგები, გელები, კილებები და სხვ.

მეცნიერთა შორის გამოთქმულია მოსაზრება, რომ ზემოჩამოთვლილი ტომებიდან უველაზუ თვალსაჩინო ადგილი გარგარებს ევავთა, რომლებიც ალბანური ტომთა შორის ერთ-ერთ ძირითად და მრავალრიცხოვან ტომს წარმოადგენდა.

„გარგარი“ ისეთივე ქართული სახელია, როგორც — გავარი, გოგარი (გოგარენი — ქვემო ქართლის ერთ-ერთი მხარე), გომარი და სხვ.¹

მხედველობაში უნდა ექონიოთ აგრეთვე ის გარემოება რომ საინგილოს მკვლევარს დ. ჯანაშვილს „გარგარები“ მოხსენებული აქვს „გარგარენის“ სახელწოდებით. მას ეს უძველესი მოსახლეობა ქართველ ტომებად აქვს წარმოდგენილი. „უშენი იცადნენ საქართველოს გარეშე მტერთა შემოსევებისაგან ზანხრეთ-აღმოსავლეთის მხრიდანაო“². ამაში შეიძლება დავითანხმობთ, მაგრამ რაც შეეხება „გარგარენის“ წარმოშობის განმარტებას საუკვოდ გვეჩვენება. იგი ამბობს, „გარგარენი“ გარეგარე მყოფს, გარეგანს ანუ გარეთ მსოფრეებს ნიშნავსო. რა თქმა უნდა, ასეთი ახსნა-განმარტება მექანიკურია და შეუძარტებას მოკლებული.

ზ. ედილის გადმოცემით, საინგილოში არის სოფლები „ვერხინი და მეშამბაში, სადაც გათათრებული უდინები ცხოვრობენ“³, ესენი იგივე უძველეს წყაროებში მოხსენიებული უტბები ანუ უთები არიან.

ზემოხსენებული ალბანური ტომებიდან ლაზგები ბინდრობენ კავკასიის „მთის აქეთა მხარის ადგილებში, ღაბში, ჭარში, თალაში და სხვა სახელებით ცნობილ სოფლებში“⁴.

საინგილოს ტერიტორიაზე სხვადასხვა უცხო ტომის კომპაქტური ჩამოსახლება იწყება XVI—XVII საუკუნეებიდან. ამ დროიდანვე ხდება ავარიელთა (დაღესტანი) სისტემატური ჩამოსახლება საინგილოსა და აზერბაიჯანის განაბირა რაიონებში, რასაც ადგილობრივი ქართველი მოსახლეობის განდევნა და ვიზიკური განადგურება მოჰყვა. ამასვე გვაუწყებს აზერბაიჯანის ისტორიაც.⁵

ქართველ მეფეებს იმთავითვე ესმოდათ საქართველოს ამ მხარის სტრატეგიული მნიშვნელობა, ამიტომაც საინგილოს ტერიტორიაზე ქართველი თუ არაქართველი მოსახლეობა განთავისუფლებული ყოფილა ყოველგვარი გადასახადებისაგან. ქვეყნის თავდაცვის მიზნით, ცდილობდნენ ამ მხარეში მჭიდრო მოსახლეობა შეექმნათ და საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან უშიშარი და მედგარი მებრძოლები ჩამოჰყავდათ დასასახლებლად, სსსაზღვრა ზონაში საქირო იყო ადგილობრივი მოსახლეობისაგან მემდგარი ერთგული მოდარაჯე-დამცველი ლაშქარი.

დღეს საინგილოს ტერიტორიაზე სხვადასხვა ეროვნების ხალხი მოსახლეობს. ქართველები, აზერბაიჯანელები, ლეკები, მულალები, რუსები, სომხები და სხვები.

საინგილოს ქართველი მოსახლეობა დაყოფილია ორ ნაწილად: ქრისტიანი ქართველებად და შამქლიანი ქართველებად.

ქრისტიანი ინგოლოები ძირითადად კახის რაიონში მოსახლეობენ: კახინგილოში, თოფანში, ალიბეგლოში, პატარა და დიდ ალითემურში, ქოთოქლოში, ხარბთალაში, ყორღანში და სხვ. „შამქლიანი ინგოლოები სამივე რაიონში ცხოვრობენ და ისინი რაოდენობით ქრისტიან ქართველებს უარბობენ. მათი სოფლები უმეტესად ალაზნის ეაკის სამხრეთ მხარეში მდებარეობს: ალიაბადი, მოსული, ზავამი, თასმალო, მარსანი, ჰენგანი, ვერხიანი, შოთავარი, ითთალა, სოსკანი (სოსიკანთკარი), ლალა-ფაშა, ქაფანქჩი, ყანდახი, ფალდარო და სხვ.“⁶

უძველესი დასახლების ფორმების წარმოშობა და განვითარება, მისი ცალკეული ელემენტების კარ-მიდამოთა მოწყობა, ასევე ხალხურ საცხოვრებელთა და სამეურნეო ნაებობათა განვითარება სხვა ფაქტორთა შორის მჭიდროდად დაკავშირებული მჭიდრო მოსახლეობის სასოფლო-სამეურნეო საქმიანობასთან, მეურნეობის სხვადასხვა დარგის დაწინაურებასთან.

უძველესი წერილობითი წყაროებიდან ირკვევა, რომ ჰერეთის ადგილობრივი მოსახლეობა უძველესი დროიდან მესაქონლეობას სისდევდა. გამოჩენილი ბერძენი ისტორიკოსის სტრაბონის გადმოცემით — ჰერებს საქონელი ჯიშინი, დიდი ტანისა პყოლიათ, როგორც შინაური, ისე გარეულიც.⁷ ამ ცნობის ავტორი აქვე დასძენს, რომ ალბანები (ჰერები) „შწირად ერთხელ რომ დასთესენ, ორჯერ ან სამჯერ იღებენ ნაყოფს... ვაზები გაუთო-

¹ С. В. Юшков, К вопросу о границах древней Албании, стр. 145. ციტირებულია თ. პაპუაშვილის დასახელებული ნაშრომიდან.

² პ. ივგოროვიკა, ვიორგი მერჩული, თბილისი, 1954, გვ. 149.

³ დ. ჯანაშვილი, გეოგრაფიული და ისტორიული აღწერა ჰერეთისა, მოგზაური. 1901, № 4, გვ. 373.

⁴ ზ. ედილი. ალბანელთა კვალი საინგილოში, დროება, 1908, № 19.

⁵ ენანი პასან ჯალალინცი, ავღანთა ქვეყნის მოკლე ისტორია, 1971, გვ. 22.

⁶ История Азербайджана, Баку, 1958, стр. 266.

⁷ გ. ჩანგაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 16.

⁸ თ. ყაუხჩიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 132.

ხნავი რჩებიან ბოლომდის!... ზრდადარსებულე-
ბი კი იმოდენა ნაყოფს იძლევიან, რომ მეტი ნა-
წილი რჩება ზედ ვაზზედვეო². ამ ცნობიდან დას-
ტურდება, რომ მესაქონლეობის გარდა, ჰერები,
უძველესი დროიდან მისდევენ მიწათმოქმედებასა
და მევენახეობას. ამასვე ადასტურებს აზერბაი-
ჯანის ისტორია³.

ბოლო ხანებში არქეოლოგიური გათხრების შე-
დეგად მოპოვებული მასალები ადასტურებს, რომ
ალბანები ხელოსნობასაც მისდევდნენ. მათი ნახე-

ლავი — წითელი და შავი კერამიკა, ქვაზე და ხეზე
კვეთილი რელიეფები, ქედურობა და სხვ. თავიან-
თი თემატითა და სიუჟეტით, ნატიფი, მაღალმახ-
ტერული შესრულებით დღესაც ანკვირებს მნა-
ხველს.

ამჟამად საინგილოში სოფლის მეურნეობის
მთავარი დარგებია: მეცხოველეობა, მეხილეობა
(ძირითადად თხილისა და კაკლის კულტურა), მე-
ვენახეობა, მეთამბაქეობა, მეაბრეშუმეობა, მარ-
ცვლეულის მოყვანა, მეფუტკრეობა და სხვ.⁴

ისტორიული მიმოხილვა

ბირველი ათასწლეულის მეორე ნახევარში (ძვ.
წ. აღ.) საქართველოს აღმოსავლეთი ტერიტორია—
ჩრდილო და სამხრეთ-აღმოსავლეთი მთლიანად იბ-
ერიის (ქართლის) სამეფოს ეკავა.

იმხანად ისტორიული კამპეჩოვანი (ქიზიყი), რო-
მელსაც უტხოველი მკვლევარები კამბისენად, იხსე-
ნიებენ, მიტაცებული იყო მეზობელ სახელმწიფო-
თა მიერ⁵.

იბერიის ანუ ქართლის სამეფო ახ. წ. I—IV სა-
უკუნეებში სამხრეთით იერთებს არა მარტო თავის
ტერიტორიის იმ მიწა-წყალს, მეზობელ სა-
ხელმწიფოებს რომ ჰქონდათ მიტაცებული, არა-
მედ თავის საზღვრებში — აერთიანებს იმდროინ-
დელი სომხეთის სამეფოს მიერ დაკავებულ გელა-
ქუნის ტბამდე (თანამედროვე სევანის ტბა)
მდებარე ტერიტორიებსაც⁶.

ამ დროისათვის საქართველოს რუკაზე უკ-
ვე ვხედავთ კახეთს, კუხეთს და ჰერეთის სა-
ხით ე. წ. ლოკალიზებულ გეოგრაფიულ ერთეუ-
ლებს. უფრო გვიან, VII—IX საუკუნეებში აღნი-
შნული გეოგრაფიული ერთეულებიდან წარმოიშვა
კახეთის საქორებისკოპოსო და ჰერეთის სამეფო,
რომლებიც XI საუკუნის დასაწყისში ერთიანდე-

¹ აღსანიშნავია, რომ ინგილოები თავიანთ ზვრებში
ვაზებს დღესაც გაუთოხნავს ტოვებენ (სინოტავეს ზომიერ-
ად ინახავს).

² თ. ყ ა უ ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ. გვ. 132.

³ История Азербайджана, 1958, стр. 51—52, («Насе-
ление Албании занималось земледелием, скотоводст-
вом, садоводством, и ремеслами. В Албании культу-
рировался виноград. Урожай его был столь велик, что
часть оставалась необработанной»).

⁴ გ. გამხარაშვილი, ხანიგელო, 1960, გვ. 18—20.

⁵ საქართველოს სსრ ატლასი, თბილისი-მოსკოვი, 1964,
გვ. 245.

⁶ იქვე, გვ. 246.

ბიან და საქართველოს ფეოდალური მონარქიის
ქვეშ ექცევიან⁷.

შიდა კახეთის ჩრდილო-აღმოსავლეთის ტერი-
ტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი — განსაკუთრებით
დიდი კავკასიის მაღალმთის ფერდობები ადრე ქარ-
თველი ტომებით ყოფილა დასახლებული, მის
ჩრდილოეთით მომიჯნავე დაღესტნის ტერიტორია-
ზე სახლობდა მრავალ დიალექტზე მოლაპარაკე
სხვადასხვა ეროვნების ხალხი. მდინარე მტკვრის
აუზის გასწვრივ კარგად ცნობილი დიდი სავაჭრო
გზა გადიოდა, რომელიც უძველესი დროიდანვე
იზიდავდა უტხოველსა და მახლობლად მცხოვრებ
სხვადასხვა სარწმუნოებისა და ეროვნების ხალხს.

იმ დროისათვის კახეთში მკაცრი ბატონყმური
ურთიერთობა არსებობდა; ხოლო მის ჩრდილოეთ
ქედს გადაღმა „ლეკურ“ მთის მოსახლეობაში XVI
საუკუნის მეორე ნახევრიდან სრულიად საწინა-
აღმდეგო საზოგადოებრივი ურთიერთობის ფორ-
მა წარმოიშვა ე. წ. „უბატონო თემების“ სახით.

დაღესტნის მთის მოსახლეობაში „უბატონობამ“
კახეთის (ძველი ჰერეთის) გლეხობის ყურადღება
მიიქცია; გახშირდა კახელ ყმა-გლეხთა გაქცე-
ვისა და უბატონო თემებში გადასახლის (თავშეფარ-
ების) შემთხვევები. გაქცეული ყმა-გლეხი „უბა-
ტონობის“ მიზნით „გაუქმებასაც“ კი აღარ ერი-
დებოდა⁸.

„ტენდენცია გლეხთა მიერ ლეკებისათვის „ბი-
რის მიცემისა“ XVIII ს. ბირველი მეოთხედის და-
სასრულამდე მინც შემორჩა, რის შემდეგ მდგო-

⁷ საქართველოს სსრ ატლასი, თბილისი-მოსკოვი. 1964,
გვ. 247, (იხ. საქართველოს რუკა IX—X სს), გვ. 149—150.

⁸ ნ. ბერძენიშვილი, XVIII ს. საქართველოს ისტო-
რიიდან, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. II, თბილისი,
1966, გვ. 163.

მარეობა მკვეთრად შეიცვალა. მოსული ლეკის წინააღმდეგ გაერთიანდა გლეხი და თავადი, რადგან „ლეკიანობა“ მათ ერთნაირად ანადგურებდა¹.

როგორც ირკვევა, ასეთი „გაერთიანება“ უკვე დაგვიანებული აღმოჩნდა, ვინაიდან გარეშე და შინაური მტრები იმდენად მამძლავრდნენ, რომ საქართველო თანდათანობით მათ ვარემოცვაში მოექცა და მოზღვავებულ თავდასხმებს ვეღარ უძლავდებოდა.

საინგილოს ადგილობრივი მოსახლეობის მასობრივი განადგურება და მათი აყრა-აწიოკება მონღოლ-თათრების შემოსევის დროიდან იწყება, მაშინ რაღვესაც „XIII საუკუნეში აღმოსავლეთის კულტურული მსოფლიო დიდი ისტორიული განსაცდელის წინაშე აღმოჩნდა“². ამ დროიდან მოყოლებული საქართველოს მტრები ისწრაფვიან მოსმონ ქართველი ვერი, მისი სარწმუნოება და თვითმყოფი კულტურა. უცხოელი დამპყრობლები „არღვევდნენ სასახლეებს, ციხეებს, ეკლესია-მონასტრებს, სწავდნენ სოფლებს და ყოველგვარ სამეურნეო შენებულებას... ნანგრევებად იქცა ქალაქები, სასახლები, ფერფლად იქცა სოფლები შვეიდობიან ქვეყანაზე საშინელმა გრივალმა გადაიარა. დაცალა და დაყრუვდა აყვავებული მხარე (კახეთი ი. ა.) დიდი ხნით თითქმის შეწყდა აქ სიცოცხლის მაქისცემა, ტყე და ნადირი დაეუფლა ადამიანის ნასადგომებს“³.

საინგილოს მკვიდრთა ამოკლტაში, მათი სოფლებისა და საცხოვრებელი ადგილების აოხრებაში დიდი როლი შეასრულა „ლეკიანობამ“.

ამ დროისათვის ლეკების მიერ პირველად იქნა დაკავებული მთლიანად მდინარე კატეხის ხეობა; უპატრონოდ მიტოვებულ, გაძევებულ და ამოკლტულ ქართველთა ადგილ-მამულებს, საცხოვრებლებს და ეკლესიებს ლეკები დაეპატრონენ და შიგ ჩასახლდნენ. ამ ადგილებში „ლეკური“ მოსახლეობა თანდათანობით ფეხს იცილებს და... მოახალშენებები საბოლოოდ ჩამოყალიბდნენ და გაფორმდნენ დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულებად ქარბელაქისა და გელსტის სასოფლთნოს სახით უბატონო თემებად. სწორედ ამ პერიოდში და შემდგომ XVIII ს. მთელ მანძილზე ლეკთა ჩამოსახლების პროცესი საქართველოსათვის მეტად სწრაფი და მეტად მტკივნეული აღმო-

ჩნდა⁴. ამრიგად XVIII ს. პირველ ნახევარში ეს „ლეკური“ პოლიტიკური ერთეული საქართველოს საზღვრებიდან გაიმიჯნა.

საინგილოს ტყეებსა და ზოგიერთ მიუვალ ადგილებში დღემდე შემორჩენილა აწ გადაშენებული ქართული ნამოსახლარი ადგილები, ნარ-ეკლებში გახვეული — საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობათა ნაშთები; ნაწისქვილარები, ღია ცის ქვეშ მოწყობილი მარნის ნაშთები, ქვევრები, ბუხრები, ქვატახტები, ეკლესიების ნანგრევები, რაც ადგილობრივი ქრისტიანული მოსახლეობის ფართო გავრცელებაზე მეტყველებს.

საუკუნეების მანძილზე მიმდინარეობდა საინგილოს ტერიტორიაზე მცხოვრებ ქართველთა გამაჰმადიანება, რის შედეგადაც ზოგიერთ პროვინციაში მათი სრული ასიმილიაცია კი მოხდა. აღნიშნული პროცესი XIX საუკუნის პირველ ნახევარზე გრძელდებოდა, შემდეგ კი შესუსტდა.

ქართულმა ხუროთმოძღვრულმა ძეგლებმა თუ სულ არა, ნაწილობრივ მაინც გაუძღეს ნგრევასა და მოსპობას, ყოველ შემთხვევაში, იმ სახით მოაღწიეს ჩვენამდე, რომ ვარკვეულ წარმოდგენას გვიქმნიან იმდროინდელ ქართულ ხუროთმოძღვრებაზე.

ცნობილია, რომ XI საუკუნის მიწურულში თურქეთის შემოსევებმა საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების პროცესი ერთგვარად შეაფერხა, მისი გაერთიანებისა და აყვავების ხანა მხოლოდ დავით აღმაშენებლის გამეფების დროიდან (1089 წ) იწყება.

დავით აღმაშენებელმა სასტიკად დაამარცხა თურქ-სელჯუკთა ურდოები და მთლიანად გააძევა საქართველოს მიწა-წყლიდან. „რაკი თურქების თვითნებობა ალაგმული იყო, დავით აღმაშენებელს შეეძლო სამეფოს საზღვრების გაფართოებაზე ეფიქრა“⁵. დავით აღმაშენებელმა კახეთ-პერეთის სამეფო შემოიერთა 1103 წელს.

საქართველოს გაძლიერება და მისი საზღვრების გაფართოება დავით აღმაშენებლის შემდეგ პერიოდში გრძელდებოდა მის მემკვიდრეთა მეფობის ხანაში, განსაკუთრებით თამარის დროს (1184—1213). ამრიგად, XIII საუკუნის დასაწყისში გაერთიანებული საქართველოს რუკაზე ვხედავთ შიდა და სასაზღვრო ზოლში არსებულ მსხვილ საერისთავოებულ დაყოფილ მხარეებს; ერთ-ერთ ასეთ ისტორიულ სანაპირო საერისთავოს (მხარეს) წარმოდგენდა პერეთი⁶.

⁴ თ. ბოცვაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 124.

⁵ თ. ბოცვაძე, ვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი მეორე, თბილისი, 1948, გვ. 195.

⁶ საქართველოს სსრ ატლასი, დასახ. გამოცემა, იხ. საქართველოს სახელმწიფოს რუკა XIII საუკუნის დამდეგს, გვ. 251—252.

¹ თ. ბოცვაძე, საქართველო-დაღესტნის ურთიერთობის ისტორიიდან (XV—XVIII სს), თბილისი, 1968, გვ. 130.

² ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა და სხვები, საქართველოს ისტორია, ტ. I, თბილისი, 1958, გვ. 220.

³ ნ. ბერძენიშვილი, ი. ქავთახიშვილი, ს. ქანაშვილი, საქართველოს ისტორია, თბილისი, ნაწ. პირველი, 1948, გვ. 335.

XIII საუკუნის 20—23-იან წლებში „...თავის ძლიერებით განთქმული საქართველო დაავადებული სახით მოუძღვრდა“¹. და იგი მონღოლებმა დაიპყრეს. ამ დროიდან მოყოლებული ფეოდალური საქართველოს სახელმწიფო აპარატი დაშლისა და დაქუცმაცების გზას დაადგა.

XIV საუკუნის დამლევსა და XV საუკუნის დამდეგს თემურ ლენგის შემოიჭრებმა კიდევ უფრო დააქვეითა საქართველოს მეურნეობა და მკაცრად შეაფერხა მისი საზოგადოებრივი განვითარების პირობები.

XV საუკუნის მეორე ნახევრიდან შეიქმნა კახეთის სამეფო, რომლის საზღვრებშიც მოექცა ჰერეთის მიწა-წყალი. ჰერეთის ტერიტორიას XVI საუკუნის პირველ ნახევარშიც საქართველოს ისტორიულ რუკაზე კახეთის სამეფოს გეოგრაფიულ საზღვრებში ვხვდავთ².

კახეთის სამეფოს ჩამოყალიბების პერიოდში (XV საუკუნის 60-იან წლებში) ძლიერდება საქართველოს მოსახლერე ორი მტრული სახელმწიფო ირანი და ოსმალეთი, რომელთა აგრესიულ გეგმებში მთავარი ადგილი საქართველოს დაპყრობას, ქრისტიანული მოსახლეობის სრულ მოსპობას ეკავა; სამთავროებად დაქუცმაცებულმა საქართველომ მათთან გამუდმებულ ბრძოლებში დაკარგა თავისი მიწა-წყლის მნიშვნელოვანი ნაწილი.

ამ პერიოდში ირანი და ოსმალეთი ერთმანეთს ეცილებიან ჩრდილო კავკასიისა და აღმოსავლეთით მოსაზღვრე მაჰმადიანურ ქვეყნებზე ზეგავლენის მოსაპოვებლად. „კახეთისათვის მასწინ იმდენად პირადად თვით ოსმალეთი არ იყო შემაწუხებელი, რამდენადაც ჩრდილოეთით მოსახლე დაღესტნელი მთიელები, მეტადრე შამხალის ქვეშევრდომნი: ისინი ქურდულად, დამლამობით დაეცემოდნენ ხოლმე კახეთს და ვისაც მოახლებდნენ, თან მიჰყავდით, ტყვედ. შემდეგ დატყვევებულებს ძალას ატანდნენ, რომ ქრისტიანობა უარეყოთ და გამაჰმადიანებულყვენ“³. გამუდმებული თავდასხმების გამო მკვიდრი მოსახლეობის ნაწილი ამოწყდა, ნაწილიც გადაიხვეწა; ასეთ ვითარებაში კახეთის სამეფოს ჩრდილო-აღმოსავლეთი რაიონები (ელიუსი) სამოურავო დაღესტნელმა ფეოდალებმა დაიპყრეს⁴.

„ეს მოვლენა აღმოსავლეთის მხრიდან საქართვე-

¹ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი მესამე, თბილისი, 1966, გვ. 99.

² საქართველოს სსრ ატლასი, იხ. საქართველოს ისტორიული რუკა XVI საუკუნის პირველ ნახევარში, გვ. 253—254.

³ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი მეოთხე, თბილისი, 1967, გვ. 295.

⁴ საქართველოს სსრ ატლასი, იხ. საქართველოს ისტორიული რუკა, XVIII საუკუნის მეორე ნახევარი გვ. 257—258.

ლოს მიწა-წყლისა და მოსახლეობის თანდათანობით მორიგ ტრაგიკულ აქტს წარმოადგენდა“⁵.

ჰერეთი, როგორც უძველესი გეოგრაფიული სახელი საქართველოს ისტორიულ რუკაზე კახეთის სამეფოს წარმოშობის დღიდან (XV ს.) აღარ იხსენიება. იგი მიეწყებდას ეძლევა ქართლ-კახეთის სამეფოს ჩამოყალიბების პერიოდთან (XVIII ს. მეორე ნახევრიდან) მას შემდეგ, რაც მისი ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი ლეკებმა დაიპყრეს.

ლექთა მიერ კახეთის სამეფოსაგან მოწყვეტილ ტერიტორიაზე ორი პოლიტიკური ერთეული შეიქმნა: ჰარ-ბელაქანი ლექთა „უბატონო თემების“ სამფლობელო და ელისუს სასულთნო. „ამრიგად, როგორც ვხვდავთ, ასწლოვანი სასტიკი და თავგამოდებული ბრძოლის შემდეგ, საქართველო იძულებული შეიქმნა თავისი მიწა-წყლის საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი ლეკებისათვის დაეთმო“⁶.

ქართლ-კახეთის ერთ სამეფოდ გაერთიანება და მეზობელი სახანოების დამორჩილება მიზნად ისახავდა „გაერთიანებული საქართველოს“ ტერიტორიების თავის უფლებებში აღდგენას. ეს იყო საქართველოს დაქუცმაცებული ტერიტორიების „გაერთიანების პოლიტიკა“. მტრულად განწყობილი მაჰმადიანური სახელმწიფოების გარემოცვიდან თავის დაღწევასა და დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის საჭირო იყო ახალი გზის გამოხაზვა“. ეს ახალი გზა საქართველოს პოლიტიკურ მესვეურებს რუსეთთან კავშირში ეხატებოდათ“⁷.

ამ მოსაზრებით 1783 წელს რუსეთსა და საქართველოს შორის დაიდო ცნობილი ტრაქტატი. რომლის საფუძველზე საგარეო საქმეების მოწესრიგებას რუსეთი კისრულობდა ყოველგვარ შინაურ საქმეებში ჩაურევლად.

აღნიშნულ პერიოდში ისტორიული ჰერეთი, როგორც ქართლ-კახეთის სამეფოსი შემავალი გეოგრაფიული ერთეული, სრულიად გაქრა და ნაცუნად ამისა წერილობით წყაროებში გაჩნდა სახელწოდება „ჰარ-ბელაქანი“, რომელიც დღეს საინგილოს სახელწოდებითაა ცნობილი.

რუსეთთან შეერთების დღიდან დაქუცმაცებული საქართველოს ტერიტორიები თანდათანობით იწყებდნენ მეფის რუსეთის თვითმპყრობელური მმართველობის ქვეშ ერთ გეოგრაფიულ ერთეულად გაერთიანებას.

მიუხედავად ამისა, ყოფილი ჰერეთის ტერიტორიაზე და უფრო შორსაც, ქართლ-კახეთის სიღრმეში, ლეკების მძარცველური თავდასხმები არამც-

⁵ მ. დუმბაძე, აღმოსავლეთ კახეთის (საინგილოს) ისტორიიდან, თბილისი, 1953, გვ. 213.

⁶ თ. პაპუაშვილი, ჰარ-ბელაქანი, თბილისი, 1972, გვ. 19.

⁷ საქართველოს სსრ ატლასი, გვ. 256.

თუ შემცირდა, არამედ გაზშირდა კიდევ და უფრო ტრაგიკული გახდა. ასეთი ვითარების გამო რუსეთის მთავრობის წარმომადგენლებს — ციციანოვს, პასკევიჩს და სხვებს არა ერთი და ორი ბრძოლა მოუხდათ, როგორც კარ-ბელაქნელებთან, ისე¹ ყაჩაღურ თვადამსხმელთა წამქეზებლებთან.

რუსეთის დახმარებით „პოლიტიკური დამოუკიდებლობის დაპირების ფასად ქართველმა ხალხმა მოიპოვა მშვიდობიანი ცხოვრების შესაძლებლობა და მტკიცედ დაადგა პროგრესიული განვითარების გზას“².

ამ პერიოდისათვის კახეთის ჩრდილო-აღმოსავლეთი მხარე (საინგილო) ბელაქნის, ზაქათალის და კახის რაიონების ტერიტორიები რუსეთის იმპერიის ადმინისტრაციული დაყოფის მიხედვით გაერთიანებული იყო ზაქათალის ოლქში.

XIX საუკუნის დასასრულს და XX საუკუნის დასაწყისში საინგილოს საზღვრის ხაზი ქ. ნუხაზდე აღწევდა³ (სურ. 2).

XXს. დასაწყისიდან ისტორიულ-პოლიტიკური ვითარება მკვეთრად იცვლება. ეს გამოწვეული იყო ცარიზმის წინააღმდეგ წამოწყებული რევოლუციური მოძრაობით. მისი ჩახშობის მიზნით მეფის რუსეთი იმპერიის სამხრეთ განაპირა რაიონებში (კავკასიის ხალხებში) ეროვნულ შუღლსა და მტრობას აღვივებდა. განსაკუთრებით მძიმე იყო საინგილოს ქართველი მოსახლეობის ხვედრი აზერბაიჯანში მუსავატური მთავრობისა და საქართველოში მენშევიკური მთავრობის პერიოდში. მუსლიმანური ფანტაზიით შეპყრობილი მუსავატური პარტია ქრისტიანული მოსახლეობის მიმართ განსაკუთრებით მტრულად იყო განწყობილი.

„საბოლოოდ მუსავატელების მთავრობის აგენტებმა გადაწყვიტეს ინგილოების ამოწყვეტა... მაგრამ მოუხსნო საბჭოთა ხელისუფლებამ, საინგილოს ტერიტორიაზე შემოვიდა წითელი არმია და გადაარჩინა ინგილოები განადგურებას. ეს იყო 1920 წლის 28 აპრილი. ეს დღე ინგილო ხალხის ცხოვრებაში უბედნიერეს დღედ ითვლება“⁴.

ამ დიდი ისტორიულ-პოლიტიკური მოვლენის დიდან, დაახლოებით ერთი წლის შემდეგ (1921 წლის 25 თებერვალს), მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ ქართველ-რევოლუციონერთა აჯანყებას მხარი დაუჭირა საბჭოთა რუსეთმა და საქართველოში დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება.

საინგილო, საქართველოს გეოგრაფიული ერთეული, მოძმე აზერბაიჯანის საზღვრებში მოექცა.

ქვემოთ მოცემულია ძველი ჰერეთის განმგებელთა და ქართველ მილენაქეთა შესახებ მოკლე ცნობები, იმ მასალების საფუძველზე, რომელიც ზემოთ იყო მიმოხილული.

ძველი ჰერეთის გამგებელ ყველა იმ მეფეთა, მთავართა, ერისთავთა მოღვაწეობის აღწერა შორს წაგვიყვანდა, ამიტომ მკითხველის ყურადღებას მივაქცევთ მხოლოდ მთავარ ისტორიულ პირებზე, რომლებსაც დიდი ღვაწლი მიუძღვის ჰერეთის მართვაში სხვადასხვა დროს.

დიდი ღვაწლი დასდო ძველ ჰერეთს არჩილ მეფემ (VIII ს.).

იგი ცნობილია, როგორც ეკლესიათა და ციხე-დარბაზთა აღმშენებელი და აღმდგენელი (საინგილოს ტერიტორიაზე). მემკვიდრის გადმოცემით, არჩილ მეფე „...დაჯდა წუქეთს და აღაშენა კასრი და ხევსა ლაქუასტისასა აღაშენა ციხე“⁵.

VIII ს. მეორე ნახევრიდან საქართველოს სამეფო ტახტი თანდათანობით ბაგრატიონთა ხელში გადადის. ბაგრატიონთა სამეფო გვარეულობიდან საქართველოს მეფეთა შორის უძლიერეს და ბრწყინვალე მეფედ აღიარებულია დავით აღმაშენებელი.

იგი მტერთაგან აობრებული ქვეყნის გაერთიანებასა და აღდგენას შეუდგა და საქართველოს კვლავ შემოუერთა ჩამომორებული სამთავროები, მათ შორის ჰერეთის ტერიტორიაც. ამის თაობაზე დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი მოგვითხრობს: „და მეორესა წელს⁶ დაიპყრნა გრიგოლის ძენი, ასათ და შოთა და აღიღო ციხე გიში“⁷.

ჰერეთის ერთ-ერთ ძლიერ და გავლენიან განმგებლად ყოფილა „...ვარდან კოლონკელის ძე, რომელსა მას უამსა ერისთობაჲცა ეპყრა ჰერეთსა“⁸...

თუ რა დიდი სახელმწიფოებრივი, ეკონომიური, კულტურული და სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოსათვის ჰერეთის ტერიტორიას, სახელდობრ, იმ ნაწილს, რომელიც დღეს საინგილოს სახელს ატარებს, ჩვენი წინაპრებისათვის უძველესი დროიდანვეა კარგად ცნობილი. ამიტომაც იყო, რომ ჰერეთის განმგებლად ძველთაგანვე, XIII ს. დასასრულამდე ქართველ დიდგვაროვანთაგან ყველაზე ერთგულნი ინიშნებოდნენ.

⁵ ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის დასახ. გამოცემა, თბილისი, 1955, გვ. 243.

⁶ დადგენილია, რომ დავით აღმაშენებელმა გიში შემოიერთა 1116 წელს.

⁷ ქართლის ცხოვრება, თბილისი, 1942, გვ. 212.

⁸ ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, ტ. II, გვ. 12.

¹ ა. ჩხენკელი, დასახ. ნაშრ. გვ. 12.

² საქართველოს სსრ ატლასი, გვ. 59.

³ საქართველოს სსრ ატლასი, იხ. საქართველოს რუკა რუსეთის იმპერიის ადმინისტრაციული დაყოფის მიხედვით XIX საუკუნის ბოლოს. გვ. 261—262.

⁴ ა. ჩხენკელი, დასახ. ნაშრ. გვ. 15.

XIV საუკუნიდან ვიდრე XIX საუკუნის ორ-მოცდაათიან წლებამდე ქართლის, კახეთისა და ძველი ჰერეთის მეფეთა თუ განმგებელთა ტიტულის მოსაპოვებლად ერთმანეთს სამკედრო-სასი-ცოცხლოდ ეცილებოდნენ ქრისტიანი და მაჰმადიანი ხელისუფალნი.

ისტორიამ შემოინახა თავდადებულ ქართველ მეფეთა სახელები, რომლებიც თავგანწირვით იბრძოდნენ ძველი ჰერეთის შესანარჩუნებლად: მეფე გიორგი III (XV ს.) მეფე კონსტანტინე (XV ს. მეორე ნახევარი), ქართლის მეფე ლუარსაბი (XVI ს.), კახთა მეფე ლევანი (XVI ს.), მეფე ალექსანდრე I (XV ს. პირველი ნახევარი), მეფე თეიმურაზი (XVII ს.), ერეკლე II (XVIII ს.) და სხვ.

საინგილოს ქრისტიანულ მოსახლეობასა და მის მეზობელ მაჰმადიანურ ხალხებს შორის არსებული „... მტრობა და ღვარძლი ვერ მოსსო ერეკლე მეფის ბრძნულმა პოლიტიკამ და ვერც რუსეთის მთავრობის წარმომადგენლებმა ათეული წლების მანძილზე“¹.

XVII საუკუნის დასაწყისში საინგილოს განმგებლად იყო გამაჰმადიანებული ქართველი დიდებული — „ძმათა სისხლის მღვრელი და მოღალატე“, დანიელ ვახვაჩიშვილი, რომელიც საინგილოს მმართველად (სულთანად) შაჰ-აბასმა დანიშნა. სწორედ

იმ პერიოდში (1603 წ.) მან კახეთის მეფე ალექსანდრე II აიძულა ხელი აეღო საინგილოზე (კახზე) და „...მის წილ მისცა შეიდასი თუმანი ყოველ წელს“ („ქართლის ცხოვრება“).

საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგაც — ქარ-ბელაქანის მხარისათვის ავარიელ ლეკთა წინააღმდეგ ბრძოლა დიდხანს გაგრძელდა.

რუსის ჯარის დახმარებით მთელი საინგილო განთავისუფლებული იქნა მოთარეშე ლეკებისაგან; 1851—1860 წლებში საინგილო შეუერთდა საქართველოს ეკლესიას და დაიწყო ქრისტიანობის აღდგენა „...მოინათლა აგრეთვე ინგილოებთან ერთად ზოგი თათარი და ლეკი“².

1855 წელს გრიგოლ ორბელიანი, იმხანად ავარიის განმგებელი, ბელაქანში, თავის თანაშემწეს სვიმონ შალიკაშვილს წერდა: „ჩვენი ინგილოების — ახალ ქრისტიანობის ამბავი მომწერე, ემატებიან ნათლისღებთა? ანუ შიში ხომ არავის აქუესთ? — ეკლესიები როგორ შესრულდნენ ხატებითა; ან წირვა-ლოცვა ხომ არის ყოველთვის. მომივთხე კიდევა ჩვენი ინგილოები და უთხარ, რომ ნუ ეშინიანთ არავის დავაჩაგვრინებთ“³.

1858 წელს ჭ. ნუხას და მის მხარეს ქართველი დიდებული ივ. თარხნიშვილი განაგებდა⁴.

ამრიგად, როგორც ზემოთქმულიდან ჩანს, XIX ს. მიწურულამდე ჰერეთი (საინგილო) საქართველოს ერთ-ერთ უძველეს პროვინციას წარმოადგენდა.

მოგზაურობის მარშრუტები

საინგილოს ხუროთმოძღვრების შესწავლის მიზნით პირველად 1955 წელს გაემგზავრეთ კახის რაიონის მთისა და ბარის სოფლებში.

1955 წლის აგვისტოში ხანგრძლივმა კოკისპირულმა წვიმებმა ნაწილობრივ შეაფერხა ჩვენი საველე მუშაობის ინტენსიურობა,⁵ რის გამოც, მხოლოდ რამდენიმე სოფლის: ელისუს (ზაგამი) — ძაგანის, კახინგილოს და ალიბეგლოს ნაწილის გამოკვლევა შეეძლო.

ამ მოგზაურობის დროს პირველად იქნა ფიქსირებული „ერდოიან-აყარიანი“ ქართულ ხალხურ საცხოვრებელთა ფრიად საყურადღებო ნიმუშები, და ანფილადისებური („გრძელი სახლის“) ტიპის საცხოვრებლები, სამეურნეო ნაგებობებიდან: საქონლის სადგომები, დინგები („საძაველი“), დიდტანიანი, მთლიანი მორისაგან გამოღრული „კასრ-ბედლების“ ნაგებობები და სხვ.

ამ წელსვე მოხერხდა ერთ-ერთი ტიპიური კარმიდამოს აზოშვა სოფ. კახ-ინგილოში. აქ ჩვენი ყურადღება მიიქცია თავიანთი ხუროთმოძღვრული ფორმებით საინგილოს ტერიტორიაზე ფართოდ გავრცელებულმა „ღარავანებმა“ (ჭიშკრებმა), რომლებიც ფიქსირებულ იქნა პირველად სოფ. ძაგამსა და კახ-ინგილოში.

მეორე მოგზაურობის ჩატარება 1960 წელს მოხერხდა; გეზი კვლავ კახის რაიონისაკენ ავიდეთ.

¹ ა. ჩხენკელი, დასახ. ნაშრ. გვ. 10.

² იქვე გვ. 15.

³ გრ. ორბელიანი, წერილები, ტ. II, თბილისი, 1937, გვ. 120.

⁴ ალ. დიუმა, კავკასია, 1970, გვ. 224—229.

⁵ ორი კვირის მანძილზე სისტემატურმა წვიმებმა და უამინდობამ განსაკუთრებით შევიფერხა ფოტოგადაღება.

ამ მოგზაურობის დროს დასრულდა სოფ. ალიბეგ-
ლოს შემოვლა, გამოვიკვლიეთ ქურმუხის ხეობის
მთის სოფლები, სოფ. ელისუს ერთთაღიანი ე. წ.
„უბურჯო ხიდი“, სოფ. ყუმის და ლეკართის ხალ-
ხურ საცხოვრებელ სამეურნეო ნაგებობათა ფრიად
საინტერესო ტიპები და სხვ.

მესამე მოგზაურობა 1967 წელს მოეწყო, აგვი-
სტოში, ბელაქნისა და კახის რაიონებში; ბე-
ლაქნის რაიონიდან შევისწავლეთ შემდეგი სოფლე-
ბი: კატეხი, ქორთალა, ითითალა და სხვ., სადაც გა-
მოვლენილი იქნა ხალხური კარ-მილამოების მეტად
საყურადღებო ტიპები, წიწული და „კანკალა“
ლობის ფრიად საინტერესო სახეები, „ღარვა-
ზები“ და სხვ. ასევე ფიქსირებულ იქნა „კვე-
კასის დიდი კედლის“, თამარის ციხე-ფერეიყა-
ლას და ციხე ჩინარლუს ნაშთები დანაშომებისა და
ფოტოლიუსტრაციების სახით, ისტორიული „კაკ-
ლის ხეივანი“ და სხვ. გამოკვლეულ იქნა კახის
რაიონის ბარის უდიდესი სოფლები: ალიაბადი და
მოსული.

მეოთხე და მეხუთე მოგზაურობა მოეწყო 1968
— 1969 წლებში ზაქათალისა და კახის რაიონის
მთისა და ბარის სოფლებში.

1968 წელს შესწავლილ იქნა ზაქათალის რაიონის
ქველი ფიფინეთის (ჭარის) ხეობის მაღალმთიანი
სოფლების ხალხური ძეგლებიდან ფრიად საინ-
ტერესო უძველესი ქართული საცხოვრებლები, —
ე. წ. კოშკური ტიპის ნაგებობები.

ფიქსირებულ იქნა ამ რაიონის სოფლების პირ-
ველი და მეორე თანის ხალხურ საცხოვრებელთა
შორის ერთი მეტად საყურადღებო სახე ე. წ.
„ბჰის სახლი“ — ბჰეზე დადგმული სახლი, რომე-

ლიც საცხოვრებლის დღემდე უცნობ სახეს წარმო-
ადგენს.

კახის რაიონში 1968 წლის მოგზაურობის პე-
რიოდში პირველად იქნა აზომილი ქრისტიანული
ხუროთმოძღვრების ძეგლები: ქურმუხის „წმინდა
გიორგის ტაძარი“, „პატარა ალავერდის ტაძარი“
და „კასრის საყდარი“. შედგინო იქნა ყუმის
„ლეთისმშობლის“ სახელობის ბაზილიკისა და ლე-
ქართის „მრგვალი ტაძრის“ ანაზომების არქიტექ-
ტურული ნახაზები და ფოტოლიუსტრაციები.

1968 წელს დაფიქსირებულ იქნა „მადლის ეკ-
ლესია“ (ბელაქნის რაიონი), ასევე სოფ. მაწიმის
ამავე სახელწოდების მთის პატარა მდინარე „მა-
წიმის წყალთან“—ბელაქნისა და ლავადგნის სა-
ზღვართან ახლოს მდებარე ტიპური პატარა ეკ-
ლესია, ე. წ. „ძელი ცხოველი“ და სხვ.

1969 წელს ჩატარებული ექსპედიცია საინგილო-
ში ჩვენი მოგზაურობის დასასრული იყო. (იხ.
მარშრუტების სქემა. სურ. 3).

ამ მოგზაურობის დროს შევკრიბეთ გრაფიკუ-
ლი და ფოტომასალები სოფ. ალიბეგლოს „ნინო-
წმინდის ეკლესიის“ შესახებ, რომლის თაობაზე
თითქმის არაფერი იყო ცნობილი დღემდე. ასევე
ამ მოგზაურობისას გაზომილ იქნა ნინოწმინდის
„გიშის ტაძარი“ (ყოფ. ნუხის რაიონი) და სხვ.¹

ჩვენ მიერ ჩატარებული სამუშაო საინგილოს
ტერიტორიაზე არსებული ძეგლების ფიქსაციისა
და შესწავლისათვის არაა ამომწურავი. ეს ძეგლე-
ბი დროისა და უყურადღებობისაგან დღითიდღე
კნინდებიან, ამიტომ მათი დროული აღნუსხვა და
შესწავლა გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს.


ბამოკვლევული ძეგლების მათარილების საკითხისათვის

საინგილოს ძეგლების უმეტესი ნაწილი ნანგრე-
ვების სახითაა მოღწეული.

ქვემოთ განხილული ხუროთმოძღვრული ძეგ-
ლების შესახებ არ არსებობს არაერთი ეპიგრა-
ფიკული ხასიათის მასალა, არც ლიტერატურულ
წყაროებშია მათ შესახებ ზუსტი ცნობები დატუ-
ლი. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ამ თვალსაზრისით
არც ქრისტიანული მონუმენტური ძეგლებია უკე-
თეს მდგომარეობაში. ზოგიერთი მათგანის შესა-
ხებ ისტორიულ ლიტერატურაში ძალზე უმნი-
შენლად ცნობები მოცემულია და დათარიღების
სიზუსტისთვის საიმედო წყაროს არ წარმოადგენს.

საინგილოს ხუროთმოძღვრული ძეგლების დღე-
ვანდელი სავალალო მდგომარეობა, უპირველესად
რთული ისტორიული პროცესებით აიხსნება. გარე-
შე მტერთა განუწყვეტელი შემოსევების გამო მათი
ნგრევა-აოხრება დაახლოებით ოთხი საუკუნის მან-
ძილზე გრძელდებოდა. ამიტომაცაა, რომ საინგი-

¹ საინგილოს ტერიტორიაზე სავსე სამუშაოებში დიდ
დახმარებას ვეძიებდა ადგილობრივი მოსახლეობა. მათი გულ-
მოდგინე ხელშეწყობით შეძლებოდა წინამდებარე მონოგრა-
ფიის დაწერა, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდით ყველას,
კინც მცირე წვლილიც კი გაიღო ამ მნიშვნელოვან საქმის
გასაყვებლად.



სურ. 3. ლდვიანელი საინგილოს სქემატური რუკა ექსპედიციის მარშრუტებითა და საცხოვრებელი ზონებით.

ლოს ტერიტორიაზე თითქმის ყველა ძეგლი რამდენჯერმე ყოფილა დანგრეული და აღდგენილი. ამ დანგრევა-აღდგენაში, ცხადია, ძნელია ძეგლთა უმზარველსობის თარიღისა და აღრინდელი სახის დადგენა.

მაგრად, მიუხედავად ამისა, გადარჩენილი ძეგლების ყოველი ფრაგმენტი თუ რელიეფიანი ცალკეული ქვაც კი, რითაც უხვადაა მოფენილი მთელი საინგილოს ტერიტორია, ქართული ხელოვნებისა და არქიტექტურის ენაზე მეტყველებენ.

ამრიგად, საინგილოს მონუმენტური ძეგლების თარიღის დადგენა ნანგრევების მიხედვით დიდ სიძნელეს წარმოადგენს. არაა შემონახული არც სამშენებლო წარწერები და არც საიმედო წყაროები. სხვა გზა არაა და ზოგიერთი ძეგლის დასათარიღებლად დამხმარე, მაგრამ ხელშესახებ მასალას უნდა დავეყრდნეთ. თითქმის ერთადერთ სარწმუნო მასალას წარმოადგენს ძეგლთა დასათარიღებლად არქეოლოგიური ვათხრებით მოპოვებული ინვენტარი და გამოვლენილი ძეგლების ხუროთმოძღვრული ანალიზი.

საინგილოს ხალხურ-საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობათა შესახებ, შეიძლება ითქვას, არქეოლოგიურ მეცნიერებას ჭერაჭერობით არავითარი მასალა არ გააჩნია. ამიტომ, აქაც ერთადერთ საიმედო მასალად ნაგებობათა არქიტექტურული დაგეგმარება და კონსტრუქციული ანალიზი რჩება.

საინგილოს ტერიტორიაზე დღემდე შემორჩენილია XIX საუკუნემდე გავრცელებულ ხალხურ საცხოვრებელთა და სამეურნეო ნაგებობათა ტიპიური სახეები, მათში ასახულია ტრადიციული ხალხური სამშენებლო ტექნიკისა და ნაგებობათა გეგმის გადაწყვეტის უძველესი ხერხები. ამას კი არსებითი მნაშვნელობა აქვს უფრო აღრინდელი


პერიოდის ძეგლებზე წარმოდგენის შესაქმნელად.

საცხოვრებელთა ძველი ტიპებიდან ყურადღებას იმსახურებს: კოშკური ნაგებობანი — „ბჰის სახლი“, ბჰეში გამართული საცხოვრებელი. „ერდოიან-აყაიანი“, ანფილადსებური „გრძელი სახლი“, აგრეთვე ერთ და ორრიგად განლაგებული ოთახებიანი საცხოვრებელი.

საინგილოს სხვა ქრისტიანულ ძეგლებიდან დაუთარიღებელია „მადლის ეკლესია“ ანუ „ნურქილისა“ (ბელაქნის რაიონი). იგი მცირე ბაზილიკური ტიპის ნაგებობაა, მერე მიშენებული სამრეკლოს ჩათვლით; სოფ. ბახთალას — „ღვთისმშობლის“ ეკლესია (ზაქათალის რაიონი); „წმინდა გიორგის“ — ქურუმუნის ტაძარი (კახის რაიონი); „პატარა ალავერდის ტაძარი“ კახისთავში, „გიშის ტაძარი“ — გუშბათიანი მცირე ეკლესია სოფ. გიშში (ნუხის რაიონი) და სხვ.

XVII — XIX საუკუნეების მანძილზე საინგილოს სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკური ვითარების გამო აღგოლობრივი ქართველი მოსახლეობა გალატაკებისა და განადგურების გზაზე იყო დამდგარი; ყოველივე ამან საინგილოში გზა გადაუღობა ხალხური შემოქმედების მძლავრ ნაკადს და შეიძლება ითქვას კულტურის ყველა დარგი შეაფერხა. თითქმის არაფერი შექმნილა ახალი ხალხურ ხუროთმოძღვრებაში, რომელიც თანდათანობით დაქვეითდა. აქვე უნდა დავძინოთ რომ ქვემით განხილული ძეგლები ძველი ქართული ხუროთმოძღვრული ფორმებისა და კონსტრუქციული სტრუქტურის შორეული ნიმუშების გამეორებაა, რომლებიც ეროვნულმა შინაგანმა ენერგიამ ინერციით გამოატარა საუკუნეების გრივალში და დღემდე შემოუნახა ქართული მატერიალური კულტურის ისტორიას.





თ ა ვ ი მ ე ს ა მ ე

საინგილოს ძველი სოფლის დაგეგმარებისა და განაშენიანების

ზოგიერთი საკითხი

ზოგადი ცნობები

მნიშვნელოვანი და საინტერესო, საინგილოს სოფლის დასახლების ფორმების შესახებ, ისტორიას არაფერი შემოუნახავს.

ისეთ რთულ საკვლევ რაიონში, როგორცაა საინგილო, ხალხური ხუროთმოძღვრების მკვლევარს დიდი სიფრთხილე მართებს, რათა გამოარჩიოს ქართული უცხოსაგან, აღმოაჩინოს მათ შორის არსებული მსგავსებანი და პარალელები.

საინგილოს ხალხური ხუროთმოძღვრების შესწავლისას ჩვენ მხედველობაში გვქონდა დიდი ქართული მეცნიერის ივ. ჯავახიშვილის მიითთება, რომ „...დიდი სიფრთხილე და კრიტიკული წინდახედულებაა საჭირო, რომ უცხო ქართულად არ ვიცნათ, ახალი ძეგლად არ გვეჩვენოს...“¹.

უძველესი დასახლების ფორმების დადგენა საინგილოს ტერიტორიაზე შესაძლებელია მხოლოდ დღემდე შემორჩენილი ტიპური ძველი სოფლის შესწავლის საფუძველზე.

დასახლების სისტემის დაგეგმარების ზოგიერთი პირველადი ფორმა, გადმონაშთების სახით, მემკვიდრეობით რომ მომდინარეობს საუკუნეების მან-

ძილზე, კონსერვაციულ ხასიათს იღებს და უცვლელად შორდება ძველი ტიპური სოფლების ხალხური დასახლების დაგეგმარებაში.

ცნობილია, რომ პირვანდელი დასახლების ჩასახვა ადამიანის ველურობის „უმაღლესი საფეხურიდან“ იწყება. ფრ. ენგელსის კლასიფიკაციის მიხედვით, ეს ხდება იმ პერიოდთან, როდესაც ადამიანმა უკვე გამოიგონა ცეცხლი და ქვის ცული; ხოლო ცულმა ადამიანს ხის დამუშავების საშუალება მისცა „სახლის“ ასაშენებლად. ამრიგად, „ცეცხლი და ქვის ცული უკვე მეტწილად იმის შესაძლებლობას იძლევა, რომ ადამიანმა გააყუთოს მთლიანი ხისაგან ნაეი, ხოლო ალაგ-ალაგ მორები და ფიცრები სახლის ასაშენებლად“². ამ დროისათვის „...ჩვენ მართლაც ვნახულობთ უკვე სოფლებად დასახლების ერთგვარ ჩანასახებს“³.

ერთი გვარის ან რამდენიმე ოჯახისაგან შემდგარი ჯგუფები ერთად სახლებიან, თანდათან განვითარების პროცესში ისინი უკვე წარმოადგენენ პირ-

¹ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი პირველი, თბილისი, 1951, გვ. 38.

² ფრ. ენგელსი, ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა, ტ. II, თბილისი, 1950, გვ. 213.

³ იქვე.

ველადი დასახლების პირველყოფილი ხუროთმოძღვრული კატეგორიის ფორმათა ჩანასახებს.

ჭერჭერობით არაა ცნობილი, თუ რა სახელწოდება უნდა ჰქონოდა მინიჭებული ასეთი სახის პირველყოფილ დასახლებას. ქართული წერილობითი წყაროდან ცნობილია, რომ ციცილიზაციის პერიოდთან ასეთ უძველეს „დასახლებულ ადგილს საზოგადოდ თვდაპირველად, ქართულად „სოფელი“ ეწოდებოდა: შემდეგ VII ს. მოყოლებული თუმცა ამ სიტყვას განსაკუთრებული მნიშვნელობა მიეცა და დაბას უღრიდა, მაგრამ პირველადი მნიშვნელობა ზოგიერთ შემთხვევაში სიტყვას „სოფელი“ მაინც შერჩა¹. ერთი გვარის (გორის) რამდენიმე ოჯახისაგან შემდგარ დასახლებას ჭერ კიდევ არ შეიძლება სოფელი ეწოდოს, რადგანაც პირველი დასახლების შესახებ მრავალი უძველესი ქართული ტერმინია ჩვენს დრომდე შემორჩენილი.

ამიტომ აქ საჭიროა ყურადღება გავამახვილოთ ქართულ წერილობით ძეგლებში მოხსენიებულ დასახლების აღმნიშვნელ ზოგიერთ უძველეს ტერმინზე. ასეთებია: დაბა და სოფელი, ასევე საყურადღებო აღნიშნული ტერმინებიდან ზოგიერთი ნაწარმოები სახელი: დაბნები (დაბნები), დაბანი, ახალდაბა, უდაბნო, უდაბური და სხვ.

„უდაბნო“ სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით არის „უშენობო, უდაბური — უსოფლო“ ადგილი;

დაბა და დაბნები ნიშნავს შენობას — შენობებს (იხ. ნ. ჩუბინაშვილის ლექსიკონი).

ჩვენი აზრით ტერმინი „დაბა“ პირველყოფილი სოფლური დასახლების სახელწოდებაა. პირველყოფილი დასახლების ეს ფორმა, ბუნებრივია, თანდათანობით გადადის განვითარების უფრო მაღალ სტადიაზე; შრომითი საქმიანობისა და სოციალური განვითარების ძვრებმა თავისთავად დააყენა საკითხი დასახლების გაფართოების შესახებ უფრო ვრცელ ტერიტორიაზე. დასახლების ეს სტადია უკვე აღარ წარმოადგენს პირველყოფილ ჩანასახს, რის გამოც იგი ახალ სახელწოდებას ე. წ. „სოფელს“ იღებს.

ტერმინი „დაბა“ და „სოფელი“, დიხანს იხმარებოდა ერთმანეთის შემცვლელ სახელებად, ძველი დროის ხანგრძლივ მონაცემთაში ერთმანეთის სინონიმებს წარმოადგენენ.

როგორც კვეთთ დავინახავთ, საინგილოს ტერიტორიაზე დასახლების ფორმათა ევოლუციის საერთო სურათი საქართველოში გავრცელებული დასახლების ტიპობრივი განვითარების სქემას მიჰყვება.

¹ იხ. ჭაეახიშვილი, დასახ. ნაშრ., წიგნი მეორე, გვ. 10.

საინგილოს სოფლები ძირითადად ორ ჯგუფად იყოფა: მთის სოფლები და ბარის ანუ „ველის“ სოფლები. მთის სოფლებიდან გამოირჩევა ორი სახე — მთის ძირა სოფლები და მთის პირა სოფლები². (სურ. 4, 5).

მთის ძირა სოფლები მცირე ტერიტორიაზეა შეგუფებული, ხოლო მთის პირა სოფლებიც აგრეთვე მკიდროდაა დასახლებული, მაგრამ მათ შედარებით ვრცელი ტერიტორია უკავიათ. ბარის ანუ ველის სოფლების დასახლებაშიც ვარჩევთ აგრეთვე ორ ტიპურ სახეს: ერთია — „თავისუფალი“ ე. წ. „უწესრიგო“ (გაფანტული) დასახლება; მეორე — სწორხაზობრივად განვითარებული.

როგორც ირკვევა, საინგილოს მთის სოფლები საქართველოს მთიანეთში გავრცელებული დასახლების შეგუფებული ფორმის ანალოგიურადაა განვითარებული, ხოლო ბარის სოფლების დასახლება დიდ ტერიტორიაზეა გაფანტული და დასავლეთ საქართველოს (კოლხეთის) გაშლილი სოფლების სისტემას მოგვაგონებს.

ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ მთელი რიგი მკვლევარები საინგილოს ბუნებას და კლიმატურ პირობებს ხშირად ამსგავსებენ დასავლეთ საქართველოს ბუნებას. ამიტომ სოფლის დასახლების ტიპების შესავსებად, რა თქმა უნდა, ამ ფაქტორებით უნდა აიხსნას.

მთის სოფლებს ეკუთვნის: ელისუ, სარიბაში, წახური, ზარნა, ჩინარი (ჩინარლუ), კარკაი და სხვ.

მთის ძირა სოფლებიდან საყურადღებოა: მაწინი, თეთრი წყარო (ახჩაი), კობოხი, გიში, ლექართი, ყუმი და სხვ.

მთის პირა: კატეხი, მაწუხი, თალა, კახ-ინგილო, სოსკანთ კარი და სხვ.

ბარის სოფლებს ეკუთვნის: ითითალა, მოსული, ქორთალა, ალითმური, ალიბადრი, ალიბეგლო, ზაგემი, ყიფჩალი და სხვ. (სურ. 3).

საინგილოს ძველი სოფლების შესახებ ზოგიერთ საინტერესო ცნობას (XIX—XX სს) სამეცნიერო ლიტერატურაში ვხვდებით. ზ. ედილს მოცემული აქვს ბარის ე. წ. პირველი ტიპის სოფლის დასახლების დახასიათება: ბარის სოფლებში „ინგილოები ერთ ადგილას თავმოყრილი და შე-

² კავკასიის კელის ჩრდილოეთი მხარე კავკასიონის მთების ძირაზე მოიცავს მაღალ ბორცვიან ადგილებს, რომლებიც შეტად ზღლსაყვრელი საცხოვრებელი პირობებით ხასიათდება.

ადგილობრივი მოსახლეობა ზემოხსენებულ ადგილებში განლაგებულ სოფლებს „მთის წიშს“ ანუ „მთის პირა“ სოფლებს უწოდებს. ამიტომ ტერმინი „მთის პირის“ სოფლები პირობითია და გამართლებულად მიგვაჩნია, ხოლო კავკასიის კელის სამხრეთი მხარე, მდ. ალაზნამდე ეკვს წარმოადგენს.

ჩვეულები კი არ ცხოვრობენ, როგორც ეს ქართლ-კახელებსა სჩვევიათ, არამედ დიდ მანძილზე არიან გაფანტულნი: ზოგი აქ ცხოვრობს, ზოგი იქ, ვისაც სად ეხერხება. ისეა ხშირად სოფელი გაფანტული და ბალ-ვენახებსა და ჩალა-ტყეებს მოღლებული, რომ ვერც კი მიმხვდარა აღმამანი, სად იწყება და სად თავდება სოფელი“¹.

ასეთი „სოფლები უფრო დიდრონებია და გაქიშული ტყეებში, ხშირად 10-15 კერსზე“².

ზ. ედილი მოცემული აქვს აგრეთვე სხვა ცნობებიც — მთის სოფლების შესახებ, „ესენი არიან მთის სოფლები, სადაც მიწის სიფიწროვითა და სოფელი მოთავსებულია პატარა ადგილზე. აქ სახლებიც ერთმანეთზეა მიჯრილი უსწორმასწოროდ. მათ ცალკეული ეზო და კარ-მიდამო არ გააჩნიათ, საქონლის გომურაც ზედ სახლზეა მიდგმული...“³.

დღეს ასეთი სოფლები თითზეა ჩამოსათვლელი. ძველი სოფლის ხალხური დაგეგმარების სტრუქტურა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან ძირფესვიანად გარდაიქმნა. იგი თანდათანობით კეთილმოწყობილი ხდება;

უნდა აღინიშნოს, რომ საინგილოს ძველი სოფლების უმრავლესობას არ მოუღწევია პირვანდელი სახით ჩვენს დრომდე.

ირანელი ისტორიკოსის — ისქანდერ მუნშის გადმოცემით შაჰ-აბასის შემოსევის შემდეგ „ქართული მოსახლეობიდან იმ მხარეში აღარავინ დარჩა... მოსახლეობის სუნიც კი არსად იყო დარჩენილი იმ ვილეთში... ისეთი ქვეყანა, რომელიც ყოველწლივ ურიცხვ სარგებელს და შემოსავალს იძლეოდა, დაინგრა და მიწასთან იქნა გასწორებული“⁴.

საინგილოს სოფლების სახით ჩვენ საქმე გვაქვს ისეთი უძველესი დასახლების ფორმებთან, რომელთა უმრავლესობა მრავალჯის ყოფილა განადგურებული და კვლავ აღდგენილი. მათი აღორძინებისა და განახლების პერიოდს, დაახლოებით ვარაუდობთ, 200—300 წლის ისტორია აქვს.

საინგილოს სოფლების უძველესი დასახლების ფორმების განვითარებაზე სხვა ფაქტორებთან ერთად დიდი ზეგავლენა იქონია მასობრივმა გადასახლება-ჩამოსახლებაში. არ იქნებოდა სწორი, გვერდი აგვევლო ამ დიდი ისტორიული ფაქტორებისათვის და საჭიროდ მიგვაჩნია რამდენიმე სიტყვით მკითხველის ყურადღება გაეამახვილოთ ამ საკითხებზე.


ხალხური გადმოცემით ირკვევა, რომ შაჰ-აბასის

¹ ზ. ედილი, საინგილო, თბილისი, 1947, გვ. 123.

² დ. ბაქრაძე, ინგოლოები, ვახ. „დროება“, 1866, № 44.

³ ზ. ედილი, დასახ. ნაშ., გვ. 124.

⁴ ისქანდერ მუნში, დასახ. ნაშ., გვ. 109.



სურ. 4. ძველი სოფლების განაშენიანების სქემა ზონების მიხედვით.



სურ. 5. შთის ძირის სოფელი — ახაი (თეთრი წყარო).

ლაშქარს ზოგიერთი სოფელი მაინც გადაურჩა განადგურებას. ეს ის სოფლები უნდა ყოფილიყო, რომელთა მოსახლეობა დამორჩილება შაჰ-აბასის განაჩენს — მათი ირანში გადასახლების შესახებ.

ისტორიული წყაროებიდან ირკვევა, რომ ზოგიერთი სოფელი ფიზიკურა მოსპობისაგან იხსნა აგრეთვე იმ გარემოებამაც, რომ ქართველ დიდებულთა და გლეხთა ნაწილი, იმთავითვე მიმხრობია შაჰ-აბასს და გამაჰმადიანებულა.

შაჰ-აბასის ასეთი პოლიტიკური ნაბიჯი აჩქარებდა ქართველთა მასობრივი გამაჰმადიანების პროცესს.

იმხანად საინგილოს აოხრებას გადარჩენილმა ზოგმა სოფელმა დასახლების უძველესი ფორმა ჩვენ დრომდე შემოინახა.

თუ როგორ მოხდა ქართველთა გადასახლება ირანში, ამის შესახებ სანდო ცნობებს ვხვდებით სპარსულ ისტორიულ წყაროებში; იგივე ისქანდერ მუნში წერს, რომ „ენისელების ტომის ერთი ჯგუფი და გუნდი ქართველებისა, რომლებიც ზაგემსა დი იმ სანახებში იმყოფებოდნენ, რიცხვით ორი სამი ათასი ოჯახი, დახოცვასა და დატყვევება-დარბევის

შიშით, გადასახლებაზე დასთანხმდა და „უვენებლობის სახლში“ — მაზანდარანში წასვლა განიზრახა. (შაჰის გარდული ბრძანების თანახმად, მათი შევიწროვება შეწყვიტეს და ირანის იმ მხარეს წავიდნენ, მშვიდობით მიაღწიეს ფარაჰაბადს და იქ დადგნენ“¹).

აქ მითითებული სახელი ენისელი ერთ-ერთი დაწინაურებული სოფელია საინგილოში, ქართველთა გამაჰმადიანების შემდეგ მისთვის ალიაბადი დაურქმევიათ; იგი ყველაზე უდიდესია ამ მხარეში და დღესაც ენისელის სახელს ატარებს.

ზაგემისა და მისი სანახების სოფლებს მიეკუთვნება: სოფ. ძაგამი (ზაგემის ნაქალაქართან ახლოს), ითითალა, მოსული, ქორთალა, თანმალა, ყიფჩალი და მდ. ალაზნის² მარცხენა ნაპირის („გალმა მხარის“) სხვა სოფლები. როგორც ჩანს, ძირითადად ბარის ამ სოფლების მოსახლეობა იმყამად აყრილი და სპარსეთში გადასახლებული. უნდა შევნიშნოთ, რომ სპარსეთში გადასახლებული საინგილოს სოფლების სია, რა თქმა უნდა, ზემოჩამოთვლილით

¹ ისქანდერ მუნში, დასახ. ნაშრ., გვ. 110.

² სპარსელები მდ. ალაზნის ყონას ეძახდნენ.

არ ამოიწურება, იგი გაცილებით მეტი უნდა ყოფი-
ლიყო.

აღნიშნული სოფლების ხელშეუხებლობით უნდა
აიხსნას ის გარემოება, რომ დასახლების ფორმების
ძველი ელემენტები ყველაზე მეტად ამ სოფლებ-
შია შემორჩენილი, ასევე გამორჩევიან ისინი ქარ-
თული მატერიალური კულტურის სიძველეთა ძეგ-
ლების სიუხვითაც.

როგორც ჩანს, შაჰ-აბასის ლაშქრობა უფრო მე-
ტად ბარის სოფლებზე ვრცელდებოდა, ხოლო
საინგილოს მთის სოფლების აოხრება და დაპყრო-
ბა დიდესტნელ ლეკებს ჰქონდათ დაეალებული.
სინამდვილეში ეს იყო ჩრდილოეთიდან გახსნილი
მეორე ფრონტი, რის გამოც მთის ძირა და ნა-
წილობრივ მთის პირა (გარდამავალი ზონის) სოფ-
ლები სრულიად დაცარიელდა ქრისტიანული ქარ-
თული მოსახლეობისაგან; ისინი გააძევეს მშობ-
ლიური მიწა-წყლიდან და მათ სოფლებში ლეკები
ჩასახლდნენ. ამ გარემოებამ, რა თქმა უნდა, თავი-
სებური ზეგავლენა იქონია დასახლების ფორმე-
ბის განვითარებაზეც.

საინგილოს ტერიტორიაზე ძველი ნამოსახლარი
ადგილებისა და დანგრეულ ეკლესიათა სიმრავლე,
მთისა და მთის ძირა ტყით დაბურულ ადგილებ-
ში ამ მხარის მკვიდრო დასახლებაზე, ქრისტიანული
მოსახლეობის ხალხმრავლობაზე მიგვიითითებს.

მარტო კახეთის სოფლებიდან ირანში გადასახ-
ლებულ ქართველთა რიცხვი, იმავე ირანული ის-
ტორიკოსის ისქანდერ მუნშის გადმოცემით, ასი
ათასზე მეტს აღწევდა¹.

შარდენის დამოწმებით, გადასახლებულთა რი-
ცხვი 80.000 კომალს აღემატებოდა², ხოლო გამბას
მიხედვით ნახევარ მილიონ სულს შეადგენდა³.

დამოწმებული ცნობები იმაზე მეტყველებს,
რომ ძველად საერთოდ კახეთისა და მისი ჩრდი-
ლო-აღმოსავლეთის — საინგილოს სოფლების უმე-
ტესი ნაწილი მკვიდროდ ყოფილა დასახლებული.
„ამ ცნობების ანგარიშგაუწველობა არ იქნება. მით
უმეტეს ვიცით, რომ XVI საუკუნეში კახეთი საკ-
მაოდ მოშენებული, დიდი, ძლიერი და ერთ-ერთი
თუ ყველაზე ხალხმრავალი კუთხე იყო საქართვე-
ლოსი“⁴.

გადასახლებულ ქართველთა ზემოხსენებულ რი-
ცხვში არ შედის საინგილოს სოფლებიდან აყრილი
ინგილოთა ოჯახები; როგორც ზემოხსენებული

ამონაწერიდან ირკვევა, მარტო ელისენის მხარეში
3000 ოჯახი აუყრიათ და მახანდარანის რაიონში
დაუსახლებიათ.

ირანში ქართველები ქართული წეს-ჩვეულებე-
ბის მიხედვით დასახლებულან, თავთავიანთი სოფ-
ლების რიგზე და სახელებიც აქაური ქართული
სოფლებისა დაურქმევიათ⁵.

ირანში გადასახლებულ ქართველთა „სოფლები
შედარებით ლამაზია. ხელნაშენი საჩრდილე და
საბელაეი ხეების ტყე მშვენიერი დასანახავია, გან-
საკუთრებით შორიდან. ამ მხრივ ქართველების
სოფლები ბევრად ჯობია სომხებისა და თურქების
ზოგიერთ სოფელს.

მეტწილად ერთი მეორეზე მიღგმული სახლები
ალიზითაა აშენებული, ბრტყელი ბანიანი, მიწით
მიტკეპნილი ისევე, როგორც წინათ ქართლის ზო-
გიერთ სოფელში“⁶.

საინგილოს სოფლების და ირანში გადასახლე-
ბულ ქართველთა სოფლების შედარება ქართული
დასახლების ფორმებთან ბევრ ბუნდოვან საკითხს
მოჰფენს ნათელს, მაგრამ ამისათვის საჭიროა ირა-
ნის ტერიტორიაზე არსებული ქართული სოფლე-
ბის ცოცხალი ნაშთების შესწავლა და მათი ფიქ-
სირება ხუროთმოძღვრული თვალსაზრისით, რის
შესაძლებლობაც დღესდღეობით არ გვაგაჩნია.

კახეთიდან ქართველთა გადასახლების შემდეგ,
როდესაც შაჰ-აბას პირველისაგან აოხრებული ქვეყ-
ნის შენება დაიწყო ქართლ-კახეთში, მაშინ, შაჰ-
აბას II-მ, „წარმოგზავნა ურიცხვი ულუსი თათარ-
ნი დედა-წულითურთ... რათა სრულად აღზოცონ
ქრისტიანობა“⁷, როგორც ირკვევა, სპარსეთში ქარ-
თველთა გადასახლების შემდეგ, საინგილოს ტერი-
ტორიაზე მათ დაცარიელებულ სოფლებსა და ად-
გილ-მამულებში ჩამოასახლეს მუსულმანთა ოჯახე-

⁵ პირველი ქართველი მკვლევარი, რომელმაც მოინა-
ხულა გადასახლებულ ქართველთა სოფლები ფერედანში,
ლალი აღნიაშვილი იყო. ამის შესახებ მან ჯერ კი-
დედ 1896 წელს გამოაქვეყნა ცნობები (სპარსეთი და იტალიის
ქართველები, ტფილისი 1896 წ.); ლ. აღნიაშვილის შემდეგ
ფერეიდნელ ქართველთა შესახებ ცნობები გამოაქვეყნა ამ-
ბაკო ჰელიფემ (ფერეიდნელი ქართველები, თბ., 1951), ზ. შა-
რაშენიმემ (ახალი მასალები ფერეიდნელი ქართველების შე-
სახებ) და სხვ.

⁶ ა. ქელიძე, ფერეიდნელი ქართველები, თბილისი,
1951, გვ. 47.

⁷ შ. ჯანაშვილი, საქართველოს საეკლესიო ისტორია,
1886, თბილისი, გვ. 120.

¹ ისქანდერ მუნში, დასახ. ნაშრ., გვ. 102, 107.

² შ. ლომსაძე, მიხეილ თამარაშვილი, თბილისი,
1964, გვ. 41.

³ იქვე.

⁴ იქვე.

ბი. ქართლ-კახეთისა და საინგილოს „ყველა ამ ადგილებში დასახლებულთა სახელეულობაში იყვნენ 80000 კომლაზდე“¹. რა თქმა უნდა, გადასახლება-

ჩამოსახლების ასეთი ვითარება კიდევ უფრო ართულებს ჩვენთვის საინტერესო საკითხების მოელოის სისტრულით განხილვას.

საცხოვრებელი ზონებისა და მათი საზღვრების აღდგენა

საინგილოს მთისა და ბარის ძველი დასახლების, ხალხური საცხოვრებლებისა და სამეურნეო ნაგებობების შესწავლა გვიჩვენებს, რომ მათი წარმოშობა და განვითარება მჭიდროდა დაკავშირებული: კლიმატურ და გეოგრაფიულ-ბუნებრივ (რელიეფი), ასევე მოსახლეობის შრომა-საქმიანობასა და ადგილობრივი სამშენებლო რესურსების პირობებთან, სოციალურ-ეკონომიურ-პოლიტიკურ პროცესებთან და სხვ.

ამ ფაქტორებმა უდიდესი გავლენა იქონია, როგორც დასახლების ფორმებზე, ასევე ხალხური ხელოვნობის ძველების ჩამოყალიბებაზე.

საცხოვრებელი ზონებისა და არეების დადგენისათვის ერთ-ერთ კომპონენტად მიგვაჩნია რელიეფი, რომელზედაც დამოკიდებულია საცხოვრებელი ადგილის არჩევა და შესაფერი სამეურნეო საქმიანობის წარმოება.

ჩვენი დაყოფის მიხედვით საინგილოს ტერიტორია სამი საცხოვრებელი ზონისაგან შედგება. განვიხილოთ თითოეული მათგანი.

პირველი საცხოვრებელი ზონა მოიცავს ალაზნის, აჯინოურისა და სარჯას დაბლობებს, რომლებიც თითქმის აღწევენ „კავკასიის დიდ კედლაზე“ (სურ. 3).

მდ. ალაზნის სანაპირო ზოლი ქაობიანია და მუდმივ საცხოვრებლად გამოუსადეგარი, მაგრამ მის გაგრძელებაზე მდებარეობს საუკეთესო საძოვრები და საყაანე ფართობები. ამიტომ ეს ადგილები ძველთაგანვე სამეურნეო დანიშნულების სეზონურ ანუ დროებით სამყოფელს წარმოადგენდა. ასეთ, დროებით აგებულ პრიმიტიულ ნაგებობას, რომელშიაც ადამიანს სეზონურად უხდებოდა ცხოვრება, აქ ბინას ეძახიან.

პირველი საცხოვრებელი ზონის ბინების გაგრძელებაზე, ჩრდილო-დასავლეთ და ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეზე, — „კავკასიის დიდი კედლის“ გასწვრივ მუდმივ საცხოვრებელ ადგილებს უკავია.

პირველი საცხოვრებელი ზონა, თავის მხრივ, შედგება დროებითი და მუდმივი საცხოვრებელი არეებისაგან. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ „ბინები თითქმის ყველა დიდ სოფელს აქვს. მათი რიცხვი ხშირად 10—15 აღწევს. ისინი სხვადასხვა ადგილში არიან გაფანტულნი და დიდი მანძილით დაშორებულნი ერთმანეთისაგან. ბინა მეორე სახლ-კარაი ინგილოსი... ბინაში ოჯახობა გამუდმებით არა ცხოვრობს. ცხოვრობენ უფრო ზაფხულობით... ბინაზე ინახავენ საქონელს... იქვეა ბალები, ვენახები და ბოსტნები... გამრავლებული დედა-სოფელი ევლარ იტევს მოსახლეობას და ის ნაწილი სოფლისა, რომელიც მარტო დროგამომშვებით ესტუმრებოდა ხოლმე ბინას, სამუდამოდ იმის მკვიდრი ხდება. ამგვარად, ჩნდება ახალი სოფელი თავისი მუდმივი მაცხოვრებლებით... ამგვარად გაშენდა სოფ. ალიბეგლო და ყორალანი, რომელნიც წინათ სოფელ კაის ბინებს წარმოადგენდნენ...“².

ასეთი სეზონური დასახლების ფორმებს, რომლებიც ბარის სოფლების განვითარებული დასახლების პროტოტიპებად მიგვაჩნია, საკომპლექსურად წყობილების დროსაც არ დაუკარგავთ თავიანთი მნიშვნელობა; მათ შემორჩათ ისეთი უძველესი სახელები — როგორებიცაა: კაცბინა, ბერთაბინა, მარსაანის ბინები, ბახთალას ბინები, ყუმურლოს ბინები და სხვ.

როგორც ირკვევა, ბინები დასახლების ისეთი სისტემაა, რომელიც ნათელ წარმოდგენას გვიქმნის დასახლების პირველყოფილი ფორმების შესახებ.

ზემოაღნიშნული ტიპის ბინები წარმოადგენენ უძველესი დასახლების პირველადი ფორმის ცოცხალ ნაშთებს. საერთოდ, საინგილოს ტერიტორიაზე, გარდა ქართველი მოსახლეობისა სხვა ეროვნების ხალხს (ლექებს, თათრებს და სხვ.) მსგავსი სახის ბინების გამართვის ტრადიცია ძველთაგანვე არ ჰქონიათ; ამიტომაც ზ. ელილი აღნიშნავს, რომ კაის თათრებს ბინები არა აქვთ. მუსულმანური მოსახლეობა ინგილოების ზემოხსენე-

¹ მ. ჯანაშვილი, საქართველოს საეკლესიო ისტორია, 1886, თბილისი, გვ. 121.

² ზ. ელილი, დასახ. ნაშრ., გვ. 134—135.

ბულ ბინებს „იაილას“ უწოდებს, რაც დროებით (სეზონურ) საცხოვრებელ ადგილს ნიშნავს. განსაკუთრებით ზაფხულის პერიოდში; ხოლო საზამთრო საძოვრებისათვის შერჩეულ ადგილებში დროებით საცხოვრებელს და თვით ამ ადგილებს დროებით დასახლებასაც, „ყიშლას“¹ ეძახიან.

სეზონური დასახლების ფორმები ტრადიციულად გავრცელებულია აგრეთვე, საქართველოს სხვა ადგილებშიაც, რომელთა თვალსაჩინო ნიმუშებიც დატულია ქართლ-კახეთში, აჭარაში, აფხაზეთში, სამეგრელოში, იმერეთში და სხვ.; ინგილოების ბინის, სეზონური დასახლების ფორმას აჭარაში შეესაბამება: — „ყიშლა“ — „ფერდა“ — „იაილა“ — თაშ. სამეგრელოში „გოლა“ (მთა), აფხაზეთში — უძველესი „აენგვარები“² და სხვ.

სეზონური ბინის უძველესი ფორმები გავრცელებულია აზერბაიჯანში, სომხეთში, აზიისა და ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში. მათ პარალელები ეძებნებათ ისეთ ქვეყნებში, როგორცაა: იტალია, ესპანეთი, საბერძნეთი, ბალკანეთის ალბანეთი, შვეიცარია და სხვა; შვეიცარიის ალპებში ცნობილია სეზონური დასახლების ჩვეულებრივი ფორმა, ე. წ. „Sennhutt“-ები, რომელიც წარმოშობა დაკავშირებულია მეკოვრებასთან.³

აქვე უნდა დავძინოთ, რომ ერთმანეთისაგან დიდი მანძილით დამორბეულ ქვეყნებს შორის საცხოვრებელთა და დასახლების პირველყოფილი ფორმების მსგავსება ერთმანეთის გავლენითა და წაბადებით არ არის გამოწვეული. ამ მოვლენას განსაზღვრავს ერთნაირი გარემო პირობები და საწარმოო ძალთა განვითარების გარკვეული დონე⁴, ეს მოვლენა თავიდანვე იმით აიხსნება, რომ „ადამიანის რასის ისტორიას ერთი და იგივე საწყისები აქვს, ერთიანია იგი თავისი გამოცდილებითა და პროგრესით“⁵.

როგორც ირკვევა, სეზონური ბინები წელიწადის დროის რომელიმე მონაკვეთში ადამიანის სა-

ცხოვრებელი და სამეურნეო საქმიანობის დროებით ერთიანობას წარმოადგენს. მისი წარმოშობა დაკავშირებულია მეურნეობის ერთ-ერთ უძველეს დარგთან — მესაქონლეობასთან, რომელიც პირველად მისი ზონაში ჩასახული.

საინგილოში პირველადი დასახლების ეს ფორმა ე. წ. ძველი ბინები მთა ადგილებში არსად შემორჩენილა.

როგორც ვიცით, საინგილოს მთის სოფლების ქრისტიანული ქართველი მოსახლეობა XVII საუკუნიდან დაღესტნური ტომებისაგან გამუდმებული თავდასხმების გამო იძულებული იყო უკან დაეხია და მტრისათვის „დაეთმო“ მთის საუკეთესო საცხოვრებელი ადგილები და თანდათანობით გადაენაცვლებინა ზარისაკენ⁶, ამის გამო მთის სოფლები სრულიად დაცარიელდა ქრისტიანული მოსახლეობისაგან და ლეკები დაეპატრონენ მათ ადგილებს. სეზონური დასახლება „მთის ბინები“ სრულიად გაქრა და მხოლოდ მათ ნაშთსახლართა ნაშთებიდაა დღესდღეობით აქა-იქ შემორჩენილი.

მეორე საცხოვრებელი ზონა ტერიტორიულად პირველი საცხოვრებელი ზონის გაგრძელებას წარმოადგენს. იგი იწყება „კაკეასიის დიდი კედლის“ ჩრდილოეთით. ამრიგად, მეორე საცხოვრებელი ზონის (სამხრეთის) სასაზღვრო ზაზი აღნიშნული კედლის (სავარაუდოდ) მიმართულებას გასდევს და გრძელდება ჩრდილოეთისაკენ (სოფელ ელისუმდე), დასავლეთის მიმართულებით ისტორიული ფიფინეთის ხეობის ჩათვლით, სოფელ მაწიმის გასწვრივ, ლავადეხის რაიონის დღევანდელ საზღვრამდე (სურ. 3).

მეორე საცხოვრებელი ზონის რელიეფი, პირველთან შედარებით, უფრო დაქანებულია, იგი თანდათანობით მაღლდება ჩრდილოეთისაკენ; მისი სამხრეთის ზოლი — „კაკეასიის დიდი კედლის“ ანუ ლავადეხ-ნუხის (შექის) მთავარი საეკონომიკო გზის გაყოლებაზე მაღლობია, აღნიშნული ზეგანი მთის სანაპირო საცხოვრებელ არეს წარმოადგენს, სადაც განლაგებულია სოფლები: კატეხი, მაწეხი, თალა (I, II) მუხაზი გიულუქი (ვარდიანი), სოსკანი (სოსიკიანთ კარი), კახ-ინგილო და სხვ.

მეორე საცხოვრებელი ზონის ჩრდილოეთ ნაწილში, მდინარეების — მაწიმის წყლის, ბულაქის, ფიფინეთის, კაკის, ქურჯულხისა და გიშის წყლის ხეობათა მთის დამრეც კალთებზე, განსაკუთრებით მთის ძირის სამხრეთ-აღმოსავლეთი მუხიანი მხარე-

¹ ტერმინი „ყიშლაკი“ („Кишлак“) და იაილა („Яйла“) თურქული ტრანსკრიფციისა და ნიშნავს: მესაქონლეობასთან დაკავშირებულ სეზონური დასახლების ფორმას ან კიდევ საზაფხულო სახლს. აღნიშნულ ტერმინებს შორის ის განსხვავებაა, რომ ისინი წარმოადგენენ ერთმანეთს შორის გარდამავალ საფეხურს (ყიშლაკიდან — იაილაზე და პირიქით).

² ი. ა. დ. მ. ი. ა., ქართული ხალხური ხუროთმოძღვრება, (აჭარა), წიგნი პირველი, თბილისი, 1956, გვ. 12—13.

³ ი. ა. დ. მ. ი. ა., ქართული ხალხური ხუროთმოძღვრება, (აფხაზეთი), წიგნი მეორე, თბილისი, 1968, გვ. 28.

⁴ А. Филлипсон, Европа. С.-Петербург, 1896, стр. 163.

⁵ Всеобщая история архитектуры, Акад. арх. СССР, т. I, Москва, 1944, стр. 15—18.

⁶ Л. Г. Морган, Древнее общество, Ленинград, 1895, стр. 3.

⁷ «Большая часть покоренных и изгнанных отсюда грузин принуждена была уступить самую лучшую подгорную землю своим победителям — лезгианам... и переселиться на юг ближе к Алазани, где местность с жарким, удрушающим и болезненным летом».

(К. Никитин, Елисени, Кавказ, № 92, 1867).

ების ფერდობებზე განლაგებულია სოფლები: მა-
წიმი, ფფინეთი (კარი), ჩინარი (ჩინარლუ), ლე-
ქართი, ყუმი, თეთრი წყალი (აჩხაი), ელისუ. ვიში
და სხვ.

მესამე საცხოვრებელი ზონა მეორე საცხოვრე-
ბელი ზონის ჩრდილოეთის საზღვრის ხაზზე იწყე-
ბა და დაღესტნის საზღვრამდე გრძელდება.
აღნიშნულ საზღვრებში მოქცეული არე მეტად
რთული რელიეფის მქონე ფერდობებს მოიცავს.
მათ შორის უმეტესი ნაწილი ციკაბოა და სრული-
ად გამოუსადეგარია დასახლებისათვის; მაგრამ
ზღვის დონიდან დაახლოებით 2500—2800 მეტრის
საზღვრებში მთის ზედა ნაწილი ალპურ საძოვრებს
უკავია, ხოლო მისი ქვედა ზოლი დაფარულია უდა-
ბური ტყით, სადაც ძველად ადამიანი დროებით
საქმიანობას ეწეოდა ზაფხულს პერიოდში და
ამიტომ მას მთის ზონის დროებით საცხოვრე-
ბელ არეს ეწოდებოდა.

ადვილად მისაგულ ფერდობებსა და ალაგ-ალაგ
გავსებულ ადგილებში განლაგებულია ე. წ. მა-
ღალი მთის შემდეგი სოფლები: ზედა მაჭი (მაჭის
ცხესთან), მაკაბეთი, პატარა კარი, წილუბა-
ნი, სარიბაში, წახური და სხვ.

ამ ზონის ხეობათა ზედა მიდამოებში ვხვდებით
ბუნებრივ გამოქვაბულებს, რომლებიც, შესაძლე-
ბელია გამოყენებული იყო პირველყოფილი ადა-
მიანის მიერ საცხოვრებლად. ზემოხსენებულ გა-
მოქვაბულთა მეცნიერული შესწავლა ჯერჯერო-
ბით არაგვის უცდია; აღნიშნული გამოქვაბულები
შიშინაოზის დროს თავშესაფრადაც ყოფილა გამო-
ყენებული. ზოგიერთ მათგანს დღესაც იყენებენ
მწყემსები ფარეხად, ზოგშიც მონადირეები ათევენ
ლამეს.

ამ გამოქვაბულთა ზოგიერთი ხალხური სახელ-
წოდება უხსოვარი დროიდანაა ცნობილი. ზ. ელი-
ლის გადმოცემით, მდ. კატეხის წყლის (კატეხაის)
ხეობის გამოქვაბულთა შორის ერთ-ერთს „თავის
ქალას“ („ბუფუ ნუნოს“) ეძახიან. მისივე გადმო-
ცემით, ქურმუხის გამოქვაბულებს ინგილოები
საერთოდ „გულზადართა საცხოვრებელს“ ანუ მათ
სასტუმროს უწოდებენ, რაც ინგილოურად „ლა-
ტაკთა სადგომს“ ნიშნავს. აღნიშნული სახელწოდე-
ბა და ზოგიერთი სხვა ხალხური ცნობაც იმას მო-
წმობს, რომ ამ გამოქვაბულებს ახლო წარსულ-
შიაც იყენებდა უმწეო ადამიანი დროებით საცხო-
ვრებლად.

ზემოთქმულიდან ჩანს, რომ საინგილოს ტერი-
ტორიაზე ჩვენს მიერ დადგენილი საცხოვრებელი
ზონები მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისა-
გან.

საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ თითოეუ-
ლი ზონა თავისთავად შეიცავს ერთმანეთისაგან

განსხვავებულ მიკროკლიმატებს და მათი სპეციფი-
კური ინდივიდუალური თავისებურებანი დიდ ზე-
გავლენას ახდენენ არა მარტო დასახლების ფორ-
მებზე, არამედ ხალხურ ნაგებობათა ხუროთმო-
ძღვრებაზეც.

სოფლური დასახლების გეგმის შემადგენელ ერ-
თეულებს, ანუ დაგეგმარების უჯრედებს კარ-მი-
დამოები წარმოადგენენ. მათი ხუროთმოძღვრულ-
სივრცობრივი განვითარება, სათემო მიწების „თა-
ვისუფალი“ ანუ თანაბარი განაწილების „მამა-პა-
პურ“ ტრადიციასთან იყო დაკავშირებული.

თითოეული კომლის სარგებლობაში არსებული
მიწის ფართობის ტიპურმა დაპარცელუბამ სოფ-
ლური დასახლების სტრუქტურას თავისებური
ხუროთმოძღვრული სახე მიანიჭა.

სწორედ ამით უნდა აიხსნას ის გარემოება
რომ „ინგილოები მომეტებულად რიგზედ არიან
დასახლებულნი: სახლები გზის აქეთა და იქითა ნა-
პირს მისდგებივ გაყოლებით. ყველას აქვს სათემო
მამულიდან მოჭრილი მშენიერი ვაყე ეზო, ეზოს
იქით სავესნახე, ამ უკანასკნელს მოსდევს ხილის
ბაღი, მეგრე სათიბი. სათიბის შემდეგ ისევ სათემო
მიწები იწყება...“¹ და ა. შ.

ყურადღებამ იქცევს ის ფაქტი, რომ ინგილოთა
დასახლების ხალხური დაგეგმარების სისტემაში
გეგმარების ელემენტების განსხვავება, მკვე-
თრად არ ყოფილა გამოხატული.

ეს განსაკუთრებით იმ მოსახლეობის მიმართ ით-
ქმის, რომლებიც მთიდან ბარში, უმეტესად პირვე-
ლი საცხოვრებელი ზონის ვაკე ადგილებში ჩამო-
ასახლეს.

საინგილოს პირველი და მეორე საცხოვრებელი
ზონის სოფლური დასახლების სისტემაში შემავალ
კარ-მიდამოებს ტრადიციული გეგმარების კვალი
აჩნია. ყველას აქვს საეზოზე მიწის თანაბარი ნაკვე-
თი და ვრცელი ტრადიციული ზანასა მწვანე ეზო.
ეს გარემოება, არ თქმა უნდა, ეროვნული ტრადი-
ციებით აიხსნება.

მას შემდეგ, რაც საინგილოს ტერიტორიის უმე-
ტესი ნაწილი უცხო ტომებმა ჩაიღდეს ხელ-
ში და ქრისტიანული მოსახლეობა მაჰმადიანურ
გარემოცვაში მოექცა, მოსალოდნელი იყო დასა-
ხლების სისტემიდან ქართული ტრადიციების სრუ-
ლი გაქრობა, მაგრამ ეს ასე არ მომხდარა;

ქართული კულტურის თვითმყოფადობამ იმდენ-
ი გამძლეობა და შეუფერობა გამოიჩინა, რომ ქარ-
თული დასახლების სისტემაში ძირითადად არაფე-
რი შეცვლილა. მან შეინარჩუნა ქართული სოფ-
ლის ტიპური ხუროთმოძღვრული სახე.

¹ ზ. გულისაშვილი, მკვარის შენიშვნები საინგი-
ლოსა და ქიზიყზედ, (იგერია, 1882, № XI, გვ. 78).

ქართული ხალხური დასახლების გავრცელებული ტიპების ფორმირების პროცესი საინგილოს ტერტორიაზე, რა თქმა უნდა, იზოლირებულად არ მიმდინარეობდა. საუკუნეების მანძილზე მან მეზობელი მაჰმადიანური ტომების წეს-ჩვეულებიდან ზოგიერთი რამ შეითვისა, მაგრამ უმეტესი ნაწილი უკუაქცია და განითავისუფლა თავი მათი ზეგავლენისაგან, რითაც დაიცვა თავისი ეროვნული სახე, პირიქითაც მოხდა — ჩამოსახლებული მაჰმადიანური ტომები ქართული კულტურის გავლენის ქვეშ მოქცნენ და მათგან გადაიღეს კარ-მიდამოს მოწყობისა და ხალხურ ნაგებობათა დაგეგმვის წესები.

ქართული და მაჰმადიანური დასახლების გავრცელებულ ტიპებს შორის მკვეთრი განსხვავება აშკარადაა გამოხატული განსაკუთრებით განაშე-

ნაინების წესებში, რომლებსაც ქვემოთ გავეცნობით. ეს გარემოება ძირითადად მაჰმადიანურ მოსახლეობაში მიწის განაწილების სრულიად სხვა ფორმის არსებობით უნდა აიხსნას, ვინაიდან „გარემო მუსულმან სოფლებს კი თავიანთ ადათებზე... აქეთ მოწყობილი მიწის მფლობელობა და ძლიერ განსხვავდება ინგილოებისაგან“¹.

საცხოვრებელი ზონების შესაბამისად, განვითარებული დასახლებათა ფორმების უფრო ახლოს გასაცნობად, საჭიროა მოკლედ შევეხოთ ძველი სოფლური დასახლების დაგეგმარების ძირითად ელემენტებს, განაშენიანების უძველეს ტრადიციებს, რომლებიც საუკუნეების მანძილზე მტკიცე ხალხური ნორმების საფუძველზეა გამოუმუშავებული და ტიპობრივად ჩამოყალიბებული.

ძველი სოფლისა და კარ-მიდამოს დაგეგმარებისა და განაშენიანების ძირითადი ელემენტები

საინგილოს სოფლური დასახლება შედგება საცხოვრებელი უბნებისაგან, რომლებიც გვარებადაა დაყოფილი.

ეს უბნები იმ გვართა სახელწოდებას ატარებენ, რომლებიც პირველად დასახლებულან აქ. ამის ცოცხალი მაგალითია უძველესი საცხოვრებელი უბნების დღემდე შემორჩენილი სახელები: ხუციანთკარი (ხუციშვილებითაა დასახლებული), წერეთლიანთკარი ანუ „წერეთელ თახტა“ (წერეთლები), ვაჩნაძიანთკარი (ვაჩნაძეები), ოთარანთკარი (ოთარაშვილები), ჭირიტანთკარი (ჭირიტაშვილები), ანდრონიკანთკარი (ანდრონიკაშვილები)², სოსიკანთ კარი და სხვ.

საინგილოს სოფლებში, გვარებად დასახლებულ საცხოვრებელ უბნებს აქეთ აგრეთვე სამეურნეო-საწარმოო და გეოგრაფიული ადგილმდებარეობის აღმნიშვნელი სახელებიც, მაგალითად: კალოსუბანი, ხევისპირი, წყაროსუბანი, მთისძირი, ციხისუბანი და სხვ.

თითოეული ასეთი უბანი გვარებად დასახლებულ რამდენიმე საცხოვრებელ უბანს აერთიანებს. ამის

ნათელსაყოფად შეიძლება დაეხსახელოთ საინგილოს ერთ-ერთი ძველი დასახლების მქონე სოფელი კახ-ინგილო (ისტორიული კაცი), იგი შედგება ოთხი ასეთი გაერთიანებული საცხოვრებელი უბნისაგან: კახისთავი (კახბაში), ხევისპირი, მთისძირი და თოფახი.

კახისთავში დასახლებული არიან—პაპიაშვილები და თამაზაშვილები; ხევისპირისუბანი უკავია—ხუციშვილების, ფოლადაშვილებისა და სუყაშვილების დასახლებას; მთისძირის უბანი დასახლებულია—ოთარაშვილებითა და როსტიაშვილებით; ასევე ყველაზე ვრცელ საცხოვრებელ უბანს წარმოადგენს თოფახი, რომელსაც თავისი სიდიდის გამო სოფელ თოფახსაც კი უწოდებენ; იგი წარმოადგენს — ჭანაშვილების, ზურაბაშვილების, კაციკაშვილებისა და ჭირიტაშვილების გვარებისაგან ჩამოყალიბებულ ჯგუფურ დასახლებას.

საინგილოს ზოგიერთი ძველი სოფლის დასახლების სისტემაში გადმონაშთების სახით შემორჩენილია უბნური დასახლების ისეთი სახელწოდებანი, როგორიცაა — „აზნაურის მთები“³, „აზნაურთა უბანი“⁴, „აზნაურის მიდამოები“⁴, „სააზნაურ-

¹ ზ. გულისაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 80.

² გალექებულ ქართველთა გვარებია: ასპახოვი, ასლანოვი, კახიშვილი, ქარუთოვი და სხვ., რომელთა ყოფილი ქართული გვარებია ანდრონიკაშვილი, ერისთავი, კამაზაშვილი, ქარუმიძე და სხვ.

³ ლ. ჭანაშვილი, ისტორიული და გეოგრაფიული აღწერა ჰერეთის, უტრის, მოგზაური, 1901, № 11.

⁴ ა. ჩხენკელი, დასახ. ნაშრ., გვ. 36.

რო ადგილი“ და სხვ. რაც ძველი მოსახლეობის სოციალურ ფენებზე დანაწილებაზე მიუთითებს.

ზემოხსენებული უზნური დასახელება ცალკეული კარ-მიდამოებისაგან შედგება.

რამდენიმე კარ-მიდამოს ურთიერთკავშირი საცხოვრებელ უბნებს ქმნის, ხოლო საცხოვრებელი უბნების ერთიანობა სოფლური დასახლების საერთო სურათს იძლევა.

საინგილოს ძველი სოფლური დასახლების შესწავლამ გვიჩვენა რომ მისი სივრცობრივ-ხეობით-მოძღვრული დაგეგმარების აქცენტს თავიდანვე საკულტო დანიშნულების სალოცავი ადგილები წარმოადგენდა, — წმინდა ხეები და წარბართული დანიშნულების ნაგებობები, რომლებიც ქრისტიანული სარწმუნოების გავრცელების პერიოდთან თანდათანობით შეცვალა ეკლესიამ.

ეკლესიის გარშემო მოედნების წარმოშობის აუცილებლობა თავისთავად ნიშნავდა უძველესი სოფლის დასახლების სისტემაში ცენტრალური ნაწილის გამოყოფას, რომელსაც, რა თქმა უნდა, საზოგადოებრივი დანიშნულება ჰქონდა მინიჭებული.

აღსანიშნავია, რომ სოფლური დასახლების ყოველ მიკროუბნსაც კი ჰქონია საკუთარი „სალოცავი ადგილი“ ანუ „კარი“.

მაჰმადიან ინგილოთა სოფლებში, აღნიშნულ უბნურ დასახლებაში „კარი“ ანუ თავშესაკრები „ადგილი“ მაჰმადიანური სარწმუნოების მიღების შემდეგ შეცვალა ე. წ. „გიმგამა“¹, სადაც მაჰმადიანი ინგილოები იყრიდნენ თავს სალოცავად. „იქვე გიმგასთან იკრიბებოდა სოფლის ხალხი და თავის ჭირ-ვარამზე სჯა-ბაასობდა. გადასცემდნენ ერთმანეთს სოფლისა და ქალაქის ახალ ამბებს. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ეს გიმგები მოშალეს... ახლა ეს კოლმეურნეობის შესაკრები პუნქტია, სადაც მცხოვრებთ საკოლმეურნეო საგნებზე აქვთ ხოლმე სჯა-ბაასი“².

საინგილოს ძველ სოფელში ყველაზე მეტად მტრებისაგან განადგურებას და აზარებას მისი ცენტრალური ნაწილი განიცდიდა. აპიტომ სოფლის ცენტრალურ ნაწილს, რომელშიაც დომინირებულ ხურთთმოძღვრულ ობიექტს ეკლესია წარმოადგენდა, ჩვენს დრომდე აღრინდელი სახით არსად არ მოუღწევია.

ქართულ ხალხურ მეტყველებაში გავრცელებული ტერმინი „კარ-მიდამო“ უძველესი დროიდან მომდინარეობს.

სიტყვა „კარი“ ხშირად ნახშირია „ეზოს“ სინონიმად. მაგალითად, „კარი-კარ“, „კარდაყარ“, კა-

რიდან კარზე, ეზო-ეზოს³. „სახლ-კარი ნიშნავს აგრეთვე სახლსა და ეზოს; ცნობილია ისიც, რომ სიტყვა „კარი“ ძველად „სახლს“ ან „სასახლს“ აღმნიშვნელ სიტყვადაც იხმარებოდა. „კარი“ ამ შემთხვევაში გულისხმობს სახლს, „კარ-მიდამო“ კი სახლს და მის მიდამოს.

საინგილოში ქართული მოსახლეობის ზეპირიტყვიერებას დღემდე შემორჩენია ტერმინი „კარ-მიდამოს“ შემცველი, იგივე მნიშვნელობის სხვა სახელწოდება — „ეზე-დარვაზა“; „ეზე“ ინგილოურ დიალექტზე ნიშნავს ეზოს, ხოლო „დარვაზა“ — კარს; უფრო სწორად ინგილოები „დარვაზას“ ეძახიან კიშკარს. ამრიგად, „ეზე-დარვაზა“, უძველესი ტერმინია, რომელიც შეესაბამება „კარ-მიდამოს“.

გვარებად დასახლების სისტემაში არსებული „დიდი ოჯახების“ დიფერენციაციამ გამოიწვია აგრეთვე მიწების პარცელაცია — სათემო მიწების „საკარმდამო“ ნაკვეთებად დანაწილება.

საეზოვე მიწის ნაკვეთებს საინგილოში უწოდებენ „რუბს“, რომელიც უდრის ერთ „ჩარეკს“ ანუ „მეოთხედს“. როგორც ირკვევა „ყველა კომლის წილად ნარგებ ეზოს, ბაღის ხეხილს, ვენახს და სათიბს ინგილოები უძახიან რუბს“⁴. აღსანიშნავია, რომ საინგილოში ყოველ მოსახლეს (მეომურს) საეზოვე ნაკვეთები თავიდანვე თანასწორად ჰქონია განაწილებული, მაგრამ შემდეგ თანდათანობით ყიდვა-გაყიდვის ნიადაგზე ზოგიერთს მრავალი რუბი ერგო⁵, რომლის საფუძველზედაც წარმოიშვა შეძლებულთა კარ-მიდამოები.

სამეცნიერო ლიტერატურაში საინგილოს ხალხური კარ-მიდამოების ვრცელი აღწერა პირველად გერმანელმა მკვლევარმა ა. ფონ-პლოტომ მოგვცა. მან აღწერა XIX საუკუნის 60—70-იანი წლების ტიპური კარ-მიდამო.

ა. ფონ-პლოტოს მიხედვით ირკვევა, რომ „სახლს ინგილოები, როგორც საერთოდ სხვა დანარჩენი აქაური სოფლის მკვიდრნი, აშენებენ მარადმწვანე სწორი ეზოს სიღრმეში, რომელიც შემოღობილია წკნელით, ხოლო ვინც მდიდარია შემოზღუდული აქვს რიყის ქვის გალავანი... ეზოს გვერდით ორი ბაღია: ვენახისა და თუთის; მათ მახლობლად ბოსტანია და აქვე სათიბი, საიდანაც იღებენ თივას. ეზოში გაყვანილია ვიწრო რუ, რომელშიც მოჩხრიალებს ანკარა წყალი“⁶.

³ აღ. ნ ე მ ა ნ ი, ქართულ სინონიმთა ლექსიკონი, თბ., 1961, გვ. 246.

⁴ ზ. გ უ ლ ი ს ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ. გვ. 79.

⁵ ი ქ ვ ე.

⁶ А. И. Ф о н - П л о т о т, Природа и люди Закавказского округа, Сборник сведений о кавказских горцах. Вып. IV, Тифлис, 1870 г., стр. 23.

¹ გიმგამა—მაჰმადიანთა სალოცავი ადგილი ანუ სალაყბო.

² ზ. ე დ ი ლ ი. საინგილო, 1947, გვ. 125.

ა. ფონ-პლოტოს მიერ ინგილო გლეხის ტიპური კარ-მიდამოს აღწერის დღიდან დაახლოებით 10-15 წლის შემდეგ ქართულ ენაზე პირველად გამოჩნდა ჟურნალ „ივერიის“ ფურცლებზე საინგილოს ხალხური კარ-მიდამოს ზ. გულისაშვილისეული მოკლე დახასიათება, სადაც ვკითხულობთ, რომ „თავის რუბში ყველა აქვს მწვანე, ვაჟე და მეტად სუფთა ეზო ხეხილებით სამსე (ხშირად ფუტკრის სკებიც მოიპოვება)... შუა ეზოში დაურქვიათ ღერძი, ღერძზე ურმის თვალი და თვალზე სუფთად დარეცხილი სპილენძის წველის იარაღები შემოთუმწკრივებიათ. უშველებელ მრგვალ სტოლად მიიღებთ ამას მშვენიერ მწვანე ფონზე“¹.

დაახლოებით სამი ათეული წლის შემდეგ მოსე ჯანაშვილმა მშობლიური მხარის ღრმა ცოდნითა და მეცნიერული სიზუსტით დაგვიხატა ინგილო გლეხის ტიპური კარ-მიდამო. „ეზო თითქმის ყოველთვის ოთხკუთხეა, ტყურეშული ღობითა ანუ ქვიტკირის კედლებით შემორტყმული და გავსილი მრავალგვარ ხეხილით... ეზო მუდამ იგვება, სუფთად ინახება, ზაფხულობით ირწყვების და სააპურად ბინინებს. მის ერთ გვერდზე არხი გადის და გაკეთებულია ჩაღარღანა, რომელზედაც წყალი ჩახრიალებს და ატკობს ყურთა სმენას, მეტადრე ზაფხულის წყნარ ღამეობით... ეზოს წინ უკან მიჰყვებიან მენახი (ვენახი), ბაღჩეი (ფურცლის ბაღი ჭიისათვის), თხილნარი, დილიგი (ბოსტანი) და ხანდახან საბალახე (ყორული) ხბორებისა, შესაბამელ საქონლისა და ცხენისათვის. ვენახი და ბაზჩეი სრულბედაა დაყოფილი. სრულებსა და სრელებ შუა ნახავთ ვარდის ბუჩქებს ან და კიტრისა და ფაყლის (ლობოს) ჭერგებს, თხილის ბუჩქები რიგზედ ჩამწკრივებულია. მთელი ბაღჩე-ვენახი ხეხილებით სავსეა; მათ შორის უმეტესობა ატამია, ქლიავი, ბალი, მსხალი, შვინდი, კაკალი მთელ მამულს გარშემო ღობე მოსდევს. ღობეში ხარობს მრავალი ხე (იფანი, თელა და სხვ.), რომელიც სამ წელიწადში ერთხელ ჭიგოდ იკაფება“².

მ. ჯანაშვილის ნაშრომის ეთნოგრაფიულ ნაწილს დიდმა მეცნიერმა აკაკი შანიძემ მალალი შეფასება მისცა³.

¹ ზ. გულისაშვილი. დასახ. ნაშრ., გვ. 79.

² მ. ჯანაშვილი, საინგილო, თბილისი, გვ. 49—50.

³ А. Шанидзе, მ. ჯანაშვილი, საინგილო М. Г. Джанашивили, «Сангило» ძველი საქართველო (Древняя Грузия), т. II, Тифлис, 1913 г. «...Наиболее сильная часть книги — этнографическая сведения, порою очень подробная и изложенная весьма живо. Автор ингилоец показал себя хорошим знатоком родного края и даваемые им картины из быта, нравов, обычаев и религиозных представлений ингилоцев долго сохраняют свою свежесть», стр. 2.

საინგილოს ძველი კარ-მიდამოები ყველაზე ვრცლად ზ. ელიშმა აღწერა: „ეზო... ინგილოს ფართო და განიერი უქირავს და რაც უფრო შეძლებულია იგი, მით უფრო დიდი კარ-მიდამო აქვს, ეზო სუფთაა და გაკრიალებული, მთელი ზაფხული მწვანედაც გაუდის ღლიანს. ისე უყვარს ინგილოს მწვანე ხავერდისფერი ყდა-კარ-მიდამოსი, რომ თუ ვინცობაა ზაფხულის სიცხემ გაახშო, მაშინვე წყალს მიუშვებს და ხელახლა გამოაცოცხლებს... ეზოში ხშირად ნახავთ ვარდებს და სხვა დეკორატიულ მცენარეებს. ყველა ეზოში აუცილებლად რაიმე ხეხილი დგას, მეტწილად თეთა, ბალი, ალუბალი და სხვ. ეზოს სვეტზე ხშირად ვაზი არის აშვებული, რომლის მტევნებიც შემოდგომობით ყვითელ ქარვასავით გამოიციქრებიან ხოლმე.

ყველა ეზო შემოღობილ-შემოფარგულია. დია კარ-მიდამოს აქ ვერ იპოვით. ეზოს ხშირად ირგველ შემოკლებული აქვს ქვიტკირის კედელი, მეტრანახევრის სიმაღლისა მაინც. იქ, სადაც რიყის ქვა ან აგური ძნელი საშოვნელია, მის მაგაფრობას მშვენიერი წუნლის მალღლი ღობე სწევს. ამგვარ კედელში ქუჩის მხრიდან ჩატანებულია ქვიშარი, რომელსაც ინგილოები დარგზანს ეძახიან... სახლს ინგილო სდგამს არა გზის პირად, არამედ შიგნით — ეზოს ბოლოში ან შუაგულში.

ეზომივითა მოთავსებული ბოსელი, ანუ როგორც ინგილოები ეძახიან ზროხის სახლი... ეზოსავე ერთ-ერთ კუთხეში მოწყობილია თონე... ეზოში ვერ ნახავთ ვერც საქათმეს და ვერც საღორეს. აქაური ვითამი სხვანაირად არის დამკვიდრე. საინგილოში დიდი სიცივეები არ იცის, ამიტომ ზამთარ-ზაფხულს ხეზე ბუდობს...

ყველა ამას გარდა, ეზოში, პატარა რუს მახლობლად, ჩარდახსავით არის რალაც გაკეთებული. მიწაში ბოძია გამაგროებული, თითქმის მეტრის სიმაღლისა, ზევიდან ფიკრები აქვს ირგვლივ წამოხურული ქოლგასავით. ესაა სოზიე... ოჯახის დიასახლისი ჭურჭელს აქ მიიტანს, პატარა არხში დარეცხს... და გასაშრობად ამ სოზიეზე დალაგებს“⁴.

ზემოაღნიშნულ ავტორთა ნაშრომებიდან მოტანილი ამონაწერების შედარება დღევანდელ კარ-მიდამოებთან, გვიჩვენებს, რომ დაგვემეცისა და განაშენიანების ტრადიციები საინგილოში ერთი საუკუნის მანძილზე თითქმის უცვლელი დარჩენილა; მათ შორის ძირითადში არავითარი განსხვავება არ შეინიშნება.

ჩვენს მიერ შეკრებილი და შესწავლილი კარ-მიდამოების ანაზოში მასალებს შესწავლით დასტურდება, რომ საინგილოს ტერიტორიაზე ძირითა-

⁴ ზ. ელიშ, საინგილო, თბილისი, 1947, გვ. 127—129.

დაღვარებულია ორი ტიპის კარ-მიდამო: ერთი ბარის ტიპისა, რომლებიც გავრცელებულია, პირველ და მეორე საცხოვრებელ ზონებში და მთის ტიპისა, რომლებიც დამახასიათებელია მესამე საცხოვრებელი ზონის სოფლებისათვის.

როგორც ირკვევა, ბარის სოფლების კარ-მიდამოები გაცილებით გვიანაა წარმოშობილი მთის სოფლების კარ-მიდამოებთან შედარებით. ისინი მთისძირა და მთისპირა სოფლების დროებითი დასახლების ე. წ. „ბინების“ განვითარების ნიადაგზეა ჩამოყალიბებული, რომლებშიაც მთის ზონის კარ-მიდამოების უძველესი დაგეგმვის ტრადიციული ელემენტები შემკვიდრებითაა გადასული.

ბარის კარ-მიდამოები მთის კარ-მიდამოებთან შედარებით ვრცელი და მარტივი მოყვანილობისაა (ტაბ. 1, 2, 3, 4), ხოლო მთის კარ-მიდამოებს არაწესიერი — რთული მოხაზულობა აქვთ (ტაბ. 5, 6) პირველი ჯგუფის კარ-მიდამოთა მოხაზულობის სიმარტივე გამოწვეულია ბუნებრივად დავალებული ადგილებით, ხოლო მთის კარ-მიდამოთა ნაკვეთების არაწესიერ კონფიგურაციას მთის რთული რელიეფი განსაზღვრავს.

ამ ურთიერთშედარებამ გვიჩვენა, რომ დაგეგმარების თვალსაზრისით ისინი თითქმის არაფრით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

ჩვენს დრომდე შემორჩენილი კარ-მიდამოები შემდეგი დანიშნულების ეზოებისაგან შედგება: „სუფთა ეზე“ ანუ საცხოვრებელი ეზო, რომელსაც კარ-მიდამოს ცენტრალური ადგილი უკავია და სოფლის მაგისტრალურ გზასთან დაკავშირებულია შუკით ან, როგორც მას ეძახიან, „ორღობით“ (იგივე „ვიწრო“ ანუ ჩიხი), საბაღე ეზო, საზროხე ეზო (იგივე ალილი), სავენახე ანუ სამაშულე ეზო, ბოსტან (დილიე) — ბაღი, თხილნარი და სხვ. (ტაბ. 1, 2, 3, 4).

ცენტრალური ეზო დაფარულია სპეციალურად შეჩრეული ჯიშის ხავერდოვანი მწვანე ბალახით (კოინდრით). ასეთნაირად მოწყობილი ეზო მთელ ფართობზე გაშლენ მწვანე ხალჩას მოვლავონებს. სუფთა ეზოს მთელ ფართობზე თავისუფალი წესით ვაზლაგებულია საჩრდილობელი ხეები, მათ ჩრდილქვეშ აფარებენ თავს პაანაქება ზაფხულის პერიოდში ოჯახის წევრები. ამ დანიშნულებისათვის გამოყენებულია აგრეთვე ვაზის ტალავრები. ასეთი ეზო დასვენებისათვის და ბავშვთა აღზრდისათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს კარ-მიდამოში. (ტაბ. 1, 2, 3, 4).

კარ-მიდამოს დაპარტყლება სხვადასხვა დანიშნულების ეზოებად, ცხადია, გამოწვეულია შრავლადარგოვანი საოჯახო მეურნეობის წარმოებით,

საბაღე ეზო ხეხილის ბაღს უკავია, „საზროხე ეზო“ ანუ „ალილი“ საქონლის სადგომს (ბოსელი), რომელიც იზოლირებულია კარ-მიდამოს სხვა ეზოებისაგან; მას სრულიად დამოუკიდებელი შესასვლელი აქვს შუკიდან (ორღობიდან) საქონლის შესადენად; სამაშულე ეზო მთლიანად ევენახს უკავია და ა. შ. აღნიშნული ეზოები განლაგებულია სუფთა — დეკორაციული ანუ საცხოვრებელი ეზოს გარშემო.

საინგილოს კარ-მიდამოს გეგმის ძირითად ელემენტებს წარმოადგენენ: საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები, დარევაზა (ქიშკარი), ღობეები და მწვანე ნარგავები.

ინგილო გლეხის კარ-მიდამოს განაშენიანებაში მთავარი ადგილი საცხოვრებელ სახლს უკავია. სახლი ტრადიციულად მოთავსებულია სუფთა ეზოს სიღრმეში.

ხალხური ზეპირი წყაროების მიხედვით ირკვევა, რომ საცხოვრებელი სახლი არ შეიძლება დაიდგას მეზობელი კარ-მიდამოს ზედ საზღვარზე ისე, რომ სახლის სახურავიდან ე. წ. „სასელია“¹ წყალი ჩადიოდეს მომიჯნავე კარ-მიდამოს ეზოში; სახლი ისე უნდა იდგას, რომ მას, წინ, ეზოს დიდი სივრცე ჰქონდეს დატოვებული — სახლის აივნიდან უნდა ჩანდეს დეკორაციული ეზოს მთელი სივრცე; არ შეიძლება, რომ სახლის „ხარხაი“ (სარკველი) მეზობლის ეზოსკენ იყოს მიქცეული „საქვრეტად“ და სხვ. (ტაბ. 1.2.3.4.).

განაშენიანების აღნიშნული წესები დაცულია აგრეთვე ისეთ წერტილობით ძველებში, როგორიცაა ქართული ადამიორივი სამართლის წესები. იგი შეტანილია, როგორც ერთ-ერთი მუხლი (57) — „ახალი სახლის და ევენახის შენობისათვის“, სადაც კვითხულობთ, რომ „არ არის შესაძლებელი, რომ მეზობელმან მეზობლის სახლის მხრისაკენ თავის სახლს ფანჯარა გაუკეთოს რომ შიგ ჩაუყრებდეს; და თუ შუაზე ქუჩა არის, თავის სახლს ფანჯარას დაატანს, საცა უნდა, ქუჩის მხარისაკენ. და გარდა ამისა არც ვის ძალუძს, რომ თოვლი ანუ წყალი მეზობლის სახლის ეზოსა და ბანზედ მიჰყაროს და მიუგდოს“...²

საუკუნებრივი ხალხური ტრადიციით დაცული კარ-მიდამოს განაშენიანების ნორმები XIX საუკუნის დასაწყისიდან საქართველოში, იურიდიული კანონის სახეს იღებს.

„დარევაზა“ ანუ გადახურული ქიშკარი სოფლის მაგისტრალური გზის პირზე შუკის თავშია დადგმული. ან კიდევ შუკის ბოლოში საცხოვრებელი

¹ „სასელია“ ინგილოურ დიალექტზე სახლის სახურავის გარშემო შემოვლებული წვიმის წყლის სადენი ღარია.

² ი. დოლიძე, საქართველოს ჩვეულებითი სჯული, 1960, გვ. 71.



სურ 6. სოფ. ძაგაში, კარ-მიდამოს ჩიხური გასასვლელი (ორღობე—შუკა).

ეზოს მიჯნაზე. ხალხური კარ-მიდამოს გენერალურ გეგმაზე არსებული ყოველი ეზო შესაბამისი დამახასიათებელი ნაგებობითაა განაშენიანებული. მაგალითად, „ზროხის ეზოს“, ანუ საქონლის ეზოს განაშენიანების ელემენტია „ზროხის სახლი“. იგი სამეურნეო ნაგებობის რამდენიმე სახეს აერთიანებს და ერთ მთლიან კომპლექსს წარმოადგენს.

კარ-მიდამოს დაგეგმარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია აგრეთვე მწვანე ნარგავები (გამწვანება); საცხოვრებელ ეზოს მწვანე კონტრასტის ვრცელ ფონს ამშვენებს საჩრდილობელი ხეები და სხვადასხვა სახის ხეხილი, ასევე ეზოს ფანჯატურები, ხეივანები, ფაზეტჩახვეული ხეები, ყვავილნარი და სხვ., რომლებიც ორგანულ კავშირშია სუფთა დეკორატიული ეზოს ჯაერთო სანახაობაში. მწვანე ნარგავების მასივებისაგან კარ-მიდამო ისეა დაფარული, რომ გზიდან იგი სრულიად უჩინარია.

საინგილოს ხალხური კარ-მიდამოს დაგეგმარების ერთ-ერთი ფრიად მნიშვნელოვან, დამახასი-

ათებელ ელემენტს შუკა ანუ იგივე ორღობე¹ წარმოადგენს, რომელიც მთავარი მაგისტრალური გზიდან განშტოებულია და სუფთა ეზომდე ერთგვარი მისასვლელის ფუნქციას ასრულებს (სურ. 6, 7, და ტაბ. 1, 2, 3).

საყურადღებოა, რომ თავისი დანიშნულებით შუკა (ორღობე) ერთგვარ დერეფანს წარმოადგენს, რომელიც უშუალოდ სუფთა დეკორატიული ეზოს წინ მდებარეობს და ამიტომაც ზოგჯერ მას „დარვაზას წინააღ“ ეძახიან, რომელიც ტერმინ „წინაკარის“ სინონიმია.

ამრიგად შუკა ანუ ორღობე სოფლის მთავარი გზისა და კარ-მიდამოს შორის დაკავშირებული გასასვლელია, რომლიდანაც „დარვაზით“ შევდივართ ე. წ. „სუფთა საცხოვრებელ ეზოში“ (ტაბ. 1, 2, 3). ტიპური შუკებიდან გვხვდება ვიწრო, განიერი, ჩაკეტილი და ღია. შუკას ჩაკეტილი ეწოდება

¹ „ორღობე“ ეწოდება ორღობეს შორის „ვიწრო“ გასასვლელს.



სურ. 7. სოფ. ითითალა. კარ-მიდამოს ჩიხური გასასვლელი (ორღობე—შუკა).

თუ „ღარვაზა“ დადგმულია შუკის თავში, გზის პირზე, ხოლო ღიაა მაშინ, თუ იგი დგას შუკის ბოლოში, საცხოვრებელი ეზოს მომიჯნავედ. შუკაზე თუ მხოლოდ ერთი ღარვაზაა, მას ერთღარვაზიანი შუკა ეწოდება, რაც იმას ნიშნავს, რომ შუკა მხოლოდ ერთი ოჯახის კარ-მიდამოს ეკუთვნის; მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ შუკის ორივე მხარეს განლაგებულია რამდენიმე კარ-მიდამო, მაშინ გვაქვს ორღარვაზიანი, სამღარვაზიანი და მრავალღარვაზიანი შუკები. შუკის უძველეს სახეს ერთღარვაზიანი ვიწრო შუკა უნდა წარმოადგენდეს. ორღარვაზიანი და მრავალღარვაზიანი შუკების ნაწილი მაინც განვითარების შემდეგ საფეხურზე — ოჯახის გამრავლებისა და მოძღვარების შედეგად უნდა იყოს წარმოქმნილი.

ოჯახის გამრავლება საოჯახო დასახლებას ახალ, ერთ ან რამდენიმე ერთეულს წარმოშობს, რის გამოც მამა-პაპეული მიწების დაყოფა საკარმიდამო მიწის ფართობს ამცირებს. ამიტომ საცხოვრებელი ეზო ისე ნაწილდება, რომ იგი დამოუკიდე-

ბლად დაუკავშირდეს შუკას, გამოიყოფი გზის ფართი ერთ „რუბზე“ ნაკლები არ უნდა იყოს. ასეთი კარ-მიდამოს გაყოფისას ზოგჯერ სუფთა, საცხოვრებელი ეზოსათვის არჩევენ ადგილს, სხვა დანიშნულების ეზოს ნაკვეთის ხარჯზე, რომელშიაც უნდა იცხოვროს გამოყოფილმა ოჯახმა. ახალი საცხოვრებელი ეზო წარმოშობს დამოუკიდებელ ღარვაზის საჭიროებას, რომლის მოწყობის შემდეგ შუკა ორღარვაზიანი ხდება და ა. შ.

საინგილოს ტერიტორიაზე შესწავლილ კარ-მიდამოთა გეგმები თავისი ხავერდოვანი ეზოებით, შუკებით და სხვა ელემენტებით მოგვაგონებს კოლხეთის ტერიტორიაზე გავრცელებულ ტიპურ კარ-მიდამოთა გეგმის კომპოზიციებს — ისინი თავიანთი დაგეგმვის ხასიათით ერთმანეთს უახლოვდებიან. (ტაბ. 1, 2, 3, 4 შდრ. ტაბ. 7-ა. და 7-ბ).

რით შეიძლება ავხსნათ ზემოხსენებულ ხალხურ კარ-მიდამოთა დაგეგმარების აშკარა მსგავსებაჲ პირველ რიგში ერთერთი ყველაზე სარწმუნო ფაქტორით კლიმატური პირობების მსგავსებით.

კარ-მიდამოს ერთ-ერთ საინტერესო და ფრიაო მნიშვნელოვან ხუროთმოძღვრულ ელემენტს (ორჯე ანუ ზღუდე წარმოადგენს. საინგილოს ქართულ სოფლებში დღემდე შემორჩენილია სხვადასხვა სახისა და დანიშნულების ღობის მრავალჯეროვანი ნიმუშები.

მესაქარლეობის დაწინაურებასთან ერთად მეურნეობის სხვა დარგების—მევენახეობის, მებაღეობა-მემეტლეობის (მებოსტნეობის) და სხვათა განვითარებამ გამოიწვია საქარმიდამო ნაკეთის თანდათანობითი დანაწილება სხვადასხვა დანიშნულების ეზოებზე.

სოფლის მთავარი გზის მხარეზე ღობე უფრო მაღალი, მტკიცე და მიუვალი უნდა ყოფილიყო, შიდა საქარმიდამო ეზოებისათვის კი — შედარებით მსუბუქი და ჰაეროვანი.

ცნობილია, რომ საქართველოში უძველესი დროიდან სცოდნიათ ბალ-წალკოტის, ზვრებისა და სხვა დანიშნულების ადგილ-მამულების შემოღობვა. წერილობითი წყაროებიდან ირკვევა, რომ ყოველ ასეთ ეზოს თავ-თავისი შესაფერი ზღუდე-გალავანი ჰქონია შემოვლებული. „...უზღუდოდ ვენახმტობი დაითარგუნებოდა და განადგურდებოდა, უღობობდაც შიგ მყოფ ხილმტობიულს დაიტაცებდნენ“¹.

სხვადასხვა მკვლევარის მიერ შესწავლილ საქარმიდამო ღობეებს თვალს თუ გადავავლებთ, დავრწმუნდებით, რომ საქართველოს სოფლები ძველთაგანვე გამოირჩევიან ამ მხრივ მეტად ლამაზი სახეებით.

სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, ზღუდე — „ესე არს ყოველი სიმგრგულით შემოვლებული, რაიცა, რაივე იყოს ვარ მონავლები ქალაქთა, დაბათა, სახლთა, წალკოტთა...“ იქვე ჩამოთვლილია ზღუდის მრავალი სახეობა, ასე მაგალითად: გალავანი, დურსო, მასარი, ხირხალი, ხიმი, ყერო, კაწანი, ძელყოჩე და სხვ., რომელნიც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან მასალის დანიშნულების, კონსტრუქციის გამძლეობის და სხვა ნიშნებით.

საინგილოს ღობეები შეიძლება დიდად ორ ჯგუფად: გარე და შიდა, საეზოვე ღობეებად.

კარ-მიდამოს გარე ღობე ძირითადად ორი სახის გვხვდება: წნელისაგან მოღობილი, რომელსაც ტყრულულს ეძახიან და მეორე რიკრიკა (სიბი) ქვი-

საგან აგებული, ე. წ. გალავანი.

ტყრულული ღობე სპეციალურად შერჩეული წნელისაგანაა მოღობილი. ყველაზე საუკეთესოდ ითვლება შეინდანწლას წნელი, ვინაიდან იგი ღრეკადა, კარგად ემორჩილება ღობესა და დიდხანსაც ძლებს.

წნული მზადდება ოთხი ან ხუთი წნლის ერთდროული მჭიდრო ჩაღობვით, ოდნავ დახრილად. პირველი რიგის გაყოლების შემდეგ მეორე რიგის ჩაღობვა ხდება იგივე წნით, მხოლოდ საწინააღმდეგო მიმართულებით, წნელის რაოდენობაც იგივე უნდა იყოს — ეს დამოკიდებულია მის სიმაღლეზე.

ამგვარი პრიმიტიული ღობის წესით მიღებულია გეომეტრიული ფორმის „წიწისებური“ („თევზისფერი“) ორნამენტული სახე.

ტყრულული ღობეს მთელ სიგრძეზე ორივე მხრიდან მიყენებული აქვს ორკაპიანი ბოძები („ბოძები“) ერთმანეთისაგან ორი-სამი მეტრის დაშორებით, რომლებიც ერთმანეთთან შეკრულია ორკაპში ჩასმული ლატანიით. ღობის ამ ნაწილს „საკავეს“ ეძახიან. იგი ღობეს წაქცევისაგან იცავს. აღნიშნულ საკავეებზე განივად დალაგებულია მოკლე ლატაკები, მასზე დაფენილია ე. წ. „ბარზლუმი“². რომელიც საბურავის მოვალეობას ასრულებს (სურ. 6, 7, 8).

ღობის წნულის სიმაღლე 140 სმ-ს აღწევს, ხოლო საბურავის ჩათვლით 230 სანტიმეტრზე მეტია.


საკავეებზე მოწყობილი „ბარზლუმის“ ამ სახის საბურავი მოგვაგონებს პრიმიტიული ორფერდა ისლით დაბურულ სახურავს, რომელიც ღობეს ატმოსფერული ნალექებისაგან იცავს. ამგვარად გადანურული ტყრულული ღობე კარ-მიდამოს მტკიცე ზღუდის წარმოადგენს და ხანდაზმული ინვესტიციების გადმოსცემით 25 წლამდე ძლებს.

ტყრულული ღობე ფართოდ იყო გავრცელებული ქართლ-კახეთის³, მესხეთისა და დასავლეთ საქართველოს რაიონებში.


¹ მ. ჯანაშვილის მიერ 60 წლის წინათ საინგილოში შეკრებილ ხალხურ ტერმინთა ლექსიკურ მასალაში, მოხსენებულია სიტყვა „ბარზლუმი“ და ავტორს იქვე მიუწერია ახსნა — კრიყინა. საბას განმარტებით — კრიყინა, უსურვავი და ძღვამლიც ნიშნავს გარულ ვაზს.

² ილია ჭავჭავაძე ეთნოგრაფიული სიზუსტით აღწერს კახელი თავადი—ლუარსაბ თაყაიშის კარ-მიდამოს რაც მთელ კახეთში ტყრულული ღობის ფართო გავრცელებაზე მეტაყვებს.

¹ ი. ე. ჯანაშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, წიგნი მეორე, 1935, გვ. 116.



სურ. 8. სოფ. ითითალა, წნელი (ტერუშული) ღობის საერთო ხელი გზიდან.



სურ. 9. სოფ. ძაგამი. კარ-მიღამოს საერთო ხელი გზიდან (ტერუშული ღობე).

ქვის გალავანი ხალხური კარ-მიღამოს გარეთა ლობის ერთ-ერთ გავრცელებულ სახეს წარმოადგენს, რომელიც უფრო მეტად გვხვდება ქვა-ლორლიან ადგილებში, განსაკუთრებით მეორე და მესამე საცხოვრებელი ზონის კარ-მიღამოებში.

აღსანიშნავია, რომ მეორე საცხოვრებელი ზონის დაეკავებულ ადგილებში კარ-მიღამოთა ქვის გალავნები აგებულია „კავკასიის დიდი კედლის“ ნარღვევი ქვებისაგან (ამ კედლის შესახებ ცნობები იხ. ქვემოთ).

საკარმიღამო ქვის გალავანი ამოყვანილია გზის პირზე დაახლოებით 150—160 სმ. სიმაღლეზე სიბი ანუ ე. წ. რიკიკა, იგივე რიყის ქვებისაგან, კირის ხსნარით (ვილით), რომლის სისქე 40 სმ არ აღემატება; ქვისაგან აგებულ ძველ საკარმიღამო გალავნებს მთელ სიგრძეზე ზემოდან ტრადიციული „ბარზღუმის“, ანუ წალამის საბურავი ფარავს, და გალავანს 60-70 სმ სიმაღლეს მატებს, რის გამოც გზიდან ეზოში ჩახედვა შეუძლებელია (ტაბ. 8).

შილა ეზოსთვის ძირითადად გამოყენებულია შემდეგი სახის ღობეები: მესრული, ჩელტური, მეჩხრული წნული, კანკალა და სხვ.

მესრული ღობე გვხვდება ორი სახის: დაკიდებული და დასობილი. ორივე ტიპის ღობე უმეტესად მთავარი ეზოს შემოსაზღვრავდაა გამოყენებული. პირველ შემთხვევაში წაბლის, მუხის, ან აკაციის ბისტები (ბოქინტები) ჩასობილია მიწაში ყოველ ორნახევარ მეტრზე, ზემოთ მიმაგრებულია ლარტყით. ლარტყაზე მესერი მიმაგრებულია მეჩხრად, მიწიდან 10—15 სმ მოშორებით. მესრის ქვემოდან დატოვებული დია ადგილი ამოყორილია რიყის ქვებით 20—30 სმ სიმაღლეზე ისე, რომ შიგ მესერის ბოლოებიცაა ჩატანებული. ასეთი ღობის გამძლეობა 30 წელიწადს აღწევს.

მეორე სახის მესრული ღობეში მესერი პირდაპირ მიწაშია ჩასმული მეჩხრად 20—30 სმ სიღრმეზე. ზემოდან ქვემოთ 15—20 სმ დაშორებით მათი თავები ერთმანეთში ჩაწნულია წვრილი წნელით, ამრიგად 20 სმ სიგანის წნელი არშისავით გასდევს ღობეს მთელ სიგრძეზე.

ჩელტური ღობე ეკუთვნის გადასატან ე. წ. სეზონური ღობის ტიპს, რომელიც გამოყენებულია მეტწილად ბაღ-ბოსტნისათვის განკუთვნილი ეზოს შემოსაზღვრავად. ჩელტური ღობისათვის წნელისაგან წინასწარ წნავენ ლასტებს, რომლებსაც საკიროების შემთხვევაში სახელდახელოდ ჩასმულ

ბოძებზე კრიკინა ვაზის დაგრეხილ ლერწმით ამაგრებენ.

მეჩხრული წნული ღობის ტიპური სახეები გავრცელებულია განსაკუთრებით პირველი საცხოვრებელი ზონის სოფლებში.


მეჩხრული წნული ღობე გამოყენებულია თითქმის ყოველნაირი დანიშნულების „შილა საეზოვე“ ღობეებად, გარეთა ღობეებისათვის იგი არსად არ გვხვდება, რადგანაც ძალზედ „გამკერვალე“ და შეუფერებელია.

კანკალა ღობე ძირითადად გამოყენებულია „საზოხე ეზოების“ ანუ ადილევის შემოსაზღვრავად. იგი წარმოადგენს მეტად საინტერესო უმარტივესი კონსტრუქციის ღობეს. გაბრტყელებულ ბოძებზე თანაბარი 15—20 სმ დაშორებით ამოყვეთილია („ჩაჩეკილი“) სწორკუთხა მოყვანილობის გამქოლი ხერვლები. ერთმანეთის პირისპირ განლაგებულ ხერვლებში, თანაბარ სიმაღლეზე გაეყრება ლარტყები, რომელთა დაშლა თავისუფლად და სწრაფად სწარმოებს. აღნიშნულ ბოძებზე ამოყვეთილ ფართო ხერვლებში, ლარტყების ხალვათად ჩამაგრების გამო ღობე შეხებისთანავე ირხევა (კანკალეს) და ამიტომაც უწოდებენ მას კანკალა ღობეს. ასეთი კონსტრუქციის ანალოგიური ღობეები დამოწმებული ვეაქვს აგრეთვე ქართლ-კახეთისა და დასავლეთ საქართველოს რაიონებში.

კანკალა ღობე გვხვდება ორი სახის: მაღალი (130—150 სმ) და დაბალი (40—70 სმ). პირველი მთავანი გამოყენებულია „საზოხე“ და სამეურნეო ეზოების შემოსაზღვრავად, ხოლო მეორე (დაბალი) საკარმიღამო ეზოს დასაანწევრებად სხვადასხვა დანიშნულებისათვის.

ზემოთ მიმოხილული საკარმიღამო ღობეების გარდა, საინჯლოს ქართულ სოფლებში გამოყენებული იყო აგრეთვე ცოცხალი ღობის სხვადასხვა სახეები.

კარ-მიღამოს გარეთა ღობეებისათვის ყველაზე იაფსაიანი და ადგილი მოსაწყობი იყო კენკროვანეკლიანი მცენარეებისაგან გაკეთებული მწვანე ღობე. მათ შორის ყველაზე მეტად გამოყენებული იყო მაყელის ჯაბე, რომელიც გასუფთავება და ერთმანეთში ჩახვევა ყოველ გაზაფხულზე ხდებოდა. ცოცხალი ღობეებისათვის ასევე გამოყენებული იყო ნარ-ეკალა, ბროწეული და ეკლიან მცენარეთა სხვა ჯიშები. აღნიშნულ მცენარეებში ალაგ-ალაგ გარეული იყო ხვიარა მცენარე-ფათალო, რომელიც მთლიანად მარადმწვანე ფარდას ქმნიდა კარ-მიღამოს გარშემო. ხსენებულ ღობეებიდან ყველაზე მეტი ყურადღება ეთმობოდა გარე ღობეების მოწყობას. ვინაიდან იგი მთავარ გზას მიუყვებოდა, ინგილო გლეხი მუდამ ცდილობდა



სურ. 10. „კანკალა“ კიშკარი.

და თავის კარ-მიღამოს გარეთ (გზის პირზე) ჰქონოდა მაგარი, გამძლე და თანაც ლამაზი ღობე.

კარ-მიღამოს შემოზღუდვის მსგავსი ტრადიცია გავრცელებული იყო საქართველოს სხვა რაიონებშიც. იტალიელი მისიონერის არქანჯელო ლამბერტის გადმოცემით, XVII ს. სამეგრელოში დადი ეზოები ჰქონიათ, რომელიც დაფარული ყოფილა „მხოლოდ კარგი ბალახით“ (ყოინდარით); „ყოველ მოსახლეს თავი მოსწონს ეზოს სიწმინდით. ეზოს არტყია გარშემო თხრილი და ღობე, ყოველი მოსახლე ცდილობს, რომ რაც შეიძლება მშვენიერი ღობე გააყეთოს“¹.


ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ საინგილოში ზემოხსენებული გარე ღობე და მის გაყო-

ლებაზე ჩახვეული მწვანე საფარი კარ-მიღამოს ისე ფარავს, რომ ცხენზე ამხედრებული კაცისთვისაც კი შეუძლებელია გზიდან ეზოს შიდა სივრცისა და ნაგებობათა დანახვა. კარ-მიღამოს შემოზღუდვის ასეთი ნიმუშები დღემდეა შემორჩენილი პირველი და მეორე საცხოვრებელი ზონის სოფლებში (სურ. 6, 7, 8, 9).

ანალოგიური მაგალითები დამოწმებულია აგრეთვე დასავლეთ საქართველოს რაიონებში, სადაც კარ-მიღამოს შემოზღუდვას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. საყურადღებო მასალა აქვს შეკრებილი და გამოცემული ეთნოგრაფ კ. კახიანს — იმერეთში გავრცელებული ძველი საკარმიდამო ღობეების შესახებ².

¹ არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, თბილისი, 1939, გვ. 35.

² კ. კახიანი, გლეხის კარ-მიღამო იმერეთში, თბილისი, 1964, გვ. 97.



სურ. 11. ლობეზე ჩამოკიდებული კარი — „კაწ“.

დარვაზები. ძველი კარ-შიდამოს გეგმის კომპოზიციაში ერთ-ერთ საყურადღებო ხუროთმოძღვრულ აქცენტს წარმოადგენს კიშკარი, რომელსაც ინგილოები დარვაზს ეძახიან.

კიშკრები ისე ორიგინალურად და მხატვრულადაა დამუშავებულ-გამართული, რომ თამამად შეიძლება იგი კარ-შიდამოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან, მცირე ფორმის არქიტექტურულ ნაგებობას მივაკუთვნოთ.

მათ დამუშავებაში აშკარად იგრძნობა ძველი სამშენებლო ტექნიკისა და ხუროთმოძღვრულ-მხატვრული ელემენტების გამოყენების ტრადიცია.


მოცულობითი ფორმებისა და დამუშავების მიხედვით საინგილოს სოფლებში გვხვდება შემდეგი სახის კიშკრები: შიდა-საეზოვე მარტივი კიშკრები და რთული საკარმიდამო გარეთა კიშკრები. პირველი ტიპის კიშკრები მოცულობით პატარაა და კომპოზიციურ-კონსტრუქციული სტრუქტურითაც ძალზე პრიმიტიულია. მას ზემოთ განხილული კანკალა ღობის კონსტრუქციული აგებულება აქვს

და ცალკეული ელემენტების დამუშავებითაც არაფრით განსხვავდება მისგან. (სურ. 10); შიდა საეზოვე კიშკრის მეორე სახეს წარმოადგენს „ლობეზე საველი კარი“, რომელიც მართლაც ლობეზეა ჩამოკიდებული და მოწყობილი აქვს გადასასველი. ინგილოები ასეთ კიშკარს „კაწს“ ეძახიან (სურ.11.)


მეორე სახის კიშკარი (რთული) დიდი მოცულობისაა და განცალკევებულ გადახურულ ნაგებობას წარმოადგენს; იგი მუდამ კარ-შიდამოს გარეთა ზღუდის ხაზზეა აგებული — ორღობის („ეწრობის“, იგივე შუყის) ან სოფლის მთავარი გზის გასწვრივ.

ტერმინი „კიშკარი“ დღესაც იხმარება აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში, აღმოსავლეთ საქართველოში მას უმთავრესად ალაყაფს უწოდებენ. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საინგილოს ტერიტორიაზე კიშკრის სინონიმად მიღებულია დარვაზა.

ცნობილია, ისიც, რომ კიშკარი ორი სიტყვისაგან



სურ. 12. სოფ. კახინვილო. ქვის გალავანი და დარეაზა (გადახურული კიშკარი)



სურ 13. სოფ. თოფაზი. მ. ჩანაშვილის კარ-შიდამოს დარეაზა (გადახურული კიშკარი)

იწარმოება ბჰე-კარი, რომლისგანაც შემდეგში, თანდათანობით მიღებულია (ბ) ჰი (ს) კარი—ჰიშ-კარი. აქვე უნდა დავძინოთ, რომ სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით „ბჰე ეს არს სახლთა და ტაძართა შესავალი. ხოლო კარი ვასაღები და მისაგდებელი“.

ივ. ჭავჭავაძის აზრით, „გალავნიანს. თუ ეზო-შემოღობილს სახლს ძველად ბჰისკარი ჰქონდა, რომლის ანარეკლსაც დასავლეთ საქართველოში დღევანდლამდე დაცული ტერმინი ჰიშკარი წარმოადგენს“¹.

სიტყვა ალაყაფი სულხან-საბა ორბელიანს თავის ლექსიკონში არა აქვს შეტანილი, რის გამოც მისი, აღრინდელი მნიშვნელობის ახსნა, ცხადია, გაძნელებულია; მაგრამ ივ. ჭავჭავაძის ეს გარემოება მხედველობიდან არ გამოორჩა და აკრძალა მის ვრცელ განმარტებას იმდევ.

„ალაყაფის კარის ტერმინში, ალაყაფი, ცხადია, კარის განმარტება უნდა იყოს, ეს სიტყვა არაბულია და... ლაყაბ... საპატიო სახელს ნიშნავს; ხოლო... ალაყაბ თურქულად... შესავლის აღმნიშვნელ ტერმინად არის ქცეული. ქართული ტერმინი ალაყაფის კარიც ზემონათქვამისდა მიხედვით, თავდაპირველად „საპატიო შესავალი კარის“ აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო და მხოლოდ შემდეგში უნდა ჰქონდეს მას ზოგადი ეზოს დიდი შესავალი კარების მნიშვნელობა მინიჭებული“².

როგორც ირკვევა, არც ბჰესა და არც ალაყაფს თავდაპირველად კარის დანიშნულება არა ჰქონია მინიჭებული იმ სახით, დღეს რომ გვაქვს წარმოდგენილი. ბჰე და ალაყაფი უძველეს დროში სრულიად დამოუკიდებელ ნაგებობას წარმოადგენდა და იგი გალავნის (ზღუდის) ან სასახლის შესასვლელთან უნდა ყოფილიყო აგებული.

სიტყვა „დარვაზას“ განმარტების შესახებ ქართულ ლექსიკურ წყაროებში ჭერჯერობით არაფერია ცნობილი. ეს სიტყვა არც სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონშია.

დარვაზა სპარსულიდანაა შემოტანილი და დამკვიდრებული. „დარ“ სპარსული სიტყვაა და იგივეა, რაც ქართულად კარი ანუ ჰიშკარი.

ზოგიერთი ტერმინი ქართულში, რომელიც სიტყვა კართან ან ჰიშკართანაა დაკავშირებული, როგორცაა უძველესი სახელწოდება არაგვის კარი იგივე ეკავასიონის კარი (ჰიშკარი) და სხვ., გვიან პერიოდში სიტყვა „დარის“. ფუძეზე იც-

ვლება შემდეგნაირად — დარიალან, ე. ი. ალანთა (ოსების) ჰიშკარი, ანუ დღევანდელი დარიალის კარი.

ასევე ქართული სახელწოდება „კასპის კარი“, გვიან პერიოდში შეიცვალა დარუბანდით და სხვ. ამრიგად, დარვაზა — „დარის“ ფუძეზეა წარმოშობილი, რომელიც გალავნის დიდ კარს ნიშნავს.

ზ. ედლივი ჰიშკარის შესახებ წერს:

„...ედლივი ჰიშკარის მხრიდან ჩატანებულია ჰიშკარი, რომელსაც ინგილოები დარვაზას ეძახიან და რომელიც ზევიდან კრამიტით არის დახურული. ინგილოს უდარვაზოდ გაძლება არ შეუძლია და კარმიდამოს ღიას არასოდეს არ დასტოვებს. დარვაზი ყოველთვის დახურულია და შიგნიდან ჩარაზულია“³.

დარვაზები გვხვდება, როგორც დიდი, ისე პატარა ზომის; დარვაზი მაშინაა დიდი, როდესაც იგი ოთხ სვეტზე ან გვერდებზე განივრად ამოყვანილ კედლებზეა გამართული (სურ. 12, 13, ტაბ. 8, 9, 10), ხოლო პატარა დარვაზები ორ სვეტზეა მოწყობილი (ტაბ. 11).

პატარა დარვაზების უმრავლესობა შედარებით ახალია, როგორც ირკვევა, ძველი დარვაზები ორ სვეტზე მოწყობილმა დარვაზებმა შეცვალა. თრიჯისის დარვაზა გადახურულია ბრტყელი ქართული კრამიტით (სურ. 12, 13, ტაბ. 8, 9), ზოგიერთი ძველი დარვაზა ისლითაა გადახურული (ტაბ. 10) ძველი ანუ დიდი დარვაზები თითქმის ყველა ოთხპანობიანია (სურ. 12, 13, ტაბ. 8, 9), ხოლო პატარა დარვაზები კი ორქანობიანი (სურ. 14, ტაბ. 11).

დარვაზას ტიპის გადახურული ჰიშკარის ანალოგიური სახეები გვერკველებულია ქართლ-კახეთში, სამეგრელოში, აფხაზეთში, გურიაში, იმერეთში, რაჭა-ლეჩხუმსა და საქართველოს მეზობელ ქვეყნებში. მსგავსი ტიპის გადახურული ჰიშკარები გვხვდება სხვა ქვეყნებშიც: ციმბირის ზოგიერთ მხარეში⁴, ბულგარეთში⁵, რუმინეთში⁶, სლოვაკიაში⁷ და სხვაგან.

ძველი დარვაზების ფასადის კომპოზიციის სიმეტრიულობა ხის ნაწილების დეკორატიულ-მხატვრულ

³ გ. ნ. გეხტმანი და სხვები, გეოგრაფიულ სახელწოდებთა ახსნა-განმარტება, თბილისი, 1965, გვ. 47—48.

⁴ ზ. ედლივი, დასახ. ნაშრომი, გვ. 127—128.

⁵ Е. А. Ащепков, Русское народное зодчество в Западной Сибири, 1950 стр. 65.


⁶ Димитр Димитров, Кр. Миятев и др. Краткая история Болгарской архитектуры, София, 1969, стр. 225, 317, 349.

⁷ Румынское народное искусство, Бухарест, 1955, стр. 16, 25, 26.


⁸ Словацкое народное искусство, Братислава, 1953, таблица 39, 42.

¹ ივ. ჭავჭავაძის მიხედვით, მასალები ქართული ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, I მუშავლობის ხელოვნება ძველ საქართველოში, თბილისი, 1946, გვ. 50.

² იქვე.



სურ. 14. სოფ. მწეხი. დარვაზა
(გადახურული კიშკარი)



სურ. 15. სოფ. მწეხი. დარვაზა
(გადახურული კიშკარი)

დამუშავებაში დიდი რაოდენობითაა გამოყენებული ხის ბრტყელი კაპიტელებისა და მოაჭირებისათვის დამახასიათებელი გამჟოლი ამოხერხვით მიღებული მრავალფეროვანი ჩუქურთმა (ტაბ. 12).

აღსანიშნავია, რომ საინგილოს ტერიტორიაზე მოსახლე აზერბაიჯანელები, ლეკები და აგრეთვე სხვები, დარვაზებს ისეთივე წესით და ფორმისას აშენებენ, როგორსაც ინგილოები. მათი დარვაზების შედარება ინგილოების დარვაზებთან გვარწმუნებს, რომ ისინი ერთმანეთისაგან არაფრით არ განსხვავდებიან — არც სივრცითი კომპოზიციით და არც ცალკეულ ელემენტების მხატვრული დამუშავების ხელოვნებით (სურ. 14, 15).

საინგილოს ტერიტორიაზე კატეხის ხეობაში ჩვენ მივაკვლიეთ კიდევ ერთ ფრიალ საინტერესო კიშკარის სახეს, რომელიც გაერთიანებულია სამეურნეო ან საცხოვრებელ ნაგებობასთან ერთ მთლიან კომპლექსურ ნაგებობის სახით (ტაბ. 13).

ცნობილია, რომ დასავლეთ საქართველოს (ისტორიული კოლხეთის) ტერიტორიაზე, განსაკუთრებით მაღალმთიან ზონაში (რაჭა-ლეჩხუმისა და მთიანეთის რაიონების) ზემო-იმერეთისა და ზემო სამეგრელოს გასწვრივ, აფხაზეთის მთის სოფლებამდე გვხვდება სამეურნეო ნაგებობებთან გაერთიანებული კიშკარის მეტად ორიგინალური ნიმუშები. ხშირად კიშკარი აგებულია სასიმიდესთან, ეს უკანასკნელი კიშკარის თავზეა დაშენებული ან კიდევ გვერდზეა მიშენებული (სურ. 16 ტაბ. 14).

ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ „... კიშკარი,

როგორც ეტყობა, საკმაოდ მკვიდრი ნაგებობა უნდა ყოფილიყო. ეს საყურადღებოა იმდენად, რომ ალაყაფის კარი „...ძველად, შორს რომ არ წავიდეთ, XVII და XVIII საუკუნეში, ისეთი ნაგებობა ყოფილა, რომელზედაც სასახლე შესაძლებელია მოთავსებულიყო, ამგვარად ალაყაფის კარი მთელ ნიგებობას წარმოადგენდა...“¹

განვიხილოთ „დარვაზას“ ორიგინალური ნაგებობა, რომლის ფიქსაციაც პირველად 1967 წელს მოვახდინეთ კატეხის ხეობაში, სოფ. კატეხის ჩრდილო-აღმოსავლეთით. ე. წ. ხარჩიევის კარ-მიდამოს შესასვლელთან. აქ სოფლის უმრავლესობა გამაჰმადიანებული ქართველები და წახურიდან ჩამოსახლებული ლეკებია.

გეგმაში ეს ნაგებობა ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ, ცალ-ცალკე მდებარე კვადრატული მოყვანილობის სათავსებისაგან შედგება, რომელთა შორის მოქცეულია გასასვლელი (ტაბ. 13); აღნიშნული დამოუკიდებელი სათავსები ერთ სახურავქვეშა გაერთიანებული და ერთიან სიმეტრიულ გადაწყვეტას გვაძლევს (იხ. ფსალდი).

გზის გასწვრივ, შესასვლელის სავალ დიობში კარებში კარ-მიდამოში შესასვლელი კანკალა კიშკარია გაკეთებული, იგი „... ხერხლებით იკეტება: ხერხლებს უყრიან და შერე მარჯვენა მხარის ბოძის ხერხლებში სოლებით შავრად მისჭედავენ, დილით კი ხერხლებს ისევ ჩამოყრიან ხოლმე...“² და საკიროების მემთხვევაში ისევ ჩახერხლავენ.

¹ ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 25.

² მ. ჯანაშვილი, საინგილო, თბილისი, 1910, გვ. 49.



სურ. 16. კიშკარზე დაშენებული სასიძინდე.

აღსანიშნავია, რომ კანკალა კიშკარი სულ რამდენიმე წელია დროებით დაუდგამთ, ადრე მას მუხის ხის ფიცრებისაგან შეკრული ალაყაფის დიდი ყრუ კარი ჰქონია ჩამოკიდებული. ძველი კიშკრის კარის გადარჩენილი ზოგიერთი ნაწილი ჰავლში¹ იყო შეყრილი, რომლის საინტერესო დეტალები კარის ფიცარზე და შეწყვილებულ ბოძზე არსებული „ჩაჩეკილი“ ტდობის ელემენტების სახით ქალაღზე გადავიტანეთ და თან დაერთეთ ანაზომ მასალას (ტაბ. 13 იხ. A. B. C. D)

აღნიშნული კიშკრის ნაგებობას ჯერ კიდევ შემორჩენია ძველთაძველი სახელწოდება — „ახურიანი დარვაზა“; როგორც ირკვევა, „ახური“ იგივე ახორია, რომელიც სპარსულიდანაა ქართულში შემოტანილი და ნიშნავს ბოსელს; სულხან-საბა ორბელიანსაც ასე აქვს ახსნილი; „ახხორი ქართული არ არის, ბაგას ჰქვიაო“.

ინგილოები ბოსელს „ზროზის ქოხს“ უძახიან, მგერამ ზოგიერთ სოფელში ახორის სინონიმად „ახურსაც“ ხმარობენ. ტერმინი „ახორი“ კი გავრ-

¹ ჰელი ლეკურად სხვენს ნიშნავს, ინგილოები აყარს ეძახიან.

ცლებულია მესხეთში, ჯავახეთში, ზემო ქართლში, აჭარაში და სხვ.

„ახურიანი დარვაზა“, როგორც გეგმიდანაც ჩანს, ორი განყოფილებისაგან შედგება: მარცხნივ სადგომში ბოსელია მოთავსებული, ხოლო მარჯვნივ განყოფილებაში ადრე საჩინბო (თავლა) ყოფილა მოწყობილი, ამჟამად საჩინბო გაუქმებულია და გამოყენებულია საოჯახო-სამეურნეო ინვენტარის საწყობად. აქ ინახება: მცირე ზომის კასრები („ტახკა“) ხობლისათვის, დერგები, ქოცოები, ხოკერები (ხის ქერქის ჭურჭლები), კიღობანი (კიღბანი) ყარყარა გრძელუჯლიანი კოტოშები (ქვეყრიდან ღვინის ამოსაღები), საღვებელა, „უურხნი ნავი“ (საწნეხელი) და სხვ.


აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ 1950—60 წლების მანძილზე ძველი დარვაზები თითქმის ყველგან აყარეს და შეცვალეს ქალაქურ ყაიდაზე დამზადებული რკინის კიშკრებით. ქალაქური ტიპის რკინის კიშკრების გავრცელებამ საერთოდ კიშკრის გადახურვის ტრადიციაც განდევნა განახლებული საკოლმეურნეო სოფლის ცხოვრებიდან. როგორც ირკვევა, „ახურიანი დარვაზები“ კიდევ უფრო ადრე გამქრალა და იგი ორ სვეტზე გადახურულ დარვაზებს შეუცვლია.

„ახურიანი დარვაზების“ ნაშეები კიდევ ბევრ ადგილასაა დღემდე შემორჩენილი. როგორც ირკვევა, „ახურიანი დარვაზის“ ერთ-ერთ განუყოფელ სადგომს ბოსელი ან საჩინბო წარმოადგენდა. დამწმენდილი აგრეთვე ისეთი შემთხვევები, როდესაც ბოსლის გარდა მეორე განყოფილება მარანს ან საცხოვრებელს ეკავა.


ღიდ ინტერესს იწვევს აგრეთვე კიშკარზე დაშენებული ნაგებობის სახე, რომელსაც ქორედიანი კიშკრის ერთ-ერთ უძველეს ნიმუშად ვთვლით. იგი დღემდე შემორჩენილია ფიფინეთის ხეობის სოფლებში.

ქორედიანი კიშკარი, ჩვენი აზრით, ქართულ წყაროებში მოხსენებული დღემდე უცნობი ბჰის ნაგებობის ერთ-ერთი სახე უნდა იყოს, რომელიც ძველი კარ-მიდამოს კიშკრის თავზე დაშენებულ მკვიდრ ნაგებობას წარმოადგენს (კიშკარზე დაშენებული ქორელი — надвратное сооружение). მისი ტიპური ნიმუში ჩვენს შიერ ფიქსირებულ იქნა 1968 წ. სოფ. ქვემო ფიფინეთში, ყოფილ ანდრონიკანთქარის ე. წ. უბნურ დასახლებაში.

ბჰის ნაგებობის ქვედა სართული კიშკრის გასასვლელს უკავია (ტაბ. 15). ბჰის ქვედა სართული თანდათანობით განიცდის განვითარებას — კიშკრის მარჯვნივ ან მარცხნივ ჩნდება სამეურნეო დანიშნულების სათავსო-ბოსელი ან თავლა



სურ. 17. კარიბჭის ნაგებობა—„ქორედიანი კიშკარი“



სურ. 18. კარიბჭის ნაგებობა, საერთო ხედი ეზოდან

(ტაბ. 16, 17, სურ. 17, 18). შემდეგში მისი ზედა სართული საცხოვრებლის სახეს იღებს.

აღნიშნული ანაზომი და ფორტომასალა უფლებას გვაძლევს გამოვთქვათ აზრი, რომ „ახურიანი დარვაზები“ დღემდე უცნობი ალაყაფის ნაგებობის უძველეს ნიმუშებს წარმოადგენენ. მათ ჩვენ მხოლოდ ალაყაფის კარებით ვიცნობდით (ჭიშკრის სახით), ხოლო კიშკარზე დაშენებული ნაგებობა (ნადვრთნოე სოორუჟენიე)— ქორედიანი კიშკარი, საუკუნეების მანძილზე მხოლოდ ტერმინ „ბჭის კარის“ სახით იყო ცნობილი, რომელიც უძველეს საქართველოში გავრცელებული ბჭის ნაგებობა უნდა იყოს.

აქვე შევნიშნავთ, რომ ალაყაფისა და ბჭის ნაგებობის კომპოზიციაში მთავარ ხუროთმოძღვრულ ელემენტს წარმოადგენს გასასვლელი ღიობები, რომელთა გადახურვაც გხედება, როგორც არქიტრაული, ისე, უმეტეს შემთხვევაში, ნახევარწრივხაზული, ან კიდევ შეისრული მოყვანილობის თაღებით (სურ. 17, 18, ტაბ. 15, 16).


ალაყაფისა და ბჭის ნაგებობათა ფორმები განვითარების მაღალ საფეხურს აღწევენ XVI—XVIII საუკუნეებში, რომლის შემდეგ თანდათანობით იწყება მათი დეგრადაცია ბჭის დაჩინებული მას წარმოადგენს მათი დანგრევის შემდეგ გადარჩენილი თაღოვანი ანუ არქიტრაული ღიობები. აღსანიშნავია, რომ გადარჩენილი ფრაგმენტებიდან ყველაზე თაღური ღიობია გადარჩენილი. ეს ფაქტი შემთხვევითი არაა; მას აქვს თავისი ლოგიკური გამართლება.

როგორც ჩანს, თაღმა უფრო გაუძლო ეპიმა დინებას, ვიდრე არქიტრაულმა ზღუდარმა. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც დროშოკმულობის გამო იღებენ (ანგრევენ) ბჭეს. კარ-მიდამოს ზღუდის გასწვრივ მდებარე ბჭის გარეთა თაღდატანებული კედელი, თითქმის ყველაგან ხელუხლებელადაა შენარჩუნებული და გამაგრებული.

ბჭემ ილი ხანია დაკარგა თავისი ფუნქცია, რის გამოც მისი ხუროთმოძღვრული ფორმაც ამოსაცნობი გახდა. ბჭის ნანგრევებიდან ყველაგან შემორჩენილია მხოლოდ მისი შესასვლელი ღიობი.

კარ-მიდამოზე ბჭის კარს თავისი დანიშნულება არ დაუკარგავს. იგი, როგორც ბჭის მთავარი ელემენტი, თვით გადაიქცა დამოუკიდებელ საკარმიდამო ნაგებობად, რომელმაც თანდათანობით განვითარებული ფორმა მიიღო — კიშკრის ანუ დარვაზას სახით, რაც ახალი ცხოვრების მოთხოვნილებათა საფუძველზე დღესაც განიცდის ფორმათა ცვალებადობას.

გვიან პერიოდში, XVIII ს. დასასრულიდან XIX საუკუნემდე ბჭის კარმა ყველაზე განვითარებული სივრცობრივი ფორმა მიიღო „ტრიუმფალური“ თა-



სურ. 19. სოფ. კატეხი. დარვაზა („ტრიუმფალური“ ქიშკარი) მემამულის კარ-მიდამოზე.

დის“ სახით, რომელსაც „კარი-ბუკე“ ანუ „ბუკეი“ დაერქვა. იგი ვახდა განსაკუთრებით ფეოდალთა და შიქლებელთა კარ-მიდამოს დამამშვენიებელი ცენტრალური ობიექტი. ძველ ტრადიციებით აგებული ერთ-ერთი ასეთი ტრიუმფალური თაღოვანი ქიშკარი (დარვაზა) შემორჩენილია ჩვენს დრომდე სოფ. კატეხში (სურ. 19).

მას ტრიუმფალურ იერს ანიჭებს რთულწახანაგოვან პილონებზე მოხდენილად დაბჯენილი ნახევრადწრიული შოყვანილობის თაღი, აღნიშნული კარიბჭის ანუ დიდი დარვაზას ფასადი სწორკუთხედშია მოქცეული და სივრტილი გადაწყვეტის საუკეთესო ნიმუშს გვაძლევს.


იგი აგებულია კარგად გამომწვარი წითელი კვადრატული (22X22 სმ) აგურისაგან, კირის ხსნარზე, როგორც წყობის ნახელავიდან ჩანს, მისი მშენებელი ოსტატი კარგადაა დაუფლებული აგურის დეკორაციული წყობის ხელოვნებას. აგურებს შორის კირის ხსნარის თეთრი სქელი ნაყერები, მხატვრულ შტრიხებადაა გამოყენებული აგურის ნარინჯოვან და ოდნავ ლაყვაროვან მუქ ფერებთან (სურ. 19).

ფასადის კომპოზიციის მხატვრულ დამუშავებაში გამოყენებულია ტრადიციული ქართული დეკორაციული ელემენტები. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა თაღის ზედა არშიის მარჯვენა და მარცხენა მხარეს აგურის წყობაში მაღალი რელიეფით გამოყვანილი წრიული ელემენტები და სხვადასხვა სახის სამკაული. კარიბჭის ღარისებრი კრამიტით გადახურვა აგვირგვინებს ამ კომპოზიციას.

ამრიგად, საკარმიდამო დარვაზების თანდათანობითი განვითარების გზით ჩამოყალიბდა თალიანი „კარიბჭის“ არქიტექტურულ-სივრცობრივი ფორმა (სურ. 19). აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ნახევარწრიული თაღი ქართული მონუმენტური ძეგლების შესასვლელების — პორტალების ზუროთმომდგრული კომპოზიციის ერთ-ერთი ძირითადი ელემენტია¹.

ბრტყელი კვადრატული აგურისაგან შეკრული მეტ-ნაკლები სიდიდის მსგავსი თაღები, ფართოდაა გავრცელებული, როგორც აზერბაიჯანის, ისე

¹ ც. გაბაშვილი, პორტალები ქართულ არქიტექტურაში, თბილისი, 1955, იხ. ტაბულები.



სურ. 20. სიღნაღი. აღმოსავლეთის „ჭიშკარი“ („ტრიუმფალური“ თალი), საერთო ხელი ჰერეთის გზიდან.


საქართველოს მიწა-წყალზე. იგი გვხვდება, აგრეთვე, როგორც ძველი სამშენებლო ტექნიკის საუკეთესო ნიმუში შაგზაო ხიდებისა და ძველი ქალაქების გალავანთა კარიბჭეების ნაგებობებში; ქალაქის გალავნის კარიბჭეები ხშირად გამაგრებულია საბრძოლო კოშკებით. ამის საუკუთესო მაგალითს წარმოადგენს ძველი სიღნაღის გალავნის ერთ-ერთი დიდთლიანი გასასვლელი კარიბჭე (სურ. 20).

დარვაზას და მის მსგავს ნაგებობათა პარალელების შესახებ ზემოთ უკვე გავკრით გვექონდა საუბარი, მაგრამ ამ ნაგებობათა მიმოხილვის შემდეგ საჭიროდ მიგვაჩნია კიდევ ერთხელ დაეუბრუნდეთ ამ საკითხს.

საყურადღებოა, რომ ოთხ სვეტზე მოწყობილი დარვაზები თავიანთი კონსტრუქციული და არქიტექტურული გადაწყვეტით თვალნათლივ წარმოგვადგენს დასავლეთ საქართველოში გავრცელებულ იმ ჭიშკრის (ალაყაფის) ფორმას, რომლის ნატურიდან საერთო ასახულობის ჩანახატი ჭერ კიდევ XVII ს. იტალიელმა მისიონერმა, მხატვარმა ქრისტეფორე კასტელმა დაფიქტოვა (სურ. 21). მისი თანამემამულის მისიონერ არქანჯელო ლამბერტის ცნობით მთელ სამეგრელოში კარ-მიდამოს მთავარ „შესასვლელთან დგამენ დიდ ალაყაფის

კარებს, რომელიც გამაგრებულია კოშკებით და დიდი ხეებით“¹...

დიდ ინტერესს იწვევს აგრეთვე დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე დღემდე შემორჩენილი



სურ. 21. დარვაზას ტიპის გადახრული ჭიშკარი (XVII ს.) ქრ. კასტელის მისიონერით.

¹ არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, თბილისი, 1938, გვ. 35.

ოთხ სვეტზე გაბართული გადახურული ხის ჭიშკარების ნაგებობანი, რომლებიც დარვაზას ტიპის ჭიშკარის ნაგებობას წარმოადგენენ (სურ. 22, ტაბ 15, შდრ. ტაბ. 8, 9, 10). მოხუცი ინგილოს ცნობით „ძველად საინგილოში ყველგან ხის დარვაზებზე ჭიშკრით დადგმული, რომლებიც სულ ნაყიშ-შაბა-ქებით ყოფილა დაფარული“¹.

საინგილოს მიწა-წყალზე, ჩვენ მიერ ფიქსირებულ ახურიან ჭიშკარებს, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ალაყაფის დამოუკიდებელი ნაგებობის ერთ-ერთ უძველეს სახედ ვვლით.

როგორც უკვე აღვნიშნეთ ალაყაფის მსგავსი ახორიანი ჭიშკარები ფართოდ ყოფილა გავრცელებული დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზედაც ე. წ. „შუა დერეფნიანი“ (გასასვლელი ღია ფარდულით). შეიძლება ითქვას, ისინი საინგილოში შემორჩენილ ალაყაფის ნაგებობის იდენტურ ტიპებს წარმოადგენენ (ტაბ. 13 შდრ. სურ. 23).

სოფ. ჩარჩეში (გალის რ-ნი) ფიქსირებული გადახურული ჭიშკარი დარვაზას ტიპის ნაგებობას მოგვაგონებს. იგი მარჯვნივ მიშენებულ სასამინდესთანაა ერთი სახურავის ქვეშ გაერთიანებული, რომელიც წარმოადგენს დარვაზასა და ალაყაფის ნაგებობის განვითარების გარდამავალი ეტაპის დამახასიათებელ ობიექტს (ტაბ. 14)².

ამრიგად, სოფ. კუბუხინიში (გალის რ-ნი) დღემდე შემორჩენილი ორგანოვანი „შუა დერეფნიანი“ ნაგებობა (სურ. 23) სოფ. კაბეში ფიქსირებული ალაყაფის ნაგებობის ნამდვილი ასლია (ტაბ. 13). იგი შედგება ორი განცალკევებული სათავსოსაგან, მათ შორის ღია გადახურული გასასვლელით; ეს სათავსოები ერთი სახურავის ქვეშა მოქცეული და ერთ დასრულებულ მოცულობით ფორმას წარმოადგენს (სურ. 23).

სოფ. ჭვარში (წალენჯიხის რ-ნი) სოფ. ჭალაში (იმერეთში) და სოფ. პერეში (საჩხერის რ-ნი) დღემდე შემორჩენილი და ჩვენს მიერ შესწავლილი ანალოგიური ნაგებობები გვეგმის ვადაწყვეტისა და სივრცობრივი ფორმის მიხედვით ზუსტად წარმოადგენს ძველებისაგან თითქმის არაფრით არ განსხვავებულნი.

„ალაყაფის“ გვეგმისა და ფასადის კომპოზიციური

¹ სოფელ კახ-ინგილოს მკვიდრის 90 წლის ს. დუაშვილის ნაშრომი (1955).

² ი. ა. დ. ა. მ. ი. ა. ქართული ხალხური ხუროთმოძღვრება, თბილისი, 1968, გვ. 79—85.

³ ი. ა. დ. ა. მ. ი. ა. ხალხური ხუროთმოძღვრების ზოგიერთ ნიმუში შდ. ევროპის ზემოდინების ხეობაში, ძველის მეგობარი, № 12, თბილისი, 1967, გვ. 43-45.

⁴ თ. ჩ. ბ. კ. ვ. ა. ნ. მთიური ქარგული ქართულ-კავკასიური ეთნოგრაფიული მასალის შუქზე (კავკასიის ეთნოგრაფიული კრებული, თბილისი, 1969, გვ. 11-12).

⁵ А. М. И. л. е. р., Черкесские постройки, Материалы по этнографии России, том. II, 1914, стр. 74—76.




სურ. 22. დარვაზას ტიპის გადახურული ხის ჭიშკარი სოფ. კურხულან (გვეგვიკარის რაიონი).

სქემის ანალოგიურ ნაგებობებს უნდა მივაკუთვნოთ აგრეთვე აჭარის მთიანეთში იალაღებზე არსებული სამეურნეო ნაგებობის ერთ-ერთი სახე, რომელიც „ძირითული ჯარგვალის“ სახელწოდებითაა ცნობილი³; ანალოგიური გვეგმის კომპოზიციას წარმოადგენენ „მესხური ქოხებიც“.


ამგვარად, „ალაყაფის ნაგებობის“ გეოგრაფიული გავრცელების არე შორს სცილდება საქართველოს საზღვრებს. იდენტური კომპოზიციის საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები ფართოდ ყოფილა აგრეთვე გავრცელებული საქართველოს მეზობელი ხალხების — ჩერქეზებისა და ყაბარღელთა ხალხურ ნაგებობებში⁴ (სურ. 24).

შედარებითი ანალიზი ამ ობიექტებისა გვიჩვენებს, რომ ჩერქეზების „გრძელი სახლის“ გვეგმის კომპოზიციის არ განსხვავდება ალაყაფისა და ძველ კოლხეთში გავრცელებული ზემოხსენებული მისი იდენტური ტიპის ნაგებობებისაგან (ტაბ. 13 შდრ. სურ. 23, 24).

ყვინდა რამდენიმე სიტყვით შევეხოთ აგრეთვე ბჰის ნაგებობების (надвратное сооружение) პარალელების არსებობისა და გავრცელების საკითხსაც. დასავლეთ საქართველოში, ძველი კოლხეთის ტერიტორიაზე ძველი დროიდანვე ფართოდ ყოფილა გავრცელებული ბჰის ნაგებობის სხვადასხვა სახე.



სურ. 23. სოფ. კუბურხინჩი (გალის რაიონი).
 „გრძელი სახლი“ შუაში გასასვლელი—ღერეფან-ფარღულით



სურ. 24. ჩერქეზების „გრძელი სახლი“ — ბოსელი, გეგმა (ა. მილერის მიხედვით).

ზემოთქმულის დასადასტურებლად ერთხელ კიდევ საჭიროა დავეუბრუნდეთ იტალიელი მხატვრის ქრისტეფორე კასტელის ალბომში წარმოდგენილ ჩანახატებს, რომელთა შორის განსაკუთრებულ

ყურადღებას იმსახურებს სხვადასხვა დანიშნულების სამეურნეო ნაგებობათა ნიმუშები. მათ შორის უნდა გამოეყოთ XVII ს. ორი ჩანახატი (სურ. 25, ნახ. 1, 2, და 3)¹. რომლებშიც მკაფიოდ ჩანს კარ-შიდამოს მთავარ შესასვლელში დადგმული ორსართულიანი ნაგებობა. პირველი სართული ჩვეულებრივ ესოში შესასვლელ დარჯაზასებრ გასასვლელს წარმოადგენს, ხოლო მეორე სართული დაშენებულია გასასვლელ-ჭიშკარზე.

ზემოთ მითითებული ქრ. კასტელის ჩანახატები ბევრ ნაგებობების ერთ-ერთ უძველეს სახედ გვაქვს ამოცნობილი, რომელთა გადმონაშთები, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, დასავლეთ საქართველოში დღემდე შემორჩენილი ჭიშკარზე დადგმული სასიმიინდეების ნიმუშები უნდა იყოს.



მაგისტრალური უარაგზები და სოფლის მუხაბი

საინგილოს სოციალურ-ეკონომიური და კულტურული ცხოვრების განვითარებისათვის, უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა იმ ისტორიულ სატრანსიტო-საევაკრო გზებს, რომლებიც ჰერეთის ტერიტორიის გავლით აკავშირებდნენ ერთმანეთთან აღმოსავლ-

თის ქვეყნებს; ამ გზებით გადაჰქონდათ სავაჭრო საქონელი სხვადასხვა ქვეყანაში.

წარმოებდა მკიდრო კულტურული ურთიერთობა

¹ ქრ. კასტელი XVII ს. (ალბომი), რომი, 1906, იხ. კოლხური სეკარმიდამო ბჰის ნაგებობა.



სურ. 25. კიშკაჩზე დაშენებული ნაგებობათა (კარიბჭის) პროტოტიპები კოლხურ კარ-მიდამოებზე (XVII) ს.

იმდროინდელ განვითარებულ მეზობელ და შორეულ ქვეყნებთან. საქართველოს კულტურა სწორედ ამ გზებით გადიოდა უცხოეთში.

„მიმოსვლის და აღებმაცემობის გზები იყო აგრეთვე ის თვალსაჩინო ძალა, რომელიც, ერთი მხრივ საქართველოს მრავალ კუთხეს ერთი ერთმანეთს უახლოვებდა და აერთებდა, მეორე მხრივ, უცხოეთის გავლენა, პოლიტიკური თუ სულიერი, შემოჰქონდა, რომლითაც სამაგიეროდ საქართველოს გავლენაც ვრცელდებოდა მეზობელს და შორეულს ერებსა და სამეფოებზე“¹.

წერილობითი წყაროებით ირკვევა, რომ პეტრეთის ტერიტორია, როგორც საქართველოს ერთ-ერთი მოწინავე მხარე, უძველესი დროიდან უამრავი შარაგზებით ყოფილა დაქსელილი: ისტორიამ შემოგვინახა უძველესი გზების სახელები, რომლებიც დაახლოებით აუსტებენ მათ მიმართულებასა და დანიშნულებას.

იბერიიდან ალბანეთში მიმავალი გზა სტრაბონის „გეოგრაფიაში“ ასეა დახასიათებული: „შესასვლელი იბერიიდან ალბანიაში არის უწყლო და ოღრო-ჩოღრო კომბიზენზე, რომელიც მდ. ალაზონისასთანა არის“²; ამ გზით ალბანეთი უკავშირდებოდა იბერიას, ხოლო შემდეგ კოლხეთის ტერიტორიას.

სტრაბონის მიერ ზემოაღწერილი გზა, რომელიც იბერიიდან შედიოდა ჰერეთში, ნაწილი იყო იმ დიდი გზისა, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია ფასიდ-პირკანის (ფაზის-კასპის) სახელით; ხსენებული გზის ტრასაზე მდებარეობდა ისტორიული ქალაქები: ხორანთა, ხორნაბუჯი (ჭოთი); მოგვიანო ხანაში აღნიშნული გზის ტრასაზე წარმოიშვა ისეთი ცნობილი ქალაქი, როგორიცაა ზაგვი (ზაზარი) და სხვ.

„უკვე აღრე ელინისტურ ხანაში, აღნიშნული გზა ე. წ. ფასიდ-პირკანის დიდი სავაჭრო-სატრანზიტო

¹ ივ. ჯავახიშვილი, ქართველთა ისტორია, წიგნი მეორე, თბილისი, 1948, გვ. 64.

² თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, თბილისი, 1957, გვ. 134.

მაგისტრალის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მონაკვეთად არის გადაქცეული. ეს მსოფლიო მნიშვნელობის დიდი სავაჭრო-სატრანზიტო გზა კი, როგორც ცნობილია, ინდოეთიდან მოემართება¹.

ჰერეთის ტერიტორიაზე გამავალი გზებიდან ცნობილია აგრეთვე ერთ-ერთი უძველესი გზა, ე. წ. „გზა ბელაქნისა“, რომლის შესახებ „ქართლის ცხოვრების“ ფურცლებზე აღნიშნულია, რომ „...განელეს კამბეჩიანი, კახეთი... და წარვიდეს გზასა ბელაქნისასა“². ამ გზის ძველი ტრასის დაზუსტებაში დიდი დახმარების გაწევა შეუძლია ზემოთ-მომოხილულ „კავკასიის დიდი გალავნის“ ნაგებობის ნაშთებს. ჩვენი აზრით, ბელაქნის გზის უძველესი ტრასა ზემოხსენებულ კავკასიის გალავნის მიმართულებას უნდა გაჰყოლოდა. ამას ისიც ადასტურებს, რომ კავკასიის დიდი გალავნის არქეოლოგიური გათხრების დროს (1936 წ.) აღმოჩენილი იქნა აგრეთვე უძველესი ქვის ხიდის ნაშთები³, რაც აშკარად დიდი გზის არსებობას მოწმობს, რომელიც ზედ ამ ხიდზე გადიოდა და გაივლიდა ძველ ქ. ნუხატს (თანამედროვე — ქ. შაქი), რომლის შემდეგ გზა დარუბანდისაკენ მიემართებოდა.

მთავარ მაგისტრალურ გზებს, რა თქმა უნდა, განშტოებებიც უნდა ჰქონოდა შიდა სამომოსვლო გზების სახით. ეს გზები კი ძველი ჰერეთის რაიონებს ერთმანეთთან და ასევე მეზობელ ქვეყნებთან დაკავშირებდა.

უძველესი შიდა სამომოსვლო გზებიდან ცნობილია გზა წუქეთისა. „იგი ალაზნის ველიდან იწყებოდა, მიუყვებოდა მდ. ქურუმუხის ხეობას და კახელის-სარუბანის გზით წახურის ხეობაში გადადიოდა“⁴.

არსებობდა აგრეთვე „გზა ლეკეთისა“, „გზა ჭარისა“, „გზა წახურისა“, „გზა კაკ-ლექართისა“, „გზა ზაგემისა“, „გზა მუხახისა“ და სხვ... ამრიგად, ზემოხსენებული სახელწოდების მქონე მთავარი და დამხმარე გზები ის სასიცოცხლო არტერია იყო, რომელიც გამოხატავდა ძველი ჰერეთის მღვლავარ ცხოვრების მაქსიმუმს.

გარეშე მტრთა განუწყვეტელი შემოსევების პერიოდში, სახელდობრ ჰერეთის სამთავროს დაცემის ხანიდან საინგილოს გზების თითქმის უმეტესი ნაწილი, განსაკუთრებით შიდა სამომოსვლო გზები სრულიად მოიშალა და უძველეს ნასახლარებთან ერთად ტყე-ჩაგნარით დაიფარა. „აქაურ

გზებს ლეკები დღესაც „გურჯი იოლს“ ეძახიან, რაც ნიშნავს ქართველთა გზას, მაგრამ იმათგან ახლა მხოლოდ ბილიკებია დარჩენილი“⁵.

მაღალი მთის ზონის გზებს: ლეკეთისას, ჭარისას, წახურისას და მუხახისას მრავალი ვიწრობილიცაა ვინაიან განშტოებები ჰქონია; ზემოხსენებული ბილიკები, როგორც აღვნიშნეთ, საუკუნეების მანძილზე ჯაგნახსა და ნარ-ეკლებს დაუფარავს და მივიწყებას მისცემია.

მუხახის ხეობაში დღესაც დარჩენილია ფრიალო კლდეებსა და ვიწროებში გასასვლო უძველესი ნაბილიკარი ადგილების კვალი, ალბათ ამ ბილიკებით „...მიყავდით გატაცებული ტყვე ქართველები, მიჰქონდათ ნადავლი, ქონება, საქონელი და სხვა“⁶.

ხალხის მესიერებას ჩვენ დრომდე შემოუნახავს გადმოცემა, რომლის მიხედვით ტყვედ ჩავარდნილი დიდი ქართველი პოეტი დავით გურამიშვილი ლეკებს მუხახის ხეობის ბილიკებით გაუტაციათ დაღესტნის მხარეში.

ყურადღებას იქცევს აღნიშნული ბილიკების ტოპოგრაფიული დახასიათება, რომელიც ზ. ედილის აქვს მოცემული: „ბილიკები უმაღლეს ფერდობს გვერდით მისდევს, ეს ფერდობი ხელოვნურად გამოჭრილია, გამოთხრილია ისეთნაირად, რომ გზას ზევიდან უხარმაზარი კლდის ლოდები გადმოკიდებიან და ჩამოქცევა-ჩამონგრევას აპირებენ... არა ჩვეულებრივი ტიპის ფარაგლებს გასცილდება. ასწლოვანი წიფლის ხეები უღრან ტყეების შვილნი აყუდებიან ამ ბილიკებს და დაუფარავთ იგი“⁷.

ბილიკი საინგილოს მთის ზონის უძველესი გზების ერთ-ერთ დამახასიათებელ სახეობას წარმოადგენს. არა მარტო საინგილოში, არამედ მთელ საქართველოში გზების ამ სახეობის ნიმუშები უძველესი დროიდანაა ცნობილი კავკასიონის სამხრეთ ფერდობების დასახლების სისტემაში.

სულხან-საბა ორბელიანი იძლევა გზა-ბილიკების შემდეგ კლასიფიკაციას: „გზა არს ზომიერი კაცთა სავალი. ხოლო შიდა ვრცელი და ბილიკი ვიწრო. ხოლო ქაშანი შაბნართა ანუ თოვლთა ზედა გატყეცილი სავალი და წაყარნა კლდეთა ზედა ვიწრო რამე ნადირთა წარსავალი“.

ჩვენი გამოკვლევისათვის დიდი მნიშვნელობა ეძლევა სოფლური დასახლების გვეგმარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ელემენტებს, შიდა სამომოსვლო გზებს, რომლებიც სოფლურ დასახლებას ერთმანეთთან აკავშირებენ.

ქ უ რ ე ბ ი. შიდა სამომოსვლო გზებიდან ცალკე

⁵ დ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, ეურნ. მოგზაური, 1901, № 11.
⁶ ზ. ე დ ი ლ ი, საინგილო, 1947, გვ. 15—16.
⁷ ი კ ე ვ ე, გვ. 16—17.

¹ თ. პ ა პ უ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 349.
² ქართლის ცხოვრება, ტ. II, თბილისი, 1959, გვ. 252.
³ E. A. Пахомов, დასახ. ნაშრ., გვ. 349.
⁴ პახომოვა მამინ ვერ დადგინა, აღნიშნული ხიდის ნაშთები კავკასიის კედელთან იყო დაკავშირებული თუ შემდეგ იყო დამოუკიდებლად აგებული. როგორც ჩანს, ამ გზის არსებობა მხედველობიდან გამორჩენია.
⁵ თ. პ ა პ უ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 349.



სურ. 26. ისტორიული კაკლის ხეივანის საერთო ხედი, ლაგოდეხ-ნუხის გზაზე.

უნდა გამოვეყოთ ძველი სოფლური დასახლების სისტემაში შემავალი გზები; მათ შორის ვარჩევთ შემდეგ სახეებს: ფლორცები ანუ ქუჩები, რომლებიც აკავშირებენ გვარებად დასახლებულ უბნებს; ქუჩაბანდები ანუ შუკები, რომლებიც აკავშირს ამყარებენ ცალკეულ კარ-მიდამოთა შორის; და სოფლის მთავარი ქუჩები, რომლებიც უკავშირდებიან სოფლის ცენტრალურ ნაწილს, ასევე მთავარ მაგისტრალურ შარაგზებს და სხვ. აქვე უნდა დავძინოთ, რომ შიდა სამიმოსვლო სასოფლო გზების ერთ-ერთი საყურადღებო ელემენტია ქუჩის ორივე მხარეს მოწყობილი არხები, სადაც გამუდმებით მიედინება ანკარა წყალი. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა სოფლების ალიაბადისა და კახ-ინგილოს შიდა სასოფლო გზატკეცილები, რომელშიც „...თავით ბოლომდის ნაპირებში“ ...მიედინება წყალი...¹

ისტორიული კაკლის ხეივანი. საინგილოს სოფლები, რომლებიც ძირითადად ველისა და მთის ძირის სანაპირო ზონაშია მოქცეული, დაქსელილია საუკეთესო გზატკეცილებით. აქაური გზების შესახებ 1901 წელს ჟურნალ „მოგზაურში“ დიმიტრი

ჯანაშვილი წერდა, „ვეგონებ მთელს რუსეთის იმპერიაში არც ერთი კუთხე არ არის ასრე შემკობილი კარგის გზატკეცილებით, როგორც ზაქათლის ოლქი. ვაზაფხულობით ამ გზაზე სიარული მეტისმეტად სასიამოვნოა და გაპრობი მგზავრისა“².

ხსენებული გზატკეცილების ერთ-ერთ ორგანულ ელემენტს წარმოადგენს მწკრივად დარგული საჩრდილობელი ხეები, რომლებიც გზის ორივე მხარეს მიჰყვება მთელ სიგრძეზე. გზებზე საჩრდილობელი ხეების მწკრივად დარგვის ტრადიცია საქართველოში უძველესი დროიდან მომდინარეობს. გზის ამ ელემენტს ინგილოურად „სავარილო“ ჰქვია.

ასეთი სახის უძველესი ხეივანი გზატკეცილი დღემდე შემორჩენილია ლაგოდეხ — ნუხის (შექის) და კახ-ლექართის ტრასაზე „ამ გზატკეცილებს ორივე მხრივ ჩამწკრივებული აქვთ კაკლის დიდრონი ხეები... ეს ლამაზი ხეივანი იწყება გასცილებით თუ არა კახეთის უკანასკნელ სოფელს, ლაგოდეხს, და მიდის ქალაქ შექის მიჯნამდის, ე. ი. გაჭიმულია 120 კილომეტრის მანძილზე“³.

¹ დ. ჯანაშვილი, დასახ. ნაშრ., ეურნ. მოგზაური, 1901 წ., № 6, 7, გვ. 557.

² ზ. ედილი, დასახ. ნაშრ., გვ. 4.

¹ მ. გულისაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 73.



სურ. 27. ისტორიული კაკლის ხეივნის გაჩანაგებულ ადგილებზე ლაგოდეხ-ნუხის გზაზე.

მართლაც შეიძლება აღიარებულ იქნას დენდროლოგიურ ძეგლად, რომლის ხნოვანება ას წელიწადს აღემატება (სურ. 26).

ახალი თანამედროვე ტიპის გზის ტრასის გაყვანამ (1960—1968), რომელიც თითქმის ძველი გზის პარალელურად მიემართება, ძველ გზას ჩამოაცილა მთავარი გზის (ადრინდელი) მნიშვნელობა, რის გამოც ისტორიული კაკლის ხეივანიც ჩანაგდება (სურ. 27).

კაკ-ლეკართის გზატკეცილზე ჩვენს დრომდე შემორჩენილია აგრეთვე ანალოგიური ძველი ხეივანი, რომელიც შედარებით უფრო კარგადაა დაცული და მზრუნველობაც არ აკლია (სურ. 28). ისიც დაახლოებით ლაგოდეხ-ნუხის კაკლის ხეივნის ასაკისაა.

ინტერესს იწვევს ლაგოდეხ-ნუხის გზატკეცილის ტრასაზე ხეივნის ზოგიერთი ადგილის ხალხური სახელები, ასე მაგალითად: ბერთინა, დედოფლის წყარო, ცარგვალი, ქათმის ხევი, ანუ სისხლის დეღე და სხვ.

დედოფლის წყარო ვახუშტი ბაგრატიონის რუკაზე აღნიშნულია მცირე ალაზნის მარცხენა ნაპირიდან დაახლოებით ოცდაათი კილომეტრის მანძილზე (სურ. 1), რაც ფასილ-ჰირკანიის გზატკეცილის ტრასის ახლოს უნდა ყოფილიყო. ხოლო ბერთინას მდებარეობა ჯერ კიდევ დაზუსტებული არაა.

XIX ს. მეორე ნახევარამდე ლაგოდეხ-ნუხის გზას „...სულ სხვა მიმართულება ჰქონდა: ნუკრიანიდამ (სიღნაღის უბანია) მოდიოდა, დედოფლის წყაროს (თურქურმიშას) იქიდან ჩამოდიოდა ალაზნის მარჯვენა კიდეზე, ვადიოდა აღმალოს ხილზე და მიდიოდა ქალაქ ნუხს“².

დღევანდელი ლაგოდეხ-ნუხის გზატკეცილის ხეივნის ის ადგილი, სადაც შიდაც სასოფლო გზა მარჯნეი უხვევს და მიემართება დედოფლის წყაროსაკენ, ეჭვს არ იწვევს, რომ ამ გადასახვევი გზის გამო მისივე სახელს ატარებს.

ხეივნის ის უბანი, რომელსაც ცარგვალი ეწოდება, შეიძლება ითქვას, მთლიანად გაჩანაგებულია. დღემდე აქ მხოლოდ შვიდი-რვა ძირი კაკლის ხეა შემორჩენილი. თუ რატომ ჰქვია ამ ადგილს ცარგვალი, ამის შესახებ არაფერია ცნობილი, სოფ. მაწახის ბოლოს დიდ მანძილზე წყდება მწვანე ხეივანი და მის ვაგროქმებაზე კანტოქუნტალდა გვხვდება გადაჩეხილი ხის ძირების ნაშთები.

გზის ამ უბანზე ზაქათალისაკენ მიმავალი მგზავრის წინაშე ცის ფონზე აშკარად იხატება ხეივნის „მწვანე თაღის“ სილუეტი. ხეივნის დასალიერთან ერთმანეთის მოპირდაპირე ხეების მსხვილი ტოტე-

გარეშე მტრების მიერ მრავალგზის აოხრებულ საინგილოს მოსახლეობას მშვიდობიანი ცხოვრების საშუალება მიეცა მხოლოდ რუსეთ-საქართველოს ჯარების მიერ მისი განთავისუფლების პერიოდიდან; XIX საუკუნის დასაწყისიდან იწყება ძველი შარავნების აღდგენის ცდები და ახალი გზების გაყვანის აუცილებლობა, რომელსაც უდიდესი სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა ქვეყნის აღორძინებისათვის.

ლაგოდეხ ნუხის (შექის) გზა განახლებულ იქნა ასი წლის წინათ ადგილობრივი მოსახლეობის მიერ.

„იგი მშვენივრად არის ნაკეთი 1873 წელს გლეხებისაგან. გზის აქეთ-იქით თხრილებია და აქვს დარგული კაკლის ხეები ექვსიოდენ საყენის მანძილზე თვითეული“¹.

ამრიგად, ლაგოდეხ-შექის გზის ტრასაზე ჩვენ დრომდე მოღწეული ისტორიული „კაკლის ხეივანი“, რომელიც ბუნებისა და ადამიანის ერთობლივი შემოქმედების ნაყოფს წარმოადგენს, კვ-

¹ დ. ჭანაშვილი, დასახ. ნაშრ., თურნ. მოგზაური, 1961, № 6, 7, გვ. 557.

² მ. ჭანაშვილი, საინგილო, თბილისი, 1910, გვ. 5.



სურ. 28. კაკლის ხეივნის სერთო ხედი კახ-ლექართოს გზაზე.



სურ. 29. კაკლის ხეივნის ბუნებრივი „მწვანე-თალი“ — „ტარგვალი“, ლაგოდეხ-ნუხის გზაზე.

ბი ისეა ერთმანეთში ბუნებრივად ჩახვეული, რომ ნახევარი წრეხაზის ფორმა აქვს მიღებული. შორიდან იგი მნახველზე ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, თითქოს ცაზე მწვანე კამარის თარგი იყოს გამოკვეთილი (სურ. 29). მართლაც, აქ ხევინის „თალიდან“, ცის მხოლოდ მარგვლი ფორმა მოჩანს და სახელიც — ცარგვალი ალბათ, ამის გამო ჰქვია.

ქათმის ხევი ანუ სისხლის ღელე საკმაოდ ცნობილი ტერმინებია. სისხლის ღელე ქ. კახიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარეობს 8—10 კილომეტრის მანძილზე ლავადნებ-ნუხის გზატკეცილის ტრასაზე; გზის ამ უბანზე მითითებულ ადგილს სისხლის ღელის ხევიანი ეწოდება. აქ უძველესი დროიდან მგზავრთა დასახელებელი შენობები ყოფილა. დღეს ამ ადგილას მგზავრთათვის მშვენიერი რესტორან-პავილიონია აგებული.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ სახელწოდება ქათმის ხევი, ტყის ქათმის სიმრავლის გამო მიუღია ამ ადგილს, ხოლო უფრო გვიან აღნიშნულ ხევის სისხლის ღელე დაერქვა, ინგილოელთა თქმით, იმის გამო, რომ მტრის ერთ-ერთი თავდასხმის დროს მთელი ღელე სისხლით შეღებილა.

ს ა გ ზ ა ო დ ა ნ ი შ ნ უ ლ ე ბ ა ი ს ზ ო გ ი ე რ თ ი ნ ა გ ე ბ ო ბ ა. საგზაო ნაგებობათა შორის ყურადღებას იქცევს ქართულ წერილობით წყაროებში არაერთგზის ნახსენები ე. წ. ფუნდუკები ანუ ქვისაგან აგებული გზის მაჩვენებლები (ყურბები) ქვის ხიდები, ბოგირები და სხვ.

ფუნდუკი ინგილოური დიდილექისათვის ძალზე ნაცნობი და მშობლიური სიტყვაა; ინგილოურად მას „ბუდრუქს“ ეძახიან, რაც გზის პირზე აგებულ სახლს ნიშნავს. საინგილოში შემორჩენილია სხვა სახის იგივე მნიშვნელობის ტერმინიც, რომელიც ბუდრუქს უახლოვდება, ასე მაგალითად: ბუდრუგანაი ანუ ბუდრუგი სახელდახლოდ აგებულ ქოხს ნიშნავს.

ტერმინი ფუნდუკი დროთა ვითარებაში მივიწყებას მიეცა, მაგრამ იგი თავისი შინაარსით ინგილოურ დიალექტში დღემდეა დაცული.

სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით ფუნდუკი არის იგივე პანდუქსიონი „ეს არს ყოველთა შემწყნარებელი ადგილი“ (სიტყვის კონა); ხოლო ნ. ჩუბინაშვილი თავის ქართულ ლექსიკონში აღნიშნული სიტყვის საბასეულ განმარტებას დასძენს, რომ ფუნდუკი არის „ქარვასლა, კაბილიონი, მოგზაურთ სადგური“.

ფუნდუკების ნაშთები საინგილოში მთავარ მაგისტრალურ გზებზე, XIX საუკუნის დასასრულს და მის შემდეგაც მრავალ ადგილას ყოფილა შემორჩენილი.

ფუნდუკის ნანგრევები ჩვენ დრომდე შემორჩენილი ყოფილა ქ. ნუხის მახლობლად სოფ. ყა-

ბალასთან და გზადაგზა კიდევ რამდენიმე ადგილას კახეთის სოფელ ყაბალამდე (სიღნაღის მაზრა).

დ. ჯანაშვილი თვითმხილველია საინგილოში შემორჩენილი რამდენიმე ფუნდუკისა, რომელთა შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწოდებს; „ერთი მთვანეი უნახავს 1846 წ. ა. იანოვსკის, ნუხის მაზრის ყაბალას მახლობლად; დანარჩენი ვნახე მე 1897 წელს“.

„... უშიშროებისათვის და ღამის ვასათევად ჰერეთლებს ფუნდუკები ჰქონიათ გაკეთებული. ფუნდუკები ბევრი ყოფილა. ჩვენ ვიცით ექვსი. ერთი იყო ყაბალას მახლობლად. მეორე სოფ. ქუნგუთის პირისპირ, რომელსაც ახლა ჰქვიათ ყიზილყალა, მესამე არის სოფ. ყარაბულალთა, მეოთხე ალყატურზე, მეხუთე — ალაზნის მარჯვენა მხარეს, მულალოს ხილთან და მიექვს მისილარის მინდორზე ალაზნის მარჯვნივ სიღნაღის მაზრაში, ყარაღაჯის მახლობლად. იმას ხალხი ეძახის აყუდებულ — ქვას. ამ მახლობელს დრომდე ის კიდევ კარგად იყო შენახული, მაგრამ ახლა ესეც დარღვეულა, რომ საფუძველია ეტყობა“.

მითითებული ადგილების შემოწმებამ ჩვენ დავარწმუნა, რომ ამყამად არც ერთი ამ ფუნდუკთვანე არ მოიპოვება.

სოფელ მოსულიდან 6—8 კილომეტრის დაშორებით, მდ. ალაზნის სანაპიროსთან, ბახთალოს ბინების ახლოს, შეინიშნება ტყითა და ნარ-ელაბით დღეარული რაღაც ნაგებობის გადარჩენილი ნაშთები; ნარ-ელაბისაგან ცოტაოდენ გასუფთავების შემდეგ, გამოჩნდა ქვის წყობის თითქმის მიწის ზედაპირთან გასწორებული რაღაც ნაშენის კონტური, რომლის მოხაზულობა წრიული ჩანს, მისი დამამტარი ჭვარტლიანი გზომვით 150—160 სმ უდრის. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს რაღაც დიდი შენობის ერთ-ერთი გადარჩენილი ცილინდრული სვეტის ნაშთია, მაგრამ ეჭვს იწვევს ის გარემოება, რომ აქ შენობის დანარჩენი ნაწილის რაიმე სხვა კვალი არსად არ ჩანს.

აღნიშნული ნანგრევების შესახებ ადგილობრივი ხალხური გადმოცემაც ძალზე ძუნწ ცნობებს იძლევა; ბევრმა მისი არსებობა არ იცის და პირველად ჩვენგან გაიგო, მაგრამ სოფ. აღიბეგლოს მცხოვრებს 90 წლის გ. ყივიშვილს გავაუგებდა, რომ იქიდან კარგი ფათილიი ქვები ბუხრებისათვის მალულად გამოჰქონდათ. მისი გადმოცემით, მას „ძველად „თეთროის“ ან კიდევ „ქურბას“ ეძახდნენ, მაგრამ თუ რა დანიშნულება ჰქონია“ ამ დაკარგულ ძეგლს, ამის შესახებ მან და საერთოდ ადგილობრივმა ქართველმა მოსახლეობამ არაფერი იცის.

¹ დ. ჯანაშვილი, ისტორიული და გეოგრაფიული აღწერა პერეთისა, თურნ. მოგზაური, 1901, № 5, გვ. 500.



სურ. 30. თაღანი ქვის ხიდი მდ. ქურმუზზე, საერთო ხედი.

მოსე ჭანაშვილის მიერ შეკრებილ ინგილოურ ლექსიკურ მასალაში შეტანილია სიტყვა „თეთროი“, რომელიც ნიშნავს სვეტს (იგივე ბისტო)¹, ხოლო სიტყვა „კურბა“ ამ ლექსიკონში არ მოიპოვება.

1897 წ. მდინარე ალაზნთან, ყარაღაჯის მახლობლად, დიმიტრი ჭანაშვილს უნახავს აგრეთვე ქვის დიდი სვეტი (ანალოგიური „თეთროი“), რომელსაც როგორც თვითონვე აღნიშნავს, ხალხი „აყუღებულ ქვას“ ეძახისო.

ხსენებულ „აყუღებულ-ქვას“ ჩვენ იმ წრიული მოყვანილობის სვეტთან ვაიგივებთ, რომელსაც სახელად „თეთროი“ ანუ „კურბა“ პრქმეგია და დღეს, როგორც აღვნიშნეთ, მისი ნანგრევებიდან მხოლოდ ნაშთია დარჩენილი.

ტერმინი „კურბა“, როგორც ირკვევა, დიმიტრი ჭანაშვილისათვის ცნობილი ყოფილა, ვინაიდან მას ზემოხსენებული სახელი „აყუღებული ქვა“ კურბგისთან აქვს ვაიგივებული. მას კავკასიის გამოჩენილი მკვლევარის უსლარის ნაშრომიდანაც კი აქვს ამოწერილი და დამოწმებული გზის მიმართულების

მაჩვენებელი ქვის ნიშნების შესახებ, რომელიც კოლხეთის გზებზე ყოფილა უძველეს დროში აგებული. „კოლხეთის გზებზე აშენებული იყო ქვის ფირფიტები, რომელნიც მოგზაურებს თურმე უჩვენებდნენ გზის მიმართულებას და სადგურების ადგილმდებარეობას. ეს ფირფიტები, ჯერ ქვის უკეთებიათ და შემდეგ ხისა. მათ ეწოდება კურბგისი, იგივე სახელი, რომელიც ერაათსთენმა უწოდა ათონელთა ძველ ფიცრებს“².

ხიდეები. საინგილოში ძველი მაგისტრალური საქარაენო და შიდა სამიმოსელო შარაგზების ექსპლოატაციისათვის საჭირო იყო მდინარეებისა და ხეხეების გადალახვა, რაც ხიდეების აგებას მოითხოვდა.

ძველი ჰერეთის ტერიტორიაზე დღემდე შემორჩენილი, მაგრამ ჯერ კიდევ შეუსწავლელი ხიდეების ნაშთების შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში რაიმე ცნობები არ მოიპოვება, თუ არ მივიღებთ მხედველობაში მდ. ქურმუზზე ჩოფ. ელისუს ქვემოთ უძველესი ხიდის შესახებ არსებულ მცირე ცნობებს. ადგილობრივი მოსახლეობა ამ ხიდის

¹ მ. ჭანაშვილი, საინგილო, 1901, იქვე, იხ. ლექსიკონი.

² П. Услар, Древнейшие сказания о Кавказе. Записи Кавказ, стд. ИМП. Географ. общ. кн. II, 1881, стр. 421-427, ეფრ. მოგზაური, 1901, № 5, გვ. 500.



სურ. 31. თალიანი აგურის ხიდი მდ. ლეჩართის წყალზე, საერთო ხედი.

მშენებლობას თამარ მეფეს მიაწერს, რის გამოც ხანდაზმული ინგილოები მას თამარის ხიდს უწოდებენ.

„მდინარე ქურამუხის ვიწრო ხეობას ორ მაღალ კონცხზე გადაკიდული უბურჯო ხიდი, ულუქორფი (მაღალი ხიდი) აერთიანებს. ეს ხიდი ძველისძველია, მაგრამ დღესაც პირვანდელი სახითაა შემონახული“¹.

ელისუს ანუ თამარის ხიდი ერთადერთია საინგილოში, რომელსაც ძველი დროიდან მოკიდებული, დღემდე, არ დაუჯარავს თავისი აღრინდელი მნიშვნელობა.

ამ ხიდზე გადადიოდა „გზა ლეკეთისა“, ამ გზითვე დათარეშობდნენ ჩრდილოეთიდან მომხდური მტრის ურდოები საინგილოს შესამუსრავად.

აღნიშნული ხიდი ძველ საქართველოში (XII—XIV სს.) ფართოდ გავრცელებულ ერთთალიანი ასიმეტრიული კომპოზიციის ფრიად საინტერესო მავაითს წარმოადგენს. თაღის მოხაზულობა წრიული რკალის თარგზეა აგებული, რომელიც შეკრულია კვადრატული ფორმის (22X22), თხელი ქართული აგურის წყობით, კირის ხსნარზე. ხიდის სხვა ელემენტები, როგორცაა: ხიდის ფსადის კედლები, მასიური ქვის მოაჯირები, თაღის საყრდენი ქუსლები და განაპირა ბურჯები, რომლებიც კლდეზეა დაბჯენილი, ძირითადად დიდი ზომის რიყის ქვებისაგანაა აგებული (სურ. 30).


ხიდის ფსადის სიბრტყეში ნათლად გამოირჩევა წყობის სხვადასხვაობა, რაც აშკარად მეტყველებს ძეგლის მრავალგზის დანგრევასა და აღდგენაზე. აქვე შევნიშნავთ, რომ ამ ძეგლის მშენებლობის ტექნიკის შესახებ ზოგიერთ ავტორს არასწორი ცნობა აქვს გადმოცემული. მაგალითად, ზ. ედილის აღწერით, იგი წარმოადგენს „მშვენიერი თლილი ქვის თალიან უბურჯო ხიდს“².

არანაკლებ ინტერესს იწვევს კახ-ლეჩართის გზაზე, სოფელ სოსკანასთან ერთთალიანი ხიდის ნანგრევები, რომელიც XX ს. ოცდაათიანი წლების შემდეგ გამოსულა წყობიდან (სურ. 31).

სოსკანის ხიდის თაღის ქართული თხელი აგური, წყობის სტრუქტურა და საერთოდ, მშენებლობის ტექნიკა არაფრით არ განსხვავდება ელისუს ხიდიდან.

¹ ა. ჩხენკელი, დასახ. ნაშრ., გვ. 4.

² ზ. ედილი, საინგილო, 1947. გვ. 165.



სურ. 32. ტიპური ბოგირის საერთო ხედი სოფელ სოსიკანთ კართან.

ზემოხსენებულ ნაგებობათა კონსტრუქციულსტრუქტურისა და სამშენებლო ტექნიკის იდენტური მშენებლობის დამოწმებულია საქართველოს სხვადასხვა კუთხეშიც; თემის ხეობაში სოფელ რკონის (გორის რაიონი) ამავე სახელწოდების ერთთაღიანი „ქვახილა“¹, სოფელ მახუნცეთის (ქედია რაიონი) ამავე სახელწოდების ხიდი მდ. აჭარისწყალზე² და მრავალი სხვ.³

ამ მშენებლების ურთიერთშედარება გვიჩვენებს, რომ საინჟინო ტერიტორიაზე დღემდე შემორჩენილი თაღიანი ხიდები ხუროთმოძღვრული გადაწყვეტით არ გამოირჩევიან საქართველოში გავრცელებული სხვა ხიდებისაგან.

საინტერესოა, რომ ხიდების პარალელურად გვხვდება აგრეთვე უძველესი ბოგირები⁴ (სურ. 32). ისინი უმეტესად დაბლობ ზონაშია გავრცელებული და ზოგიერთ მათგანს დღესაც არ დაუკარ-

გავს თავისი სამოქმედო მნიშვნელობა. ლაგოდენხუხის გზატკეცილის მარჯვნივ სოფ. მეორე თალასთან (ძველ ფიფინეთი) ერთ-ერთ ადგილს ჭავჭავაძიანი ბოგირს ეძახიან, თუმცა ახლა აქ ბოგირის ნასახიე არაა შემორჩენილი.

ადგილის სახელწოდება მოწმობს, რომ ძველად აქ ჭავჭავაძეები მოსახლეობდნენ. ამ აზრს ისიც აძლიერებს „...რომ ჭავჭავაძეთა გვარს ჰქონდა სამკვიდრო საინჟინოში თვით მე-18 საუკუნის პირველ ნახევრამდე. 1726 წლის სიგელში ჭავჭავაძეთა გვარის სამკვიდროდ დასახელებულია საინჟინოს სოფლები ენგიანი, ყანდახი და მოსული“ (იხ. სიგელი 1726 წლისა, ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1950, დ. №11, ს. № 12)⁵.

ამრიგად „ჭავჭავაძიანი ბოგირი“, ვინმე ადგილობრივი მკვიდრის, შეძლებული ჭავჭავაძის მიერ უნდა ყოფილიყო აგებული.

ზ. ედილის აზრით „ეს ბოგირები და წყაროები გაკეთებულია არა სოფლის, არამედ კერძო პირების ხარჯით; რომელიმე შეძლებულ პირს თავის სახსოვრად გაუკეთებია ესენი...“⁶

¹ ს. შაკალათია, თემის ხეობა, თბილისი, 1959, გვ. 31.

² ნ. კვებერიელი-კობახიძე, საქართველოს ძველი ხიდების მთავარი სახეები, ძველის მეგობარი, 1960, № 19, გვ. 38 — 41.

³ Н. П. Северов, Памятники грузинского зодчества, М., 1947, стр. 150—151, П. В. Шусев, Мосты и их архитектура, 1952, стр. 186—187.

⁴ სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით ბოგირი ანუ ბოგა არის მცირე ხიდი.

⁵ პ. ივგოროევა, თხზულებათა კრებული, ტ. I, თბილისი, 1936, გვ. 367.

⁶ ზ. ედილი, საინჟინო, თბილისი, 1947. გვ. 125.

ძველ სოფელურ დასახლებათა ფორმების მთელი სისრული შესწავლისათვის მნიშვნელოვანია მათი სახელწოდებების წარმოშობის გამოკვლევა. ისტორიული წერილობითი წყაროები და ადგილობრივ მკვიდრთა მატერიალური კულტურის ძეგლები ერთხმად მიუთითებენ საინგილოს სოფლების უძველეს სახელწოდებათა ქართულ წარმოშობაზე.

ქართული წარმოშობის გეოგრაფიული სახელებიდან მკვიდრ მოსახლეობაში დღემდე შემორჩენილი შემდეგი სახელები: შაქთა, საყარაულოსთა, წერეთლის მთა, („წერეთელთ თახთა“), წალკოტის მთა, ჰინჭრის მთა, კარისწყალი, ფიფინეთის წყალი, ორღელე (ორიღელე), მოსაბრუნი და სხვ. აქ ჩამოთვლილი ზოგიერთი გეოგრაფიული სახელწოდება ფიქსირებული აქვს ალ. ხაჩანავილის¹.

ჩვენ არ შევუდგებით საინგილოს ტოპონიმოგური მასალების მთელი სისრული განხილვას. შევხებით მხოლოდ რამდენიმე დასახლებული ადგილის ანუ სოფლის ძველი სახელწოდების წარმოშობის ზოგიერთ საკითხს.

კახი ისტორიულ წყაროებში მოხსენიებულია კაკის სახელწოდებით; ვახუშტი ბაგრატიონს თავის გეოგრაფიულ თხზულებაში მოცემული აქვს აღწერა „კაკისა და ელისენისათვის“.

ზოგიერთი ავტორი შეეცადა დაედგინა სიტყვა კაკის — როგორც გეოგრაფიული სახელის წარმოშობის ტეზაურუსი არსი, მაგრამ დღემდე ვერ დაუზუსტებიათ. ზოგიერთის აზრით, იგი ალბანურ სიტყვიდან უნდა იყოს წარმოშობილი; „... კაჩუ ნიშნავს ხეობას, ძირი მაინც კაკისა ალბანური უნდა იყოს უსათუოდ“².

სიტყვა „კაჩუს“ გაიგებება „კაკისთან“ ამ სახით, რა თქმა უნდა, დაუშვებელია და მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს; ძნელი დასაჯერებელია, რომ გეოგრაფიული სახელი „კაკი“ სიტყვა „კაჩუდან“ იყოს ნაწარმოები; გვიან პერიოდში გეოგრაფიული სახელის „კაკის“ ნაცვლად თანდათანობით შემოდის და მკვიდრდება ტერმინი „კახი“, რომელიც ისევეა ქართული სატომო სახელების ანალოგიური, როგორცაა მაგალითად: კუხი (კუხ-ეთი), კოლხი (კოლხეთი), კახი (კახ-ეთი) და სხვ.

ტერმინ „კაკისათვის“ თავის დროზე ყურადღება

მიუქცევია ივ. ჯავახიშვილს. მას იგი მდებარეობა აქვს მცირე აზრის სხვადასხვა ხალხში გავრცელებულ საკუთარ სახელებთან, რომელთაც როგორც ქვემოთ დავინახავთ ქართული სახელების კვალი ამჩნევია³.

იმერეთში „კაკი“ და „კაკა“ ადგილმდებარეობას აღნიშნავს. მაიაკოვსკთან — ზეკარის გზაზე ერთ-ერთ ადგილს „კაკა“ ეწოდება, რის გამოც აქ არსებულ უძველეს ხილს „კაკას ხილი“ ჰქვია. ცნობილია აგრეთვე ამ სიტყვის სახენაცვალი სხვა სახელებიც, როგორცაა: სოფელი კოკი (სამეგრელოში), სოფელი კოკა (იმერეთში), სოფელი კოკია (ჯავახეთში) და სხვ.

XVII საუკუნიდან ძველი სოფლების უმრავლესობის აღრინდელი ქართული სახელები აზერბაიჯანული ან სხვა ახალი სახელებითაა შეცვლილი.

კახს აზერბაიჯანულად ეწოდება „გახ“, მას მეორე სახელსაც ეძახდნენ, ე. წ. „ყახს“, რაც მათ უნაზე ნიშნავს გოგრას, ხოლო „გახ“ გრძელ ხეობას⁴.

კაკი დასახლებულია ლ. ა. მაღალაშვილის „ოთხთავში“, რომელიც გადაწერილია 1310 წელს. „...სანატრელმან მან პატრიარქმან ჩუენმან ექთიმე მოიხილა კახთს: ანწუხისა (?) საეფისკოპოზო და იმიერითგან გადმოვიდა წახურს, კაკ-ელისენს“...⁵

ცნობილია, რომ ერთი და იგივე გეოგრაფიული სახელი ხშირად გვხვდება და მეორდება საქართველოს სხვადასხვა მხარეში.

ამრიგად, „კახი“ ქართული წარმოშობის გეოგრაფიული სახელია, რომელიც უძველესი დროიდან შემორჩა ძველი პერეთის ერთ-ერთ ულამაზეს სოფელს, ამ ბოლო დროს კი ქალაქს.

ელისენი ანუ ალიბაბატი დაბალი ზონის უძველესი სოფელი დასახლებაა. კახის შემდეგ იგი საინგილოში ყველაზე დიდი სოფელია. XVII—XVIII სს. ელისენი ეწოდებოდა მთელ მხარესაც, მას გურჯისტანსაც ეძახდნენ. ამის შესახებ ცნობა მოიპოვება, ზემოხსენებული „ოთხთავის“ ამონაწერში, ნახსენები აქვს ვახუშტი ბაგრატიონსაც და გვიან პერიოდის ავტორებსაც. ლიტერატურულ წყაროებში ელისენი XIX საუკუნის მიწურულამდე იხსენიება.

როცა ეს მხარე მთლიანად გამაჰმადიანებულა, ქართული სახელწოდება „...ელისენი ალიბაბათად

³ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი პირველი, თბილისი, 1960, გვ. 417.

⁴ ა. ხენჯელი, დასახ., ნაშრ., გვ. 4.

⁵ მ. ჯანაშვილი, საქართველოს ისტორია, თბილისი, 1895, გვ. 206.

¹ С. Хаханов, — დასახ. ნაშრ., გვ. 31.

² ზ. ედილი, ალბანელთა კვალი საინგილოში, ტურნ. დროება, 1908, № 19.

შეუცვლიათ, რაც ალიას სოფელს ნიშნავს¹. (ალი-ბეგის სახელის უკვდავსაყოფად).

ამ სოფლის ძველი სახელწოდება „ელისენის“ წარმომავლობა არაა ცნობილი. სულხან საბა-ორბე-ლიანის განმარტებით „ელისე“ არის „ღვთის ძა-ლი“, ხოლო „ელისენის“ ღმერთ-მაცხოვარს ნიშ-ნავს, იქვე განმარტებულია სიტყვა „ელისე“ — „ღვთის პყრობელვარ“ და სხვ.

როგორც ჩანს, სახელი „ელისე“ ქართული წარ-მოშობის არ უნდა იყოს. მაგრამ ისიც ჩანს, რომ იგი ღვთის სახელთანაა დაკავშირებული, არსე-ობის ვარაუდით, რომ ამ სახელის პატრონი ქრის-ტიანული სარწმუნოების შქადაგებელი მისიონერი იყო. „ამ მხარეში ქრისტიანობა იქადაგა თითქოს თადეოზ მოციქულის მოწაფემ ელისემ, რომელიც ამ დაღესტნიდან მოსულა. შეიძლება ამ გადმოცე-მამ მისცა საფუძველი ელისენის სახელწოდებას“².

ეს მოსაზრება უფრო ახლოსაა კეშმარტებას-თან, ამიტომ, შეიძლება ითქვას, გეოგრაფიული სა-ხელი „ელისენი“ საკუთარ სახელ „ელისესაგან“ უნდა იყოს წარმოქმნილი. კახეთში (ეყარლის რაი-ონში) არის სოფელი „ენისელი“, ცფიქრობთ, ესეც ამ სახელის სახეშეცვლილი ფორმაა.

კონსტანტინე მღვდარეობს ნუხის ახლოს (ჩრდი-ლო-დასავლეთით), დაახლოებით 5-6 კილომეტრის დაშორებით, ლაგოდეხ-ნუხის გზატკეცილის მარ-ცხენა მხარეს. ალ. ხახანაშვილის აზრით, კონსტანტინე მღვდარეობსაა მიღებული (ქოშმახი — ивнуща), ხოლო დომიტრი ჭანაშვილის აზრით, კონსტანტინე იგი სიტყვისაგანაა ნაწარმოები: „კონს-მოხი“; „კონს“ ინგილოურად ჰქვია რიყის ოთხგირანქიან ქვას, ხოლო „მოხი“ მისი დამატებაა და წარმოდგარია იმ კანონით, როგორც მაგალითად: „რამე-რუმე“, „ბიჭ-ბუჭები“, და სხვ. სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით „კონს“ ცეცხლგამძლე ქვაა. როგორც ჩანს, კონსტანტინე ქართული წარმოშობის სიტყვა უნ-და იყოს, რომელიც როგორც გეოგრაფიული სახე-ლი, დღემდე შემორჩენილი აქვს ძველი პერეთის ერთ-ერთ ქართულ სოფელს.

ვარდთაშენი ისეთივე გეოგრაფიული სახელია, როგორც: ვარდისუბანი, (ვარდიანი) კახეთში, ლაგოდეხისა და თელავის რაიონებში. ეს ერთ-ერთი უძველესი სახელია საინგილოში. ვარდთაშენი წმინდა ელიას საყდართან ერთადაა მოხსენიებული მთავარეპისკოპოსის კირილე დონაურის მიერ 1310 წელს, ზემოხსენებულ მაღალაშვილის „ოთხთავის“ ანდერძში³.

¹ ნ. ე დ ი ლ ი, საინგილო, თბილისი, 1947, გვ. 138.

² კ. კ ე ე ლ ი ძ ე, ქართული ეტიმოლოგის ისტორიისათვის მონღოლთა ბატონობის ხანაში, კულტურის ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. II, თბილისი, 1945, გვ. 318.

³ დ. ჭ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, ეურნ. მოგზაური, 1902, № 5.

ვარდთაშენი ნიშნავს ვარდის მოსაშენებელ ად-გილს ანუ სანერგეს, ქართული ქრისტიანული მო-სახლეობისაგან აქ, მხოლოდ მათი ნასახლარებია დარჩენილი. ამ ადგილებში ახლა უღებები ცხოვრო-ბენ. ამჟამად ამ სოფელს ვარდიანის ნაცვლად გულ-ლეგი⁴ ჰქვია.

უღებები ვარდთაშენს (ვარდიანს) „ქალა-ციცას“ უწოდებენ, რაც თავიანთ ენაზე „დიდ ყვავილს“ ნიშნავს⁵. ამრიგად, „ქალა-ციცაი“ (უღურ ენაზე) იგივე შინაარსს გამოხატავს, რაც ქართული წარ-მოშობის ვარდთაშენი (ვარდიანი).

ფიფინეთი ერთ-ერთი ქართული სოფლის უძვე-ლესი სახელია საინგილოში. ეს სახელწოდება სო-ფელს მიღებული აქვს ამავე სახელწოდების მდი-ნარე ფიფინეთისაგან და ფიფინეთის ხეობაც ამიტომ უწოდება; საგულადსმოა აგრეთვე, რომ სოფელ ქარის მახლობლად მდებარე ერთ-ერთ მი-ნდორს ინგილოები ფიფანს უწოდებენ; ხოლო რას ნიშნავს სიტყვა ფიფანი და ფიფინეთი, ჭერაჭერო-ბით ამოუცნობელია.

სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში შეტანი-ლია ამ სიტყვის (ფიფინეთის) სახენაცვალი ფორმე-ბი: „ფიფინური“ და „ფიფინა“, მაგრამ მათი გან-მარტების მიხედვით შინაარსი ამ სოფლის გეოგრა-ფიულ სახელს (ფიფინეთს) არ შეესაბამება. სოფელ ფიფინეთის ისტორიულ ადგილებში ამჟამად და-ღესტნიდან ჩამოსახლებული ლეკები და ვალეკებუ-ლი ქართველები⁶ მოსახლეობენ.

ფიფინეთი დასახლებულია საქართველოს პატ-რიარქის ექვთიმეს მოგზაურობის მარშრუტში (კაკ-ელისენის მხარეში⁷, XVI ს. დასაწყისში), იგი ასევე მოხსენიებული აქვს ვახუშტი ბაგრატიონს თვის გეოგრაფიულ თხზულებაში დაახლოებით ოთხი საუკუნის შემდეგ⁸; ხოლო XVIII საუკუ-დინად... „შემდგომად იწოდა ქარი და ყვეს სიმაგ-რე“⁹...

ქარი, როგორც ირკვევა, იგივე ძველი ფიფინე-თია. ხალხური გადმოცემით „ქარი“ ქართული სი-ტყვა „ჭარიდანაა“ წარმოშობილი; „...მაგრამ ლე-კებს თავიანთი ენის კანონების მოთხოვნისა-მებრ შეუცვლიათ ასო „ჩ“ ასო „კ“-თი და სო-ფლისათვის (ფიფინეთის ნაცვლად ი. ა.) უწოდები-

⁴ gulluk — თურქულად ნიშნავს ვარდნარს.

⁵ დ. ჭ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, ეურნ. მოგზაური, 1903, № 1.

⁶ აქ მოსახლე ვალეკებულ ქართველთა ძველი გვარებია: ერისთავი, ვაჩნაძე, კამაზაშვილი, ანდრონიკაშვილი და სხვ. (ეურნ. მოგზაური, 1901, № 10, გვ. 944).

⁷ მ. ჭ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 206.

⁸ ვ ა ხ უ შ თ ი ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 96.

⁹ ი კ ე ე.

ათ „ჭარია“¹. აღსანიშნავია, აგრეთვე, რომ ლეკური ჭარი ნიშნავს კარს.

სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით ჭარი ანუ იგივე ჭარო ფრინველის სახელია, რომელიც „ჭარსა ჰგავს, ხეზე ჯდების“... (იხ. ლექსიკონი).

სიტყვა „ჭარის“ დიდებური სახელები გვხვდება აგრეთვე საქართველოს სხვადასხვა კუთხეში: მთა ჭარ-თალი (ლენინგრის რაიონი, ყოფილი დღემოთის მუზრა), ქვა-ჭარი ანუ ჭარა (აფხაზეთში), ჭარაია (გვარი სამეგრელოში), ა-ჭარა, ჭარს რაქაში ჭაობიან ადგილს უწოდებენ² და სხვ.

ლექართი ერთ-ერთი უძველესი სოფელია საინგილოში, რომელსაც დღემდე შემორჩენია ძველი სახელი. სახელწოდება „ლექართი“ ქართული წარმოშობისაა; ამ სიტყვის ფუძეა ქართული საბრძოლო სახელი „ქართი“, ხოლო „ლე“ არის წინსართი, ამ სახით წარმოდგება გეოგრაფიული სახელი „ლექართი“ (დაწერ. ცნობები იხ. ქვემოთ).

მუხახი, ვერხვიანი, ჭანდარი და ჩინარი (ჩინარლუ) ცნობილია, რომ საქართველოში უძველესი დროიდან გავრცელებული ყოფილა ხეებისადმი თაყვანისცემა და სოფლებისათვის მათი სახელების შერქმევა. ამ ტრადიციას არც საინგილო ღალატობს.

მრავალსაუკუნოვანი დიდი ხეების თაყვანისცემა ამ ბოლო დრომდე ყოფილა საინგილოში დაცული, „მთ ხელს ვერაინ ახლებს თუ თვითონ არ გახმენ“³.

მუხახი და ვერხვიანი მოხსენიებულია აგრეთვე მაღალაშვილის ცნობილ „ოთხთავის“ ანდერძში. ცხადია, რომ სოფლის ეს გეოგრაფიული სახელწოდებანი ხეტა სახელებისაგანაა წარმოშობილი.

საინგილოში ჭანდარი არამარტო სოფლის სახელად გვხვდება, არამედ იგი ცნობილია როგორც საყდრის სახელი, ე. წ. „ჭანდრის საყდარი“ (ბელაქნის რაიონში). „ჭანდრის საყდარს“ ლეკები ეძახიან „შიშშატ ქილისას“⁴. ეს სახელი ეწოდა იმის გამო, რომ გარშემო მრავალი ჭანდრის ხეები ხარობენ⁵.

სოფლის სახელწოდება ჭანდარი გვხვდება აგრეთვე კახეთში (გურჯაანის რაიონი), აფხაზეთში, (ა-ჭანდარა), ჭანდარი სამეგრელოში; მუხახი ნიშნავს მუხნარს, იგივე მუხიანს (იხ. როგორც ვერხვიანი, ვაშლოვანი და სხვ.). ანალოგიური სახელები გვხვდება იმერეთში (მუხიანი), სამეგრელოში დიდმუხა, (დიდი ჭყონი, ჭყონდიდი) და სხვ.

ვაშლოვანი ლეკებითა და გალექებული ქართველებითაა დასახლებული. იგი ძველთაძველი სოფე-

ლია საინგილოში. ქართველები აქ დიდი ხანია გადაშენდნენ. მათი ნასახლარები მრავალ ადგილასაა შემორჩენილი.

სოფელ ვაშლოვანს დიდ ხანია ქართული სახელი გამოუცვალეს, მას ამჟამად ალმალო ეწოდება.

საინგილოს სოფლების უძველესი ქართული სახელებიდან წერტილობით და ზეპირწყაროებში დღემდე შემონახულია შემდეგი სახელები: ჩარდახი (ჩარდახლო), ყორდანი, წინუბანი, მოსული (Просуля), ნაპარნევი, ბაზარი, შოთავარი, ბერთბინა, თეთრი წყლები (Ахцаи) და სხვა..

საინგილოში ვხვდებით აგრეთვე ქართული წარმოშობის სხვა სახის გეოგრაფიულ სახელწოდებასაც, როგორცაა მაწის წყალი, მაწიმის ციხე, მაწიხი, და სხვა, რომელთა ფუძეა „მაწ“, ამ ფუძეზე წარმოშობილი სოფლის სახელები გავრცელებულია საქართველოს სხვადასხვა მხარეში. შესაძარბლად შეიძლება დავასახლოთ რამდენიმე: მაწევაი (ქართლში), მაწ-იეთი (გურიაში), მაწ-ესთა (სოქასთან ახლოს)⁶ და სხვ.

საინგილოში ბევრია აგრეთვე უცხოური წარმოშობის სახელწოდების მქონე სოფლები.

აღსანიშნავია აღმოსავლურ-მაჰმადიანური, ლეკური და სხვა წარმოშობის სახელები, რაც საინგილოში მეზობელი ტომების ჩამოსახლებამ მოიტანა თან და განდევნა ადგილობრივი, ეროვნული სახელწოდებები.

შაპ-აბასის აგრესიულმა პოლიტიკამ მკვიდრი მოსახლეობისაგან დააცარიელა ერთ დროს აყვავებული საინგილოს სოფლები, რის შედეგად ჩამოსახლება იწყეს შპარსულმა და დაღესტურმა ტომებმა. ასეთი ვითარება, რა თქმა უნდა, გამანადგურებელ გავლენას ახდენდა ძველი სოფლური დასახლების ფორმაზე, ეროვნული წარმოშობის გეოგრაფიულ სახელწოდებებზე და სხვ.

საინგილოში შემოსულის მტრები უძველეს ქართულ სოფლებს, ნაცვლად ეროვნული სახელისა, თავისი სარდლების, ბეგების, ხანებისა და მოურავების სახელებს არქმევდნენ. ეს სახელები დღემდეა შემორჩენილი, ხოლო ამ სოფლების ქართული სახელწოდებები უკვალოდაა გამქრალი. ლ-ლ-ა-ფ-ა-შ-ა ძველი ქართული სოფელია, დღეს აქ მაჰმადიანი ინგილოები ცხოვრობენ. „მუსტაფა ლალაფაშა, ოსმალთა ჭარის სარდალი, იყო, რომელიც 1578 წელს შემოვიდა საქართველოს დასაპყრობად“⁷, ამრიგად, იმ ადგილს (სოფელს), სადაც ის დაბანაკებულა, მის პატრისაცემად ლალაფაშა შეურქმევია და ეს სახელი დღემდე შემორჩენია.

¹ დ. ჭ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, ეურნ. მოგზაური, 1901, გვ. 39.

² მ. ჭ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, საინგილო, თბილისი, 1920, გვ. 39.

³ ზ. ე დ ი ლ ი, საინგილო, 1947, გვ. 90.

⁴ დ. ჭ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, ეურნ. მოგზაური, 1901, № 6 და № 7.

⁵ პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა, გიორგი მერჩულე, ნაწილი პირველი, თბილისი, 1954 № 5 გვ. 162.

⁶ ა. ჩ ხ ე ე ლ ი, დასახ. ნაშრ. გვ. 40.

ალიბეგლომ ეს სახელწოდება XVII საუკუნის ოცდაათიანი წლებიდან მიიღო. ამ სოფელსაც დოქარგული აქვს აღრინდელი ქართული სახელი. „შაპაბასს მიემხრო ერთი ქართველი ვახუშტის შვილი, მიიღო მაჰმადიანობა, რომელსაც ალი-ბეგი უწოდეს. უაენმა მას უბოძა კახის სამოურაოში სულთნობა. ალიბეგმა წინანდელს სოფელს გამოუცვალა სახელი, დაარქვა ალიბეგლო“¹.

ემურჯანლო ერთ-ერთი უძველესი ქართული სოფლის სახელია საინგილოში. აქ ცხოვრობენ წახურიდან ჩამოსახლებული ლეკები და გალექებული ქართველები, რომლებიც იმდენად ასიმილირებულნი არიან, რომ ვერაფრით ვერ გავარჩევთ ლეკებისაგან. ემურჯანლო ასევე მტრის ჯარების ერთ-ერთი

სარდალთაგანი ყოფილა, რომლის სახელსაც ატარებს დღეს ეს უძველესი, ოდესღაც ქართული სოფელი.


„ამრიგად, როგორც ირკვევა, ქვემოთ ჩამოთვლილ საინგილოს სოფლების ისეთი სახელები, როგორცაა: ალიაბათი, ალიბეგლო, ალითემური, ლაფაშა, ემურჯანლო—იმ სარდლების სახელებია, რომელთაც დიდი „ღვაწლი“ მიუძღვით საინგილოს მოსპობაში“².

დასანანია, რომ საინგილოს სოფლების სახელწოდებანი, რომლებიც დაკავშირებულია, როგორც ქართველ ისე აზერბაიჯანელი ხალხის დაუძინებელ მტრების ბატონობასთან დღემდე უცვლელადაა შემორჩენილი.

¹ შ. ჭანაშვილი, საქართველოს ნაპირები, საინგილო, თბი, 1912, № 75.

² ა. ჩხენკელი, დასახ. ნაშრ. გვ. 40.





თ ა ვ ი მ ა ო თ ხ ა

საინგილოს საცხოვრებელი სახლების ძველი ტიპები

საქართველოს მხარეებს შორის ბუნებრივ გარემოსა და კლიმატური ფაქტორების მკვეთრი განსხვავება, რაც მრავალფეროვანი გეოგრაფიული კონტრასტული პირობებითაა გამოწვეული, უძველესი დროიდან სხვადასხვანაირ საცხოვრებელ პირობებს ქმნიდა.

საცხოვრებლად გამოსადეგი ადგილების, რელიეფის შეხანებამ განსხვავებულ ჰავასთან და დედა მიწის ზედაპირის მრავალგვაროვანმა გეოლოგიურმა სტრუქტურამ, ადგილობრივი ხელმისაწვდომი საშენი მასალების მარაგს რომ იძლეოდა, იმავეთვე განსაზღვრა საცხოვრებელთა განვითარების სხვადასხვა გზა.

ყოველივე ამან საქართველოს სხვადასხვა მხარესა და კუთხეში სხვადასხვა ტიპის საცხოვრებელი წარმოშვა და განავითარა, რომლის ხუროთმოძღვრულ ფორმირებაში დიდი როლი შეასრულა გარემო მტრებისაგან თავდაცვის აუცილებლობამ, შრომა-საქმიანობის ხასიათმა და ქართველ ტომთა სამშენებლო ტრადიციების თავისებურებამ.

საინგილოს ტერიტორიაზე დღემდე შემორჩენილია ძველ საცხოვრებელთა საინტერესო ტიპები.

მათი განვითარების სტადიების დადგენა, კლასიფიკაცია (ძველ საქართველოს ამ ისტორიულ მხარეში) შესაძლებელია მხოლოდ დღემდე შემორჩენილი ხალხური ძეგლების შესწავლის საშუალებით.

გამოკვლევამ გვიჩვენა, რომ საინგილოს ტერიტორიაზე ძველთაგანვე გავრცელებული ყოფილა შემდეგი სახის ტიპური საცხოვრებლები: დარბა-

ზული, ერლოიან-აყარიანი, ერთთახიანი აყარიანი-აიენიანი ორქანობიანი სახურავით, ოროთახიანი აყარიანი-აიენიანი ოთხქანობიანი სახურავით, ორრიგად განლაგებულ ოთახებიანი, ანფილადისებური, კოშკური და კარიბჭის ტიპის.

ზემოჩამოთვლილი ძველი საცხოვრებელი სახლები შეტწილად აგებულია ხისა და ქვისაგან; გვიან პერიოდში ვხვდებით გამოუწველი თიხის, ალიზისაგან აგებულ საცხოვრებელ სახლებსაც.

პირველი და მეორე საცხოვრებელი ზონის ტყით მდიდარ ადგილებში ღარიბთა საცხოვრებლების უმეტესობა აგებული ყოფილა პრიმიტიული წესით თიხით შელესილი წნელისაგან, შეძლებულთა და მაღალი წოდების პირთა სახლები კი ქვისაგან ყოფილა ნაგები¹. ზემოხსენებულ ზონებში ვხვდებით აგრეთვე განათალი ფიცრებისაგან აგებულ საცხოვრებლებს. მეორე ზონის მთისპირა სოფლებში და მესამე ზონის მთის ძირის სოფლებში ფართოდაა გავრცელებული ქვისაგან აგებული საცხოვრებლები.

მესამე საცხოვრებელ ზონაში, მაღალმთიან ადგილებში, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, გვხვდება უძველესი ნასახლარი ადგილები და კლდეში არსებული ბუნებრივი ქვაბსადგომები.

საინგილოს ტერიტორიაზე ჩვენ მიერ ფიქსირებული საცხოვრებელი სახლების კლასიფიკაციას საფუძვლად უდევს გეგმის გადაწყვეტის ხერხები, გადახურვის კონსტრუქციული არსი, მოცულობით-სივრცითი გადაწყვეტა და საშენი მასალების დამუშავების ტექნიკა.

¹ А. И. Фок-Плото — დასახ. ნაშრ., გვ. 23.

სამეცნიერო ლიტერატურაში კარგა ხანია აღიარებულია, რომ ქართული საცხოვრებელი სახლის ერთ-ერთ ძირითად, უძველეს ტიპს წარმოადგენს „დარბაზი“.

როგორც ცნობილია, „დარბაზი“ ქართული საცხოვრებელი სახლის ისეთი სახეა, რომელიც მთლიანად ან ნაწილობრივ გადახურულია ხის გვირგვინით, კედარბაზთან, ან მასთან მიახლოებულ წყობით¹. გვირგვინის კონსტრუქციული სტრუქტურა მიღებულია კოქების გარდიგარდმო განლაგებით, თანდათანობით აღმავალი შემეცირებით, რაც საფეხურებიანი გუმბათის სახეს იღებს, გადახურვის ასეთ სისტემას „გვირგვინი“ ეწოდება. გვირგვინის ბოლოში, ზემოთ დატოვებულია სინათლისათვის ხვრელი, (საშუქი) ანუ „სარკუმელი“ (სარკმელი), რომელიც ძირითადად სინათლის წყაროს და შუა-ცეცხლიდან ატაბებული კვამლის გასასვლელს წარმოადგენდა (ერლო).

დარბაზის ტიპის ქართული საცხოვრებელი სახლები სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვა ავტორის მიერ საკმაოდ ვრცელადაა გაშუქებული, მათ შორის ყურადღებას იმსახურებს: გ. ჩიტაიას², გ. ჩუბინაშვილის³, ლ. სუმბაძის⁴, შ. ამირანაშვილის⁵, ი. ილინას⁶, რ. ავაბაბიანის⁷ და სხვათა შრომები.

დარბაზის ტიპის „გვირგვინიანი“ საცხოვრებელი სახლების ანალოგიური ნაგებობანი გავრცელებულია არამარტო საქართველოში, არამედ სომხეთში, აზერბაიჯანსა და აღმოსავლეთის შრაველ ქვეყანაში.

საინგილოს ტერიტორიაზე ჩვენს დრომდე შემორჩენილია ინგილო გლეხის საცხოვრებელი სახლის ერთ-ერთი ფრიად საინტერესო უძველესი ტი-

პი, აიოობითად მას „ერლოიან-აყარიან“ საცხოვრებელ სახლს ვუწოდებ.

საცხოვრებლის ეს ტიპი ყოფილა გავრცელებული პირველი და მეორე საცხოვრებელი ზონების მთისპირა სოფლებში.

ინგილო გლეხის ძველი საცხოვრებელი სახლის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში რამდენიმე ფრიად მნიშვნელოვანი ცნობაა შემონახული. მათ შორის ყურადღებას იმსახურებს ა. ფონ-პლოტოს ცნობები, რომლის მიხედვით ირყვევა, რომ „ინგილო გლეხის უძველესი საცხოვრებელი სახლის იატაკი არის მიწის, ყოველგვარი ვაგონების გარეშე. ქერას შუაში სახურავის გავლით არის გამჭოლი ლიობი კვამლის გასასვლელად, რომელსაც მიბჯენილი აქვს რამდენიმე ბოძი. ამ ლიობის პირდაპირ იატაკზე ანთებენ ცეცხლს, როგორც საქმლის მოსამზადებლად, ისე გასათბობლად“⁸.

ასევე დიდ ინტერესს იწვევს ა. ფონ-პლოტოს მოკზაურობიდან 10—12 წლის შემდეგ საინგილოს მკვლევარის ზ. გულისაშვილის მიერ მოცემული ინგილო გლეხის კარ-მიდამოს და საცხოვრებელი სახლის აღწერა. „თავის რუბში ყველას აქვს მწვანე ვაკე და მეტად სუფთა ეზო ხეხილებით სამსე (ზშირაღ ფუტკრის სკებიც მოიპოვება), სახლი ზედ ქართული თაროთი — მამაპაჟური კერათი და დედაბოძით მორთული ქართული დარბაზი, მხოლოდ ერთ მხარეზე ყველა ინგილოს, დერეფანი გრძელი ბალონის მსგავს რამდელ უქცევია“⁹...

მ. ჯანაშვილი ასე აღწერს საცხოვრებელს: „საინგილოში სახლებს აშენებენ ქვიტიკრისას და ხისას, დაქანებულის სარქველით, დახურულს ჩალითა და კრამიტით. აქა-იქ იციან აგრეთვე ბანიანი სახლები. სახლები სიგრძით 8-20 აღლაშდვა. სიგანით 5—10-მდე, ყველა ერთსართულიანი, ერთთაბიანი...“¹⁰ და იქვე შენიშნავს, რომ „აღნიშნული საცხოვრებელი უიატაკო და უბუხრო, რომლის „შუადგილას ცეცხლი ინთება... ცეცხლა-პირა წმინდა ადგილია, მეტადრე საპატიოა მისი დედაბოძის მხარე“¹¹.

აღნიშნული ცნობები დაახლოებით ერთი საუკუნის წინადროინდელ ნათელ სურათს წარმოგვიდ-

¹ Л. Сумбадзе, Дарбазные перекрытия в связи с колхидским домом Витрувия, I, Диссертация, представленная на соискание ученой степени кандидата архитектуры, Тбилиси, 1950, стр. 4. (ი. ი. ლენინის სახ. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის შრომები, 1950, № 1).

² გ. ჩ ი ტ ა ი ა, გლეხის სახლი ქვაბიანის ხეობაში (დარბაზული ტიპი), თბილისი, 1926.

³ გ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი, ქართლის დარბაზი (1, 2, 3, 4), სურათები და მახაზები ნ. ნახაშვილის, თბილისი, 1927.

⁴ Л. Сумбадзе, Грузинские Дарбазы, Тбилиси, 1960.

⁵ შ. ა მ ი რ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, ქართული ხელოვნების ისტორია, 1961.

⁶ И. И. Ильина, Древнейшие типы жилищ Закавказья, М., 1938.

⁷ Р. Я. Агабабян, Архитектура грузинского народного жилища, Тбилиси, 1945.

⁸ «Пол в комнате земляной, ничем не смазанный. Посредине потолка, подпертое несколькими столбами, находится сквозное, через крышу, отверстие для выхода дыма. Протын этого отверстия на полу, разводится огонь, как для приготвления пищи, так и для отогревания» (А. И. Фон-Плото, დასახ. ნაშრ., გვ. 23).

⁹ ზ. გ უ ლ ი ს ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 79.

¹⁰ მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 46.

¹¹ ი ქ ე ე.

გენს, იგი იმითაა მნიშვნელოვანი, რომ მასში მოხსენებულია ქართული საცხოვრებელი სახლის „დარბაზის“ ინტერიერის კონსტრუქციული, გეგმარებითი და ხუროთმოძღვრული მოცულობითი ფორმების დამახასიათებელი ტერმინები, როგორცაა: „ქართული დარბაზი“, „დედა-ბოძი“, დარბაზის „გრძელი ღია დერეფანი“, „ჰერის თავზე მოწყობილი კეკელის გასასვლელი“ (ერლო) და სხვ.

ამრიგად, ზემოთ დამოწმებული წერილობითი ცნობები და ჩვენს მიერ შეკრებილი გრაფიკული მასალა „ერლოან-აყარიანი“ საცხოვრებლების შესახებ ანაზომების სახით, რომლებშიც გვხვდება ქართული საცხოვრებელი სახლის „დარბაზის“ კონსტრუქციული ელემენტების აღმონათლები და აგრეთვე მათი ტერმინთა ზემოხსენებული ვრცელი ნუსხა, უფლებას გვაძლევს გამოეთქვათ მოსაზრება, რომ „ერლოან-აყარიანი“ საცხოვრებელი სახლების ჩამოყალიბებამდე საინგილოში გავრცელებული ყოფილა ქართული საცხოვრებელი სახლის ძირითადი ტიპური სახე „დარბაზი“.

ამრიგად, შესაძლებლად მიგვაჩნია ქართულ, მესხურ და კახურ დარბაზების გვერდით ვიგულვით აგრეთვე ინგილოური დარბაზების არსებობა. ქართული „დარბაზების“ წარმოშობის ძირითად ფაქტორს წარმოადგენდა მათთვის შესაფერი ადგილის შერჩევა, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ფერდობზე უნდა ყოფილიყო. ცნობილია, რომ საცხოვრებელი „დარბაზის“ გვერდის კედლები სანახევროდაა ფერდობზე მიწაში ჩასმული. ამიტომ ამას მხოლოდ ერთი ფასადი აქვს. დანარჩენი სამი ხედი მეტ-ნაკლებობით მიწაშია მოქცეული.

„ერლოან-აყარიანი“ საცხოვრებელთა შავალით-ზე ირკვევა, რომ აქაური „დარბაზები“ მიწაში არ ყოფილა ჩადგმული.

ამას ადასტურებს ქართლიდან და კახეთიდან ფერეიდანში გადასახლებულ ქართველთა საცხოვრებელი სახლებიც.

სპარსეთში გადასახლებულმა ქართველებმა თავიანთ ჰირ-ვარამანდ ერთად საქართველოდან თან გაიყარათ და გაიტანეს თავიანთი სახლების ეროვნული კულტურა; სახელობრ, ნივთიერი კულტურის ერთ-ერთი ისეთი დარგი, როგორცაა საცხოვრებელთა აგების მამა-პაპური ხერხები, ამრიგად, ფერეიდანში გადასახლებულ ქართველების მიერ აგებული საცხოვრებლები ჩვენი აზრით კახურ და ინგილოურ დარბაზების კვალობაზე უნდა იყოს აგებული.

გადასახლებული ქართველები, მიუხედავად მრავალნაირი გაჭირვებისა, „სახლებს იშენებენ, ისე როგორც ქართლში იციან, ხოლო იმ განსხვავებ-

ბით, რომ იმათი სახლი მიწის ზევითა დგას მალაზა. ძალიან ხშირად შეხვდება აგრეთვე კაცი უწინდელ ჩვენებურ დარბაზებს რამდენიმე სვეტიით: ოთხით, ექვსით და რვა სვეტიითაც. მთელ ირანში, გარდა ამათი, არაეინ იშენებს ასეთ სახლებს... (მკვიდრ მცხოვრებელს — სპარსელებსაც. ი. ა.).. ახლა ბევრჯან მიუყვანილ ამათის წაბაძვით ხელი ასეთი სახლების შენებისათვის და სახელსაც „გურჯი ფუშს“ (ქართულად დახურულს) ეძახიან“¹.

დამოწმებული ცნობიდან ირკვევა, რომ ფერეიდანში გადასახლებული გლეხების მიერ აგებული საცხოვრებელი „დარბაზები“, „...მიწის ზევილია და დგას“, ასევე „...ჩვენი ხუროთმოძღვრული“ აქ წარმოდგენილია ოთხი და კიდევ მეტი დედაბოძით. რა თქმა უნდა, ეს ცნობა არავითარ ეჭვს არ იწვევს. ჩვენი აზრით, ფერეიდანში შემორჩენილი გლეხური საცხოვრებელი „დარბაზები“, შეიძლება მივიჩნიოთ ინგილოურ დარბაზების დღემდე უცნობ ნიმუშებად.

ერლოან — აყარიანი საცხოვრებლები. ეთნოგრაფიული მასალებიდან ირკვევა, რომ „ერლოან-აყარიანი“ სახლში გვაროვნული ანუ პატრიარქალური ოჯახი ცხოვრობდა. „საინგილოში ბოლო დრომდის კიდევ არსებობდა აქა-იქ თითო-ორიოლა დიდი პატრიარქალური ოჯახი. ამგვარი ოჯახები, რომლებშიაც ერთად ცხოვრობდნენ ძმები. მათი შვილები და შვილიშვილები, ხშირად 40—60 წევრისაგან შედგებოდა“². ასეთი მრავალრიცხოვანი ოჯახების გადმოწაშთა არსებობამ შემოგვიწინა საინგილოს ტერიტორიაზე „ერლოან-აყარიანი“ საცხოვრებელთა ერთეული ნიმუშები. მათს ასაკი 120—140 წელს არ აღემატება, მაგრამ თავისთავად ისინი მრავალსაუკუნოვანი უწყვეტი —ჯაჭურვი განვითარების შედეგად ჩამოყალიბებული უძველესი ხუროთმოძღვრულ-სამშენებლო ტრადიციების ნიადაგზე შექმნილი ნიმუშებს წარმოადგენენ.

ზემოთაც აღვნიშნეთ, რომ „ერლოან-აყარიანი“ საცხოვრებლის გეგმა ქართული საცხოვრებელი სახლის ე. წ. „დარბაზის“ გეგმის კომპოზიციურ სქემას უახლოვდება. ზემოხსენებული საცხოვრებელი გადახურულია, მალაქანობიანი სახურავით, რომლის ქვეშ მოქცეული სხვენის დიდი სივრცე მანსარდის მსგავსად გამოყენებულია სამეურნეო დანიშნულებისათვის, რომელსაც ინგილოები „აყარს“ ეძახიან.

აყარის წარმოშობა უშუალოდ შუაეცხლთანაა დაკავშირებული, იგი კერის განუყოფელი ნაწილია, განსაკუთრებით ისეთი უძველესი ქართული საცხოვრებელი სახლების სისტემაში, რომლებიც უეჭველად ქანობიანი სახურავით იყო გადახურუ-

¹ ლ. აღნიაშვილი, სპარსეთი და აქაური ქართველები, თბილისი, 1896, გვ. 188—196.

² ხ. ე დ ი ლ ი, საინგილო, თბილისი, გვ. 85.

ლი. ამრიგად, აყარი კერის თავზე ჰერში მოწყობილი კვამლის გასასვლელი ღიობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია.

სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, აყარი არის „სხევის ლატანი, გინა საყიდისა“. როგორც განმარტებიდან ჩანს, თავდაპირველად აყარს, დღევანდელი გაგებით სხევის დანიშნულება არ ჰქონია, მაგრამ შუაეცხლის არსებობის გამო იგი, როგორც კერის ატრიბუტი დაკავშირებული იყო ჰერთან და სხევანთან. ამიტომ შუაეცხლის მოსაპობის შემდეგ, რა თქმა უნდა აყარმაც და აყარა თავისი აღრინდელი ფუნქცია და როგორც მედარი ელემენტი საცხოვრებელი სახლის ჰერს ჩამოშორდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, სახელწოდება „აყარი“ მაინც შემორჩა სახურავის ქვეშ არსებულ სივრცეს, რომელსაც ინგილო გოჭხის საცხოვრებელი სახლის სისტემაში, როგორც ზემოთაღ აღვნიშნეთ, სამეურნეო დანიშნულება აქვს მიკუთვნებულ.

„რაც შეეხება სახელწოდებას — სხევის, იგი საქართველოს ყველა კუთხისათვის არის დამახასიათებელი. ქართლ-კახეთში მის სახლს იმ ნაწილს უწოდებენ, რომელიც სახურავსა და ჰერს შორის მდებარეობს...“

საქართველოს ზოგიერთ კუთხეში (იმერეთი) სხევის პარალელურად იხმარება სახელწოდება თავანი. ამავე, მნიშვნელობით იხმარება ეს ტერმინი თურქულში (tawan), აზერბაიჯანულში (табан), ალბანურში (taban) და სხვ.¹

„ერლიან-აყარიანი“ საცხოვრებელი სახლი გავრცელებულია უფრო მეტად მთისპირა სოფლებში, იგი გვხვდება როგორც ქვის, ისე ხისაგან აგებული. მის არსს კარგად არკვევს სოფელ კახ-ინგილოში ამ ბოლო დრომდე შემონახული გ. თამაზაშვილის ქვისაგან ნაგები ძველი საცხოვრებელი სახლი.

გ ე გ მ ის კ ო მ პ ო ზ ი ც ი ა. გ. თამაზაშვილის „ერლიან-აყარიანი“ საცხოვრებელი სახლის (სოფ. კახ-ინგილო) გეგმის კომპოზიცია ქართული საცხოვრებელი „დარბაზის“ გეგმის კომპოზიციას მოგვაგონებს. (ტაბ. 19 შდრ. სურ. 33 ა და ბ) იგი მეგარონის ტიპის საკმაოდ ვრცელ ერთგანყოფილებიან საცხოვრებელს წარმოადგენს, რომლის ფართი 80 კვ. მ. აღწევს, (10X7,9). მისი დამახასიათებელი ღია დერეფანი, ლოჯიის მსგავსად ანტებს შორისაა მოქცეული და 20 კვ. მ. უდრი. ანტები ორ მეტრზეა წინ გამოწეული, მათში ჩამოწეულია ბუხრები. რა თქმა უნდა გ. თამაზაშვილის საცხოვრებელ სახლს

მთლიანად პირვანდელი სახით არ მოუღწევია ჩვენამდე. ვარე კონტურის კაპიტალური კედლებს გადაკეთება და გარედან მიშენება არ განუცდია, რის გამოც მისი ერთგანყოფილებიანი საცხოვრებელი დარბაზის გეგმის რეკონსტრუქცია არაერთაარ ეპვს და გართულებას არ იწვევს.

გ. თამაზაშვილის „ერლიან-აყარიანი“ სახლი ტიპური ინგილოური დარბაზია, რეკონსტრუქციის შემდეგ ოდნავ გადასხვაფერებული. იგი დვას ვაკეზე, ირგვლივ შემალტებული სავალით. გარეთა კაპიტალური კედლების სისქე 90 სმ უდრის, აგებულია დიდი ზომის „სიბი“ (რიყის) ქვებისაგან კირის ხსნარზე (ტაბ. 19, 20. იხ. გეგმა).

გ. თამაზაშვილის საცხოვრებელი დარბაზის შედარებამ ქართლურ და მესხურ დარბაზებთან გვიჩვენა, რომ სანიგილოს დარბაზები საცხოვრებელი ფართის მიხედვით ბევრად სკარბობს ქართულსა² და მესხურს³.

აღსანიშნავია, რომ გ. თამაზაშვილის ერლიანი საცხოვრებელი გადაკეთებამდე ორ დედაბოძიანი ყოფილა.

საყურადღებოა გ. თამაზაშვილის საცხოვრებელი დარბაზის გეგმარების ელემენტების თავისებურება. ანტებს შორის მოქცეული ღია დერეფანი გრძივი კედლს გაყოლებზე მდებარეობს (ტაბ. 19), ხოლო ქართლურ დარბაზებში იგი წარმოდგენილია ვანივი კედლის წინ (სურ. 33 ბ); აქ დედაბოძებს შორის გამავალ ღერძზე მთავარი შესასვლელი მდებარეობს. ქართლურ დარბაზში კი პირიქით, მთავარი შესასვლელი მოთავსებულია დედაბოძებზე გამსვლელ სიმეტრიის ღერძზე (ტაბ. 19. შდრ. სურ. 33 ბ).


„ერლიან-აყარიანი“ საცხოვრებელი სახლების წარმოშობას სანიგილოს ტერიტორიაზე წინ უსწრებს დარბაზების გარდაქმნის, გადასხვაფერების პროცესები, რომლებიც თანდათანობით გადაიზარდა „ერლიან-აყარიანი“ საცხოვრებელთა წარმოშობაში. იგი უნდა დაწყებულიყო ისტორიულ წარსულში მრავალსულიანი ოჯახების დაშლის პერიოდთან.

პატრიარქალური დიდი ოჯახის დიფერენციაციამ დარბაზულ საცხოვრებელთა ჭერ ცალკეული მოძველებული ელემენტების კედლმა, და შემდეგ თანდათანობით მისი ცხოვრებიდან განდევნა გამოიწვია.

² ქართლის დარბაზები დიღმის (53 კვმ), ყარაღაჯის (65 კვმ), წილკნის (64 კვმ) და ნაღარბაჯეის (59 კვმ), იხ. ქართლის დარბაზები გ. ჩუბინაშვილის რედაქციით. თბილისი, 1927, ტ. I, II, III, IV.

³ მესხური დარბაზებიდან ყველაზე დიდა სოფელ ჰაკარის დარბაზი (60 კვმ).ხ.წ. Сумбадзе, Грузинские даразны, Тб., 1960, табл. 12.

¹ მ. ჩ ა რ თ ლ ა ნ ი, სვანური სახლის აყარი (შვილ), საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XIX და XX, თბილისი, 1957, გვ. 311—312.



სურ. 33ა. ქართლის დარბაზი, ფასადი. (ნ. სვეეროვის მიხედვით)

ახალმა მოთხოვნებებმა დააყენა საკითხი, მცირეინცხოვანი ახალი ოჯახისათვის ახალი ტიპის საცხოვრებლის შექმნის გარდუვალობის შესახებ.

ცნობილია, რომ დარბაზულ საცხოვრებელთა სისტემაში ბუხრების გაჩენამ შუაეცხლის განდევნა გამოიწვია. ამან კი თავისთავად შესაძლებელი გახადა შუაეცხლისაგან განთავისუფლებული დიდი საცხოვრებელი ფართობის (დარბაზის) დანაწევრება ახალ მოთხოვნებათა საფუძველზე.

გ. თამაზაშვილის „ერდოიან-აყარიანი“ საცხოვრებელი სახლის გადაკეთება ძირითადად 1927 — 1928 წლებში მომხდარა. შუაეცხლის მოსპობამ გამოიწვია ჭერის გადაკეთება. აქ ძველი ერდოს არსებობაზე მეტყველებს დარჩენილი ფუძის კოჭები, რომლებიც გეგმაზე წყვეტილი ხაზებითაა აღნიშნული (ტაბ. 19, 20). ერდოს კონსტრუქციის შესახებ სხვა რაიმე ნიშან-წყალი არ არსებობს.

პატრონის გადმოცემით, შუაეცხლის თავზე ჭერში, დაახლოებით 40 წლის წინათ დიდი „სარქველი“ ყოფილა მოწყობილი; ეს ადგილი ამჟამად ამოქოლილია. აყარში შესვლისთანავე ყოფილი სარქველის ადგილზე აშკარად შეიმჩნევა 550 სმ დიამეტრის მქონე წრიულად ამოხნეტილი იატაკი, რომე-



ლიც „ვილის“¹ ხსნართაა დატკეპნილი (ტაბ. 21, იხ. აყარის გეგმა.)

შუაეცხლის თავზე ჭერში ფიცრებისაგან შეკრული პირამიდული ფორმის „ყუთი“ ყოფილა დადგმული. ხანდაზმულმა მოხუცებმა გვანიშნეს, რომ „ერდო“ ყოფილა აყარში აყვანილი კვამლის გასასვლელად. აქედან კვამლი აყარში გროვდებოდა და თანდათანობით ჭუჭრუტანებიდან და სარკმელებიდან გადიოდა გარეთ (ტაბ. 21, იხ. ჭრილი).

საყურადღებოა, რომ ღია ღერეფანი უცვლელადაა დარჩენილი. ჩანს, ძირითადად დიდი ცვლილება დარბაზში განიცადა; მისი უკანა კედლის განჯინა (ნიშა) და მთავარი კარის ღიობი ამოშენებულია. ერთგანყოფილებიანი დიდი ტევედობის დარბაზი შუაზეა გატეხილი და მიღებულია ორგანყოფილებიანი საცხოვრებელი, თითოეული დაახლოებით 3მ კვ. მ. აღმეტება.

აღსანიშნავია, რომ თითოეული შათგანისათვის ღერეფანში გაჭრილია ახალი კარი. მარჯვენა და მ-

¹ ელი არის კირისა და თიხისაგან შეზავებული ხსნარი აყარის იატაკის მოსაპირკეთებლად. შემჩნეულია, რომ ელის ხსნარით დატკეპნილ იატაკში მდრღნელები ვერ ძებულებენ.



სურ. 33ბ. ქართლის დარბაზი. გეგმა (ნ. სევეროვის მიხედვით)

რცხენა კედლის განჯინები გადაკეთებულია კარფანჯრების ღიობებად, რომელშიაც ჩასმულია მარცხნივ კარები და მარჯვნივ ფანჯარა (ტაბ. 20):

მოცულობითი კომპოზიცია. ზემოხსენებული „ერდოიან-აყარიანი“ საცხოვრებელი სახლის მოცულობითი კომპოზიციის ძირითად ხუროთმოძღვრულ სახეს ქმნის დღემდე პირვანდელი სახით მოღწეული დია დერეფანი. იგი მთელი ფასადით მიმართულია საჩრდილოებელი ხეებით დამშვენებული მწვანე ხავერდოვანი ეზოსაკენ, ხოლო სახლის უკანა მხარე სავსებით იზოლირებულია მომიჯნავე კარ-მიდამოსაგან ყრუ კედლით.

აღსანიშნავია, რომ ხსენებული ტრადიციული დერეფანი ქართლური საცხოვრებელი „დარბაზის“ ტიპური დერეფნის ფასადის ხუროთმოძღვრულ კომპოზიციურ სქემის ანალოგიას წარმოადგენს (ტაბ. 19. შდრ. სურ. 33 ა).

„ერდოიან-აყარიანი“ საცხოვრებელი სახლის დერეფნის კომპოზიცია ენათესავება ქართლური საცხოვრებელი „დარბაზის“ მეგარონული ტიპის დერეფნის კომპოზიციურ ვარიანტს, რომელიც ინგილო გლეხის „დარბაზის“ ტიპური დერეფანის ხუროთმოძღვრულ-კონსტრუქციული მემკვიდრეობის ხასიათს ატარებს.

აიენის ხუროთმოძღვრულ-კონსტრუქციული გადაწყვეტა სიმეტრიულია. ამ ტიპის „დარბაზულ“ საცხოვრებელთა აიენებისათვის დამახასიათებელია მხოლოდ ორი ბოძი. (ფასადის ფრონტალური სიბრტყის სამ ნაწილად გაყოფა).

ზემოხსენებული „ერდოიან-აყარიანი“ სახლის აიენი, რომელიც მას „დარბაზებიდან“ აქვს მემკვიდრეობით მიღებული, მის უცვლელ და განუყოფელ ელემენტს წარმოადგენს.

ცნობილია, რომ ქართული საცხოვრებელი სახლის აივნის მთავარი ხუროთმოძღვრული ელემენტები სვეტებია, რომელთა მხატვრული დამუშავების ტრადიციული ხერხები ფრიად მნიშვნელოვან როლს ასრულებდა საცხოვრებელი ნაგებობის დეკორულ გადაწყვეტაში.

ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ ჩუქურთმის, როგორც დეკორული გადაწყვეტის (ფასადის მხატვრული დამუშავების) ერთ-ერთი საშუალება, თითქმის განდევნილია საინგილოს, როგორც მონუმენტური, ისე ხალხური ძეგლებიდან. ხალხური გადმოცემის მიხედვით, ირკვევა, რომ გ. თამაზაშვილის საცხოვრებელი სახლის აივნის ხის სვეტებზე ჩუქურთმები ყველგან გადაუთლიათ.

ი ნ ტ ე რ ი ე რ ი. — ზემოთაც აღვნიშნეთ, რომ გ. თამაზაშვილის „ერდოიან-აყარიან“ ერთგანყოფილებიან საცხოვრებელს თავდაპირველად ორი დედაბოძი ჰქონია. მაგრამ ვრცელი საცხოვრებელი სათავსოს გადაკეთების შემდეგ (ვატიხერის გამო) თითოეული მათგანი ცალ-ცალკე თითო განყოფილებაშია მოქცეული და აღრინდელი მნიშვნელობაც დაუკარგავს (ტაბ. 19 შდრ. ტაბ. 20);

აღნიშნული დედაბოძები ჩუქურთმით ყოფილა მორთული, იმგვარად, როგორც ეს საერთოდ საქართველოში გავრცელებულ დარბაზების დედაბოძების მხატვრულ დამუშავებაშია მიღებული. როგორც ცნობილია, ინგილო გლეხის ოჯახისათვის დედაბოძი და მისი გარშემო ადგილი კერასთან ერთად „წმინდათა-წმინდად“ ითვლებოდა. ქრისტიანული სარწმუნოების დევნის პერიოდში იგი მისი ოჯახის ერთგვარ კონსპირაციულ სალოცავსაც წარმოადგენდა; ხშირად დედაბოძზე ცენტრალურ ადგილას ქართულ ჩუქურთმებთან ერთად ჭვარიც იყო ამოკვეთილი (ტაბ. 22. ნახ. 2).

დედაბოძების ჩუქურთმებისაგან გაშიშვლების 3—4 წლის შემდეგ (გ. თამაზაშვილის საცხოვრებელი სახლის ორგანყოფილებად გადაკეთების პროცესში) აღნიშნული დიდტანიანი დედაბოძების ფორმაც (სათავსოთა შემცირებული ფართების შესაბამისად) პროპორციულად დაუპატარავებიათ. ორივე დედაბოძი ჩამოკრილია ჩვეულებრივი უბრალო ბოძის ფორმაზე.

ირგველი ჩამოკრილი დაკინებული ბოძი, მხოლოდ კონსტრუქციულ მოვალეობას ასრულებს, სა-

ცხოვრებელი განყოფილების ჰერის გადახურვის მხოლოდ საყრდენს წარმოადგენს (ტაბ. 20, 21, ნახ. 1) და მას დღეისათვის არავითარი დეკორატიული სამკაული არ გააჩნია.

დედაბოძის აღრინდელი ფორმის აღდგენა შესაძლებელია მისი გადარჩენილი ნაშთების მიხედვით.

ამ თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს „კულუფა“, რომელიც პატარა განჯინას ანუ თახჩას წარმოადგენს, იგი დედაბოძის ტანის მოცულობაში ყოფილა გამოყვანილი. იმ ბოძს „კულუფა“ ზედკე აქვს ხელუხლებლად შერჩენილი და მის ჰემსპირიტ სიდიდეზე ნამდვილ წარმოდგენას გვაძლევს.

„კულუფა“ დედაბოძის ძირიდან (იატაიდან) 80 სმ. არის დამორებული. მისი ლიობი ტრაპეციული მოხაზულობისაა (52 X 48), ხოლო სიღრმე 28 სმ უდრის. „კულუფას“ ირგველი შემოვლებული აქვს ჩუქურთმის არშია, შესრულებული გეომეტრიული (სამკუთხედების) ამოკვეთის წესით (ტაბ. 22).


ეს გვაფიქრებინებს, რომ აქაური დარბაზების დედაბოძებში მიღებული ყოფილა „კულუფას“ გამოჭრა, რომელიც გამოყენებული ყოფილა საოჯახო „წმინდა ჭურჭლისა“ და სხვათა მესანახად.

გადათლილი ჩუქურთმებიდან, ზოგიერთი სახე-შერჩენილი ელემენტის მოხაზულობამ საშუალება მოგვცა აღგვედგინა აქაური დედაბოძის წინა ფასადის აღრინდელი ხუროთმოძღვრული ფორმა (მისი დაკარგული სამკაულები.) ტაბ. 22, ნახ. 1, I, II, III, ნახ. 2, I, II).

საინგილოს დარბაზების დედაბოძების მხატვრული დამუშავების უძველესი ტრადიციების უფრო ნათლად წარმოსადგენად გთავაზობთ გ. თამაზაშვილის „ერდოიან-აყარიანი“ სახლის დედაბოძის აღდგენილ ფორმას და მის მხატვრულ დამუშავებას შევადარებთ ერთ ფრიად საინტერესო სახესხვაობას, რომელიც სოფ. ქვემო ფიფინეთის (II თალა) ერთ-ერთი უძველესი საცხოვრებლის აყარში აღმოჩნდა (ტაბ. 22, შდრ. ტაბ. 23 და სურ. 34).

ძველი საცხოვრებელი სახლების აყარში ხშირად გადანახული ჰქონიათ მხატვრულად დამუშავებული შენობის ნაწილები კორთეს („ქართული თაროს“) ე. წ. თახჩების (კარ-ფანჯრების) საპირეები და სხვ.

აღსანიშნავია, რომ მხატვრულად დამუშავებუ-



სურ. 34. სოფ. მეორე თალა. — „საყურებანი“ დედაბოძი.

ლი კიდობნების („კიღბანის“) უმრავლესობა, ასევე ეკლესია-ტაძრების ინვენტარი („ოთხთაეები“ და სხვა მრავალი ეთნოგრაფიული მნიშვნელობის ნივთი) აყარებშია ნაპოვნი. ხშირად სახლის პატრონს ავიწყდებოდა კიდევ რა ჰქონდა იქ შენახული ხოლო ახალმა პატრონმა არ იცოდა რა იყო მისი სახლის აყარში.

სოფელ II თალაში (ქვემო ფიფინეთში) აყარში აღმოჩენილი, მხატვრულად დამუშავებული დედაბოძი აქაური დედაბოძის ერთ-ერთ ორიგინალურ ნიმუშს წარმოადგენს (ტაბ. 23, სურ 34). აქ განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს დედაბოძის ბალიშის (კაპიტელის) ფორმა და მისი დამუშავების ტექნიკა. ორიგინალურია მისი ცალკეულ მხატვრული ელემენტები — „საყურები“ (რგოლები), რომლებიც ჩამოკიდებულია კაპიტელში გამოჭრილ სპეციალურ „ყურებში“. აღსანიშნავია, რომ ის რგოლები ცალკე დამზადებული კი არაა, არამედ დედაბოძის ბალიშთან (კაპიტელთან) ერთად ერთი მთლიანი ხის მასაშია გამოკვეთილი (ტაბ. 23, სურ. 34).

ამ ორი დედაბოძის (ტაბ. 22, 23) შედარება გვიჩვენებს, რომ მათი მხატვრული დამუშავების სიუჟეტი და ცალკეული ელემენტები — მზის ემბლემები, გეომეტრიული მოტივების ხასიათი, ჩუქურთმის „ყრუ ფონზე“ კვეთილების ხერხები, ძალზე ემსგავსებიან ერთმანეთს.

კონსტრუქციული სტრუქტურა. „ერლოიან-აყარიანი“ საცხოვრებელ სახლში კონსტრუქციული თვალსაზრისით მთავარი ადგილი აყარს უკავია, სამეურნეო დანიშნულებისათვის აყარის სივრცის გამოყენებამ მაღალქანობიანი სახურავის მოწყობის აუცილებლობა განაპირობა.

აღნიშნული „ერლოიან-აყარიანი“ საცხოვრებელი სახლის სახურავი ორქანობიანია. მისი სიმაღლე საშუალოდ 7 მეტრამდე აღწევს. სახურავის საყვავის („თირის“) დასაყრდნობად გამოყენებულია ე. წ. „მაკრატელი“ (შიდა კანეთში მას „მარწყუსს“ უწოდებენ). „მაკრატელი“ არის ერთმანეთში ჰორიზონტალურად შეკრული ორი ძელი, იქმნება ისეთი კვანძი, რომელსაც 25—30 სმ სიგრძის ნაშვებები ზემოთ

აქვს დატოვებული და გადაშლილია (ორკაპის სახით) ნამდვილი მაკრატლის მსგავსად.

აქ გამოყენებულია „მაკრატლის“ ორი სახე: სამფეხა და ორფეხა: სამფეხა „მაკრატელი“ აყარის თავსა და ბოლოშია დაყენებული, ხოლო მათ შორის მოთავსებულია ორი ორფეხა „მაკრატელი“. „მაკრატლის“ ნაშვებებში ზემოდან ჩასმულია სახურავის „თირი“ (თავზე), რომელზედაც გადაკიდებულია კავები.

სახურავის კავებზე დამაგრებულია მუკენები (ჩალის დასამაგრებელი ლარტყები).

გ. თამაზაშვილის „ერდოიან-აყარიანი“ საცხოვრებელი სახლის საბოლეს ურდოსა და მალალ ქანობიანი სახურავის ერთობლივი არსებობის მავალითია.

ხის „ერდოიან-აყარიანი“ საცხოვრებელი სახლები. ზემოთ განხილული ქვის „ერდოიან-აყარიანი“ საცხოვრებელი სახლის ერთ-ერთ სახესხვაობას წარმოადგენს იდენტური ტიპის ხის სახლები, რომლებიც მეტწილად საინგილოს პირველი საცხოვრებელი ზონის სამხრეთით მდ. ალაზნის მარცხენა ნაპირას, ტყით მდიდარ ადგილებშია გავრცელებული.

ხის „ერდოიან-აყარიანი“ საცხოვრებელი სახლის ერთ-ერთ საინტერესო ვარიანტს წარმოადგენს სოფელ თოფაზში (კახის რაიონი) დღემდე შემონახული ხის ძველი საცხოვრებელი სახლი, რომელიც თ. ნურაშვილს ეკუთვნის (ტაბ. 24).

თ. ნურაშვილის „ერდოიან-აყარიანი“ საცხოვრებელ ხის სახლს გადაკეთების აშკარა დანიშნულებაა.

ამ „ერდოიან-აყარიანი“ სახლის გეგმა საშუალებას გვაძლევს აღვადგინოთ მისი ადრინდელი ფორმა (ტაბ. 24, შდრ. ტაბ. 25).

ზემოთ აღნიშნული „ერდოიან-აყარიანი“ ძველი საცხოვრებელი ხის სახლის აღდგენილი გეგმის კომპოზიცია წარმოდგენს სწორკუთხედს წარმოადგენს, რომელიც ხის ერდოიან-აყარიანი სახლის

ერთ-ერთ ნიმუშად მიგვაჩნია. მისი ვრცელი საცხოვრებელი სათავის ფართი 70 კვ. მ აღწევს. რეკონსტრუქციის გეგმაზე იგი ორი დედაბოძითაა წარმოდგენილი (იხ. რეკონსტრუქცია, ტაბ. 24).

დარბაზის ცენტრში, დედაბოძებს შორის ტრადიციული კერა ყოფილა მოწყობილი, ხოლო მის თავზე აყარში ერდო ჰქონია აყვანილი კვამლის გასასვლელად. ერდოს არსებობაზე აქ ჰერზე დატოვებული ირიბად დადებული ორი კოჭი მეტყველებს. ქერის გადახურვის კონსტრუქციულ სისტემაში ეს კოჭები დღემდე კარგადაა დაცული (ტაბ. 25. იხ. გეგმა).

თ. ნურაშვილის სახლის საკედლე მასალად გამოყენებულია წაბლისა და მუხის თლილი ფიტრები (სისქე დაახლოებით 10—18 სმ. განი 60—70 სმ).

შენობის კუთხეები ნაშთური ქვობითაა ამოყვანილი, ხოლო ფიცრის მეორე ბოლო ბოყვში „ჩაჩეკილ“ დედა ნარიმანდშია ჩასმული.

შუაეცეხლის მოსაბოძად გამოიყვანა სახლის ინტერიერის გადასხვაფერება. ორ დედაბოძიდან მხოლოდ ერთია დარჩენილი, რომელსაც ტრადიციული მხატვრული დამუშავების ელემენტები არა აქვს შერჩენილი, მეორე ბოძის ადგილზე „დარბაზის“ მთელ სიგანეზე ქვის კედელია ამოყვანილი, რომლის შუაში მეტად ორიგინალური დიდი ბუხარია დაკიდებული.

ნურაშვილების საცხოვრებელი „დარბაზისათვის“ დამახასიათებელია წინაპართა „დიდი ოჯახის“ მსგავსი შუაეცეხლი, რომლის გარშემო თავსდება დღემდე მისი მრავალრიცხოვანი წევრები, რა თქმა უნდა, ბუხარში ცეცხლის გადატანის შემდეგ ისინი მოკლებული უნდა ყოფილიყვნენ ამგვარ შესაძლებლობას, მაგრამ ხალხური მშენებელი ახერხებს ისეთი ბუხრის შექმნას, რომლებსაც წინა და გვერდის ორივე მხარე აქვს ღია. მთელი ბუხრის სიძიძე მხოლოდ კედელზე ჩამაგრებულ კონსტრუქციულ დაყარდობილი. ასეთ ბუხარს „დაკიდებულ ბუხარს“ ეძახიან (ტაბ. 25, 26). „დაკიდებული ბუხრის“ ირგვლივ (სამივე მხრივ), შუაეცეხლის მსგავსად ოჯახის უფრო მეტი წევრი თავსდება, ვიდრე ჩვეულებრივ კედელში ჩადგმული ბუხრის წინ.

შუაეცეხლის გაუქმებამ გამოიწვია ერდოს აყარში გაუქმება; ის ადგილი, სადაც ერდო იყო, ახლა წრიულადაა ამოქოლილი ისე, როგორც ეს გ. თამაზაშვილის საცხოვრებელი სახლის აყარშია გეგმაზე ნაჩვენები (ტაბ. 26. იხ. აყარის გეგმა).

ბუხრის კედელი დედაბოძის ადგილზეა ამოყვანილი, რომელმაც ბუხრის კედლის უკან წაგ-

¹ საბას განმარტებით სიტყვა მუკენი არის „ჩალურის ლატანი“. როგორც ირკვევა, ეს ძველისძველი ხალხური სამშენებლო ტერმინი დღემდე განავრცობს არსებობას. იგი წარჩინებით შემონახულია ხალხურ მეტყველებაში. ეს ტერმინი შეტანილი აქვს მოსე ჯანაშვილის თავის ნაშრომის „საინგილოს“ ბოლოში თანდაცხულ ინგილოურ ლექსიკონში.



სურ. 35. კოლხური საცხოვრებელი სახლები (XVIII—XIX სს)

რქელბული ვიწრო სათავსოს გამოყოფა გამოიწვია. იგი ამჟამად საზამთრო „საძროხედაა“ გამოყენებული (ტაბ. 25).

ამ სახლშიც სახურავის ძირითად კონსტრუქციულ საყრდენ კვანძს ორმაგი ანუ ჯვარედინი მაკრატელი წარმოადგენს. მასზე დაყრდნობილია ორჭანობიანი სახურავის „თახე“ (საყვავე). როგორც ირკვევა, ორმაგი „მაკრატლის“ ფუძის ცენტრიდან (ოთხფეხს შუა) უნდა ყოფილიყო აყარში აყვანილი კვანძის „სატევი ერღო“ (ტაბ. 26).

ყურადღებას იმსახურებს ის ფაქტი, რომ საინგილოს ტერიტორიაზე გავრცელებული ხის აყარიანი სახლების ფორმები აშკარა მსგავსებას ამჟღავნებენ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე XIX ს ოცდაათიან წლებამდე შემონახული ხის უძველესი სახლების მოცულობით ფორმებთან.

ამის დასამოწმებლად საკმარისია თვალი გადავავლოთ ფრანგი მეცნიერის ფრ. დიუბუას ჩანახატებს, რომლებშიც ასახულია სამეგრელოს ხის საცხოვრებელი სახლების ძველი ნიმუშები (ტაბ. 25, შდრ. სურ. 35).

ფრ. დიუბუა დე მონპერეს ხსენებული საცხოვრებელი სახლების გეგმები ჩანახატებში არა აქვს მოცემული, მაგრამ სივრცობრივი კომპოზიციების ცალკეული ფრაგმენტები, მაღალჭანობიანი სახურავის ქვეშ არსებული აყარის მოცულობითი ფორმა და მისი დამახასიათებელი კონსტრუქციული ელემენტები, რომლებიც მკაფიოდ იკითხება ფსადის საერთო ასახულობის ექსტერიერის სისტემაში, უფლებას გვაძლევს გამოვთქვათ მოსაზრება, რომ ფრ. დიუბუას ნახატებში გამოსახულია ზემოხსენებული ხის აყარიანი სახლების მსგავსი ფორმები (სურ. 35).

ასეთია ის მოკლე ცნობები, რაც სადღეისოდ გვაქვს „ერდოიან-აყარიანი“ საცხოვრებელი სახლებისა და მათი წინამორბედი ინგილოური დარბაზების თავისებურებათა შესახებ, რომლებიც საქართველოში გავრცელებულ, ერდოიან და დარბაზულ საცხოვრებლების გვერდით შეიძლება ვიგულოთ.

ასეთი სახეობის სახლები ფართოდაა გავრცელებული საინგილოს, როგორც დაბლობ, ისე მთის ზონის სოფლებში. მათი გავრცელების არე მოიცავს პირველი და მეორე საცხოვრებელი ზონის ტერიტორიებს მთის ძირის სოფლების ჩათვლით.

საინგილოს ტერიტორიაზე გავრცელებული ერთი და ოროთახიანი აუარიანი ხალხური საცხოვრებელი სახლები, შესწავლილი გრაფიკული მასალების მიხედვით, შეიძლება დავაჯგუფოთ შემდეგ ძირითად სახეებად: ერთოთახიან-აუარიან-აივნიანი საცხოვრებელი ორქანობიანი სახურავით და ოროთახიანი აუარიან-აივნიანი საცხოვრებელი ოთქანობიანი სახურავით; აღნიშნულ საცხოვრებელთა ტიპური სახეები ერთსართულიანი და ორსართულიანიც გვხვდება; ასევე მასალის მიხედვით ვარჩევთ ხისა და ქვისაგან აგებულ აუარიან საცხოვრებელ სახლებს, რომელთა შორის ზოგიერთ სახასიათო ელემენტებში არსებობს აშკარა სახესხვაობა.

ერთოთახიანი აუარიან-აივნიანი საცხოვრებლები ორქანობიანი სახურავით. საცხოვრებელი სახლის ხსენებული სახე, რომელიც მხოლოდ ერთ განყოფილებას შეიცავს, ღია აივნით დღემდე შემორჩენილია ბარისა და მთის ზონის სოფლებში. ბარის ზონაში, განსაკუთრებით ტყით მიღარა აღელებში, ერთოთახიანი საცხოვრებლების უმრავლესობა ხისაგანაა აგებული; ამის თვალსაჩინო ტიპურ მაგალითად დამოწმებული გვაქვს სოფელ ალიაბადიდან ომარ ივალუას (მაჰმადიანი ინგილო გლეხის) ერთოთახიანი ხის საცხოვრებელი სახლი, რომლის გეგმის კომპოზიცია აივნის ჩათვლით კვადრატს უახლოვდება (ტაბ. 27. იხ. ქვემოთ ნახაზი — B).

ო. ივალუას საცხოვრებელი სახლის მოცულობით ხუროთმოძღვრული კომპოზიცია სიმეტრიულია, რომელიც მარტივ კონსტრუქციულ ელემენტებშია ვადაწყვეტილი; მისი დამახასიათებელი ღია, უმოაჯირო დერეფანი მოკლებულია მხატვრულ დამუშავებას. აღნიშნული სახლის მალაქანობიან სახურავს ტიპური აუარის ფორმა აქვს. რომლის კონსტრუქციული სტრუქტურის ერთ-ერთ მთავარ ელემენტს ე. წ. „მაკრატელი“ წარმოადგენს.

ო. ივალუას ზემოხსენებულ საცხოვრებელ სახლის მალაქანობიან ორფერდა სახურავის ქვეშ მოქცეულ ღია აუარში მოჩანს ტიპური ორფეხა „მაკრატლის“ კონსტრუქცია.

როგორც ანაზომიდან ჩანს, ხსენებული ერთოთახიანი საცხოვრებლის ფართი 22 კვ მეტრს არ აღე-

მატება. მისი კედლები აგებულია 16 სმ სისქის მაგარი ჯიშის (მუხისა და წაბლის) განათალი ხის ძელებისაგან და ერთიმეორის ნარიმანდშია ჩასმული. ყურადღებას იმსახურებს კუთხეების შეერთება, „ნაშთური ჭდობის“ სახით, რასაც ინგილოები სახლის „ჩაჩვილ კიდეს“ ეძახიან.

ო. ივალუას საცხოვრებელ კედელზე „დაკიდებული“ ხის ბუნარი აქვს. ბუხრის ზედა ტანი მუხის ფიცრებისაგანაა შეკრული და კედელზე ჩამოგრებულ კონსოლებზეა დაყრდნობილი, ბუხრის კონსოლის ძელები აივნის მხარეზე ისეა გარეთ გამოშვებული, რომ მასზე მოწყობილია „კორთე“ (თარო).

დაკიდებული ბუხრის ყუთისებრი ტანი თანდათანობით შევიწროებულია, ოთხწახნაგა პირამიდას მოგვაგონებს, რომელიც „ერდოს“ მსგავსად აუარშია აყვანილი. ბუხრის მოპირდაპირე მხარეს უქანა კედლის შუაში, სხვადასხვაფერად შეღებილი „კორთე“ კედელზეა მიკრული, მასზე დალაგებულია სპილენძისა და თიხის ჯამ-ჭურჭვალი. „კორთეს“ მარჯვნივ და მარცხნივ ტახტისებურად ხის საწოლებია უძრავად მიმაგრებული და თითოეულზე თავთან მორუქურთმებული კიღობნებია დადგმული.

აღნიშნული ერთოთახიანი აუარიანი ხის სახლები მეტწილად შემორჩენილია დღემდე საინგილოს დაბალი ზონის „ბინების“ სეზონური დასახლების სისტემაში. საცხოვრებლის საკვლევი ტიპი დღეს არ წარმოადგენს ძირითად საცხოვრებელ უჯრედს. მან ეს ფუნქცია უკვე კარგა ხანია დაკარგა.

იგი საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან, საყოლმეურნო ცხოვრების მძლავრი განვითარების წყალობით სამეურნეო დანიშნულების ნაგებობად გადაიქცა. ქვისაგან აგებულმა ამ ტიპის ერთოთახიანმა საცხოვრებელმა ჯერ კიდევ შეინარჩუნა საცხოვრებლის მნიშვნელობა.

ხალხურ ნაგებობათა ანაზომი გრაფიკული მასალის შედარებითი ანალიზით დასტურდება, რომ „ღიდი ოჯახის“ დიფერენციაციის დაწყებამდე მათი დამახასიათებელი „დარბაზული“ და „ერდოიანი-აუარიანი“ ღიდი ფართის შემცველ (70—80 კვ. მეტრამდე) საცხოვრებელთა პარალელურად უქვედასი დროიდან არსებობდა ერთოთახიანი მცირე ფართობის საცხოვრებელიც, რომელსაც „სასტუმრო სახლის“ მნიშვნელობა ჰქონდა მინიჭებული.

„ღიდი ოჯახის“ დაშლის პროცესში მის დამახასიათებელ საცხოვრებელთა ძველი ტიპები ერთდროულად განიცდიან ანაზომი კედლული კედლისა და მის

ნაკვალად განვითარების პირველ ეტაპზე მასიურად ფეხს იკიდებს მცირე ტრეადობის ქვისაგან აგებული ერთოთასიანი აყარიანი საცხოვრებლები (ტაბ. 28).

აღსანიშნავია, რომ მათი გეგმის კომპოზიცია ერთოთასიანი-აყარიანი სახლის გეგმის კომპოზიციის განმეორებას წარმოადგენს. გეგმების ერთმანეთთან შედარებით მოწმდება, რომ მათ შორის მხოლოდ საცხოვრებელ ფართშია მკვეთრი განსხვავება; „ერთოთასიანი-აყარიანი“ სახლის ფართი ერთგანყოფილებიან საცხოვრებელთა ფართზე თითქმის სამ-ოთხჯერ მეტია.

ერთოთასიანი მეგარონული ტიპის საცხოვრებელი სახლი განვითარების პროცესში გარკვეულ ცვლილებებს განიცდის. გეგმარებითი ხასიათის ცვლილებები პირველად ანტებს შორის მოქცეულმა ღია დერეფანმა განიცადა. ამის თვალსაჩინო მაგალითად შეიძლება დავასახელოთ სოფელ ალაბადაში მამპალიანი ინკოლა ვლუხის ნ. არზამანოვის ერთოთასიანი საცხოვრებელი სახლი (ტაბ. 29).

მისი კედლები ქვისაგანაა აგებული, თხანარევი კირის ხსნარზე. ანტებს შორის მოქცეულ ღია აივანს მშენებელი ზრდის გვერდის ხარჯზე და მას კახეთში გავრცელებული კუთხური აივნის ფორმას აძლევს; მას უკვე მოაჭირიც უკეთდება (ტაბ. 29. იხ. გეგმა).

მსგავსი მაგალითები დამოწმებულია საქართველოს სხვა რაიონებშიც.

აივნის სვეტებიდან განსაკუთრებით იქცევს ყურადღებას ცენტრალური სვეტისა და მის მარჯვნივ გვერდით მდებარე სვეტის ფორმები. ცენტრალური სვეტისათვის საგულდაგულოდ მოძებნილია ისეთი ხე, რომელსაც ზემოთ დატოვებული აქვს სიმეტრიულად გაშლილი ორი ტოტი. ამ უკანასკნელზე დაყრდნობილია გადახურვის მთავარი კოჭი. ტოტებს შორის შუაში, ადამიანის თავის მსგავსი ხის ტანის ამონაწერი იმ დონეზეა დატოვებული, რომ მასზე კოჭი არ ეყრდნობა და იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს ხელმაშვერილი ადამიანის სილუეტური ფორმა იყოს კარიატიდისებურად კოჭის ქვეშ შედგმული. ასევე საინტერესოა მარჯვნივ მდებარე სვეტი, რომელსაც მოაჭირის ოდნავ ზემოთ ფრიად ორიგინალური წრიული კორთე აქვს, და ერთი მთლიანი ხისაგანაა გამოკვეთილი (ტაბ. 29, იხ. ფსაადი).

აყარის წინა ღიობის ნახევარი ამ სახლში „ტყრულშული“ წნულითაა ამოყვანილი, ხოლო უკანა მხარე შეესებულება დახერხილი ფიცრებისაგან.

ხალხური ხელოვნების არქაული ელემენტები მატერიალური კულტურის განვითარების

პროცესში სწრაფად იცვლის სახეს და მათ ადგილს სრულიად ახალი გაუმჯობესებული ფორმები იკავებს.

შემჩნეულია, რომ მაღალმთიან სოფლებში ხალხური ხელოვნების განვითარების საფუძველში არქაული ელემენტები უფრო იდნანს ინარჩუნებენ არსებობას, ვიდრე ბარის ზონის სოფლებში.

როგორც ირკვევა, მეგარონული ტიპის ერთოთასიანი საცხოვრებელთა იდენტური ტიპები, გავრცელებულია აგრეთვე დაღესტანში, სადაც ეს ფორმები დღემდე შემონახულია უცვლელად¹.

ოროთასიანი აყარიანი-აივნის საცხოვრებლები ოთხქანოანი სახურავით. ოროთასიანი საცხოვრებელი სახლები გვხვდება, როგორც ერთსართულიანი, ისე ორსართულად აგებული. ერთსართულიანი ოროთასიანი საცხოვრებლები ძირითადად „ერთოთასიანი-აყარიანი“ საცხოვრებელთა გადაკეთებითაა მიღებული შუაზე ვატისხვით (ტაბ. 30); იგი შეიძლება მიღებული იყოს მეორე გზითაც, ადრე არსებული განსაკუთრებული ერთოთასიანი სასტუმრო სახლის გვერდზე მეორე ოთახის მიშენებით.

ორსართულად გამართული ოროთასიანი საცხოვრებლების უმრავლესობა ხისაგანაა აგებული და გავრცელებულია დაბალი ზონის „სეზონური“ დასახლების „ბინების“ განაშენიანებაში. ისინი დღემდე შემორჩენილია სხვადასხვა სამეურნეო დანიშნულების ნაგებობების სახით.

ორსართულად აგებული ოროთასიანი საცხოვრებლის თვალსაჩინო ტიპური მაგალითი დამოწმებული გვაქვს სოფელ ალათემურიდან (ტაბ. 27, ნახაზი A).

სოფ. ალათემურის ძველი ქართული სახლია „დიდბინა“, ადრე იგი სოფელ კახის მკვიდრთა ბინებს წარმოადგენდა, რომელსაც შემდეგ თანდათანობით განვითარების პროცესში, სოფლური დასახლების ფორმა მიუღია და დღეს საინვილიოს ერთ-ერთ განვითარებულ საკოლმეურნეო სოფლად ითვლება.

ზემოხსენებული ორსართულიანი ოროთასიანი საცხოვრებლის საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს მ. ბაღუროვის² ყოფილი საცხოვრებელი სახლი (სოფ. დიდბინა, ამჟამად ალათემური), რომელიც დღეს ლ. სუყაშვილის ეკუთვნის. იგი აგებულია ხისგან, სქელი თლილი ფიცრებისაგან. ქვედა სართული გამოყენებულია საძროხედ, ხოლო ზედა

¹ С. О. Хан Магомедов, Лезгинское народное зодчество. Москва, 1969, стр. 45, таб. 17, наб. 1, 2, 3, შეადარე ჩვენს ანაზოებს.

² ხალხური ვაღმოცემით — ბაღუროები აქ ორი თუ სამი ოჯახი ყოფილა ჩამოსახლებული, რომლებიც კარგა ხანია გადასახლებულან თელავის რაიონში და ბაღურაშვილებად იწოდებან.

სართულში სხვადასხვა სახის მარცვლეული და სასოფლო სამეურნეო დანიშნულების ინტენარები ინახება.

მეორე სართული ამ სახლში პირველის განმეორებას წარმოადგენს იმ განსხვავებით, რომ ზემოთ მას უმოაჯირო კუთხური აივნები — „უინაი“ აქვს მიდგმული (ტაბ. 27. ნახ. A). სიტყვა „უინაი“ საინგილოს დიდ მკვლევარს მ. ჭანაშვილს ინგილოური სიტყვების ლექსიკონში განმარტებული აქვს, როგორც „ზემო სართულის უმოაჯირო ბალკონი“¹.

ერთსართულიანი ოროთახიანი აყარბანი ხაცხორებზე გვხვდება ორი სახის: ერთია მიწის დონეზე, „დაბლა“ დადგმული, ხოლო მეორე — მაღალ ბოქებზე შედგმული. პირველი სახის საცხოვრებლებში ერთ-ერთ ოთახს თიხის იატაკი აქვს, ხოლო მეორეს — ხის იატაკი.

ფიცრული იატაკის მქონე ოთახის გასწვრივ მოთავსებულ აივნასაც იატაკი ფიცრული აქვს, ხოლო თიხის იატაკიანი ოთახის აივნის იატაკიც თიხისაა.

ამრიგად, საცხოვრებლის ეს სახეობა განვითარების ისეთ გარდამავალ ეტაპს ეკუთვნის, როდესაც ცხოვრების ახალი მითხოვნების ნიადაგზე არქაული ელემენტები თანდათანობით კარგავენ ადრინდელ მნიშვნელობას და მათ ნაცვლად ადგილს იკავებენ ახალი სამშენებლო ელემენტები. ფიცრული (ხის) იატაკი თანდათანობით დევნის თიხის იატაკის მოწყობის ტექნიკას. ასევე უმოაჯირო აივანი გადაის მარტივად დამუშავებულ მოაჯირიან სტრუქტურაზე, რომელსაც საცხოვრებლის ფასადის მხატვრულ დამუშავებაში ერთ-ერთი უმთავრესი ადგილი უკავია (ტაბ. 30).

ამ ტიპის საცხოვრებლის მეორე სახეობას ხის ბოქებზე გამართული კუთხური აივნები ამშვენებს, (ტაბ. 31); ქვედა სართული ორგანოფილებიანია და განკუთვნილია სამეურნეო დანიშნულებისათვის. პირველი და მეორე სართულის გეგმის კომპოზიცია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ კარ-ფანჯრის განთავსებასა და ფორმას, არაფრით განსხვავდება ერთმანეთისაგან; კედლები აოყვანილია ორ სართულად რიყის ქვისაგან კირის ხსნარზე; ღია აივნის ერთ მხარეზე ხის კიბეს აყარის სართულში (სხვეწში) აყვავართ; აყარს აქ ჩვეულებრივ სამეურნეო დანიშნულება აქვს.

ყურადღებას იმსახურებს ამოხერხვის წესით მიღებული აივნის მოაჯირისა და სახურავის არშიის მხატვრული ელემენტები, რომლებიც მარტივი გეომეტრიული მოტივებითაა შესრულებული; საინტერესოა აგრეთვე ორიგინალურად დამუშავებული ხის სვეტის თავები (ტაბ. 31).

ანფილადისებური საცხოვრებლები. ხალხური საცხოვრებლის ანფილადისებური ანუ „გრძელი სახლის“ ტიპი გავრცელებულია უძველესი დროიდან, როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში. იგი გავრცელებულია აგრეთვე დაღესტანისა და აზერბაიჯანის ტერიტორიაზე.

საინგილოს ტერიტორიაზე ანფილადისებური საცხოვრებლები გვხვდება პირველი და მეორე საცხოვრებელი ზონის ფარგლებში. ანფილადისებური სახლი ოროთახიან სახლზე ახალი საცხოვრებელი სათავსოს მიშენების გზით წარმოიშვა და მხოლოდ გრძივი მიმართულებით განვითარდა. ეს არის გარდამავალი ტიპი — ოროთახიანიდან ანფილადისებურ საცხოვრებლებზე გადასვლის პირველი სტადია, რომელსაც გეგმაზე წაგრძელებული მოყვანილობა აქვს და იგი განვითარების შემდგომ ეტაპზე ანფილადური საცხოვრებლის სახეს იღებს.

გარდამავალი ტიპის მაგალითად შეიძლება დავიმოწმოთ სოფ. ძაგამიდან შერმადინ ბაირამაშვილის საცხოვრებელი სახლი (ტაბ. 32); როგორც ამ ნახაზიდან ჩანს, საცხოვრებლის აღნიშნული ტიპი სამი დაყოფილებისაგან შედგება.

მესამე ოთახი აქ ადრე არსებულ ოროთახიან საცხოვრებელზეა მერე მიშენებული (დაახლოებით 30 წლის შემდეგ). მიშენებული ნაწილის ქვის კედლები ნახაზზე ნაჩვენებია ორმაგი წახაზვით. არ შეიძლება გვერდი ავუაროთ იმ გარემოებას, რომ მიშენებული ნაწილის გეგმარების ზოგიერთ ელემენტში აშკარად შეინიშნება ქართული ხალხური ხუროთმოძღვრებისათვის უჩვეულო — უცხო ელემენტების გამოყენება, რომელიც მუსულმანური ტრადიციებიდანაა შემოტანილი და ქართული საცხოვრებელი სახლის კონსტრუქციულ გეგმარებაში ერთგვარი დისონანსი შეაქვს. ეს ეხება ფანჯრის ღიობების მოწყობის საკითხს, ქართულ საცხოვრებელ სახლებში, ჩვეულებისამებრ, იატაკის ნიშნულიდან ფანჯრის რაფამდე მანძილი 80—90 სმ-ზე უფრო დაბალია ანუ მიღებული; ფანჯრის სიმაღლესაც სათავსოს ფართთან შეფარდებით იგი იღებენ, რომ ჭერი რაც შეიძლება მერტად განათებული იყოს. მაგარა მიშენებულ ნაწილში სათავსოს ფანჯრის ღიობები (განვივი კედლის ორი ფანჯარა) იატაკიდან 25 სმ სიმაღლეზე იწყება, რის გამოც ჭერი ჩაბნელებულია, ხოლო იატაკი — უფრო განათებულია. ამას მოითხოვდა იატაკზე ფეხმოკრბებით ქრომის ძველი მუსულმანური ტრადიცია.

შუაში მდებარე ცენტრალურ ოთახს და ძველია აივნასაც დღემდე შემორჩენილი აქვს მიწური იატაკი; ხოლო ახალ მიშენებულ ოთახს თავისი აივნით ხის იატაკი აქვს. მარცხნივ განაპირა ოთახსაც მიწური იატაკი ჰქონია. აქვსავე ოთახის მიშენების პერიოდში მისი მიწური იატაკიც ხის იატაკით შე-

¹ მ. ჭანაშვილი, დასახ. ნაშრ. იხ. ლექსიკონი.

უცვლიათ, რის გამოც ხის იატაკი მიწური იატაკი-დან ერთი საფეხურით მაღლა მდებარეობს (ტაბ. 32, იხ. გეგმა).

აღნიშნული საცხოვრებლის ინტერიერში ერთადერთ საყურადღებო ელემენტს წარმოადგენს ბუხარი; სხვაგვარი იგი არაერთად ხუროთმოძღვრულ ინტერესს არ იწვევს. ცენტრალური ოთახის ბუხარი საინგილოში გავრცელებულ ტრადიციულ კედელზე „დაკიდებულ“ ბუხრის ყაიდაზეა გაკეთებული (ტაბ. 32 ნახ. III); ხოლო მარცხნივ მდებარე ოთახში, ადრე სასტუმრო ოთახს რომ წარმოადგენდა, ბუხარი უკანა კედლის სიბრტყეშია ჩვეულებრივ ჩაშენებული, იგი კედლის სიბრტყიდან ოდნავაა გამოწეული და საერთოდ მცირე ტევადობისაა (იხ. გეგმა და ნახ. II).

ზემოხსენებული საცხოვრებლის კონსტრუქციული სტრუქტურა და მოცულობითი ხუროთმოძღვრული კომპოზიცია ზემოგანხილული ოროთახიანი ტიპის საცხოვრებელთა სქემას იმეორებს. ხუროთმოძღვრულ-მხატვრული დამუშავების ელემენტებიდან ყურადღებას იქცევს მოაჩირის განაჩარხი რიკულეში.

აღნიშნული საცხოვრებლის აყარში ინახებოდა გამკვარტლული წახლის ხის თლილი ფიცარი, რომელზედაც შუაში ვარდულია ამოხეჩბილი.

მას ზემო და ქვემო მხრიდან ფოთლოვანი ელემენტები ამუშვენებს, აღნიშნული ფიცარი ცხდია მოაჩირის ფიცარი უნდა იყოს, მაგრამ ძნელია იმის თქმა, თუ საიდან მოხვდა იგი ამ საცხოვრებლის აყარში.

ზემოთ მითითებულ საცხოვრებელ ზონებში შესწავლილი ანფილადური უმეტესად ერთი სახისაა, ერთიგად ჩამწკრივებული სათავოები. ხშირად ერთმანეთს მიჯრით ოთხი ან მეტი ოთახია, ამასთან დამახასიათებელი გრძელი აივნით.

აქაური ანფილადური გეგმის კომპოზიცია ძალზე მარტივია, იგი საგანძობლად გაჭიმულ სწორკუთხედს წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ კახეთის ტერიტორიაზე ანალოგიური გადაწყვეტის ანფილადური სახლების ნიმუშებმა ჩვენს დრომდე მოაღწია. იგი დამოწმებულია სამეგრელოსა და იმერეთშიც („გრძელი სახლი“)¹.

საინგილოს ტერიტორიაზე ჩვენ მიერ დღემდე აღრიცხული ოთხი ანფილადური სახლიდან ყველაზე განვითარებულ ვარიანტს წარმოადგენს გამოჩენილი ქართველი მეცნიერის მოსე ჯანაშვილის ყოფილი სახლი (სოფ. თოფაზი, კახის რ-ნი). ეს სახლი დღემდე კარგადაა დაცული (ტაბ. 33).

ყურადღებას იმსახურებს ხალხური გადმოცემა: „ვისაც ბევრი „თეთრი“² აქვს, მისი სახლიც „სიგზეზე“³ მატულობს“. ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ აქ იგულისხმება საცხოვრებელი სახლის ანფილადური ტიპი, ე. წ. „გრძელი სახლი“. მართლაც ანფილადური სახლების სიგრძე ზოგჯერ 30 მეტრსაც აღემატება.

მ. ჯანაშვილის ყოფილი სახლის სიგრძე 28 მეტრამდე აღწევს, ხოლო სიგანე 7 მეტრს აღემატება, როგორც გეგმიდან ჩანს, აქ ხალხური მშენებელი გვერდს უხვევს გეგმარების მარტივ სქემას (ოთახების ერთ სწორ ხაზზე ჩამწკრივების ვარიანტს) და გვაძლევს ოთახების განლაგების, უფრო კომპაქტურ გადაწყვეტას (ტაბ. 33 იხ. გეგმა).

საცხოვრებლის აღნიშნული ტიპი ოთხი ოთახისაგან შედგება, რომელთა შორისაც ორი მცირე ოთახი (20 კვ მ) მოთავსებულია შუაში, ორი უფრო მოზრდილი კი — აქეთ-იქით (24 კვ მ). ოთხივე ოთახს მთავარი შესასვლელი ლოჯიდან აქვს, რომელიც შუა მცირე ოთახების წინ მდებარეობს და გვერდებიდან ნაპირა დიდი ოთახებით ისაზღვრება.

როგორც ირკვევა, აღნიშნულ სახლზე დაახლოებით ოცდაათი წლის წინათ, მარცხნიდან მიუშენებიათ ღია აივანი, რომელსაც უკანა კედლის გარეკლებზე ანტიცხვარი გამოშვებულ კედელში ბუხარი აქვს ჩასმული. აივნის სახურავი აყართანააერთ სახურავს ქვეშ გაერთიანებული, ისე, რომ ოთხქანობიანი სახურავის საერთო სივრცობრივი ფორმა არაა დარღვეული და გარედან გადაკეთების არაერთი შთაბეჭდილებას არ ტოვებს.

კედლები აგებულია ჩვეულებისამებრ ადგილობრივი ნარჩალა ქვებისაგან კირის დუღაბზე; ცენტრალური ოთახების კედლებში მოთავსებულია ტაშური თახჩები (კედლის კარადები);

სახლის უკან, შუაში, მარანია მოწყობილი, რომელიც თავიდანვე ღია ცის ქვეშ ყოფილი ვახის ტალავერში მოქცეულია, მაგრამ ტალავარის გამბობის შემდეგ მარნის მთელი ადგილი (66 კვ. მ) გადაუხურავთ ისე, რომ მარნის ფარდული მიდგმულია უშუალოდ სახლზე, ხოლო ეს უკანასკნელი გასასვლელი კართ დაცემიერებულია საცხოვრებლებთან (ტაბ. 33).

ანფილადური ტიპის პირველყოფილი ფორმა, რომელშიც ოთახები ერთრიგადაა ჩამწკრივებული, უძველესი დროიდან მომდინარეობს და მათი გავრცელების არე თითქმის ყველა კონტინენტს მოიცავს; მაგრამ ზემოაღნიშნული ანფილადური განვითარებული ვარიანტი ჩვენში გეგმის განვითარების

¹ ი. ა. დამია, ხალხური ხუროთმოძღვრების ზოგიერთი ნიმუში შდ. ყვირილის ზემოინიგების ხეობაში, 1967, თბილისი, გვ. 38, იხ. კოლხური საცხოვრებელი „გრძელი სახლის“ განვითარების ეტაპები III და IV.

² თეთრი² ნიშნავს ფულს.

³ სიგრძეზე.

დასრულებულ სახეს აღწევს XIX ს. დასაწყისიდან.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ გეგმის ანალოგიურ ვარიანტს წარმოადგენს ნ. ტარტარაშვილის საცხოვრებელი სახლის კომპოზიცია სოფ. ალათემურიდან, ამ ორსართულიან ოროთახიან ხის საცხოვრებელში (სოგარძეხე დამატებით) კიდევ ორი ოთახია მიშენებული. ხისა და ქვის კედლებისაგან აგებული აღნიშნული საცხოვრებლის კომპოზიცია, რომელიც ერთ მთლიანობაშია მოცემული, განვითარებული ანფილადური ვარიანტის გეგმის ჩანასახს ვეაძღვეს (ტაბ. 34).

დასასრულს უნდა აღნიშნოს, რომ მ. ჭანაშვილის საცხოვრებელი სახლის ფასადის დამუშავებაში ყურადღებას იქცევს წაბლის ხის სვეტები, რომლებიც ენტაზისისებრივად ქვემოდან ზევითკენ მკვეთრად მცირდება.

მოაჯირი ადრე ხის გამოჩარხული რიკულებითაა ჰქონია, მაგრამ ამჟამად მის ნაცვლად ლითონის ღეროებისაგან დამუშავებული მოაჯირი აქვს.

მხატვრული დამუშავების ელემენტებიდან ყურადღებას იმსახურებს კარებზე ამოკვეთილი ჭვრის გამოსახულება (ტაბ. 33, A) და მუხის სეისმური სარტყელი, რომელიც კარ-ფანჯრების ღიობების თავზე გადის და ზღუდარის მოვალეობასაც ასრულებს.

ორიგა ოთახებიანი საცხოვრებლები. საცხოვრებლის ეს სახეობა ცენტრალურად განვითარებული გეგმის კომპოზიციას უახლოვდება. ზემოხსენებული სახეობის საცხოვრებლები გავრცელებულია საინგილოს, როგორც ბარის, ისე მთის ზონის სოფლებში.

ს ა მ თ ა ხ ი ა ნ ი ტ ი პ ი. საცხოვრებლის ეს სახეობა გვხვდება სამოთახიანი და ხუთოთახიანი. ამ სახეობის საცხოვრებლის თვალსაჩინო ნიმუშს წარმოადგენს სოფელ ითითალადან მაჰმადიანი ინგილო გლეხის ა. ქარუმიძის სახლი (ტაბ. 35); იგი სამი განყოფილებისაგან შედგება (იხ. გეგმა). მათ შორის ყველაზე დიდია საჯალაბოს მხარეში, რომლის ფართი 24 კვმ აღემატება. საჯალაბოს აქვს თიხის იატაკი, ხოლო დანარჩენ ორ ოთახში და აივანზე ხის იატაკია დაგებული. საჯალაბოსა და საძინებელ ოთახს შორის ამოყვანილია 70 სმ სისქის ბუხრის კედელი, რომელსაც საჯალაბოს მხარეზე დაცნებული აქვს განიერი ბუხარი, ხოლო მეორე მხარეზე — კარად. საჯალაბოს ზემო მარცხენა კუთხეში მიდგმულია საღებავით მოხატული კორთე! (თარო), ხოლო მის მოპირდაპირე წინა კედელში ალკოვის მსგავსად ღრმა ნიშაა მოწყობ-

ბილი, რომელსაც „საფართლეს“ ეძახიან, აქ ინახება ჭეჯივები, ლოგინი, ტანსაცმელი და სხვ.

„სტუმრის ოთახი“ აქ პატარა ზომისაა და 10 კვ. მეტრამდე აღწევს, კედელში დატანებული აქვს ბუხარი, რომლის მარჯვნივ და მარცხნივ მცირე ზომის „თახჩებია“ მოთავსებული. „სტუმრის ოთახში“ ღია აივანიდან შევდივართ. საძინებელი ოთახი დაკავშირებულია როგორც საჯალაბოსთან, ასევე აივანთან. აივანი აქ ორიგინალურადაა გადაწყვეტილი, მის მარჯვნივ ფარდალალა „ღერეფანი“ აქვს მიდგმული, ხოლო მის წინ განცალკევებული ფარდულია აგებული, რომელსაც „საზაფხულო კერას“ ანუ ტალღას ეძახიან. ღია აივნის მარცხნივ კუთხესთან პატარა შემალელებული ბაქანია. მასზე დამაგრებულია აყარში ასასვლელი გადასატანი ხის კიბე (იხ. გეგმა).

აღნიშნული სახლის კედლები ხისაგანაა აგებული, კედლის ზედაპირი შიგნითაც და გარეთაც შეტკეჩილია და შელესილი ნაშაგარეული თიხისა და კირის ნაზავი ხსნარით.

ამ სახეობის სამოთახიან ტიპურ საცხოვრებლებს, მსგავსად ინგილოებისა, აშენებენ აგრეთვე აქ მოსახლე — წახურელები, ავარიელები, აზერბაიჯანელები და სხვ. უნდა აღინიშნოს, რომ ოთახების განლაგების ზემოხსენებული (ა. ქარუმიძის სახლი) სქემა და მოცულობითი ფორმა იშვიათად გვხვდება დაღესტნის და აზერბაიჯანის ხალხურ ხუროთმოძღვრებაში.

იგი ფართოდაა გავრცელებული კახეთისა და ქარაღის რაიონებში, ასევე დასავლეთ საქართველოში (იმერეთში, სამეგრელოში და აფხაზეთში)². აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ამ სახეობის ოთხოთახიანი ტიპი საინგილოს ტერიტორიაზე არ გვხვდება.

XVIII საუკუნის მიწურულში საცხოვრებლის ეს ტიპი პირველად ფეხს იკიდებს სამეგრელოს სამთავროს საზღვრებში მოქცეულ ტერიტორიაზე და აქედან იწყებს ფართო გავრცელებას საქართველოს სხვა მხარეში.

ანალოგიური ხუთოთახიანი საცხოვრებლის ტიპი გვხვდება აგრეთვე საინგილოს ტერიტორიაზე.

ხ თ თ ო თ ა ხ ი ა ნ ი ტ ი პ ი. ორრიგად განლაგებული ოთახებიანი საცხოვრებლის განვითარებულ ტიპს წარმოადგენს ხუთოთახიანი საცხოვრებელი. იგი გვხვდება პირველი და მეორე საცხოვრებელი ზონის მთისპირა სოფლებში.

² ი. ა. დ. მ. ი. ა., კოლხეთის საბინაო ხუროთმოძღვრება (სადისტრიათო შრომა, წარდგენილი არქიტექტურის კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად), 1948, იხ. ტაბ. 28 (ლენინის სახ. პოლიტექნიკური ინსტიტუტის ბიბლიოთეკა).

¹ კორთეს საინგილოს თათრები თუქანს ეძახიან.

ამ სახეობის საცხოვრებლებიდან, რომლებიც მიკვლეულ და აზომილი იქნა ჩვენ მიერ ბელაქნისა და კახის რაიონებში, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს სოფ. კატეხში დღემდე შემორჩენილი (ბელაქნის რ-ნი) ვ. გალაჯოვის (ყოფილი ვაჩინაძის) ხუთოთხაიანი ოღური ტიპის სახლი, რომელიც ამჟამად ხ. ომაროვის ეკუთვნის (ტაბ. 36).

გეგმის კომპოზიცია (გეორგ სართულის) ზედმიწევნით სიმეტრიულია. შუაში დიდი ტრადიციული დარბაზია მოთავსებული, ხოლო მარცხნივ და მარჯვნივ ორ-ორი კვადრატული ვესიანობის ოთახები ევკრის. ისე, როგორც მის მივლულია XIX ს. კოლხურ ოდა სახლებში (იხ. გეგმა); გეგმის სიმეტრიის ღერძზე მისაღები (სასტუმრო) დარბაზის წინ მდებარეობს ლოჯია, რომელიც უშუალოდ დარბაზს და მის მარცხნივ და მარჯვნივ მდებარე წინა ოთახებს უკავშირდება.

აღნიშნული სახლი ორსართულიანია, რომლის ქვედა და ზედა სართული თითქმის არაფრით განსხვავდება ერთმანეთისაგან. კედლები ქვისაა და ამოყვანილია კირის დულაბზე, გამოყენებულია კავკასიის დიდი კედლის ნარღვევი დიდი ზომის „სიპი“ ქვა, ნაწილობრივ მდ. კატეხის ნაპირიდან მოხრილი რიყის ქვები; ხ. ომაროვის სახლს აქვს სამი კიბე; ორი თითო მარშიანი მარცხნივ (ქვის) და მარჯვნივ (ხის) გარედანაა მიდგმული, მესამე ორმარშიანი (ხის) კიბე ლოჯიისკენაა აივანის უკრედშია მოქცეული, რაც უჩვეულოა საქართველოში გავრცელებული ასეთი ტიპის სახლებისათვის. როგორც ირკვევა, მას ადრე ერთი კიბე ჰქონია, რომელიც მარცხნივად მიდგმული, ხოლო დანარჩენი ზედმეტი კიბის არსებობა ოციან წლებში მისი გადაკეთებითაა გამოწვეული; ასევე მერვა მიდგმული მარჯვნივ უკანა ოთახის გასწვრივ მოქმედებდა დაყრდნობილი შირე მოცულობის გადაუხურავი აივანი.

ხ. ომაროვის სახლის გეგმის კომპოზიცია აშკარა იდენტურობას აქვს ნაგებებს საქართველოში ფართოდ გავრცელებულ ისეთ ხუთოთხაიანი ტიპის საცხოვრებელი სახლების გეგმის კომპოზიციებთან, რომლებიც ჯერ კიდევ XIX საუკუნის დასაწყისშია აგებული ქართული ხალხური სამშენებლო ტრადიციების მიხედვით.

როგორც ანაზომი გრაფიკული მისაღების შედარებაც ადასტურებს, ამის თვალსაჩინო მთავალითაა სალხინოს (გეგეჭკორის რ-ნი) ლევან დადიანისეული ორსართულიანი საგარაკო „დიდი ოდა-სახლი“¹. ვ. ასათიანის ორსართულიანი სახლი ქ. ქუთაისში²; ლ. აბაშიძის (სოფ. ჰალა, საჩხერის

¹ ი. ადამია, დასახ. სადისტრიაო ნაშრომი, იხ. ტაბ. 64.

² ლ. ს. უშბაძე, და ვ. ცინცაძე, იმერეთის საბინაო ხუროთმოძღვრება, ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის შრომები, 2, 1948, იხ. სურ. 10, 11.

რ-ნი), ს. წერეთლის (სოფ. წირქვალი, კიათურის რ-ნი), როსტომ წერეთლის (აკაკის მამის) სახლი სხვიტორში (საჩხერის რაიონი) და სხვ.

ხ. ომაროვის სახლის ფასადის დამუშავებაში აშკარად იგრძნობა ეროვნული ტრადიციული ხუროთმოძღვრული ხალხური ფორმების გამოყენება.

ასეთია აივნის ხის სვეტების ორიგინალური ფორმის კაპიტელები, დიდი სინატიფით შესრულებული მოჯირის გამოჩარხული რიყელები (ბალიასინები). სამცხერიათი (სამყურა) მოხაზულობის პროფილირებული ხის თაღები და სხვა სამკაულეობი, რომლებიც ფართოდაა გამოყენებული ქართულ ხალხურ ხუროთმოძღვრებაში. (ტაბ. 37).

აღსანიშნავია, ისიც, რომ პირველი სართულის ცენტრალური შესასვლელის დიობები შეკრულია კარგად გამომწვარი აგურის შეისრული თაღებით. როგორც ჩანს, ხალხური მშენებელი აქ მიმართავს „აღმოსავლურ“, ე. წ. ირანულ-მუსულმანური ფორმების (შეისრულ თაღების) გამოყენებას, რაც XVI საუკუნიდან მოყოლებული ფართოდ იყო ფეხმოკიდებული არა მხოლოდ აზერბაიჯანში, არამედ აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზედაც, როგორც საცხოვრებელი სახლების, და სასახლეების, ისე ეკლესიების და სამრეკლოების ხუროთმოძღვრებაში.

კოშკური ტიპის საცხოვრებლები ისტორიული ჰერეთის ტერიტორიაზე დღემდეა შემორჩენილი თავდაცვითი და საცხოვრებელი დანიშნულების კოშკური ტიპის ნაგებობათა ნაშთები.

ამათგან შედარებით უკეთესადაა შემონახული საცხოვრებელი დანიშნულების კოშკები. თუმცა კარგა ხანია დაკარგული აქვთ საცხოვრებლის ფუნქცია. კოშკური ტიპის საცხოვრებლები გავრცელებული ყოფილა მერვე საცხოვრებელი ზონის — „კავკასიის დიდი გალავნის“ ჩრდილოეთით — მთისძირა და მდალი მთის უძველეს სოფლებში, ამჟამად ნასოფლარებში.

დიდ ინტერესს იწვევს ის გარემოება, რომ ჩამოსახლებულ არაქართველურ ტომთა ხალხურ გადმოცემებში დღემდე შემორჩენილია ცნობა, რომ აღნიშნული კოშკური ტიპის საცხოვრებლებში ძველად გურჯებს უცხოვრიათ. მათ „გურჯების სახლებს“ ანუ „იციხე სახლებს“ უწოდებენ. ე. ი. ჩვენს მიერ შესწავლილი კოშკური ტიპის სახლები ერთ დროს ქართველთა საცხოვრებლებს წარმოადგენდნენ.

ჯერ კიდევ 1936 წელს „კავკასიის დიდი გალავნის“ არქეოლოგიური გათხრების დროს ე. ა. პოხოშოვის ყურადღება მიიქცია გალავნის მიდამოებში კოშკურ ნაგებობათა ნანგრევებმა; ე. ა. პოხოშოვმა პირველად აღმოაჩინა მოსახლეობისაგან შეიტკო, რომ აღნიშნული კოშკების ნანგრევები აწ



სურ. 36. სოფ. ზემო ქარი. კოშკური ტიპის საცხოვრებელი (საერთო ხელი გზიდან)

გადაშენებულ ადრინდელ მოსახლეობის საცხოვრებელთა ნაშთები იყო¹.

პირველად ფ. ბაიერნმა შენიშნა, რომ შავი ზღვიდან მოყოლებული ვიდრე კასპიის ზღვამდე (განსაკუთრებით კავკასიონის სამხრეთ ფერდობებისა და მისი ძირის ხეობათა გასწვრივ), არსებული კოშკები ყველა აგებულია რიყის ქვისაგან, რომლებსაც განუჩრჩევლად დანიშნულებისა საქართველოში „ციხეს“ ეძახიან².

¹ ე. ა. პ ა ხ მ ი ვ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 72, 76.

² Ф. Б а й е р и, О древних сооружениях на Кавказе, Тбилиси, 1895-96, стр. 2.

ეჭვი არ არის, ფ. ბაიერნის მიერ მოხსენებული კოშკური ნაგებობათა გავრცელების არეში ექცევა აგრეთვე საინგილოს მიწა-წყალზე არსებული კოშკური ტიპის ნაგებობათა ნაშთებიც.

საინგილოს ტერიტორიაზე კოშკური ტიპის საცხოვრებლები ორი სახისა გვხვდება: ერთია მალაი კოშკები, გეგმაში კვადრატის მოხაზულობისა (ტაბ. 38 სურ. 36, 37); ხოლო მეორეა შედარებით დაბალი კოშკები, რომელთა გეგმის კომპოზიცია წაგრძელებულ სწორკუთხედს უახლოვდება.

მალაი კოშკური ტიპის საცხოვრებლის ერთ-ერთ დამახასიათებელ ძეგლად მიგვაჩნია კოშკი მდ.

კატეხის ხეობაში (სოფ. კატეხიდან სოფ. ზემო ჭარის ჩრდილო-დასავლეთით დაახლოებით 4 კმ. მანძილზე).

აღნიშნული ძეგლის შესახებ ვრცელი ცნობები მოცემული აქვთ თავიანთ ნაშრომში არქიტექტორებს — ლ. ბრეტანიციისა და ლ. მამიკონოვს, სადაც შემოსხენებულ კოშკს ისინი „ჩინგიზ-ყალას“ სახელწოდებით იხსენიებენ¹. ადგილობრივი მოსახლეობა, განსაკუთრებით ხანდაზმულ მოხუცთა უმრავლესობა კი მას „გურჯი ყალას“ სახელით უფრო იცნობს.


მღ. კატეხის ზემოწელის მარცხენა ნაპირის ერთ-ერთ მალღობზე მთის სამი ვიწრო გზის შესაყართან დგას წაკვეთილი პირამიდის ფორმის სამსართულიანი საცხოვრებელი კოშკი, რომელშიც ამჟამად სოფ. მაწეხიდან ჩამოსახლებული რ. ჭანგოზოვის მრავალრიცხოვანი ოჯახი ცხოვრობს.

კოშკის თითოეული სართული ერთი განყოფილებისაგან შედგება, რომელსაც გეგმაზე, ზუსტად კვადრატის მოხაზულობა აქვს. კოშკს აქვს ცოკოლის სართული, (სიმაღლე 190 სმ). პირველი სართული იწყება ცოკოლის სართულის სიმაღლის დონეზე; ამ დონეზე კოშკის გარეთა ზომები გეგმაში 560 X 560 სმ უდრის ხოლო შიდა გაზომილება 360 X 360 სმ.

პირველი სართულის კედლის სისქე 100 სმ-ია, ხოლო ზედა სართულებში კედლის სისქე თანდათანობით ოც-ოცი სანტიმეტრით კლებულობს რის გამოც სათავსოთა ფართიც პროპორციულად იზრდება. სათავსოთა სიმაღლე კი ზედა სართულებში თანდათანობით მცირდება (I—265 სმ, II—245 სმ. და III—230 სმ), სამივე სართული წარმოადგენს საცხოვრებელს. კოშკის კედლები ამოყვანილია დიდი ზომის რიყისა და ტინის ქვებისაგან კირის დულაბზე (ტაბ. 38, სურ. 36).

საინგილოს მწვანელობის პერიოდში აღნიშნული კოშკი არაერთხელ ყოფილა აოხრებული და აღდგენილი. ბოლო ხანებში ეზოს მხრიდან (მისი ახალი პატრონის მიერ) კოშკზე მიშენებულია საკმაოდ ვრცელი აივანი, რომელიც თამბაქოს საშრობადაა გამოყენებული (სურ. 37) და უშუალოდ დაკავშირებულია კოშკის პირველ სართულთან. კოშკის სართულებს შორის კავშირი მყარდება შიდა ვიწრო ხის კიბეებით, რისთვისაც ყოველ სართულში განიერი ხვრელებია გამოჭრილი (იხ. გეგმები).

ბრეტანიციისა და მამიკონოვის მიერ ხსენებული კოშკის აზომვის დროს სართულთა შორის გადახურვები ჩამოქცეული ყოფილა, რ. ჭანგოზოვის გადმო-




სურ. 37. სოფ. ზემო ჭარი. კოშკური ტიპის საცხოვრებელი (საერთო ხედი ეზოდან)

ცემით სართულების გადახურვა დღევანდელი სახით მის მიერაა აღდგენილი კოშკის საცხოვრებლად გადაკეთების პერიოდში (1941—1948 წწ), ანტიტამაც ბრეტანიციის და მამიკონოვს გამოთქმული აქვთ მოსაზრება, რომ სართულებს შორის კავშირი ისეთი უნდა ყოფილიყო, როგორც ეს სევანეთსა და რაჭაში გავრცელებულ კოშკებში ყოფილიყო მიღებული. ამის საფუძველს მათ აძლევდა „გურჯი-ყალას“ (ჩინგიზ-ყალას) კოშკის ახლოს ნაპოვნი კედელზე მისაყუდებელი საფეხურებამოჭრილი მორი, რისთვისაც ისინი იმთავითვე მ. ჭანდიერისა და გ. ლეყავას ნაშრომებიდან იღენტურ მაგალითს².

¹ Л. Бретаницкий, Л. Мамиконов, Оборонительные сооружения Закатальского и Балакапского районов, Памятники архитектуры Азербайджана, Баку, 1950, стр. 111.

² «В полу каждого этажа, вероятно было отверстие, к которому приставлялись деревянные лестницы, связывавшие этажи башен. В случае захвата против-



სურ. 38. სოფ. ზემო ქარი. კოშკი. «გურჯი კალა»
(ჩინგიზ კალა) აღდგენილი ფასადი

კოშკის ყველა სართულზე (კედლებში) დატანებული აქვს სათოფურები (სარკმელები), რომლებიც გამოყენებულია აგრეთვე საშუქად. ყოველ სართულზე შეინიშნება სათოფურების გადაკეთების კვალი; ზოგიერთი მათგანი გაგანიერებულია მცირე ზომის ფანჯრის ღიობის ზოგამდე, ზოგიც ამოქოლილია (ტაბ. 38, იხ. გეგმები, სურ. 37).

лнком нижнего этажа башен, лестница втягивалась наверх, и связь между этажами прекращалась. Остатки такой лестницы — в бревнах которых вырублены ступени, идентичные приставным лестницам Горной Рачи, обнаруженным около башни «Чингиз кала» (Л. Бретаницкий и Л. Мамиконов, 116—117), (Джандиери М. И. и Лежава Г. И. «Архитектура горных районов Грузии», М., 1940 г., стр. 116).

აღსანიშნავია, რომ გარედან შეუღესაც კედლებზე ამკარად შეინიშნება მრავალჯგის დარბევასა და აღდგენის კვალი, კედლის წყობაში ადვილად იკითხება განახლების სხვადასხვა პერიოდი, რაც გამოხატულია ტინისა და ნარიყალა ნაირ-ნაირი ქვების ერთმანეთის შენაცვლებით, აღდგენილი წყობის სხვადასხვა სტრუქტურით.

კოშკის ფორმას ოდნავ ემჩნევა ენტაზისისებრი დამახასიათებელი გამოზნექილობა, რომელიც მიწიდან დაახლოებით კოშკის სიმაღლის ერთი მეოთხედი მანძილიდან იწყება; უფრო სწორად, ამოზნექა შესამჩნევია პირველი სართულის (ცოკოლის სართულის) დონიდან, რომელიც მკაფიოდაა გამოსახული კოშკის წიბოებზე (ტაბ. 38 სურ. 37).

აღნიშნული კოშკის მსგავსი ენტაზისისებრი მონახულობა დადასტურებულია აგრეთვე საქართველოს ჩრდილოეთ მთიანეთის ამ ტიპის ძეგლებში.

კოშკის ზუროთმოძღვრული ელემენტებიდან ყურადღებას იქცევს კრონშტეინები, რომელთა ფორმაც განსხვავებულია საქართველოში გავრცელებული კოშკების კრონშტეინის ფორმებისაგან.

კრონშტეინები აქ ჩვეულებრივზე უფრო დიდა, მისი სიმაღლე თითქმის ნახევარი სართულის სიმაღლეზე აღის. ასეთი ზომის კრონშტეინები რა თქმა უნდა, აღნიშნული კოშკის მოცულობითი ფორმისათვის სრულიად შეუფერებელია და უპროპორციოდ გამოიყურება.

როგორც ირკვევა, კოშკის ბოლო სართულებს ჩვენ დრომდე არ მოუღწევია (დაახლოებით XIX ს. მეორე ნახევარში უნდა იყოს ჩამოქცეული). კოშკზე შემორჩენილ მძლავ კრონშტეინებზე დაყრდნობილი ყოფილა კოშკის მეოთხე და მეხუთე სართულების კედლები.

ანას მოწმობს ძველი ფოტოსურათი, რომელიც დატულია აზერბაიჯანის სახელმწიფო ცენტრალური არქივის ფოტოთეკაში; სხენებულ ფოტოზე კარგადაა ახსახული IV და V სართულის მოცულობითი ფორმები. ამ სურათის მიხედვით არქიტექტორებმა ლ. ბრატანიცკიმ და ლ. მამიკონოვმა შეადგინეს მთავარი ფასადის რესტავრაციის პროექტი (სურ. 38)¹.

ამ კოშკების ნანგრევების მიხედვით, თუ ვიმსჯელებთ, მათი ინტერიერი არაერთარ ზუროთმოძღვრულ ინტერესს არ იწვევს.

ზემოხსენებული საცხოვრებელი კოშკი ირგვლივ შემოზღუდული ყოფილა ქვეტიკრის ბურჯებიანი გალავნით, რომლის უმეტესი ნაწილი შემოძარცვ-

¹ «Наиболее характерными для общего облика сооружения были ныне разрушенные четвертый и пятый этажи. Имеющаяся фотография и сохранившиеся каменные крошечейши дают возможность почти полностью восстановить вид обоих верхних этажей». (Л. Бретаницкий и Л. Мамиконов, даსახლებული ნაშრომი, გვ. 114).






სურ. 39. სოფ. მაწეხი. კოშკური საცხოვრებლის ნანგრევები

ლია და მიწასთან გასწორებული. გალავნის გადარჩენილი ფრაგმენტები საშუალებას გვაძლევს, აღვადგინოთ კარ-მიდამოს ძველი გალავნის მოხაზულობის სრული სურათი, რამდენიმე ადგილას ძველი გალავანი შემორჩენილია დაუზიანებლად, მას გარედან დატანებული აქვს წაყვეთილი კონუსის ფორმის ბურჯები. ამ გალავნის ზოგიერთი დაქუეული ადგილი აღდგენილია ახალი ქვითკრით აზერბაიჯანის ძველთა ლაცვის კომიტეტის მიერ, მაგრამ დასანანია, რომ მას არავითარი კავშირი არ აქვს ძველი ქვითკრის გალავნის კოლორიტთან, რის გამოც სრულიად შეუფერებლად გამოიყურება კოშკის საერთო ასახულობის ფონზე.

ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ ზემოხსენებული საცხოვრებელი კოშკის ანალოგიური ფორმები მის ახლო მიდამოებში ნანგრევების სახით მრავალი მოიპოვება (სურ. 39, 40, 41).

მათი გეგმების კვადრატული მოხაზულობა შემომიძიებული კოშკის გაბარიტულ ზომებს იმეორებს, რაც საინგილოს მთის სოფლების ზონაში ამ სახის, ე. წ. „მაღალი კოშკური“ საცხოვრებლების ფართო გავრცელებაზე მეტყველებს.




როგორც საინგილოს სხვა ძეგლების, ასევე ჩვენამდე მოღწეული აღნიშნული საცხოვრებელი კოშკების ნანგრევების დათარიღების საკითხიც მეტად ძნელი გადასაჭრელია, რადგან წერილობით



სურ. 40. სოფ. კატეხი. კოშკური ტიპის საცხოვრებელი, ფასალი და გეგმა.

წყაროებში მათ შესახებ არაერთი ცნობები არ მოიპოვება, და არც თვითონ ძეგლებზეა რაიმე დამატარებელი მასალა შემორჩენილი; ამიტომ ერთადერთი, რაც მათი დათარიღების საკითხს არკვევს, ეს არის სამშენებლო ტექნიკისა და დაგეგმარების უძველესი ტრადიციები, რომელთა შესაბამისად საინგილოს კოშკების მშენებლობა უნდა მიეკუთვნოთ არა უგვიანეს XVII საუკუნეს.

საინგილოს საცხოვრებელი კოშკები თავისი კვადრატული გეგმითა და ფორმით მოგვაგონებს სა-



სურ. 41. სოფ. ჩარდახლო. კოშკური ტიპის საცხოვრებელი, ფასალი და გეგმა

ქართველოს სხვა კუთხეებში გავრცელებულ კოშკებს¹ (ხევსურეთი², აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი³), თუმცა მათ გააჩნიათ ადგილობრივი ინდივიდუალური თავისებურებანიც, როგორცაა: სახურავის ორქანობიანი ფორმა, დიდი ზომის საფეხურებიანი (დაბილული) კრონშტეინები, კუთხური ამბრაზურები და სხვ. საინგილოში გავრცელებული კოშკები ზევანურ, ხევსურულ, დაღესტნურ და სხვ. კოშკებთან შედარებით დაბალია.

დასასრულს უნდა აღინიშნოს, რომ „გურჯი ყალას“ (ჩინგიზ ყალას) კოშკის ერთ-ერთი დამაბასიათებელ ელემენტს წარმოადგენს კუთხური სათოფურები (ტაბ. 38, იხ. გეგმები), რომლებიც, ცხა-

¹ М. И. Джандиери, Г. И. Лежава, Архитектура горных районов Грузии. Москва, 1940, стр. 96.

² Г. И. Лежава и М. И. Джандиери, Архитектура Сванетии, 1938, рис. 17, 18.

³ С. В. Бессенов. Башни и замки Южной Осетии, 1934, стр. 66.

ღია, აზერბაიჯანის ტერიტორიაზე სხვაგან არსად არ გვხვდება¹.

საყურადღებოა, რომ ანალოგიური კოშკები კუთხური სათოფურებით გავრცელებულია ქართლსა² და მთიულეთში³.

მათი ასეთი იდენტურობა იმაზე მიგვანიშნებს, რომ საინგილოსა და საქართველოს სხვა რაიონების კოშკურ ნაგებობათა მშენებლობის ტექნიკა ერთიანი ეროვნული ტრადიციებიდან მომდინარეობს.

აქვე უნდა დავძინოთ, რომ საინგილოში „გურჯი ყალას“ კვალობაზე მრავალ ადგილასაა დამოწმებული ანალოგიური კოშკების საცხოვრებლად გადაკეთების მაგალითები (სურ. 42).

კარიბჭის ტიპის საცხოვრებლები. კოშკური საცხოვრებლის მსგავს სახეობას წარმოადგენს ე. წ. კარიბჭის ტიპის საცხოვრებელი, რომლის მოცულობითი ფორმის თანაფარდობა კოშკურს უახლოვდება.


კარიბჭის ტიპის საცხოვრებლები ორ სართულს არ აღემატება და დაბალი კოშკის მოყვანილობა აქვს.

კარიბჭის ტიპის საცხოვრებლები (Надвратные сооружения) ძველი დროიდანვე ყოფილა გავრცელებული საინგილოს ტერიტორიაზე „კავკასიის დიდი ვალაენის“ ორივე მხარეს (როგორც ჩრდილოეთით, ისე სამხრეთით), უფრო მეტად კი მეორე საცხოვრებელი ზონის მთისპირა სოფლებში (მდ. კატეხისა და მაწეხის ხეობათა სამხრეთ ზონაში), რაც დასტურდება ჩვენს დრომდე მოღწეული ნანგრევების მიხედვით (სურ. 43, 44, 45, 46). ზოგიერთი მათგანი, როგორც მითითებული ილუსტრაციებიდან ჩანს, უვნებლადაა შემონახული დღემდე.

კარიბჭის ტიპის საცხოვრებლები გვხვდება ორი სახის: ერთია ისეთი სახე, როდესაც ბჭის კარის (ჭიშკარის) სივანეზე ორ კედელს შორის (პირველ სართულზე) დაგეგმილია მხოლოდ გასასვლელი (ტაბ. 15 სურ. 43, 45), ხოლო მეორეს აქვს ბჭის კარის, ე. წ. გასასვლელის გასწვრივ (გვერდით) სათავსოები (ტაბ. 16, 17).

საინგილოს ტერიტორიაზე გავრცელებული კარიბჭის ტიპის საცხოვრებელთა შესახებ უძველესი ცნობები არ შემონახულა.

პირველი სახეობის დასახსიათებლად თვალსაჩინო მაგალითები დამოწმებული გვქვს სოფელ მეორე თალიდან (ქვემო ფიფინეთი), მ. ირაფიევას



სურ. 42. სოფ. ხებულ-ობა. საცხოვრებლად აღდგენილი კოშკი

და რ. აგაევას კარ-მიდამოთა შესასვლელებში დღემდე მტნაკლებად დაცულ კარიბჭეთა ძველი ტიპები (ტაბ. 15, A, B).

აღნიშნულ კარიბჭეთა პირველი სართული არ შეიცავს სათავსოებს, იგი მხოლოდ გასასვლელს წარმოადგენს და არაფრით განსხვავდება ზემოთ განხილული დარბაზების გასასვლელთა გეგმარებისაგან. გასასვლელის ორივე მხარეს კედლის მთელ სიგრძეზე მიმაგრებულია საჯდომი მერხები, მეორე სართული შედგება ერთი განყოფილებისაგან, მისი გეგმის კომპოზიცია პირველ კარიბჭეში მეგარონის ტიპის მოყვანილობით ხასიათდება (ტაბ. 15, B), ხოლო მეორეში მას ზუსტად კვადრატის მოხაზუ-

¹ Особенно следует отметить, почти ни где не встречающиеся, угловые бойницы», (П. Бретаницкий и Л. Мамиконов, *დასახლ. ნაშრ.*, გვ. 114).

² П. Закарнадзе, *Древние крепости Грузии*, 1969 г. стр. 180, рис. 66.

³ ზ. ზაქარაძე, *დასახლ. ნაშრ.*, გვ. 87, სურ. 23, გვ. 217, სურ. 78.



სურ. 43. სოფ. პირველი თალა. კარიბჭის ტიპის ნაგებობის — „ქორედიანი კიშკრის“ ნანგრევის საერთო ხედი.



სურ. 44. სოფ. მანჯხი. კარიბჭის ტიპის ნაგებობის — „ქორედიანი კიშკრის“ ნანგრევის საერთო ხედი.


ლობა აქვს, რომელიც არაფრით განსხვავდება ზემოგანხილული მაღალკოშკური საცხოვრებელთა გეგმარებისაგან (ტაბ. 15, A).

ჩვენი აზრით, კარიბჭის ამ სახეობის შვნობებს თავიდანვე საცხოვრებლის დანიშნულება არ ჰქონია მინიჭებული, მას ძველთაგანვე სხვა ფუნქცია უნდა ჰქონოდა დაკისრებული.

აქვე შევნიშნავთ, რომ ძველ საქართველოში გავრცელებული „ქორედიანი კიშკრები“, რომელთა შესახებ ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი, ეჭვი არ არის, ამ სახეობის კარიბჭის ტიპის შენობათა პროტიპებს წარმოადგენენ.

როგორც ძველი წყაროებიდან და ამ სახის ხალხური ძეგლების შესწავლიდან ირკვევა, ბჭეზე (კიშკარზე) დაშენებული ზედა სართული პირველად სხვადასხვა სამეურნეო დანიშნულებისათვის იყო გამოყენებული; ხოლო შემდეგ კარიბჭე თანდათანობით გალავნით შემოზღუდულ კარ-მიდამოს შესასვლელში სათავდაცვო დანიშნულების შენობად იქცა.

როგორც ზემოთაც გვქონდა ნათქვამი, განხილული სახეობის კარიბჭის ტიპის შენობები გარკვეულ მსგავსებას ამჟღავნებენ აგრეთვე, კოლხეთის ტერიტორიაზე ძველ დროიდანვე გავრცელებულ კარიბჭეებთან, რომლის თვალსაჩინო ილუსტრაციას გვაძლევს იტალიელი მისიონერი მზატეარი ქრ. კასტელი (XVII ს.)¹; მათ შორის ყურადღებას იმ-



სურ. 45. სოფ. მეორე თალა. კიშკარზე დაშენებული ნაგებობის — „ქორედიანი კიშკრის“ ხედი.

¹ ქრ. კასტელი, (ალბომი), რომი, 1905 (მ. თაბარა-შვილის წინასიტყვაობით).

სახურებს კოლხური კარიბდამოს შესასვლელში აგებული კარიბქის ტიპის ანალოგიური შენობები, რომელთა ხუროთმოძღვრული მოცულობითი ფორმები და დანიშნულება აშკარად მეორდება ზემოთ აღნიშნული სახეობის საინგილოს კარიბქის ტიპის შენობებში (იხ. სურ. 25).

კარიბქე საცხოვრებლის დანიშნულებას იღებს (XVIII ს. მეორე ნახევრიდან) იმ პერიოდიდან, როდესაც მაღალი კოშკური საცხოვრებლის ტიპი თანდათანობით კარგავს ადრინდელ ფუნქციას, რადგანაც იგი როგორც საცხოვრებელი ვერ აკმაყოფილებს ადამიანის ახალ მოთხოვნილებებს; ამიტომ ხალხური მშენებელი ეძებს საცხოვრებლის ახალ შერწყმულ ტიპს, რომელშიც გათვალისწინებული იქნებოდა აგრეთვე კარიბდამოს დაცვის მოხერხებული ორგანიზაცია¹.

აღნიშნული სახეობის — მარტივი კომპოზიციის კარიბქის ტიპის შენობები დროთა ვითარებაში ცვლილებას განიცდის და განვითარების გზით გადადის მეორე სახეობაში.

ძირითადი ცვლილებები განიცადა გეგმის კომპოზიციამ, პირველ სართულში გასასვლელის გვერდით ჩაისახა სამეურნეო და საცხოვრებელი დანიშნულების სათავსოები; პირველი სართულის შესაბამისად იზრდება ზედა სართულის ოთახების რაოდენობაც². ამ სახით ხალხური მშენებელი თანდათანობით აღწევს კარიბქის ტიპის საცხოვრებლის ახალ სახეობის მიღებას, რომლის გვერდების ელემენტები, თავდაცვის ტრადიციული ფუნქცია მთელი სისრულითაა შენარჩუნებული, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ზედა სართულებს (იგულისხმება აუარტ) დატანებული აქვს ტრადიციული საშვერავი — სათოფურები, ვიწრო სარკმელების საბით, რომელთა ფორმები მეგვიდრეობითაა გადმოტანილი თავდაცვითი კოშკური ნაგებობიდან.

მეორე სახეობის კარიბქის ტიპის განვითარებულ გეგმის მქონე საცხოვრებლის საილუსტრაციოდ წარმოდგენილია სოფ. ქვემო ფიფინეთიდან

¹ «Надвратные сооружения возводились, вероятно после прекращения строительства оборонительных башен, когда появились более просторные и удобные дома, и потребовались организация защиты окруженного участка и главным образом, надежная оборона входных ворот» (Л. Бретаншский, Л. Мамиконов, დასახ. ნაშრომი, გვ. 119).

² «С течением времени тип надвратного сооружения также изменился. Первый этаж уже не был занят исключительно проездом во двор; в нем появились хозяйственные и жилые помещения. Соответственно разрастался и второй этаж и все сооружение постепенно превращалось в двухэтажный жилой дом с проездом во двор, устроенным в его нижнем этаже», (Л. Бретаншский, Л. Мамиконов, დასახ. ნაშრომი, გვ. 119).




სურ. 46. სოფ. კატეხი. კარიბქის ტიპის საცხოვრებლის ნანგრევების საერთო ხედი.

(მეორე თალა, ზაქათალის რ-ნი), ა. კაშიშვილის საცხოვრებელი სახლის ანაზომები (ტაბ. 16, 17).

როგორც მითითებული ტაბულიდან ჩანს, აღნიშნული სახლი გეგმაში სწორკუთხოვანი და ორსართულიანია. პირველი სართული ორი განყოფილებისაგან შედგება: ერთი მთავანი წარმოადგენს გასასვლელს, რომელსაც ქვის ვალაენი შემოზღულულ კარიბდამოში გვეყავართ; მეორე განყოფილება კი (მარცხნივ) ამჟამად გამოყენებულია სამეურნეო დანიშნულებისათვის (სათივედ), როგორც ჩანს ადრე იგი საცხოვრებელი უნდა ყოფილიყო, რადგანაც მისი ზურგის კედელზე შემორჩენილია ძველებური ყაიდის დაკიდებული ქვის ბუხარი.

ბუხარის გვერდით (მარცხნივ) არსებული ფანჯარა გადაკეთებულია და ამჟამად იგი კარის მოვლვობას ასრულებს, ხოლო მეორე კარი მოთავსებულია მარცხნივ მდებარე განივ კედელში, რომელსაც გარედან მიღგმული კიბის ბაქნის ქვევიდან, სამეურნეო ეზოში გავყავართ; გარედან მიღგმულ ერთსკლიან კიბეს მეორე სართულზე აყავართ; მეორე სართული შედგება ორი განყოფილებისაგან, რომლებსაც საცხოვრებლების დანიშნულება ჰქონია (იხ. გეგმა); აღნიშნულ ოთახებს პატარა



სურ. 47. გაშლილი ხელის გამოსახულება საცხოვრებელი სახლის ქვის კედელზე.

ზომის თაღვანი ფანჯრები და საზვერაჟ-სათოფურები აქვთ; მათი იატაკები სხვადასხვა ღონეზეა. მარჯვნივ მდებარე ოთახის იატაკი ორი საფეხურით (36 სმ) მაღლა მდებარეობს.

აყარში ასევე წარმოებს მარჯვნივ მდებარე ოთახიდან (ასამარში ხერელის საშუალებით); აყარი მოვავაგონებს ვრცელ ღარბაზს, რომელსაც კედლებში დატანებული აქვს კამარებიანი მცირე ზომის ფანჯრები და სათოფურები (ტაბ. 17 იხ. აყარის გეგმა, ჭრილი).

სახურავის კონსტრუქცია. ყურადღებას იქცევს აყარის კონსტრუქციული გადაწყვეტა. სართულის შუაში დადგმულია „ოთხფეხა მაკრატელი“, რომელსაც ორქანობიანი სახურავი ეყრდნობა. აღნიშნულ „მაკრატელზე“ დაყრდნობილია სახურავის თავზე, ინვილოები მას „თირს“ ანუ „ტიეს“ უწოდებენ, რომელზედაც გადაიკედებულია კაეები; ხოლო კაეებზე გათლილი ლარტყები დაკრული, რომელზედაც ისლია სქელ ფენად დამაგრებული (ტაბ. 17 იხ. გრძივი და განივი ჭრილი I და II).

აყარის იატაკის ზედაპირი გადაღესილია „უილის“ სქელი ხსნარით; აყარში ამოყვანილი ბუხარის საკვამურები ზემოდან ქვის დიდი ფილებითაა გადახურული, რომელიც ნაპერწყმებს არ უშვებს ზემოთ; ხოლო კვამლის „სატყვი“ ხვერლები გვერდებზე აქვს დატანებული; კვამლი აქედან მთელს აყარშია მოღებული და ჭურჭუტანებიდან გადის გარეთ.

ანტერი ი. ამ შენობის ინტერიერის მხა-

ტრული დამუშავების ელემენტებიდან დღემდე „კონსპირაციულად“ შემონახულა აყარში დედაბოძის დამუშავების ფრიალ საინტერესო ნიმუში. (ტაბ. 23 სურ. 34). იგი დედაბოძის ერთ-ერთ უნიკალურ სახედ მიგვაჩნია. აყარში ნაპოვნია აგრეთვე დარვაზას კარის ნაქელი სახელური (საკაკუნებელი), რომელიც ხალხური ჭედურობის საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს (ტაბ. 17, VI);

მოცულობითი კომპოზიცია. შენობის ფუნქციონალური არსიდან გამომდინარე, კარიბჭის ტიპის სახლ-კოშკის გეგმამ თავიდანვე განსაზღვრა მისი მოცულობითი კომპოზიცია.

ფასადის უფანჯრო სიბრტყე, მყურებელს მოსაწყენ შთაბეჭდილებას უქმნის. საზვერაჟ-სათოფურების ვიწრო სარკმელები, არ იძლევა ხუროთმოძღვრულ ეფექტს და შენობას ციხე-სახლის იერს აძლევს.

ფასადის კომპოზიციაში ერთადერთ აქცენტს ნახევარწრიული მოხზულობის დიდი თაღი წარმოადგენს; იგი ქვის გალავნიან კარ-მიღამოს მთავარ შესასვლელს („კარიბჭის“) ანუ იგივე „ღარვაზას“ მოვალეობას ასრულებს, რომელიც სახლ-კოშკის საერთო კომპოზიციაშია გაერთიანებული. რაიმე მორთულობის კვალი ფასადზე არ შეინიშნება. ერთადერთი, რაც ყურადღებას იმსახურებს, ესაა „კარიბჭის“ მარცხნივ კედელზე, ხელის გამოსახულება (ტაბ. 16, იხ. ფასადი).

ქვის კედლის გადაღესილ ზედაპირზე გამოსახულია მარჯვენა ხელის (მტევნის) ორი იდენტური ანაბეჭდი, აღბეჭდილი გაშლილი თითებით, რომელთა შორის ამოკაყვრით შესრულებულია ოთხი ასოსაგან შემდგარი წარწერა უცნობი ანბანით (სურ. 47). აღნიშნული უცნობი წარწერის ამოშიფვრა, რა თქმა უნდა გართულებულია, მაგრამ შედარებამ გვიჩვენა, რომ ოთხივე ასოს მოყვანილობა და მათი კალიგრაფიული სტრუქტურა ნინოწმინდლის (საგარეკოს რ-ნი) ტაძრის მოჩუქურთმებული კედლის ქვაზე ამოკვეთილი უცნობი წარწერის ზოგიერთი ასოს მსგავსია (სურ. 47 შდრ. სურ. 48).

ქართულ ხალხურ და მონუმენტურ ძეგლებზე ხელის გამოსახვის ნიმუშები ცნობილია უძველეს დროიდან.

ინვილოურ ზეპირწყაროებში შემონახულია გადამოცემა, რომ მარჯვენა ხელის გამოსახვა შენობის კედლებზე, კორთებზე ან დედაბოძებზე ნიშნავს „ოსტატის ქებას“ კარგი ნახელავის გამო, ეს არის ოსტატის ხელწერა, რომელიც შემდეგ წარწერამ შეცვალა. ამრიგად, აღნიშნული კარიბჭის ტიპის სახლკოშკზე მარჯვენა ხელის გამოსახულება ამ მიტივით უნდა იყოს აღბეჭდილი.

კოშკური ნაგებობის ანალოგიურად კარიბჭის ტიპის საცხოვრებელიც თანდათანობით განიცდის



სურ. 48. სოფ. ნინოწმინდა (საგარეჯოს რაიონი). ნინოწმინდის ტაძრის კედლის ქვაზე ამოკვეთილი წარწერა.

დღგრადაციას, კარგავს მის ადრინდელ სახეს და გადაკეთების გზით ლებულობს თანამედროვე საცხოვრებლის ფორმას.

ეს პროცესი განსაკუთრებით ფეხს იკიდებს სამამულო ომის შემდეგ წლებიდან. კარიბჭის ტიპის საცხოვრებელთა მასიური გადაკეთება წარმოებს ცხოვრების ახალ მოთხოვნილებების საფუძველზე.

გადაკეთებულ კარიბჭის საცხოვრებლის ერთ-ერთ საუკეთესო მაგალითად ვიმოწმებთ სოფელ მეორე თალიდან მ. ალიმოვის საცხოვრებელს (სურ., 49). როგორც გადმოცემიდან ირკვევა, (გადაკეთებამდე) იგი ა. კაშიმოვის კარიბჭის ტიპის საცხოვრებლის ფორმაზე ყოფილა აგებული (სურ., 17, 18). მ. ალიმოვის ძველი საცხოვრებლის გადაკეთება მომხდარა 1947—48 წწ. ძველი საცხოვრებლის ნაგებობიდან გამოყენებულია მხოლოდ პირველი სართულის კედლები თავისი წრიული მონახულობის თაღით, ხოლო მეორე სართულის ძველი კედლები მორღვეულია და ამოყვანილია აგურის ახალი კედლები კირის ხსნარზე.

საყურადღებოა, რომ გადაკეთებული საცხოვრებლის ხუროთმოძღვრული მოცულობითი ფორმა (საერთო ხედი) მოგვაკონებს კოლხეთის ტერიტორიაზე გავრცელებულ პალატიანი ოდა-სახლის ხუროთმოძღვრულ ფორმას (სურ., 49).


წერილობითი წყაროები და დღემდე მოღწეული უძველესი მატერიალური კულტურის ძეგლები ერთხმად ადასტურებენ, რომ კოშკური ნაგებობათა შშენებლობის ტექნიკა საქართველოში ძველთაგანვე მაღალ დონეზე იდგა.

კონსტრუქციული სტრუქტურის სტანდარტიზაცია და გეგმარების ელემენტების ერთიანი საშენებლო ნორმების დადგენა ხელს უწყობდა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ამ სახის ნაგებობათა ტიპიზაციას და შათს ფართო გავრცელებას, ეს კი თავის მხრივ განაპირობებდა საშენებლო ტექნიკისა და ხუროთმოძღვრული ფორმების ეროვნული სახის ჩამოყალიბებას.

შედარებითი ანალიზისათვის ვფიქრობთ, საჭიროა მოკლედ შევეხებით აზერბაიჯანულ ხალხურ საცხოვრებელი სახლის ერთ-ერთ უძველეს ტიპს, რომელსაც აზერბაიჯანულად „კარადამს“ ეძახიან.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ საცხოვრებლის ეს სახეობა საინგილოს ტერიტორიაზე არსად არ არის დამოწმებული.

საცხოვრებელი კარადაში, როგორც ცნობილია XVI საუკუნეში აზერბაიჯანულ მოსახლეობაში ფეოდალური წყობა უკვე მტკიცედ იყო დამკვიდრებული. ცხადია, ამ გარემოებამ შეგავლენა იქონია საცხოვრებელი სახლის ხუროთმოძღვრული კულ-



სურ. 49. სოფ. მეორე თალა. საცხოვრებლად გადაკეთებული კარიბჭე — „ქორედიანი კოშკარა“.

ტურის განვითარებაზე, რის შედეგადაც ჩაპოყალიბდა საცხოვრებლის დამახასიათებელი ტიპი — მიწის ქვეშ მოწყობილი სახლი.

მიწის ქვეშ მოწყობილ საცხოვრებელთა შორის ყურადღებას იქცევს „კარადამი“, გეგმაზე მას კვადრატული მოხაზულობა აქვს (იშვითად გვეხვება წაგრძელებული ფორმისა). მისი გადახურვა ქართული დარბაზის „გვირგვინის“ კონსტრუქციული სტრუქტურის კვალობაზეა მორებისაგან თარახულად თანდათანობით შეეწროვებულად აყვანილი, რომლის თავზე სასინათლო ხვრელია დატოვებული (ტაბ. 39). კარადამის შუაში მოთავსებულია კერა (შუაცეცხლი) ე. წ. „ტენდირი“, საიდანაც კვამლი გადის ჰერის ხვრელში¹, ამიტომაც მთელი ინტერიერის კედლები და საფეხურებიანი ქვირა გაშავებულია მკვარტლისაგან, ამის გამო ეწოდება მას „კარადამი“, რაც აზერბაიჯანულ ენაზე „შავ სახლს“² ნიშნავს.

კარადამის საცხოვრებელი ფართი 25 კმ ან აღემატება, საცხოვრებელი განყოფილების წინ მიწისქვეშა ვიწრო გასასვლელია დერეფნის მსგავსად მოწყობილი. იგი დაკავშირებულია საქონლის სადგომთან, რომლის ფართი 15 კვ. მ-მდე აღწევს, კარადამს აქვს გვირგვინისა და მიწის მთელი სიმაღლის შემაკავებელი ოთხი მძლავრი სვეტი. ყოველ ოჯახს საკუთარი კარადამი აქვს. რომლებიც ერთმანეთს უთხბით ესაზღვრებიან. მომიჯნავე კარადამი ნახაზზე წყვეტილი ხაზებითაა ნაჩვენები (ტაბ. 39).

აღნიშნული კარადამის შედარებამ ქართულ დარბაზებთან იმ დასკვნამდე მიგვიყვანა, რომ განვითარების აღრინდელ ეტაპზე მათ ბევრი რამ აქვთ საერთო, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ მათ შორის მკვეთრი განსხვავებაც არის, გამომდინარე თითოეული მათგანის ხუროთმოძღვრული გადაწყვეტიდან და ეროვნული კულტურის ტრადიციათა განსხვავებიდან.

ძირითადი განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ „კარადამის“ ფართი „ქართული დარბაზის“ ფართთან შედარებით სამჯერ უფრო მცირეა, ფსადის მხატვრული დამუშავება სრულიად გამორიცხულია; სწამდელიეში მას ფსადი არცა აქვს, გარდა ერთი შესასვლელი კარისა; იგი ამ თვალსაზრისით ხელოვნურ გორაკს წარმოადგენს; კარადამების ჯგუფური განლაგება ხელოვნური „გორაკების“ ანსამბლს ჰქმნის (ტაბ. 39 იხ. საერთო ხედი).

ამრიგად, ამ ორი სხვადასხვა საცხოვრებლის

¹ Г. М. Ализаде, Народное зодчество Азербайджана и его прогрессивные традиции, Баку, 1963, стр. 22.

² Единственное положительное качество Карадама состояло в том, что в жаркое время года в нем было прохладно, а зимой — относительно тепло (Г. М. Ализаде, асახ. ნაწრ. გვ. 22).


(ქართული და აზერბაიჯანული სახლის) ანაზომების შედარებითი ანალიზიდან ირკვევა, რომ „კარადამი“ აღრინდელი სტადის შემდეგ აღარ განვითარებულა. ამით უნდა იხსნას ის ვარაუდი, რომ „დარბაზულ-აყარიან“ საცხოვრებელ სახლებს ინგილოების გარდა საინგილოში მათი მიზაქვით მეზობელი მუსულმანური ტომებიც აგებდნენ თითქმის ბოლო დრომდე.

კარადამის ტიპის საცხოვრებლები, როგორც ზემოთ ითქვა, საინგილოში არსად არაა დამოწმებული; ჩვენ მიერ შესწავლილი მასალების და ხალხური გადმოცემების მიხედვით ირკვევა, რომ საინგილოს ტერიტორიაზე მოსახლე აზერბაიჯანელები, ლეკები და სხვებიც ისეთივე სახლებს იშენებდნენ (ძველი დროიდან ბოლო დრომდე), როგორსაც ინგილოები.

ამ თვალსაზრისით გამოირჩევიან: ერთგანყოფილებიანი (დარბაზულ) ან ერთიანი-აყარიანი და ორთახიანი-აივანი საცხოვრებელი ძველი ტიპები. საინგილოში მოსახლე აზერბაიჯანელებს და ლეკებს ზუსტად ასეთივე ტიპის სახლები აქვთ. შესაბამისად მორტანილი გვაქვს სოფ. ლექართიდან მ. ეფენდიევის საცხოვრებელი სახლი, რომელიც დარბაზულ-აყარიან საცხოვრებლის სახეობას ეკუთვნის (ტაბ. 40)³. მისი გეგმის კომპოზიცია იდენტურია გ. თამაზაშვილის ზემოთ განხილულ დარბაზულ-აყარიანი სახლის გეგმისა (ტაბ. 19 შდრ. ტაბ. 40). მ. ეფენდიევის საცხოვრებლის გადაკეთება მომზდარა დაახლოებით 1947—48 წწ., როგორც ირკვევა, ძველი აყარი მთლიანად მოხსნილია და ერთგანყოფილებიან დარბაზის ძველ კედლებზე მეორე სართულია დაშენებული. ქვედა სართულის ანტებს შორის მოქცეული ლოჯიის თავზე მეორე სართულის წინ აივანი აქვს გამართული და გამოწეულია ერთ მეტრამდე. ქვედა სართულის დარბაზის ფართი 26 კმ აღწევს; მეორე სართული შედგება ორი განყოფილებისაგან (თითო—15 კვ. მ), რომელთაც ცალცალკე შესასვლელი აქვთ აივნიდან. სახლზე მარცხნივ მიყუდებულია (საფეხურებამოჭირილი) მორი, ხოლო მეორე მხარეზე მარჯვნივ მიდგმულია ხის კიბე, რომელსაც აყავართ მეორე სართულზე; მეორე სართულის ზურგის კედლებში სიმეტრიულად განლაგებულია ნიშები და წალოები, რაც დამახასიათებელია ერლოიან-აყარიანი სახლებისათვის (ტაბ. 40).

დასასრულს უნდა აღინიშნოს, რომ მ. ეფენდიევის სახლი წარმოადგენს ერთიანი-აყარიანი საცხოვრებლის რეკონსტრუქციის ისეთ ილუსტრაციას.

³ С. Датнев, Д. Мотис. Жилье XVIII и XIX веков Закаталского района. (Памятники архитектуры Азербайджана, Баку, 1950, табл. 158).



სურ. 50. სოფ. ალიაბადი. საცხოვრებელი სახლის საერთო ხედი.

ციას, რომლის ფორმა ვერტიკალურ მიმართულებითაა განვითარებული და პალატიან ოდას მოგვაგონებს.

გ. თამაზაშვილისა და მ. ეფენდიევის ერდოიან-აყარიანი საცხოვრებელთა იდენტური სახეობის შემდგომი განვითარების ერთ-ერთ ნიმუშს წარმოადგენს ხ. მამედოვის სახლი, სოფ. მეორე თალადან (ქვ. ფიფინეთი)¹. იგი აგებულია 1948 წელს, რომლის გეგმის კომპოზიცია ერდოიან-აყარიანი საც-

ხოვრების სქემაზეა აგებული. მართალია გეგმის კომპოზიციას აქ შენარჩუნებული აქვს გ. თამაზაშვილის ერდოიან-აყარიანი საცხოვრებლის გეგმის ზუსტი მოყვანილობა, მაგრამ ხალხური მშენებელი აქ ფასადის სიმეტრიული გადაწყვეტის სულ ახალ ვარიანტს გვაძლევს, რომელიც მკვეთრად შორდება ერდოიან-აყარიან საცხოვრებლის (ტრადიციული) მოძველებული ფასადის კომპოზიციას.

ყურადღებას იქცევს საინგილოში მოსახლე აზერბაიჯანელების ოროთაზიან-აიენიანი საცხოვრე-

¹ ს. ლატაიევი, დ. მოტიხი, დასხ. ნაშრომი, ტაბ. 144.

ბელთა ტიპები, რომლებიც ძველთაგანვე ყოფილა გავრცელებული ზემოხსენებულ საკვლევ რაიონში.

როგორც ირკვევა, ოროთახიან-აივნიანი საცხოვრებლის ტიპი მიღებულია ერდოიან-აყარიანი (მე-გარონის ტიპის ერთგანყოფილებიანი) საცხოვრებლის შუაზე გატიხვით ან ქილევ მისზე სათავსოს გვერდზე მიშენებით (ტაბ. 20).

ზემოთ უკვე დავინახეთ, რომ მ. ეფენდიევის საცხოვრებლის განვითარება ხდება ერდოიან-აყარიანი საცხოვრებლის რეკონსტრუქციის გზით ვერტიკალური განვითარების მიმართულებით, ხოლო მეორე ვარიანტში კი საქმე გვაქვს ერდოიან-აყარიანი საცხოვრებლის გეგმის განვითარების ისეთ ეტაპთან, რომელიც განხორციელებულია თარაზული მიმართულებით — გვერდზე სათავსოს მიშენების სახით.

ამის საილუსტრაციოდ აღებული გვაქვს სოფ. მეორე თალაში მოსახლე ისმაილ ავაგვისა და ალი მამედ-ოღლის ოროთახიან-აივნიანი სახლები (ტაბ. 41, ნახ. 1, 2). ხსენებულ სახლების გეგმებზე აშკარად იკითხება ერდოიან-აყარიანი საცხოვრებლის გეგმის გარეთა მოხაზულობა თავიანთი დამახასიათებელი ანტეპს შორის მოქცეული აივნებით¹.

საყურადღებოა, რომ აღნიშნულ საცხოვრებელთა გეგმარებას დღემდე შემკვიდრებით შემორჩა ერდოიან-აყარიანი საცხოვრებლის გეგმარების ისეთი ელემენტები, როგორცაა: ანტეპს შორის მოქცეული აივანი, ანტეპში დატანებული ბუხრები, დამახასიათებელი აყარი, სახურავის კონსტრუქციული აგებულება და ფასადის სიმეტრიული გადაწყვეტა.

აღსანიშნავია, რომ საინგილოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ აზერბაიჯანელთა საცხოვრებლები, მათი გეგმისა და ფასადის კომპოზიციები დღემდე უცვლელად აზერბაიჯანელი ზურთომოდვების ელფერს, რაც ძირითადად გამოიხატება ორ და ოთხეტირნიანი შესირულ (თალიანი) თაღედიანი აივნის მოწყობაში (სურ. 50, ტაბ. 41, ნახ. 1, 2). ი. ავაგვას საცხოვრებელი სახლის ფასადს შენარჩუნებული აქვს (აივნის) კენტლიობიანი დანაწევრების სიმეტრიულობის კანონი (განსაკუთრებით სამი ლიობი), რომელიც დამახასიათებელია ერდოიან-აყარიანი საცხოვრებლებისათვის. ამ შემთხვევაში ფასადის სიმეტრიის ღერძი ლიობის შუაში გადის, ხოლო მეორე ვარიანტში ეს წესი უარყოფილია და ლუწი ლიობიან (ოთხი, ექვსი და ა. შ.)

გადაწყვეტის ნიმუშს გვაძლევს, სადაც ფასადის სიმეტრიის ღერძი ორ მოსაზღვრე ლიობს შორის მოქცეულ სვეტზე გადის (ტაბ. 41. ნახ. 1, 2, 3).

აღსანიშნავია, რომ საინგილოს ტერიტორიაზე მოსახლე აზერბაიჯანელთა ხალხური საცხოვრებლების მშენებლობა, განსაკუთრებით სამაშულო ომის შემდეგ წლებში ქალაქის მშენებლობის ძლიერ გავლენას განიცდის. ეს აშკარად ემჩნევა, როგორც გეგმის, ისე საცხოვრებელთა ფასადების ხუროთმოძღვრულ გადაწყვეტას.

პროფესიონალ არქიტექტორების მიერ შედგენილი პროექტებით აგებული ქალაქის სახლების მშენებლობიდან მექანიკურად ვადმოტანილ შენობათა ელემენტების გამოყენების ტენდენციამ თანდაზობით სახე უცვალა საინგილოს ხალხური სახლების ხუროთმოძღვრებას.


ამის ნათელსაყოფად შეიძლება დავიმოწმოთ სოფელ მეორე თალიდან მ. არაბლინსკისა² და ა. რაფიევის საცხოვრებელი სახლები, ასევე სოფელ ხებელობადან (ზაქათალის რაიონი) ი. ბარკაევის სახლი და სხვ. (ტაბ. 42, 43).

მითითებულ საცხოვრებელთა გეგმები დიდად განსხვავდებიან საინგილოში ადრე გავრცელებული ხალხურ საცხოვრებლებსაგან. მათ გეგმებს ანფილადისებური საცხოვრებლის მსგავსად წაგრძელებული სწორკუთხედის მოყვანილობა აქვთ, რომელთა ფასადზე გამოყენებულია ხალხური საცხოვრებლებისათვის შეუფერებელი, დამძიმებული, ტლანქი ელემენტები. ასე მაგალითად, ქალაქის შენობათა მონუმენტური არქიტექტურიდან ვადმოღებულია ზნადასხვა სიდიდისა და ზომის არქივოლტური კამარები (კამარტები), დიდი ზომის რკინა-ბეტონის თაღები, შეუფერებელი პროპორციის სვეტები და სხვ.

დასასრულს, უნდა აღინიშნოს, რომ აზერბაიჯანის ქალაქთმშენებლობის ობიექტებიდან ამოკრეფილი ზურთომოდვრული ელემენტების გამოყენება თანამედროვე ხალხური საცხოვრებლების ფასადებზე ინგილო და აზერბაიჯანელ გლეხის ადრე გავრცელებულ საცხოვრებლების ზურთომოდვრების გადასხვაფერებას იწვევს და მათ ეკლექტიკურ ხასიათს აძლევს; ზურთომოდვრული სამკაულების ამ სახით გამოყენება საინგილოს ხალხური საცხოვრებლების ფასადებს აზერბაიჯანული ზურთომოდვრების იერს ანიჭებს, უკარგავს ადრინდელ ელფერს (ტაბ. 42, 43).

¹ ს. დატიევი, დ. მოტიხი, დასახ. ნაშრომი, ტაბ. 153, 149.

² ს. დატიევი, დ. მოტიხი, დასახ. ნაშრომი, გვ. 107.



თ ა ვ ი მ ე ხ უ თ ე ს ა მ ე უ რ ნ ე ო შ ე ნ ო ზ ა მ ი

საინგილოს რბილი ჰავა და ბუნებრივი პირობები საუკეთესო ნიადაგს ქმნიდა მეურნეობის მრავალფეროვანი დარგების განვითარებისათვის.

აქ უძველეს დროიდანვე მისდევდნენ მესაქონლეობას, შემინდვრობას, (მარცვლეულის კულტურების მოყვანას), მგვენახეობასა და სხვ. სტრაბონის ვადმოცემით, ალბანებს „საქონელი... დიდი ტანისა ჰყავდა“¹.

მეურნეობის სხვადასხვა დარგის დაწინაურების პროცესში წარმოიშვა აუცილებელი მოთხოვნილება სასოფლო-სამეურნეო ნაწარმთა მარაგის შესანახი ადგილის გამოყოფისათვის, რაც პირველად თვით საცხოვრებელი სახლის სისტემაში ჩაისახა.

ცნობილია, რომ გარეული ცხოველების მოშინაურების პერიოდთან ჩვენს დრომდე, ადამიანი თავის საცხოვრებელშივე აბინავებდა პირუტყვს.

ამ ტრადიციამ ფადმონაშთის სახით თითქმის ჩვენს დრომდე მოაღწია.

საცხოვრებელი სახლის სისტემაში წარმოიშვა აგრეთვე დამატებითი ფართის გამოანახვის აუცილებლობა სამეურნეო დანიშნულებისათვის: საინგილოში ეს საკითხი ხალხური მშენებლის მიერ ჩინებულადაა ვადაწყვეტილი ე. წ. აყარის საართულის მოწყობის გზით, რომელიც სახურავის მოცულობის გამოყენების საუკეთესო მაგალითია.

აყარი ინგილო გლეხის საცხოვრებელი სახლის განუყოფელი ნაწილია, რომელშიც ინახება დიდი ზომის ხის ბელელ-კასრები და კიდობნები სხვადასხვა სახის მარცვლეულისათვის, სხვადასხვა საოჯახო და სასოფლო სამეურნეო ინვენტარით. იგი ძველებურ ქორედს წარმოადგენს, რომელსაც ძველთაგანვე მრავალმხრივი სამეურნეო მნიშვნელობა ჰქონია მინიჭებული.

ინგილო გლეხის საცხოვრებელი სახლის რთული კომპლექსი, რომელშიც ერთ სახურავს ქვეშაა მოქცეული საცხოვრებელი და სამეურნეო დანიშნულების სათავსოები, ოჯახისა და მეურნეობის ზრდასთან ერთად განიცდის გარკვეულ ცვლილებებს.

ცნობილია, რომ „ოჯახის რიცხოვრივი ზრდა და ქონების დაგროვება მოითხოვს ბინის გაფართოებას და სამეურნეო ხასიათის სხვა ნაგებობათა აშენებას, ამ მიზნით ჩნდება ახალი ტიპის ნაგებობანი: ბეღელი, ბოსელი და სხვ.“².

აღსანიშნავია, რომ საინგილოს ტერიტორიაზე ტიპურ აყარაან საცხოვრებლებს პირველად საქონლის სადგომი გამოეყო, რომელმაც ცალკე აგებული შენობების სახით „ზროხის სახლის“ სახელწოდება მიიღო; რაც შეეხება მარცვლეულის (სიმინდი, ხორბლეული და სხვ.) შენახვის ტრადიციას, იგი უმრავლეს შემთხვევაში ჭერ ცალკე არ არის გამოყოფილი და აყარს აქვს შერ-

¹ თ. ყ ა ლ ხ ი შ ვ ი ლ ი, სტრაბონის გეოგრაფია, ცნობები საქართველოს შესახებ, თბილისი, 1957, გვ. 132.

² ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, საბრძოლო და თავდაცვითი ნაგებობანი საქართველოს მთიანეთში, თბილისი, 1945, გვ. 8.

ჩენილი, რის გამოც აყარს დღემდე არ დაუკარგავს თავისი ადრინდელი ფუნქცია. ამიტომაც, საინგილოში თითქმის არსად გვხვდება სასიმიინდე, ბედელი და ხულა.

ჩვენ მიერ შეკრებილი გრაფიკული და ფოტომასალების მიხედვით ირკვევა, რომ საინგილოს ტერიტორიაზე ძველთაგანვე გავრცელებული ყოფილა სამეურნეო დანიშნულების შემდეგი სახის შენობები: ბოხელი („ზროხის სახლი“), კასრბედელი, სათიფე ფარდლები, მარნები, წყლის დინგები და წისქვილები.

ზროხის სახლი. საინგილოში ბოსელს „ზროხის სახლს“ ანუ „ზროხის ქოხს“ ეძახიან. იგი რა თქმა უნდა, მარტო ძროხის სადგომს კი არ ნიშნავს, არამედ, ჩვეულებრივ, საქონლის სადგომს წარმოადგენს.

სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით „ზროხა ზოგადად სახელი არს ყოველთა ზროხათა. ხოლო მამალსა ზროხასა ეწოდების ხარი და დედალსა ფური“... მათი სადგომი — ბოხელი, არის „სახლი საზროხე“ (სიტყვის კონა).

„ზროხის ქოხი“¹ ორი სახისაა. ერთია საზაფხულო, ე. წ. სეზონური ხასიათისა, „ბინების“ საძოვრებზე, ხოლო მეორე — საზამთრო, რომელიც გავრცელებულია მუდმივ საცხოვრებელ ზონაში (სოფლად).

საზაფხულო „ზროხის ქოხი“ წვლისაგანაა მოწყნელი, შემდეგ კი თხილთ შეღესლი, ან აგებულია ფიცრული კედლებით და დახურულია ისლით, ხოლო საზამთრო, ანუ საკარმიდამო „ზროხის ქოხებს“ უმრავლესობა ქვისაგანაა აგებული და კაპიტალურ ნაშენს წარმოადგენს.

გეგმისა და მოცულობითი ფორმების მიხედვით „ზროხის ქოხი“ ვვხვდებით ორი სახისა: ა) ერთგანყოფილებიანი, წინა ღია აივნით, და ბ) ერთგანყოფილებიანი ორმხრივი (კუთხური) ღია აივნით.

მათ შესახებ ჩვენ მიერ შეკრებილი მასალებიდან დამოწმებული გვაქვს თითო მავალითი: სოფ. მაწეხიდან (ტაბ. 44), და კახ-ინგილოდან (ტაბ. 45). დარგაზასთან ერთსახურავს ქვეშ გაერთიანებული ახორი ანუ „ახური“ ზემოთ უკვე განხილული გვაქვს. დარგაზების დახასიათებისას, როგორც დარგაზასთან გაერთიანებული სამეურნეო შენობის ერთ-ერთი კერძო სახე.

ბალხურ კარმიდამოზე „ზროხის ქოხისათვის“ გამოყოფილია ცალკე იზოლირებული ეზო, რომელსაც „ბაყი“ ანუ „ადლი“ ეწოდება. „ზროხის“ შესარეკად მას შუკიდან დამოუკიდებელი შესასვლელი აქვს. აღსანიშნავია, რომ ბაყს ანუ ადილს

მთელ ფართობზე მიწის ქვეშ (დაფარული) საწრეტი აქვს მოწყობილი, რის გამოც წვიმის წყალი მასზე არ გროვდება; ამიტომ საქონლის სადგომად იგი წვინან ამინდშიც გამოსადევია. ბოსლის ეზოში (ბაყში) რამდენიმე ხეა დარაგული, რომელიც ზაფხულში სოფელში დარჩენილი ზროხისათვის „საგრელოზს“ (საჩრდილობელს) წარმოადგენს.

ერთგანყოფილებიანი „ზროხის ქოხები“ გეგმისა და მოცულობითი ფორმების მიხედვით არაერთი განსხვავებებიან ზემოთ განხილული ერთგანყოფილებიანი ტიპური საცხოვრებელი სახლებისაგან.

საინგილოს ტერიტორიაზე ჩვენ მიერ ფიქსირებულია ძველი („გამონაცვალის“) საცხოვრებელი სახლების „ზროხის ქოხებად“ გადაკეთების საინტერესო მავალითები, მათ შორის წარმოადგენილი გვაქვს ანაზოფის სახით მხოლოდ ორი ნიმუში — ერთია სოფელ კახ-ინგილოდან გ. პაპიაშვილის „ზროხის ქოხი“, ერთგანყოფილებიანი, ორმხრივ (კუთხური) ღია აივნით, ხოლო მეორე — სოფ. მაწეხიდან ა. ვალაჯოვის „ზროხის ქოხი“, ერთგანყოფილებიანი წინ მდებარე ღია აივნით (ტაბ. 44, 45).

გ. აპაიაშვილის „ზროხის ქოხს“ გეგმაზე ღია აივნის ჩათვლით კვადრატთან მიახლოებული მოხაზულობა აქვს; ზურგის კედელი და ვერძის კედლები რიყის ქვებისაგანაა აგებული; ხოლო წინიდან (მეოთხე კედელი) წვლისაგან მობოლილი შეუღესავი თხელი კედლითაა შეცვლილი. აივნის მარჯვენა უკანა კუთხეში ორგანყოფილებიანი დიდი ფიცრული კედლიანია ჩადგმული, რომელსაც „საკანს“ ეძახიან, მასში ინახება „ზროხისათვის“ მარცვლეული, საკვები, ხოლო თივა — „ბზუეი“ (ბზე, ზამთრის მარაგი) ღია აყარში ინახება (ტაბ. 45).

ღია აივნის წინა მარჯვენა კუთხეში მოთავსებულია ძველისძველი ხისაგან ნაკეთები „ფეხის დინგი“ (საკუხველი), რომლის შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი (ტაბ. 45, იხ. დინგის ქრილი და ვეგმა).

გ. პაპიაშვილის ეს „ზროხის ქოხი“ როგორც გამოიკვია, ძველი („გამონაცვალის“) საცხოვრებლის გადაკეთების შედეგად ყოფილა მიღებული. ა. ვალაჯოვის „ზროხის ქოხი“ (ტაბ. 44, სურ. 51) ძველ ნამოსახლარზეა აშენებული. იგი ერთგანყოფილებიანია. მისი ფასადის კომპოზიციაში ინტერესს იწვევს კირის დულაზე ნაგები მსხვილი ქვის სვეტები.

ზოგიერთის აზრით, ეს სვეტები ძველთაძველი შენობის ნანგრევების ნარჩენებს უნდა წარმოადგენდეს, რაც არ უნდა იყოს აზრს მოკლებული.

შემოადრინებული მსხვილი სვეტების ძირის დი-

¹ „ზროხის ქოხს“ აქ სხვა სახელიც ჰქვია, ზოგიერთ ადგილებში მას „ახორი“ ანუ „ახური“ ეწოდება.



სურ. 51. სოფ. მაწეხი. „ზროხის“ სახლი (ბოსელი)

მეტრი 95 სმ უდრის, ხოლო თავისა 50 სმ. რა თქმა უნდა, „ზროხის ქოხის“ მცირე მოცულობისათვის ასეთი ფორმის სვეტებს არავინ ააშენებდა; ამიტომაც, რომ თავიანთი დამძიმებული ფორმებითა და პროპორციებით ეს სვეტები სრულიად შეუფერებლად გამოიყურებიან „ზროხის ქოხის“ პრიმიტიული ფსაღის კომპოზიციაში.

კასრ-ბედელი. საინგილოს მკვიდრი მოსახლეობა მარცვლეული კულტურების შესანახად იყენებდა გულგამოცოლი დიდ მორებს, რომლებსაც აქ „კასრს“ ეძახიან. ამ კასრებს საცხოვრებელი სახლის აყარში ათავსებდნენ.

მარცვლეულისა და ფქვილის შესანახი დიდი ტევადობის მსგავსი კასრების არსებობა დამოწმებულია საქართველოს ბევრ რაიონში¹.

¹ გელათის მონასტრის ეზოში დღემდე დაცულია თხილის ხისაგან გამოთლილი უზარმაზარი ძველისძველი „კასრი“, რომელიც 60-70 ფუტ მარცვლეულს იტევს. კასრის მოყვანილობა ოვალურია, მისი დიდი დიამეტრი 171 სმ უდრის, სიმაღლე — 225 სმ, ხოლო კედლის სისქე 8 სმ. იდენტური კასრ-ბედლები ფიქსირებული გვაქვს აგრეთვე საინგილოს ტერიტორიაზე დაბალი ზონის სოფლებში.

აღმოსავლეთ საქართველოში ძველად მარცვლეულის შენახვა სკოდნით აგრეთვე მიწაში. „ხარო“² და „ლუი“³, სამეურნეო ნაგებობათა უძველეს სახეებს ეკუთვნის, რომლებიც მიწისქვეშა ქვიტიკრის ნაგებობებს წარმოადგენდნენ. მსგავსი ნაგებობანი საინგილოს ტერიტორიაზე აღარ დარჩენილა.

სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, ბეღელი არის „ფქვილისა და ხეარბლის დასამარხავი. უმცროს ეწოდება ხალამბარი და მის უმცროს ჯიროლა“ (სიტყვის კონა).

ბეღელი და სასიბინდე, როგორც განცალკევებული შენობა იმ სახით, როგორც ეს დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე გვხვდება, საინგილოს სინამდვილეში არ ყოფილა გავრცელებული.

ეს გარემოება იმით უნდა აიხსნას, რომ საცხოვრებელი სახლის „აყარმა“ ბოლომდე შეინარჩუნა სამეურნეო დანიშნულება, სადაც სხვა ჭირნახულთან ერთად მარცვლეულიც ინახებოდა.

ინგილო გლეხის საცხოვრებელი სახლის განვითარების პროცესში დიფერენციის შედეგად აყარს თანდათანობით გამოეყო კასრები, რომლებსაც ახალი ადგილი დაეთმო სახლის აივნის ერთ-ერთ კუთხეში (ტაბ. 24, 25).

ამრიგად, კასრ-ბედლები, როგორც დამოუკიდებელი მცირე მოცულობის ფორმა დღემდეა შექონახული საინგილოს სოფლებში (ტაბ. 46, 47). კასრ-ბედლები გვხვდება როგორც კონუსური, ისე ცილინდრული მოყვანილობისა; ისინი დიდი ტანის ერთი მეორისაგან გამოლრულ კასრისებრ დიდ ქურტულს მოგვაგონებს და სახელი „კასრი“ ზედმიწევნით გამოხატავს მის ფორმას.

სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით კასრი „ქურტული არს ხისა სამწყემსო“. ინვოლოები ასეთ კასრ-ბედლებში ყოველგვარ მარცვლეულს ინახავენ დღესაც.

ტიპური „კასრ-ბედლების“ უმრავლესობა გვხვდება ბარის სოფლებში.

კასრ-ბედლები გვხვდება ორი სახისა: ერთია განცალკევებული, რომელსაც დამახასიათებელი გადმოსაღები (მოძრავი) ისლის სახურავი აქვს (ტაბ. 46), ხოლო მეორეა საგანგებოდ აგებული თალარის (ფარდულის) ქვეშ მოქცეული კასრ-ბედლები, რომლებიც (დამახასიათებელ ფარდულთან ერთად) ერთ-მთლიან კომპოზიციაშია მოხდენ-

² თ. ჩიქოვანი, ქართული ხალხური საცხოვრებელი, თბილისი, 1960, გვ. 44.

³ ნ. რეხვიაშვილი, სამეურნეო ნაგებობა „ლუი“ სახრეთ საქართველოში, აკად. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, თბილისი, 1954, XVIII, გვ. 255—268.

ნილად გადაწყვეტილი (ტაბ. 47. იხ. პირველი ნახაზი).

პირველი და მეორე სახეობის დამატებითი მაგალითებს ეხვდებით სოფ. ზაგვიდან ა. ბაირამაშვილის და ხ. ხანიშვილის (ხანის ხანის) საყარ-მიდამო „კასრ-ბელღებში“, რომლებსაც აქ „ტახ-კას“ უწოდებენ (ტაბ. 46, 47.).

მითითებული კასრ-ბელღები ერთი მთლიანი მორისაგან „გულვაშობულ“ კონუსურ მოცულობას წარმოადგენენ, რომლებიც დიდ ქვებზე დალაგებულ გაბრტყელებულ ძელებზეა შედგმული. ასეთი სახის „პოსტამენტს“ (ბედლის დასადგმელს) ქვემოთ, შუაში განთავსებული საპერო ხერხელები აქვს დატანებული (ტაბ. 45, 47).

ზემოთაც აღვნიშნეთ, რომ მარცვლულის ჩაყრა ხდება ზემოდან, ხოლო ამოღება ბედლის ძირში გაკეთებული ხის საცობით დახშული ხერხელიდან.

უნდა შევნიშნათ, რომ საინგილოში „კასრ-ბელღები“, გარდა მორულისა, გვხვდება აგრეთვე წნულკედლებიანიც: ამგვარი კასრი სოფელ მუსულში დაუფიქსირეთ. იგი თავისი მოცულობითი ფორმით ქვევარს მოგვაგონებს და მკვეთრად გამოირჩევა ზემოთ განხილული „კასრ-ბელღების“ სივრცობრივი ფორმებისაგან.

მოწმული კედლის შიდაპირი ბზგარეული თიხისა და კირის შეზავებული ხსნართაა შელესილი. გარე პირი შეუღესავია (ტაბ. 47. იხ. მეორე ნახაზი).

ამ სახის წნულკედლებიანი „კასრ-ბელღების“ პარალელები დამოწმებულია საქართველოს მთიანეთში; მთულ-გულდამაყარში და სხვ.

ა. მილერის მიერ შეგროვებული ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით კასრ-ბელღების იდენტური ტიპები გვხვდება აგრეთვე ჩერქეზების ხალხურ ხეროთმოძღვრებაში (ტაბ. 47, შდრ. სურ. 52).

საბძელი და სათივე. სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით საბძელი არის „საბზე სახლი“, სადაც ინახება „ყანის ნაღვი“, საქონლის საზამთრო საკვები (ბზე და თივა); ინგილოურად საბძელს „საბზეუი“ ანუ „სათივეი“ ეწოდება.

რაკი საინგილოში საქონლის სადგოში (ბოსელი) საცხოვრებელი სახლის კომპლექსში იყო მოთავსებული, ზროხის (საქონლის) საზამთრო საკვების მარაგიც აყარში ინახებოდა; შემდეგში საცხოვრებლის განვითარების შედეგად მას პირველად ბოსელი გამოეყო, რის გამოც აყარიც განთავისუფლდა ბზისა და თივისაგან.

საბძელი იმ მოცულობითი ფორმებით, რო-



სურ. 52. წნული კასრ-ბელღი (ა. მილერის მიხედვით).

გორც ეს გვხვდება კახეთში, ქართლში, აჭარაში² (ბოსელთან გავრთიანებული), შავშეთში³, აფხაზეთის სვანეთში და საქართველოს სხვა მხარეში, საინგილოში არ განვითარებულა; მაგრამ, მიუხედავად ამისა, ამ დანიშნულების სამეურნეო შენობები მაინც გვხვდება ორი სახისა: პირველი მათგანი ზუსტად იმეორებს საცხოვრებელი სახლის აყარის ფორმას, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ იგი გამართულია ბოძებზე და მის ქვემოთ არსებული ღია ფარდული გამოყენებულია სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის, ურმისა და მარხილების შესანახად და სხვ. ხოლო ზედა სართული — „აყარი“ გამოყენებულია საბძელად ანუ სათივედ (სურ. 53).

მეორე სახე წარმოადგენს ბოძებზე ვადებული კოჭების სისტემას, რომელზედაც მეჩხრადა და ფენილი ძელაკები, ხოლო მასზე („ფინზე“) დაზვინულია თივა, თივის ზინი („ბულული“) გარშემო ხის წვირილი ლატანებითა შეკრული, რომელსაც ინგილოები „მუქენებს“ უწოდებენ (სურ. 54). სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, „მუქენი“ არის „ჩალურის ლატანი“ (ლექსიკონი).

მარანი. სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით,

² ი. ა. დამია, ქართული ხალხური ხეროთმოძღვრება, აჭარა, თბილისი, 1956, ტაბ. 34.

³ ზ. ჭიჭინაძე, მუსულმანი ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში, თბილისი, 1913, გვ. 274.

¹ შიდა კახეთში მას „კასრის ბელღი“ ეწოდება, ხოლო ქართლში ანალოგიურ წნულ ბელღს „ჩინს“ ეძახიან.



სურ. 53. სოფ. ალიაბადი. სათიფე-ფარდული (ბოძებზე გაშართული აყარი).

სახელწოდება „მარანი“ ნიშნავს „საღვინე სახლს“; ტერმინ მარნის შესახებ თანამედროვე მეცნიერებაში სხვა განმარტება არსებობს; ნ. ბერძენიშვილის აზრით, „მარ“ არის დიდი თიხის ჭურჭელი, ხოლო იმ ადგილს, სადაც ინახებოდა „მარები“ სამარე ეწოდებოდა; ამრიგად მარანი ის ადგილია, სადაც მარები — ქვევრები იმარხებოდა¹.

ძველთაგანვე ცნობილია, რომ საქართველოში ღვინოს მიწაში ჩაფლულ ქვევრებში ინახავდნენ. იმ ადგილებში, სადაც ცივი ზამთარი არ იყო, ღვინის ქვევრებს მარხავდნენ ეზოში, საჩრდილობელ ხეებს შორის, ღია ცის ქვეშ.

ამრიგად, მარანი, როგორც ირკვევა, პირველად ყოველგვარი შენობის გარეშე კარ-მიდამოზე წარმოიშვა საცხოვრებლის ახლოს, რომელიც უხსოვარი დროიდან „ღია მარნის“ სახელითაა ცნობილი.

ეს ფაქტი იმაზე მეტყველებს, რომ მარანი ეწოდება „ღვინის ქვევრებით“ მიწაში დაფლულ ადგილს.

კლიმატურ-ბუნებრივი პირობების შესაბამის-

სად საქართველოს სხვადასხვა მხარეში საჭირო გახდა ამ დანიშნულებისათვის ცალკე შენობის აგება.

ივ. ჯავახიშვილთან ვხვდებით XI საუკუნის ამგვარ წერილობით ცნობას „ნიკოლას წმიდას შეეკმენ.. მარანი ქვეთიკრი და დაეფალ შიგან ჭური ნავარძიელი“, „შეეკმენ საწირეს მარანი მუხისა და დაეფალ შიგან ჭური და დაეღვი ზედა ბელელი ხერხული“². დამოწმებული ამონაწერიდან ჩანს რომ ჭურების (ქვევრების) დამარხვა ხდებოდა დახურულ შენობაში. „ამრიგად, ქართული მარანი, როგორც ხუროთმოძღვრული ობიექტი ქართლ-კახეთშია ჩასახული და განვითარებული“³; კახეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეში, სახელდობრ, საინგილოში მარანი, როგორც ცალკე შენობა („დახურული მარანი“) დღეს არ გვხვდება, ყო-

¹ ივ. ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, თბილისი, 1946, გვ. 60.

² ლ. სუშბაძე, ქართული მარნის ხუროთმოძღვრება, თბილისი, 1968, ძეგლის მეგობარი, № 16, გვ. 35.

³ ნ. თოფჩია, ქართული მარანი, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, ტ. VII, თბილისი, 1955, გვ. 132.

ველ შემთხვევაში მას ჩვენს დრომდე არ მოუღწევია.

აქ გავრცელებული ყოფილა მხოლოდ ღია ტიპის მარნები, რომელთა უმრავლესობა კარ-მიდამოზე ვაზის ტალავების ქვეშაა მოქცეული. ასეთი „მწვანე ფარდული“ მიწაში ჩაფლულ ქვევრებს ამცხუნვარე მზისაგან იცავს. ამრიგად, საინგილოში მარნები ისეა მოწყობილი ღია ტიპის ქვეშ, როგორც ეს დასავლეთ საქართველოშია მიღებული.

„...თებურ-ლენგმა XIV საუკუნის დამლევს და შემდეგ XVII საუკუნის დამდეგს შაჰ-აბასმა საქართველოს ეკონომიურად დასაუძლურებლად თავიანთ ლაშქრებს ვენახების გაკავება-ამოვლება უბრძანეს“¹.

ამ დროიდან მოყოლებული საინგილოს ტერიტორიაზე მაჰმადიანთა ბატონობამ ვაზის კულტურა თითქმის მთლიანად ამოკლდა და ძველი მარნის შენობებიც (თუ ისინი არსებობდა) რა თქმა უნდა, აღიგებოდა პირისაგან მიწისა.


ძველ ნაშოსახლართა შორის ერთ-ერთი მთის სოფელს დღემდე შემორჩა ძველი ქართული სახელწოდება — ნამარნევი, რაც ძველად აქ მარნების არსებობაზე უნდა მეტყველებდეს. იგი მდებარეობს ბელაქნის ჩრდილოეთით, დაახლოებით მისგან 5 კილომეტრის დაშორებით, დღესაც კარგად გამოირჩევა ტყე-ჭაფნარით დაფარულ შენობათა ნანგრევების ნაშთები. „სახლებისა და ეზოების მოზომილობაზე ეტყობა“, წერს ამ ადგილის შესახებ დ. ჭანაშვილი, „რომ აქ ყოფილა დაბა-ქალაქი, საზაფხულო სადგომი ბელაქნის ძველთა მაცხოვრებელთა და აქვე ჰქონიათ ქართველთა გენახები და მარნები“².

აქ დღესაც ნახულობენ დიდი ზომის ნამარნის ქვევრების ნაშთებსა და „სარქველის ქვეშ“ („სიბიჰი ქვეა“), რომლებსაც ქვევრების სარქველად ხმარობენ ინგილოები; აღნიშნული მარნების ნაშთები ამ ადგილებში უძველესი მარნების არსებობას მოწმობენ.

დღევანდელი ბარის სოფლებში დღესაც წააწყდებით წრიული ან ოვალური მოხაზულობის (90—100 სმ) „სარქველ ქვეშ“, ამბობენ, ისინი ნამარნევის ნამოსახლარიდან არის მოტანილი.

„ღია მარნის“ ტიპური ნიმუშები, რომლებიც საჩრდილობელ ხეებს შორის ვაზის ტალავების ქვეშაა მოქცეული, ვაზის გავრცელების ზონაში ყველგან გვხვდება.

ტაბ. 2 და 3-ზე ნაჩვენებია „ღია მარნის“ რამდენიმე საინგილო მაგალითი, რომლებიც სოფელ



სურ. 54. სოფ. ითითალა, ბოძებზე მოწყობილი სათივე.

კახ-ინგილოდან შაქრო შიოშვილისა და იასე დუკაშვილის კარ-მიდამოებზეა მოწყობილი.

საინგილოში გვხვდება აგრეთვე „ღია მარნის“ მეორე სახეობაც, ეს ვახლავთ ისლით ან ქართული კრამიტით დადასუზრული ღია ფარდული.

იღენტური ტიპის ღია ფარდულიანი უძველესი მარნები, როგორც ირკვევა, გავრცელებული ყოფილა აგრეთვე შიდა კახეთის ტერიტორიაზეც, რომელთა შესახებ ფრიად საინტერესო ცნობები აქვს გადმოცემული დიდ ქართველ მწერალს ილია ჭავჭავაძეს.

იგი წერდა, რომ „ჩვენში უფრო ბევრგან ფარდალა მარნებია, ხშირად მარტო წალმით დასუზრული, ბევრგან უკედლებოცაა“³.


ღია ფარდულეებში გამართული მარნების საუკეთესო მაგალითია სოფელ თოფანხიდან ჭანაშვილების ძველი დასახლების უბანში მოსე ჭანაშვილის კარ-მიდამოზე საცხოვრებლის უკანა კედელზე მიდგმული კრამიტით გადასუზრული დიდი ტევადობის ფარდული (7,0 × 11,0 მეტრი), სადაც 12 დიდი ზომის ქვევრია დაფლული და სამიც საშუალო ზომის „ქოცო“. მათ შორის სადღესიოდ კოლმეურნეობის მიერ ხმარებაშია 10 ქვევრი და სამი „ქოცო“. (ტაბ. 33, იხ. მარნის გეგმა).

დიდ ქვევრებს შორის, ორი უზარმაზარი ტევადობისა, რომლის სიღრმე 230 სმ უდრის, ხოლო ქვევრის მუცლის დიამეტრი 115 სმ აღწევს. ერთ-ერთ ქვევრს პირზე აქვს ამონაკაწარი, და-

¹ ივ. ჭავჭავაძე ილია, საქართველოს ეკონომიური ისტორია, წიგნი მეორე, თბილისი, 1935, გვ. 604.

² დ. ჭანაშვილი, ისტორიული და გეოგრაფიული აღწერა ჰერეთის, ეუზრ. მოგზაური, 1901, № 6, № 7, გვ. 561.

³ ვახ., ივერია, 1897, № 7.



სურ. 55. ხის საწნახელი

მათარიღებელი წარწერა „1889“, მეორე ქვევრის წარწერა კი, ქვევრის გამკეთებელი ოსტატის გვარი უნდა იყოს. ეს წარწერა შეედრება, მაგრამ მეტად გაურკვეველდა დაწერილი და არაა გაშიფრული.

დასასრულს უნდა შევნიშნოთ, რომ აქაური მარნების ძირითადი მოწყობილობიდან ყურადღებას იმსახურებს ხის საწნახელები, რომლებსაც ინგილოები, როგორც კახეთში — ნავს, ან „ყურზნი ნავ“-ს უწოდებენ. ქვიტიკრის საწნახლები საინგილოში ჯერჯერობით მიკვლეული არაა. იგი ყველგან დიდტანიანი ხის მორისაგან დამზადებული გვხვდება.

სოფელ დიდბინის მკვიდრის, ნ. ტარტარაშვილის ძველი საცხოვრებელი სახლის აყარში დღესაც ინახება უძველესი „ყურზნი ნავი“, რომელიც ცაცხვის ხის მთლიანი მორისაგანაა გამოკვეთილი.

ეს „ყურზნი ნავი“ ჩვეულებრივი ხის საწნახლისაგან იმით განსხვავდება, რომ სხვაგვარადაა ამოღებული. ამოღარულის შედეგად მოპირდაპირე კედლები ორი სანტიმეტრითაა გამოწეული ფსკერიდან ზემოდ 10—15 სმ სიმაღლეზე. მასზე მერხრად ჩალაგებულია („კიკიკიად ჩარიგებული“) სწორკუთხა კვეთის მუხის „რიკები“ ისე, როგორც ეს ნახაზზეა ნაჩვენები (სურ. 55).

ასეთნაირად მოწყობილ ხის რიკებზე, რომელზედაც ჩადუნა დაფენილი, იყრება ყურძენი. ფეხით დაწურვის დროს ყურძნის ტუბილი რიკულებს შორის სწრაფად ჩაედინება ფსკერზე („ქეპა“ — კაპა რჩება ზემოდ) და ნავის ბოლოში გაკეთებუ-

ლი ხერლიდან მასზე მიდგმული სხვადასხვა ზომის ხის ლარებით ქვევრებში ჩაის.

დინგები. სამეურნეო ნაგებობათა შორის დინგს უძველესი დროიდან მნიშვნელოვანი ადგილი ჰქონია დათმობილი საინგილოს სოფლური დასახლების სისტემაში.

ზ. ედილის გადმოცემით, აქაური „სოფლის აუცილებელ კუთვნილებას შეადგენს წისქვილი და დინგი... პატარა სოფელ ქოთოქლოში, მგონი, ათამდე ასეთი დინგია, სადაც ყველა მახლობელ სოფელს მიაქვს დასაცხვეად ბრინჯი“¹.

საინგილოს ტერიტორიაზე გავრცელებული დინგები და წისქვილები ჯერჯერობით არაა შესწავლილი.

დინგს გურიაში და სამეგრელოში ჩამურს ეძახიან, იმერეთში საცხველს, ხოლო აჭარაში საძეგველს. სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით საცხველი არის „მარცვალთ საძეგვი“.

საინგილოში დინგს ხმარობენ ქერქიანი ბრინჯის (ჩალთუკის) დასაცხვეად (ქერქის გასაცვლელად).

დინგები გვხვდება ორი სახისა: ფეხისა, რომელსაც ფეხის დარტყმით ამუშავებენ და „წყლის დინგი“, მას დიდი წარმალობა აქვს და წყლის ძალით მუშაობს.

ტაბ. 45-ზე მოცემულია გ. პაპიაშვილის ფეხის დინგი სოფ. კახ-ინგილოდან. იგი, როგორც ზემოთაღვნიშნეთ, „ზრობის სახლის“ ღია აივნის

¹ ზ. ე დ ი ლ ი, საინგილო, 1947, გვ. 135.

წინა მარჯვენა კუთხეშია დადგმული; გაკეთებულია პაპიაშვილის პაპის მიერ.

ფეხის დინგზე მუშაობაში უფრო მეტად ქალები არიან გაწაფულნი.

მუშაობის დროს ორივე ფეხით დგებიან დინგის „საფეხეზე“, ხელებით კი აიენის ჭერის კოჭზე სპეციალურად მიმაგრებულ ძელაკს (სახელურას) ეკიდებიან. ფეხის დარტყმა დინგის „მკლავზე“ (ბერკეტზე) ხდება რიტმულად, მარჯვენა და მარცხენა ფეხის მონაცვლებით.

დინგის თარაზულად მდებარე „მკლავის“ თავზე დიდი ზომის ფილთაქვეს ფორმის რიყის ქვაა მორგებული; ხოლო „მკლავის“ ბოლო რკინის სალტითაა შეკრული. იგი დიდ ჩაქუჩს მოგვაგონებს, რომელიც მუშაობის პროცესში თავისი სიმძიმით ეცემა ქერქიანი მარცვლეულით სავსე ამორჩულ ბუდეში, რომელსაც ინგილოები „თოლს“ ეძახიან.


დინგის მეორე სახეობას წყლის დინგი წარმოადგენს. ძველად იგი თითქმის ბარის ყველა სოფელში ყოფილა გამართული. დღეისათვის მთელ საინგილოში წყლის დინგი მხოლოდ ორ სოფელშია შემორჩენილი: ყუბში და ქოთოქლოში. (ტაბ. 48-ზე და სურ. 56-ზე) წარმოდგენილია სოფელ ყუბში დღემდე კარგად შემონახული წყლის დინგი.

იგი აქ საკმაოდ ვრცელ ღია ფარდულშია მოქცეული. ოთხი „თოლისაგან“ შედგება, თითოეული „თოლის“ მოხაზულობა კვადრატულია (32×32 სმ), ხოლო სიღრმე („სამარცველ დრმული“) 50 სმ აღწევს (იხ. გეგმა).

„წყლის დინგის“ მუშაობის არსი მდგომარეობის შემდეგში: მას „მკლავს“ ქვემოთ მიმაგრებული აქვს „თითი“; მკლავის ქვედა ბოლოზე წამოცმულია რკინის ბუნიკი ანუ ქუსლი, რომელსაც დინგს ეძახიან. (ტაბ. 48, ნახ. 1 იხ. ჭრილი I—I).

„წყლის დინგის“ მთავარი შემადგენელი ელემენტებია: ღერძი და ბორბალი. ღერძი დიდი მუხის ხისაგანაა გამოთლილი, რომლის დიამეტრი 50 სმ აღწევს, სიგრძე 630 სმ; მასზე წამოცმული ბორბლის დიამეტრი 300 სმ უდრის.

ღერძის ერთი ბოლო ფარდულის გარეთაა გამოტანილი. თვით ღერძი თარაზულადაა გამართული; მისი ორივე ბოლო განივად მდებარე ძელების „საკისრებშია“ ხალვათად ჩასმული; ხოლო ბორბალი ღერძის გარეთა ბოლოში (ფარდულის გარეთ) ვერტიკალურადაა დაყენებული (ტაბ. 48, ნახ. 3, იხ. ჭრილი II—II). ბორბლის თავზე გამართულ ღარში წყალი დიდი სისწრაფით მიედინება და ბორბლის ჩამჩქმს ეჯახება, რის გამოც ჩამ-



სურ. 56. სოფ. ყუბში. წყლის დინგის საერთო ხედი.

ჩემის ერთი წყება წყლით ივსება და ბორბალიც ღერძთან ერთად მოძრაობაში მოჰყავს.

„თოლების“ პირდაპირ, იქ, სადაც დინგის „მკლავები“ შეეუღლადა დაყენებული, ღერძის გარშემო რადიალურად ჩამავრებულია ოდნავ გადაღუნული რამდენიმე (6—8) ფრთა (ღერძის თითები), ისე, რომ ღერძის ბრუნვის შემთხვევაში ფრთები ქვემოდან ედგება დინგის „მკლავის თითებს“ და მკლავის მაღლა ავდებს, რომლებიც შემდეგ ფრთის გამოცლისას თავისი სიმძიმით უკან ვარდება, ეცემა „თოლში“. ამგვარად დინგის ყველა „მკლავი“ იწყებს რიტმულ მოქმედებას და ჩენჩოს აცლის ბრინჯს (ტაბ. 48, ნახ. I—1, იხ. კრილი).

სოფელ ყუმის წყლის დინგი (ჩარხი) საქართველოში ძველთაგანვე გავრცელებულ ხალხური „მანქანების“ ტიპს წარმოადგენს.

ყუმის ზემოაღწერილ წყლის დინგის ღერძის გაგრძელებაზე წინათ მორავებული ყოფილა ხის გასაჩარხი მოწყობილობა. იგი 1941 წელს ოსტატის გარდაცვალების შემდეგ მოუშლიათ.

მართვი „წყლის ჩარხები“ (ჩვენ შიგერ ფიჭინი რებული აჭარის სოფლებში) განკუთვნილი იყო პროფილირებული ავეჯის ელემენტებისა და აივნის მოაჯირების რიგულების დასამუშავებლად.¹

რიგულების გასაჩარხავად საინგილოში გავრცელებული ყოფილა აგრეთვე ხელისა და ფეხის დიდი ჩარხებიც. ე. წ. „ქახრაკები“. სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, ქახრაკი არის „სასთავთ საბარუნავი“. მართლაც ამ სახეობის ჩარხების მთელი სისტემა სახელურიანი დიდი ბორბალით — „საბარუნავით“ მოძრაობაში მოყავთ ხელით ან ფეხით.²

სოფელ კატეხში დღემდე შემორჩენილია ამგვარი ხელის ჩარხი. იგი მოთავსებულია დია ფარდულში. აღნიშნულ ხელის ჩარხზე, გარდა ხის რიკულების გაჩარხვისა, საბრძოლო იარაღების (ხმლების, ხანჯლების, შუბებისა და სხვადასხვა ზომის დანების) გალესვისაც აწარმოებდნენ. ჩარხის კონსტრუქცია ისეა მოწყობილი, რომ საქმარისია „საჩარხი ღერძის“ ჩადგმა, რომ ჩარხი ერთი სამუშაოდან გადაყვანილ იქნეს მეორე სახის სამუშაოზე (ტაბ. 49).

წისკვილები. მთის ჩქარი მდინარეების სიმრავლის გამო წყლის წისკვილები უხსოვარი დროიდან

ფართოდ იყო გავრცელებული საქართველოს ყველა მხარეში.

წისკვილის წარმოშობის ისტორია ბერუსითაა მოცული; ზოგიერთი მეცნიერი წყლის წისკვილის პირველად გამოყენებას რომელებს მიაწერს, ზოგიერთი კი შესაძლებლად მიიჩნევს მის წარმოშობას მცირე აზიასა და კავკასიაში³. კარლ მარქსს ხაზგასმით აქვს აღნიშნული, რომ „წყლის წისკვილი რომში მცირე აზიიდან იქნა შეტანილი იულიუს კეისრის დროს“⁴.

ძველ ქართულ წერილობით წყაროებში წისკვილი ხშირად იხსენიება⁵, მაგრამ თვით წისკვილის, როგორც შენობის აღწერას ჭეჯერობით ვერსად ვხვდებით.

საინგილოში წყლის წისკვილები გავრცელებული ყოფილა, როგორც ბარის, ისე მთის სოფლებში; მაგრამ დღეს ისინი თითო-ორივე თუ მოიპებნება. ამჟამად წყლის წისკვილები თითქმის სრულიად განდევნა ელექტროწისკვილებმა.

წისკვილი ეწოდება მარცვლეულის საფქველ მანქანას და იმ შენობას, რომელშიც ეს მანქანაა დადგმული. წისკვილი ინგოლოურ დიალექტზე „წუცქულ“ ანუ „ცუცქულ“ ეწოდება.

„მანქანების განვითარების მთელი ისტორია შეიძლება განვიხილოთ იქნას ხორბალსაფქვევი წისკვილების ისტორიის მაგალითზე“⁶, თვით „წისკვილის შენობა“ („წუცქულ ქობი“) ჩვენი დის სანტერესისა ძველი სამშენებლო ტექნიკისა და ხუროთმოძღვრული ტრადიციების გამოვლინების თვალსაზრისით.

საინგილოში პირველი საცხოვრებელი ზონის — ბარის სოფლებში წისკვილის შენობები უფრო დიდი, ვიდრე მეორე ზონის — მთის სოფლებში. პირველ შემთხვევაში საფქველი მოწყობილობა წისკვილის შენობაში ორი ან სამი დადგმული; ხოლო მთის ზონის სოფლებში გავრცელებულია წისკვილი, მხოლოდ ერთ საფქველიანი ერთთვლიანი მოწყობილობით.

ძველთაგანვე ცნობილია, რომ „...წისკვილი სხვადასხვა სიდიდისა არსებობდა, სიდიდის საზომად თუალი იყო ძველადაც მიღებული“⁷.

საინგილოში „წუცქულ ქობები“, ე. ი. ნაგე-

¹ ი. ა. დამიძა, ქართული ხალხური ხუროთმოძღვრება, აჭარა, თბილისი, 1956, ტაბ. 38, 39, გვ. 73, 74.

² სოფელ კატეხში ასეთი ხელის ჩარხი დღემდე შემონახული (ტაბ 49), მასზე ყოფილა გაჩარხული ხ. ომაროვის (ყოფილი ვალაქოვის) სახლის აივნის რიგულები (იხ. ტაბ. 37, 38).

³ ს. ბ. დ. უ. კ. ა. ე. წყლით მზრუნავი წისკვილები არაგვის ხეობაში, თბილისი, 1960, გვ. 8.

⁴ კარლ მარქსი, ფრიდრიხ ენგელსი, რჩეული წერილები, თბილისი, 1949, გვ. 14.

⁵ თ. ე. ო. რ. დ. ა. ნ. ი. ისტორიული საბუთები შიომღვიმის მონასტრისა და „მეგლი“ ვაჰანის ქვაბთა, თბილისი, 1896, გვ. 64.

⁶ კ. მარქსი, კაბიტალი, 1, თბილისი, 1954, გვ. 442.

⁷ ი. ე. ჯ. ა. ე. ბ. ი. შ. ე. ი. მ. სასალები ქართული ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, ტ. 1, თბილისი, 1946, გვ. 68—69.

ბოზანი გვხვდება ხისა და ქვისაგან აგებული, წალმით ან კრამიტით დახურული. აქ გავრცელებული წისქვილების ერთ-ერთ ტიპურ მაგალითად ვიმოწმებთ წისქვილს ქუარბუხის ხეობიდან, რომლის გეგმის კომპოზიცია საინგილოში გავრცელებული ერთგანყოფილებიანი საცხოვრებელი სახლის გეგმის ანალოგიას წარმოადგენს.

საინგილოსათვის ტიპური წისქვილის — „წუცქულ ქოხის“ კედლები რიყის ქვასაგანაა აგებული კირის ხსნარზე (ტაბ. 50). მას წინიდან უმოაჯირო ღია აივანი აქვს; აივნის მარცხენა მხარე ანტი-სებრი კედლითაა ამოშენებული, რომლის შუაში, კედლის სიღრმეში, პატარა ბუხარია ჩასმული, ისე როგორც ეს საინგილოს და კახეთის საცხოვრებელი სახლების აივნებში გვხვდება (იხ. გეგმა); იქვე აივნის კედელზე უძრავად მიდგმულია გრძელი საჯდომი მერხი.

წისქვილის შენობაში მოთავსებულია ერთი საფეხილე მოწყობილობა (წისქვილი); გარდა ამისა, წისქვილის ქოხში შიგ ფეხილისა და მარცვლის შესაწახი ე. წ. „საკანი“ (კიდობნები) დღესაც დგას.

წისქვილის ქოხში შესასვლელი აივნიდანაა მოწყობილი; რომ მას საშუაი ღიობი არა აქვს, სინათლე დღისით მხოლოდ ღია კარიდან შედის, ისე როგორც ეს საერთოდ ერთგანყოფილებიან პრიმიტიულ საცხოვრებელშია მიღებული.

აღსანიშნავია, რომ წისქვილის ქოხის კედლებში დატანებულია ვიწრო საარქმისებრი მოგრძო ხვრელები, რომლებიც სათოფურებს ან სათვალთვალო ხვრელებს უფრო წააგავს, ვიდრე საარქმისებს. ორი ასეთი ხვრელი, მარცხენა კედელშია დატანებული წყლის ღარის პირდაპირ და ერთიც მარჯვენა კედლის შუაშია მოთავსებული. ინგილოები ამ ხვრელებს „ხახრის“ ეძახიან.

წისქვილში დღემდე შემონახულია ხისაგან გამოთლილი მარცვლეულის ან ფეხილის „საწყავი“ „ბოკერები“ (ხის ჭურჭელი), რომლებიც ეთნოგრაფიულ იმეათობას წარმოადგენენ (ტაბ. 50).

წისქვილში ყურადღებას იქცევს აგრეთვე სახორბლე „ბუნკერის“ („ხიმერის“), ე. წ. ვარცხლის გარემოში შემოჭობილი ხის სალტის მხატვრული დაზღვევის უძველესი ნიმუში. იგი ხეზე კვეთილი ჩუქურთმის გეომეტრიულ მოტივშია

შესრულებული, ისე როგორც ეს საერთოდ საინგილოში გავრცელებული ხალხური კიდობნების მხატვრულ დაზღვევაშია მიღებული (ტაბ. 50).

აღნიშნული მცირე მოცულობის წისქვილი თავისთავად არავითარ ხუროთმოძღვრულ ღირებულებას არ წარმოადგენს, მაგრამ მისი საერთო ხედი, მხატვრულ ლანდშაფტში კარგადაა ჩაწერილი, შესანიშნავადაა შეხამებული რელიეფთან.


რუს გადმოსაყვანად აქ გამოყენებულია ხიდისებრი ხალხური კონსტრუქცია; მაღალ ბოძებზე გადაებულია წყლის სადენი, ხის ღარი. წყლის ამგვარ სადენს ს. ორბელიანის განმარტებით „მაღლა შეშენებული რუ“ ანუ „რუსხმული“ ეწოდება. ამრიგად, ქართული „რუსხმული“ ჩვენი აზრით აკვედუკის ჩამდვილ პროტოტიპს წარმოადგენს (ტაბ. 50, იხ. საერთო ხედი).


სამეურნეო შენობების შესახებ ჩვენ მიერ შეგროვებული გრაფიკული მასალის შედარებითმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ ხალხური საცხოვრებელი სახლებიდან დროთა ვითარებაში თანდათანობით გაჰქარა და მივიწყებას მიეცა მრავალი საინტერესო უძველესი ხუროთმოძღვრულ-კონსტრუქციული ელემენტი, რომელიც სამეურნეო შენობებში ჯერ კიდევ პირვანდელი სახით განაგრძობს არსებობას.

ამ ფორმებიდან სამეურნეო შენობებში ყურადღებას იქცევს ბუნებაში არსებული მზა „სკულპტურული“ მოცულობითი ფორმების („ტყის ფორმების“) გამოყენების ტრადიცია ხის ბოძებად.

ხის ბოძების დიდ მრავალფეროვნებას და მის ამოუწურავ განუმეორებელ სახეებს ეგზოტიკურ სამყაროში გადავყავართ (ტაბ. 51). მითითებულ ტაბულაზე წარმოდგენილია ხის ბოძების „ბუნებრივი ფორმების“ ფრიად საინტერესო, არასრულ ტიპურ სახეობათა მხოლოდ თერამეტი ვარიანტი.

აღსანიშნავია, რომ ინგილო გლეხი სვეტებისათვის ტყეში ნიდავგ ეძებს და ირჩევს ადამიანის ან ცხოველის მიმსგავსებულ ფორმას, „დაღრანულ“ და ქარისაგან მრავალი წლის მანძილზე დაკრეხილად „გაზრდილ ხშირ“ „ნუკრიან“ კორძებიან ხეს. ასეთ „ნაწრობ“ სვეტს „რკინისებური სიმტკიცე აქვს“, ღიდანსაც ძლებს (ტაბ. 9, 10, 51, სურ. 53, 54).





თ ა ვ ი მ მ ე მ ს ს ე

მონუმენტური ხუროთმოძღვრების კაბლუაის მოკლე მიმოხილვა

საინგილოს ტერიტორიაზე სხვა ძეგლთა შორის ყურადღებას იქცევს საფორტიფიკაციო ნაგებობათა დღემდე ვადარჩენილი ნაშთები, როგორც მთის ისე, ბარის ზონაში. აღნიშნული თავდაცვითი ნაგებობები ძირითადად გვხვდება შემდეგი სახის: გალავანი ანუ კედელი, სათვალთვალო და საბრძოლო კოშკები, ციხე-სიმაგრეები და სხვ.

გალავანი ანუ კედელი უფრო მეტად გვხვდება ბარის ზონაში, სათვალთვალო და საბრძოლო კოშკები კი გავრცელებულია ბარისა და მთის ზონაში, ხოლო ციხე-სიმაგრეები კი მეტწილად მთა ადგილებშია განლაგებული. «ციხეები, სხვა სიმაგრეებისაგან განსხვავებით, აუცილებლად სტრატეგიულად გამართლებულ ადგილზე უნდა მდგარიყო. მათ უნდა დაეკეთათ საზღვრებზე გადმოსასვლელები, შიგნით — გზაჯვარედინები და სხვ»¹.

საინგილოს ტერიტორიაზე საფორტიფიკაციო ნაგებობათა სიმრავლე მკვიდრი მოსახლეობის მაღალ ბრძოლისუნარიანობაზე მეტყველებს.

საინგილოს საფორტიფიკაციო ნაგებობათა ზოგადმა შესწავლამ გვიჩვენა, რომ მათი წარმოშობა

და ტიპობრივი სახეების ჩამოყალიბება დასახლების ფორმების შესაბამისადაა განვითარებული, სადაც მთავარ როლს სტრატეგიული ფაქტორები ასრულებდა.

გალავნის ტიპის ნაგებობებიდან აღსანიშნავია „კაკასიის დიდი გალავანი“.

აქ თითქმის უმეტესი ნაწილი ციხე-კოშკებისა თამარ მეფის სახელთანაა დაკავშირებული. ხალხური გადმოცემით, ამ ციხეების უმრავლესობას თამარის ციხეს ანუ ფერი-ყალას ეძახიან.

თამარ მეფის ციხეების გარდა ცნობილია „ჭურმუხის ციხე“, სოფ. თეთრიწყაროს (ახანის) ახლოს, „მეწუმეს ციხე“, მაწიმის წყლის ახლოს, „ჩინარლუს ციხე-კოშკი“ სოფ. ჩინართან და მრავალი სხვ.

თამარ მეფის სახელის მატარებელ საინგილოს ციხე-კოშკებიდან ჩვენ განვიხილავთ მხოლოდ ბელაქნის რაიონში არსებულ „თამარის ციხეს“ ანუ „ფერი-ყალას“ და „ჩინარლუს ციხე-კოშკს“.

საფორტიფიკაციო ნაგებობათა ტიპების განხილვა განპირობებულია მათი უშუალო გენეტიკური კავშირით ხალხური ხუროთმოძღვრების ძეგლების სამშენებლო ტექნიკასა და დასახლების უძველესი ფორმების განვითარებასთან.

¹ ვ. ზ ა ქ ა რ ა ი ა, კახეთის საფორტიფიკაციო ნაგებობანი, თბილისი, 1962, გვ. 14.

საინგილოს ტერიტორიაზე ერთ-ერთ ფრიად საინტერესო ძეგლს ე. წ. „კავკასიის დიდი კედელი, ანუ საინგილოს გრძელი გალავანი“ წარმოადგენს.

მსგავსი ნაგებობანი ერთეულების სახით ცნობილია ეგრზის კონტინენტზე და თვალწევდნელ ტერიტორიას მოიცავს. მსგავსი ნაგებობას წარმოადგენს კასპის ზღვისპირეთის „ღერბენდის დიდი კედელი“. დასავლეთ ეგრისში ასეთი ნაგებობა ცნობილია რომის „limes“-ის სახელწოდებით, ხოლო აზიის უკიდურეს სამხრეთ-აღმოსავლეთით კი „ჩინეთის დიდი კედლის“ სახელით.

ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე დღემდე ნანგრევების სახით მოღწეულია ამგვარი საფორტიფიკაციო დანიშნულების კიდევ ერთი ნაგებობა. იგი მდებარეობს დასავლეთ საქართველოში და ცნობილია „აფხაზეთის დიდი გალავნის“ ანუ „კელასურის დიდი კედლის“ სახელით;

„კავკასიის დიდი გალავნის“ დათარიღების შესახებ მკვლევართა საერთო აზრი ჯერ კიდევ არაა დადგენილი. უცხოელ მწერალთა და მოგზაურთა უძველეს წერილობით წყაროებში ამ ძეგლის დათარიღების შესახებ რაიმე პირდაპირი მითითება არ მოგვეპოვება, თუ არ მივიღებთ მხედველობაში არაბულ წყაროებში ზოგიერთ ბუნდოვან ცნობას ჰერეთის (ალბანეთის) შესახებ, რომელიც ზემოხსენებულ „გრძელი კედლის“ აღშენებას უნდა ეხებოდეს. ეს ცნობა X საუკუნის არაბ მოლავაწეს იბნ-ალ-ფაჰის ეყუთენის, რომელსაც აღნიშნული აქვს, რომ „... სასანიდმა ხოსრო I ანუშარვანმა 531—578 წლებში აღაშენა ალბანეთის მიწაზე ამბეაბი შაქი და ამბეაბი ღუდანის“²... როგორც ცნობილია, არაბი გეოგრაფები „ამბეაბს“ უწოდებდნენ მთის ხეობებში გასასვლელ კარებს, მაგრამ აქ ზუსტად არ არის მითითებული იგი ნაძვლიად ეხება თუ არა „კავკასიის დიდი გალავნის“ „აღშენებას“, შაქისა და ღუდანის „ამბეაბები“ ნამდვილად არის თუ არა ამ კედლის გასასვლელის კარები?

ანალოგიური ცნობა მოცემული აქვს X ს. სომეხ ისტორიკოსს კალანკატუელს, სადაც ვკითხუ-

ლობთ, რომ „სპარსელთაგან დადგენილ მთავარ-მმართველმა ალბანისამ (ანუ შირვანმა) ნახა, რა დაემართა გასაოცარ კედელზე მდგომარე ჭარებს, კედლის ასაშენებლად კასპის ზღვისა და კავკასიის მთის შუა, სპარსეთის ხელმწიფებებმა შეაწუხეს ალბანია და მოღალატე ხალხი ზურთომოდღერების ძებნიდა და მასალის ზიდვითა“³.

დამოწმებული ამონაწერიდან აშკარად ჩანს, რომ ალბანეთში (ჰერეთში) არსებობდა რაღაც „გასაოცარი კედელი“, რომლის ასაგებად საჭირო „მასალის ზიდვითა“ და მშენებელ სპეციალისტთა (ზურთომოდღერათა) ძებნით ხალხი ძლიერ მოქაჩუნდა. აქვე მითითებულია აღნიშნული კედლის გეოგრაფიული მდებარეობა. კასპის ზღვისა და კავკასიის მთის შუა ტერიტორია, რომელიც დაახლოებით მოიცავს თანამედროვე საინგილოს ტერიტორიაზე „კავკასიის გრძელი კედლის“ დღემდე დარჩენილი ნაშთების ადგილმდებარეობას.

ამ ძეგლის შესახებ (პირდაპირი მნიშვნელობით) არაფერია ნათქვამი „ქართლის ცხოვრების“ ფურცლებზე, არც ვახუშტი ბაგრატიონი გვაწვდის მასზე რაიმე ცნობას.

თუ რატომაა უგულვებელყოფილი ეს მნიშვნელოვანი ძეგლი ამ წყაროებში მეცნიერებისათვის ჯერ კიდევ გაურკვეველი რჩება.

ახალი პერიოდის პუბლიკაციებში „კავკასიის დიდი გალავნის“ ანუ „გრძელმა კედელმა“ ღირსეული ადგილი დაიკავა.

საყურადღებოა XIX ს. ოცდაათიანი წლების ერთ-ერთი ავტორის ცნობა „კავკასიის გრძელი კედლის“ შესახებ, რომელსაც აღნიშნული აქვს, რომ საინგილოში, სოფ. კატეხის ახლოს დარჩენილია ქვის კედლის ნაშთები. მისი აზრით, ეს კედელი იწყებოდა დღევანდელი ყვარლის რაიონის სოფ. საბუღდან და აღწევდა ნუხაშდელ. ხსენებული კედელი აგებული იყო მტაკებელი ლეკებისაგან თავდაცვის მიზნით. აქ ქართველებს მუდამ ჰყოლიათ დარაჯები⁴.

დაახლოებით თერთმეტი წლის შემდეგ დ. ზუ-

³ დ. ქ ა ნ ა შ ე ე ლ ი, ისტორიული და გეოგრაფიული აღწერა ჰერეთისა, თურნ. „მოგზაური“, 1901, №№ VIII IX, გვ. 748—749.

⁴ «Бли селения Кахети видны остатки каменной стены, построенной грузинской царницей Тамарой, которая начиналась от Сабуе и простиралась до Нухи. Стена сия служила оплотом Кахети от хищных легион, здесь обыкновенно выставлялся караул из Грузии «З. В. Поездка в Джарскую и Белакаскую область «Тиф. вед.», 1830, 1, № 82).

¹ დაწერილებით ცნობები იხ. ი. აღამია, აფხაზეთის დიდი გალავნის ნაგებობათა კომპლექსი (საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის შრომები, № 2 (95), 1964, გვ. 23 — 32).

² Н. А. Караулов. Сведения арабских географов... (Сб. материалов для описания мест и плем. Кавказа, вып. 1902, стр. 15).



სურ. 57. კავკასიის გრძელი კედლის (გალავნის) ნაშთები, სოფელ კატეხთან.

ბარევი კვლავ იძლევა ცნობას საინგილოს „გრძელი კედლის“¹ შესახებ.

თვით სახელწოდება „დიდი ანუ გრძელი კედელი“, იმაზე მიგვანიშნებს რომ იგი დიდ მანძილზე უნდა ყოფილიყო გადაჭიმული — ნუხიდან მოყოლებული, საბუემდე, რაც დაახლოებით 150 კმ შეადგენს. მისი ანალოგიური კედლის ე. წ. „აფხაზეთის დიდი გალავნის“ ანუ „კელასურის კედლის“ სიგრძე, დიუბუა დე მონაიერეს გადმოცემით, 160 კილომეტრს უდრიდა².

ამ ხალხური გადმოცემის შემოწმება — სახელდობრ, საქართველოს სიღრმეში „კავკასიის გრძელი კედლის“ კვლის დაძებნა ან მისი ნაშთის მიკვლევა ჭრჭერობით ჩვენში არავის უცდია.

ზოგიერთი ავტორის აზრით, ეს კედელი თითქოს აშენებული ყოფილა კასპიის ზღვიდან დაწყებული ვიდრე თიანეთამდე, მაგრამ დღეს ამ კედლის მხოლოდ მოხსენიებული ნაწყვეტიღაა დარჩენილი³.

¹ Д. Зубарев. Поездка в Кахетию, Тушетню, Пшавню, Хевсуретию и Джаро-Белаканскую область, РВ, 1941, стр. 556.

² Фр. Дюбуа де Монпере. Путешествие вокруг Кавказа, том, 1, 1937, стр. 147.

³ დ. ჯანაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 748.

უყურადღებოდ ვერ დავტოვებთ ხალხური ზეპირსიტყვიერების საგანძურში დაცულ ცნობებს „გრძელი კედლის“ შესახებ.

ხანდაზმული ინგილოების გადმოცემით, — დედოფალ ფერის⁴, აქ ჰქონია სასახლე. იგი განაგებდაო ქვეყნის საქმეებს. მას ჩვენი ადგილ-მამულები შემოუზღუდავს ქვის გალავნით. სანამ ფერი ცოცხალი ყოფილა, მტრებიც დაჩოქილი ჰყოლია, მაგრამ ფერის შემდეგ მტრებს ჩვენები გალავნიდან გადაურეკიათ. გალავანი დაუნგრევიათ და ჩვენი მამა-პაპის ადგილებს თვითონ დაპატრონებნან. ეს გალავანი (ზღუდე) გაქიშული ყოფილა კასპიამდე (კასპიის ზღვამდე) და დარუბანდის ციხე-სიმაგრის გალავანს უერთდებოდა.

როგორც ირკვევა, ახალი პერიოდის პუბლიკაციებში ავტორების უმრავლესობა ძირითად ცნობებს „გრძელი კედლის“ მშენებლობის შესახებ ხალხური ზეპირი წყაროებიდან იმოწმებს.

ამ თქმულებების საფუძველზე ზოგიერთი ავტორ-

⁴ საინგილოში ფერის ეძახიან თამარ მეფეს, იგი წარმოდგენილი აქვთ წმინდანად, ამიტომ ხშირად მოხუცი ინგილოები იფიქვნიან კიდევ: „საყდრისმადლა“ (საყდრისმა), „ფერიმადლა“ (ფერიმა) და სხვ.

რი თამარ მეფის მოღვაწეობის ხანის ფაქტებს იშველიებს და გალავნის მშენებლობის თარიღსაც 1184 და 1212 წლებს უკავშირებს¹.

არსებობს ხალხური გადმოცემის სხვა ვარიანტიც, რომლის მიხედვითაც აღნიშნული კედლის მშენებლობა ალექსანდრე მაკედონელს მიეწერება, მაგრამ ალექსანდრე მაკედონელის მოსვლა საქართველოში საერთოდ მეცნიერთა მიერ უარყოფილია, ამიტომ თქმულების ამ ვერსიას არ გააჩნია არავითარი საფუძველი.

როგორც არსებული ლიტერატურული წყაროებიდან ირკვევა, ამ ძეგლის შესახებ მასალები ქვეყნდებოდა (მთელი რიგი ავტორების მიერ სხვადასხვა დროს) დაახლოებით ას ოცი წლის მანძილზე, მაგრამ არქეოლოგიური გათხრების შემწეობით მისი მეცნიერულად შესწავლა მხოლოდ ბოლო ხანებში მოხერხდა (დაახლოებით ოცდაათი წლის წინათ).

დასასრულ შევხებით ამ ძეგლის დღევანდელ ვითარებას.

¹ На основании этого предания, некоторые авторы пользуются фактами периода царствования царицы Тамар и датируют постройку ограды 1184—1212 гг. (А. Посербский, Кавказ, 1864, № 48, Закатала).

„კავკასიის კედლის“ ნაშთებიდან დღეს ისიც აღარ შემორჩენილა, რაც ხსენებულ ავტორებს აქვთ მითითებული.

ყველაზე კარგად ამ კედლის ნაშთები ბელაქნისა და ზაქათალის რაიონებში — სოფ. კატეხისა და სოფ. მაწეხის ახლოსაა შემორჩენილი.


ლაგოდეზ-ზაქათალის მაგისტრალური გზის მარცხენა მხარეზე გამგელოს ყურადღებას იქცევს რიყის ქვისაგან მოჭარბებული კირის დულაბით მკეიდრად ნაგები, აშკარად ძველი იერის უზარმაზარი კედლის ფრაგმენტები, ამ შთაბეჭდილებას ისიც აძლიერებს, რომ კედელი ზემოდან მთელს სივრცეზე დაფარულია ხვიარა მცენარეული საფარით, რის გამოც ზოგიერთ ადგილებში ნაგებობა სრულიად არა ჩანს (სურ. 57).

ძეგლის ნაშთების კვალი დიდ მანძილზე შეინიშნებოდა დაწყებული ლაგოდეზიდან ნუხამდე, მაგრამ თანდათანობითმა ნგრევამ და მოსახლეობაში სახლების მშენებლობისათვის და გზების გასაყვანად მისმა გამოყენებამ ამ კედლის კვალი ბევრგან წაშალა.

სამწუხაროდ, ეს კედელი, როგორც უნიკალური ძეგლი, არასოდეს ყოფილა დიდი გულშემატ-



სურ. 58. კავკასიის გრძელი კედლის (გალავნის) ნაშთები, სოფ. მაწეხთან



სურ. 59. კავკასიის გრძელი კედლის ფრაგმენტი, გეგმა და ვანივი კრილი.

კვირობით დატყუი; განსაკუთრებით მისი დიდ სიგრძეზე დანგრევა დაიწყო 1910 წელს, „...გზის იჯარადარმა, რომელიც წამხდარ გზის ანახლებდა, სანახევროდ დაარღვია იგი და მასალად გამოიყენა“¹.

უფრო სამწუხარო და დასანანია, რომ ამ ძეგლს ასეთი ბედი განმეორებით სწევია ჩვენს დროშიც — მოხვეული გზის გასწორებისას 1954 წელს. სოფ. კატენის ბოლოს მდ. მაწის ანუ მაჭის წყლიდან (მაზიჩაიდან) იქ, სადაც ოცდამეშვიდე კილომეტრის მაჩვენებელი ნიშნავები ღვას, გზის რეკონსტრუქციის დროს უყურადღებობამ იმსხვერპლა აღნიშნული „გრძელი კედლის“ სისტემაში ჩართული სათავდაცვო დანიშნულების უზარმაზარი ცილინდრული ნაგებობის კედლების ერთი მესამედზე მეტი, რომელიც ა. ასპახოვას კარმიდამოზე ყოფილა დატული.

გზა ამ კედლის ნაშთებს თითქმის პარალელურად მიჰყვება, რის გამოც გზის ყოველი შეკეთება, როგორც ჩანს, მას მუდამ საფრთხეში აგდებდა. მაგრამ ყველაზე გამანადგურებელი საფრთხე, მაინც მისი საშენ მასალად გამოყენება იყო, საუ-

ქუნების მანძილზე იგი გადაქცეული იყო საშენი რიყის „კარიერად“. ამ კედლის წყობიდან ცხადად თუ ქურდულად ქვების გამოცლა და გაზიდვა დღესაც არ შეწყვეტილა (სურ. 58). თუ მომავალშიც ასე გაგრძელდა, რა თქმა უნდა, ეს საინტერესო ძეგლი, რომლის მშენებლობის ისტორია ჯერ კიდევ ბურუსითაა მოცული, სრულიად გაქრება.

„კავკასიის კედლიდან“ გაზიდული ქვებით საუქუნების მანძილზე აშენებულია მის გასწვრივ ახლომდებარე ზოგიერთი ბარისა და მთის სოფელი, მათი საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები.

გამოურკვეველია, თუ როდის დაიკრება „კავკასიის დიდმა კედელმა“ თავისი თავდაცვითი მნიშვნელობა, რომელ საუქუნში დაიწყო ამ გრანდიოზული ნაგებობის ხელყოფა, მისი რღვევა.

ჯერ კიდევ ასოცი წლის წინათ ამ საკითხებისათვის ყურადღება მიუქცევია ბესტუჟევი-მარლინსკის, ძველი პეტრეტის ტერიტორიაზე მოგზაურობის დროს. იგი წერდა: „საინტერესოა, საით მიიმართებოდა ან სადამდის აღწევდა ეს კედელი? როდის დაიწყო მისი გატაცება სოფლების ასაშენებლად? აი, კითხვები, რომელთაც, ალბათ ვერასოდეს ვერ მოვფენ ნათელს“².

აღნიშნული ქვის კედლის სისქე 150 სმ ადემატება. მაქსიმალური სიმაღლე ზოგიერთ ადგილას 310 სმ-ია, ხოლო კედლის დარჩენილი ფრაგმენტების უმეტესობა 180—250 სმ სიმაღლემდეა შერჩენილი (სურ. 59).

საშენ მასალად გამოყენებულია სხვადასხვა ზომის (15—20—30—50) სმ რიყის ქვა. საყურადღებოა, რომ კედლის წყობაში შემამკვიდრებელ მასალად გამოყენებულია მსხვილმარცვლოვანი ფრაქციის ქვიშისა და კირის სქელფენოვანი დუღაბი, რაც მისი სამშენებლო ტექნიკის არაუაღიარებელ მერყველებს. დუღაბი დროთა ვითარებაში ისეა განმტკიცებული, რომ კედელი „ქვითკირად“ ქცეულ ერთიან მკვიდრ მასას წარმოადგენს.

კედლის ნგრევისას თვით დუღაბი ძნელად იფშვება, რის გამოც მასში, მისი სისქიდან აზონაცენი „სიპი“ ქვების მოცულობითი ფორმების ღრმა ანაბეჭდები (ფოსტოები) რჩება.

არსებობს გადმოცემა, თითქმის ამ კედლისათვის საჭირო საშენი ქვა კასპიის ზღვიდან მოჰქონდათ, მაგრამ ეს აზრი უსაფუძვლოა, „...რადგანაც არ ჩანს ის ზღვის ნიჟარები, რომლებიც დამახასიათებელია კასპიის ზღვის ნაპირის კენჭებისათვის“³.

„კავკასიის გრძელი კედლის“ ასაშენებლად საჭირო რიყის ქვის ფანტასტიკური რაოდენობა (და-

¹ ზ. ე დ ი ლ ი, საინგილო, 1947, გვ. 170.

² ა. დ ი უ შ ა, კავკასია, თბილისი, 1970, გვ. 172.

³ ა. დ ი უ შ ა, დასახ. ნაშრ., გვ. 170.

ახლოებით 300 მილიონი კუბ. მეტრი), როგორც ირკვევა, კავკასიონის სამხრეთი ფერდობებიდან აღიღებულ მდინარეებს ჩამოჰქონდათ.

საინგილოს ტერიტორიაზე ასეთი ჩქარი მთის მდინარეებია: მაწიმის წყალი, ბელაქის წყალი, ქურმუხი, შინწყალი, გიშის წყალი და სხვ., აღიღებულ ღვარცოვად ქცეულ მდინარეებს საინგილოს დაბლობსაკენ მოაქვთ უკვე „დამუშავებული“, საშენ „სიბად“ ქცეული აურაცხელი რაოდენობის ქვა, რომელიც რამდენიმე ათეულ ჰექტარ ფართობს ფარავს.

ქვა სხვადასხვა ჯიშისაა: გრანიტის, ბაზალტის, აქვარელური ფერების სხვადასხვა კვარცოვანი და სხვ. მათ შორის ყველაზე მეტად ჰარბობს გრანიტი. ალბათ ამიტომაცაა, რომ ალ. დიუმამ ამ კედელს „გრანიტის გიგანტი“ უწოლა.

ადგილობრივ მცხოვრებთა — მოხუცი ინგილოებისა და ლეკების გადმოცემით, ამ კედლის ნაწილები „პირველ რევილუციამდე (1905 წ.) სოფ. კახის ახლოსაც ყოფილა დარჩენილი; მისი ნანგრევები ახსოვთ სოფ. კახ-მოხთან, ნუხის აქეთ და ნუხის იქითაც, სოფ. მუხახთან და სხვ. ამ კედელში მრავალი სათავალთვალო კოშკი ყოფილა დატანებული.

„კავკასიის კედელს“... თოფის სასროლელი პატარ-პატარა ფანჯრებიცა ჰქონია გაკეთებული... 1865 წელს ამ კედლის ნაწყვეტი მოჩანდა სოფ. თალას ბოლოსაც, მთლად იდგა ერთი ვერის სიგრძეზედ“¹. როგორც ჩანს დ. ჭანაშვილი თვითაც მხილველი აღნიშნულ ადგილებში „კავკასიის კედლის“ ნაშთებისა, რომელთა კვალი მითითებულ ადგილებში დღეს აღარ არსებობს.

ეს კედელი „XVII და XVIII საუკუნეებში შეადგენდა ახლად დანაშლელ ავარელთათვის ციხე-სიმაგრეს ქართველთა წინააღმდეგ, ხოლო ახლა ძირიანად ანგრევენ, რადგან აღარ საჭიროებენ. კოშკი, რომელიც იყო ამ კედელში ჩატანებული, თალას ბოლო ლეკმა სრულიად დააქცია წერაქვით და ხმა არავენ გასცა... მუხახის ბოლოსაც ლეკებმა სრულიად დააქციეს კედელი და გააჭრეს მისი ნიშანი. ორ საუენ ნახევრამდე ნაშთი კედლისა ახლაც მოჩანს თვით სოფელ გულღუგის (ვარდიანის) დასავლეთ მხარეს მდინარის პირზე“².

როგორც ირკვევა, „კავკასიის კედლის“ სისტემაში ჩატანებული ყოფილა მრავალი სათავალთვალო და საბრძოლო დანიშნულების კოშკები,

¹ დ. ჭანაშვილი, ისტორიული და გეოგრაფიული აღწერა პერთისა, ურნ. შოგზური, 1901, №№—VIII და IX, გვ. 747.

² დ. ჭანაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 747.

ბჭეები (კიშკრები), სხვადასხვა ხასიათის ნაგებობები.

ამ საკითხთან დაკავშირებით ხალხურ ზეპირ-სიტყვიერებაში დაცულია ერთი მეტად საინტერესო თქმულება, რომ ამ კედელს კოშკები ჰქონია დატანებული, რომელიც მეშვეობით ხდებოდა სიგნალების გადაცემა. ხალხური გადმოცემით დარიალის კარიდან კასპის ზღვამდე ამბის გადაცემას სულ ოთხი საათიც კი არ სჭირდებოდა.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ „კავკასიის კედლის“ კომპლექსის — მთელი ანსაზბლოს შესახებ ნათელ წარმოდგენას გვაძლევს ბესტუტევი-მარლანსკის ასოცდათხუთმეტი წლის წინანდელი ფრიად მნიშვნელოვანი აღწერა. იმხანად „კავკასიის კედელი“ ზოგიერთ ადგილას, როგორც ჩანს, დაუზიანებლად ყოფილა შემონახული — „მას დაპყვებოდა პატარ-პატარა კოშკები, რომლებიც ერთმანეთისაგან არათანაბარი მანძილით იყვნენ დაშორებულნი და ზომითაც არ იყვნენ ერთნაირნი. საფიქრებელია, რომ ისინი მთავარ საგუშავგოებად იყვნენ განკუთვნილნი: მათში ინახავდნენ იარაღსა და საწოვავს. იქვე ცხოვრობდნენ ჯარის უფროსები და ომიანობის დროს იქვე იწყებდნენ ლაშქარს. თვით კედელი სიმაღლით, სისქითა და წყობის წესით ძალიან ჰგავს დარუბანდის კედელს, თუმცა პირველის სიმაღლე იცვლება ნადაგის უსწორმასწორობასთან დაკავშირებით და ციცაბო დაღმარებებში იგი კიბისებურად დაბლდება. კოშკები ერთი არზინითა კედელზე მაღალი. უნდა ითქვას, რომ ეს არის საერთოდ აზიური სიმაგრეების დამახასიათებელი ნიშანი, წინააღმდეგ გოთური სიმაგრეებისა, სადაც კოშკები კედელზე ბევრად უფრო მაღლებია. მათში სიცარიელა და თითქმის ყველას სიგრძლივ სათოფურები დასოფში“³.

როგორც დაშორებული ცნობებიდან ირკვევა, „კავკასიის კედლის“ სისტემაში დატანებულ მცირე ზომის კოშკებს სათვალთვალო (საგუშავგო) დანიშნულება ჰქონია; მტრის თავდასხმის შემთხვევაში მათი მეშვეობით ხდებოდა შორ მანძილზე საგანგაშო ნიშნების გადაცემა, რის გამოც ერთი კოშკიდან მეორეს დანახვა და ხმის მიწვდენაც შესაძლებელი უნდა ყოფილიყო;

„კავკასიის კედლის“ პირველი სასიწივი არქეოლოგიური გათხრები ჩატარებულ იქნა 1936 წ.⁴ ეს გათხრები არ ყოფილა დიდი მასშტაბისა. ამიტომაც ექსპედიციის არ უცდია აღნიშნული კედლის ტრასის მთელი სისრულით აღდგენა. იგი არ გასცილება ბელაქისა და ზაქათალას რაიონებს. მან მხოლოდ შეამზადა საამისოდ ნიადაგი — აღა-

³ ა. დიუმა, დასახ. ნაშრ., გვ. 171.

⁴ არქეოლოგიური გათხრები ჩატარებულ იქნა ე. პახო-მოვის ხელმძღვანელობით.

დგინა ბელაქისა და ზაქათალის რაიონების ტერიტორიაზე „კავკასიის კედლის“ ნაწილის უწყვეტი კვალი იმ დარჩენილი კედლის ნაშთების მიხედვით, მრავალი ათეული წლების მანძილზე ცნობილი რომ იყო მთელ რიგ მკვლევართა და მოგზაურთათვის, ხოლო „კავკასიის კედლის“ მთლიანი ტრასის აღდგენის საკითხი ჭერ კიდევ გაურკვეველი რჩება.

არქეოლოგიურმა გათხრებმა დადასტურეს, რომ „კავკასიის კედლის“ მიმართულმა ბელაქან-ზაქათალის ტრასაზე სამი ინტერვალისაგან შედგება, და მათ მკაცრი სწორხაზოვანი მიმართულება აქვთ; მხოლოდ ერთ ადგილზე სოფ. კატეხის შესავლოდან ასი მეტრის მანძილზე იცვლის მიმართულებას (რკალურად უხვევს), ბოლოს კედელი ისევ სწორდება და ზუსტად სწორხაზოვან მიმართულებას მიჰყვება.

თუ რა მოსაზრებითაა გამოწვეული ამ ადგილზე კედლის მიმართულების გამრუდება, ჭერაჭერობით არაა ამოცნობილი. ადგილის ტოპოგრაფიული პირობები (დავაკებული, სწორი მდებარეობის გამო) კედლის მიმართულების გამრუდების საფუძველს არ იძლევა.

კედლის მიმართულების გამრუდების ანალოგიური შემთხვევა „კავკასიის კედლის“ მთელ სიგრძეზე მხოლოდ ვაქე ადგილების გარკვეულ დისტანციებში მრავალ ადგილას უნდა იყოს განმეორებული.

„კავკასიის კედლის“ მიმართულების შესახებ ზალხურ ზეპირსიტყვიერებაში დაცულია ფრიად საინტერესო გადმოცემა — „ეს ბუმბერაზი კედელი თვალუწვდენელ სიგრძეზე მიმართება კავკასიის ქედის პარალელურად და სახელიც „კავკასიონის კედელი“ ამიტომ დაურქმევიათ“ როგორც ჩანს ფანტაზიამ ძნელად შესამოწმებელი ვერსია დაუღო საფუძვლად ზემოხსენებულ თქმულებას².

„კავკასიის კედლის“ ზემოხსენებული სასინჯი არქეოლოგიური გათხრები უშედეგო არ ყოფილა. კედლის მიმართულების ნაწილობრივი აღდგენის გარდა, გათხრებმა გამოავლინა კედლის

სისტემაში შემავალი მთელი რიგი ნაგებობებისა. მათ შორის აღსანიშნავია: გვეგზე სწორკუთხოვანი მოხაზულობის ნაგებობა, რომელიც არქეოლოგების აზრით, არ შეიძლება მივაკუთვნოთ ძირითადად „კავკასიის კედლის“ მშენებლობის პერიოდს.

აღნიშნული ნაგებობის კედლები კავკასიის ძირითად კედელთან წყობით არაა გადაბმული. იგი მასზეა მიშენებული, რაც დატოვებული ნაკერებით დასტურდება. ხსენებული ნაგებობა არც თავდაცვითი კოშკის შთაბეჭდილებას ტოვებს; იგი „კავკასიის კედლის“ სისტემაში შემავალი სხვა დანიშნულების ნაგებობას უნდა მივაკუთვნოთ³.

აქვე უნდა დავძინოთ, რომ ანალოგიური შემთხვევა დამოწმებულია „აფხაზეთის დიდი ვალავნის“ კომპლექსშიაც. აქაც ზღვისპირა კოშკი ვალავნის ძირითად კედელთან ისეა მიშენებული, რომ მათი კედლები ერთმანეთთან ქვის წყობის გადაბმით არაა დაკავშირებული, რის გამოც კედლებს შორის წარმოქმნილი შვეული ნაკერები კედლებს მთელს სიმაღლეზე აყვება⁴.

ამ ორი ძეგლის ანალოგიების ერთმანეთთან შედარება გვიჩვენებს, რომ მათი დავეგმარებისა და სამშენებლო ტექნიკის უძველეს ხერხებს მრავალი საერთო დამახასიათებელი შეხების წერტილები აქვთ.

ზემოაღნიშნული გათხრების დროს „კავკასიის კედლის“ გასწვრივ გამოვლენილ იქნა აგრეთვე კიდევ ერთი არქეოლოგიური ძეგლი, რომელიც გეგმის კომპოზიციის მიხედვით უწყველად სამლოცველოს ნაგებობას უნდა წარმოადგენდეს. იგი გეგმაზე საქართველოში ფართოდ გავრცელებულ მცირე მოკულობის ეკლესიის ტიპს იმეორებს (სურ. 60). საყურადღებოა, რომ იდენტური კომპოზიციის მცირე მოკულობის ეკლესიები გავრცელებულია საინგილოს ტერიტორიაზე თითქმის ყველა კუთხეში, თვით დაღესტანშიც.

ზემოაღნიშნული, რომ სოფ. კატეხის დასავლეთით, დღემდე შემორჩენილია მიწის ზემოთ „კავკასიის კედლის“ სისტემაში შემავალი ცილინდრული ფორმის, ვრცელი ნაგებობის ნაწილი, თავისი სიდიდით ციხე-გალავანს უფრო ჰგავს, ვიდრე სათვალთვალ კოშკურ ნაგებობას. მისი დაამტერი 33,2 მეტრის უდრის, ხოლო კედლის სისქე 80 სმ აღწევს. აღნიშნული მიწისზედა არქეოლოგიური ძეგლი მთელს პერიმეტრზე თითქმის თანაბრადაა თანამორღვეული, რომლის სი-



³ ე. ა. პახომოვი, დასახ. ნაწრ., გვ. 72.

⁴ ი. ა. დამაძია, აფხაზეთის დიდი ვალავნის ნაგებობათა კომპლექსი, გ. ი. ლენინის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტ. შრომები, № 2 (95), 1964, გვ. 26, სურ. 3).



⁵ ე. ა. პახომოვი, დასახ. ნაწრ., გვ. 79.

¹ Е. А. Пахомов. Закавказская Длинная стена», Труды Азербайджанского государственного университета им. С. М. Кирова, выпуск 1, Баку, 1950, с. 79.

² ამ კედლის შესახებ ზალხურ ცნობების შესწავლას დროს თითქმის ყველა ხანდაზმული ინგილო თუ ლეი ამ თქმულებით იწყებს თხრობას. ამიტომ ეს თქმულება თითქმის ყველა მოგზაურს თუ მკვლევარს აქვს მეტ-ნაკლებად განსხვავებით ჩაერთო, ჩვენ აქ სანიშნოდ დამოწმებული გვაქვს ალ. ხახანაშვილის მიერ ჩაწერილი ამ თქმულების ერთ-ერთი ვარიანტი — «Знаменитая стена, идущая по преданию параллельно Кавказскому хребту от Колы Кабыха до сел. Кахети»... (А. С. Хаханов, Экспедиции на Кавказ, 1892, 1893, 1895 гг. стр. 37).



სურ. 60. კავკასიის გრძელი კედლის ნაგებობათა კომპლექში შემავალი სამლოცველოს გეგმა



სურ. 61. კავკასიის გრძელი კედლის ცილინდრული კოშკის ნაშთი სოფ. კატხთთან, გეგმა

მალე სადღესოდ 2,4 მეტრს აღწევს. ამჟამად, გარდა შიშველი კედლისა, სხვა არაფერია დარჩენილი — არც ქონგურების და არც სათოფურების ნიშნები შეიმჩნევა, მაგრამ ადგილობრივ მოსახლეობას კარგად ახსოვს, რომ მას ქონგურებიც ჰქონია და სათოფურებიც.

როგორც ირკვევა, ჯერ კიდევ ახლო წარსულში (1936 წ.) ამ ნაგებობის კედლის სიმაღლე დაახლოებით 3,5 მეტრამდე აღწევდა, გასწვრივ რიტმულად დატანებული ჰქონია სათოფურები (ყოველ 2,4 მეტრის დაშორებით). სათოფურების ღი-

ობის ზომები ზუსტად უდრიდა 75×20 სმ გარედან და 38×48 შიგნიდან¹ (სურ. 61).

ზემოხსენებული ნაგებობის კედლის წყობა შესრულებულია იგივე მასალითა და სამშენებლო ტექნიკით, რაც თვით „კავკასიის კედელშია“ ნახვარი.

როდის და ვის მიერაა აშენებული „კავკასიის კედელი?“ ჩვენი აზრით, იგი აშენებული უნდა იყოს ქვეყნის თავდაცვის მიზნით ადგილობრივი მოსახლეობის მიერ, სახელდობრ, „26 ენაზე მოლაპარაკე ტომების“ მიერ, ჯერ კიდევ ადრე ფეოდალურ ხანაში დაახლოებით V—VI სს. მიჯნაზე².

თამარის ციხე — „ფერი ყალა“

თამარის შეფობის დროს საქართველოს ყველა მხარეში დიდი მასშტაბის სახელმწიფოებრივი მშენებლობა იყო გაჩაღებული და სრულიად ბუნებრივია, რომ ძველ — ციხე-კოშკებს, მონასტრებს, ეკლესიებსა და ზიდებს საქართველოს ყველა პროვინციაში თამარის სახელს მიაწერდნენ, რადგან თამარ მეფეს საინგილოში ფერის უწოდებენ, ციხის სახელიც — „ფერი ყალა“³ აქედან წარმოსდგება.

ერთ-ერთი ასეთი „ფერი ყალა“ მდებარეობს ბელაქის რაიონში — ლაგოდუხ-ნუზის მთა-

ბესტუფეე-შარლისკი ამ ნაგებობის მშენებლობას ადგილობრივ მოსახლეობას მიაწერს: „დაეუფავთ, რომ ეს კედელი სპარსელმა და მიდიელმა მეფეებმა ააგეს, მაგრამ ხომ უნდა ყოფილიყო ძალა, რომელიც ბრძანებას შეასრულებდა? ეს ძალა სხვა არა იყო რა, თუ არა ხალხი, ან ჯარი, ხოლო მას სჭირდებოდა კება და განა შესაძლებელია, რომ საკეები აქ ხალხისათვის სპარსეთიდან მოეწოდებინათ? უფრო სარწმუნოა, რომ იმ ეპოქაში კავკასია უხვად ყოფილიყო დასახლებული და რომ ეს გიგანტური ნაგებობა ადგილობრივი მოსახლეობის ქმნილებას წარმოადგენდა“...

³ ყალა — თურქულად ციხეს ნიშნავს.

¹ ე. ა. პახომოვი, დასახ. ნაშრ. გვ. 172—173.

² ა. დიუმა, დასახ. ნაშრ., გვ. 172—173.

ვარი გზიდან დაახლოებით ოთხი-ხუთი კილომეტრის დაშორებით მდ. ბელაქნის წყლის ხეობაში. ხალხური გადმოცემით იგი მტრის თავდასხმის შემთხვევაში საიმედო თავშესაფარს წარმოადგენდა ახლომდებარე სოფლების მოსახლეობისათვის.

„ნარიყალა“ წარმოადგენს გალავანს წაგრძელებული ტრაპეციის მოხაზულობის გეგმით. მისი ასეთი ფორმა რთული რელიეფითაა გამოწვეული, გალავანის შიგნითა ტერიტორიის ფართობი 700 კვ. მ-ს აღემატება.

ციხის შიგნით სხვადასხვა დანიშნულების მცირე ზომის შენობები ყოფილა განლაგებული, რომელთაგან ახლა მხოლოდ ნარღვევი ქვების გროვაა დარჩენილი.

გალავანის სიმაღლე პირვანდელი სახით არაა მოღწეული, ყველაზე დაბალ ნაწილში მისი სიმაღლე 2 მეტრამდე აღწევს, ხოლო მაქსიმალური სიმაღლე 6 მეტრს არ აღემატება. გალავანის წყობა

შესრულებულია რიყის ქვებზე-საგან კირის დულაზე. წინა და მარჯვენა კედლებში, გალავანის გასამაგრებლად, ცილინდრული ფორმის გოდლებია დატანებული.

აღმოსავლეთ საქართველოს და, კერძოდ, კახეთის ციხეების უპირველესობა, გალავანის ტიპის ციხეებს წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ თამარის ციხე თავისი მდებარეობით, გეგმის კომპოზიციით, თვით ძველის საშუალო ზომის მოკულობითი სიდიდით და მშენებლობის ტექნიკითაც აშკარა იდენტურობას იჩენს შხეფის ციხესთან¹.


დასასრულს გვინდა აღვნიშნოთ, რომ ამ ციხეს არ გააჩნია აშკარა ნიშნები, რომლებიც შესაძლებლობას მოგვცემდა მის დასათარიღებლად. საქართველოში ამ სახის სხვა ძეგლებთან შედარების საფუძველზე ირკვევა, რომ იგი გვიანფოდალური ხანის პერიოდს შეიძლება ეკუთვნოდეს.

ციხე ჩინარლუ

სოფ. ლეჭართიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით დაახლოებით 4 კილომეტრის დაშორებით მდებარეობს ძველი ქართული პატარა სოფელი ჩინარი. ამჟამად აქ დაღესტნიდან ჩამოსახლებული ლეკები ცხოვრობენ.

სოფ. ჩინარის მისასვლელთან, საავტომობილო გზის მარჯვნივ, მაღალი მთის წვეროდან მრგვალი ფორმის უზარმაზარი კოშკის მსგავსი ნაგებობის ნანგრევები მოჩანს. ხანდაზმული მოხუცების გადმოცემით, ძველად მას „გურჯი ოლუხს“ ეძახდნენ, რაც ქართველ უმართა (რაინდების) ნაგებობას ნიშნავს. ლეკები ამჟამად მას სოფლის სახელს — ჩინარლუს უწოდებენ.

თავისი არქაული ფორმით ციხე ერთ მთლიან გიგანტურ ბლოკს წარმოადგენს, რომლის შიგნით არაერთარი სათავსო (სიღრუე) არ შეიმჩნევა და რაღაც ციკლოპური ნაგებობის შთაბეჭდილებას უფრო ტოვებს, ვიდრე ციხე-სიმაგრისას (სურ. 62); აგებულია კვადრატული მოხაზულობის კარგად გამოწყვარი აგურისაგან (29×22×5) მოჭარბებული კირის დულაზე. აღსანიშნავია, რომ ნაგებობას დატანებული აქვს ადამიანის სიმაღლის დონეზე ხერელი, რომლის დიამეტრი 20 სმ უდრის, ხოლო სიგრძე კი 470 სმ აღწევს. ჭერჭერობით ძნელია იმის თქმა, თუ რა დანიშნულებას ასრულებდა აღნიშნული ხერელი.



სურ. 62. სოფ. ჩინარი. ციხე-კოშკი. „გურჯი ოლუხ“, — საერთო ხედ

ციხე „ჩინარლუს“ ნაგებობის წყობაში ნახვარი აგური, დულბის სტრუქტურა და მშენებლობის ტექნიკა ლეჭართის ტაძრის ტეტრაკონქის სვეტების

¹ ი. ა. დამიკა, წყალმომარაგების უძველესი ნაგებობანი საქართველოში, თბილისი, 1958, გვ. 9—16.

წყობაში გამოყენებული ავუროსა და ხსნარის იდენტურია (იხ. ქვემოთ).

ჩვენი აზრით, აღნიშნული ნაგებობა საინგილოში ერთ-ერთი საინტერესო საფორტიფიკაციო ძეგლთაგანია, რომელიც მოითხოვს დაწვრილებით შესწავლას.

კედლებისა და სხვა ნაგებობათა ნანგრევები მოწმობენ, რომ ჩინარლუს ციხის ტერიტორიას და მის შემოგარენს საქმაოდ ვრცელი ფართობი ჰქონია დაკავებული. აქვე შეინიშნება მიწისქვეშა ნაგებობები, რომლებიც ამჟამად სრულიად ჩაქცეულია. ციხის ტერიტორიაზე და მის გარშემო გავუღრებული ვაზი ხარობს, რაც იმის მანიშნე-

ბელია, რომ აქ უძველესი დროიდან ვაზის კულტურა ყოფილა გავრცელებული, თავის მხრივ, ეს გარემოება ძველი ნასახლარი ადგილებს არსებობაზე მეტყველებს.

ეს ფრიალ საინტერესო, უნიკალური ძეგლი დღეს საევალო მდგომარეობაშია; სურათზე ვხედავთ, რომ იგი ირავილე გამარტულია ავუროს ფენებისაგან, ძირი აქვს გამოცილილი. ავუროს ფენები ისეა შემორღვეული, რომ მას აღრინდელი სივრცობრივი ფორმა დაუკარგავს, რის გამოც მნახველის წინაშე შორიდან, ცის ფონზე, მხოლოდ სფეროსებური სილუეტური ფორმა ისახება.

საკულტო ნაგებობანი

ცნობილია, რომ კახეთი და ჰერეთი ძველ საქართველოს ერთ მთლიან მხარეს წარმოადგენდა. ამიტომ იყო, რომ „ზოგჯერ ჰერეთი თითქმის მთელ კახეთს ეწოდებოდა, ხშირად კახეთი ჰერეთსაც შეიცავდა“¹. ეს გარემოება კულტურის სფეროშიც აისახა; განსაკუთრებით იგი შეეტყო ქრისტიანულ ზღვრითმოდერებას, რის გამოც საინგილოს და კახეთის ქრისტიანული ძეგლები ერთმანეთისაღმე ამჟამა მსგავსება იხიენ.

საინგილოს და კახეთის ქრისტიანული მონუმენტური ძეგლების მსგავსება, უპირველეს ყოვლისა, გეგმების გადაწყვეტაში და მოცულობითი აღნაგობაში შეინიშნება, ასევე მათ შორის იდენტურობა, ადგილობრივი საშენი მასალებისა და მათი შესატყვისი სამშენებლო ტექნიკის ერთგვარობით აიხსნება. ადვინიშენ, რომ საინგილოს ტერიტორიაზე ძირითად საშენ მასალად გამოყენებულია „სიბი“ ქვები. ადგილობრივი საშენი ქვის სხვა სახე აქ ძნელად იძებნება, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ნაწილობრივ „შირიმის“ ქვებს (მას აქ „შირიმდამს“ ეძახიან), შირიმის ქვა კარგად ითლება, მაგრამ მისგან სუფთა ზედაპირის მიღება მეტად ძნელია და თანაც დროთა ვითარებაში იფიტება. ამ ფაქტორებმა თავისებური გავლენა იქონია ძეგლების არქიტექტურაზე.

რიყის ქვებისაგან აგებული ძეგლების არქიტექტურას ჩამოცილდა ქვის მხატვრული დამუშავების ხელოვნება, რის გამოც საინგილოს მონუმენტურ არქიტექტურაში ორნამენტს იშვიათად ვხვდებით.

საინგილოს ძეგლებისათვის დამახასიათებელი ზემოხსენებული საციფიკური თვისებები კახეთის ძეგლებისთვისაც ტიპურია, რის გამოც ისინი ერთგული არქიტექტურის ერთ ჩარჩოში ექცევიან; კახეთის ძეგლებისათვისაც ძირითად ადგილობრივ საშენ მასალას უბრალო რიყის ქვა წარმოადგენდა, ამის გამოა, რომ სამშენებლო წარწერები კახეთ-ჰერეთის თითქმის არცერთ ძეგლს არ გააჩნია².

სალხურ მშენებელთა გამოცილებებისა და დავირების ათასწლოვანი პრაქტიკის შედეგად მიღებული სამშენებლო ხერხები, სხვა ფაქტორებთან ერთად უშუალოდაა დამოკიდებული ადგილობრივ საშენ მასალაზე.

გარდა რიყის ქვისაგან აგებული ძეგლებისა, საინგილოში ადრე ევოლუციური ხანიდან მოყოლებული ვხვდებით ისეთ მონუმენტურ ძეგლებს, რომლებშიაც მხოლოდ ნაწილობრივ კარგად გამომწვარი ავუროსა გამოყენებული. გვიანი პერიოდის ზოგიერთი მონუმენტური ძეგლი კი ხშირად მთლიანად ავუროსგანაა აგებული.

თალღვან-გულშბათოვანის მონუმენტური არქიტექტურის გავრცელებამ საინგილოს ტერიტორიაზე იმთავითვე დააყენა საკითხი ახალი სამშენებლო მასალის გამოყენების შესახებ. ასეთი მასალა საინგილოში შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ ავურო, ფინადან მის დასამზადებლად საჭირო თიხებით მიღდარი იყო საინგილოს ტერიტორია. ეს იმიტაც დასტურდება, რომ აქ უძველესი დროიდან იცნობდნენ კერამიკულ წარმოებას, რო-

¹ ივ. ჭავჭავაძე, ქართველი ერის ისტორია, წიგნი მეორე, თბილისი, 1948, გვ. 37.

² Г. Н. Чубинашвили. Архитектура Кახетии, Тбилиси, 1959, стр. 4—5.

გორც ჰერული კულტურის ერთ-ერთ დაწინაურებულ დარგს.

დღემდე მოღწეული ძეგლების ნაშთების მიხედვით ირკვევა, რომ ძველი საინგილოს ტერიტორიაზე ძველთაგანვე გავრცელებული ყოფილა, როგორც ბაზილიკური, ისე ცენტრალურგუმბათოვან ნაგებობათა ტიპური სახეები.

ბაზილიკური ტიპის ძეგლები თავის მხრივ ორი სახისა გვხვდება: მცირე მოცულობის ეკლესიების (საყდრებისა) და დიდი მოცულობის ტაძრების სახით, ცენტრალურგუმბათოვანი მონუმენტური ტაძრებიც გვხვდება, როგორც შირაქ, ისე დიდი მოცულობისა.

ქრისტიანული ძეგლების გავრცელების არე მჭიდროდა დაკავშირებული ქრისტიანული სარწმუნოების გავრცელებასთან.

საინგილოს ტერიტორიაზე მრავალჯონ მოგზაურობამ გვიჩვენა, რომ მთის ზონა ბართან შედარებით უფრო მჭიდროდ ყოფილა დასახლებული. ამაზე მეტყველებენ აქ ტყით დაბურულ მთის ფერდობებსა და ამაღლებულ ადგილებში უხვად მიმოვანებული მცირე მოცულობის ეკლესიების ნანგრევები.

მცირე მოცულობის ანალოგიური ეკლესიების ნაშთები მიმოხილულია აგრეთვე კავკასიონის ქედის ჩრდილო და ჩრდილო-აღმოსავლეთ ფერდობებზე, რაც ამ მხარეში ქრისტიანობის გავრცელებას მოწმობს.

ისტორიული წყაროებით დასტურდება, რომ კახეთ-ჰერეთის ტერიტორიაზე ქრისტიანობის გავრცელების პერიოდთან, ვიდრე XIII საუკუნემდე (მონგოლთა შემოსევებამდე), ქართველთა და ლეკთა შორის კეთილშობილური ურთიერთობა ყოფილა დამკვიდრებული; „...ლეკები თვით თემურლენგის გამოჩენამდე ქრისტიანები იყვნენ და ქართულ ენას მათ შორის დიდი გასაქალი ჰქონდა“¹.

ქართული კულტურისა და ქრისტიანული რელიგიის გავლენა XIV—XV საუკუნეების მანძილზე იმდენად ძლიერი ყოფილა კავკასიის ქედს გადაღობა, კერძოდ ლეკეთში, რომ ეკლესიებსა და მონასტრებში საღვთო სჯულის სწავლება ქართულ ენაზე წარმოებდა.

ლეკეთის მხარე ქართული სასწავლებლებითა და ეკლესიებით ყოფილა მოფენილი; დაპყრობობაც, როგორც ირკვევა, ქართული ჰქონიათ, მისი კვალი დღესაც არ გამოქრალა. ლეკეთის ქრისტიანული წრე საქართველოს პატრიარქს ექვემდებ-

ბარებოდა, ამის საბუთს გვაძლევს მ. ჯანაშვილის მიერ აღმოჩენილი სახარება (ოთხთავი), რომელიც წერილი ნუსხა-ხუცურიით არის გადაწერილი 1310 წ.

აღნიშნულ ოთხთავს შუაში ჰქონია სამი წარწერა, რომლებსაც მეცნიერები ოთხთავის „ანდერძს“ უწოდებენ; ეს „ანდერძი“ გამოაქვეყნა მ. ჯანაშვილმა 1895 წ.

ამ ანდერძის ზოგიერთი ამონაწერი დამოწმებული გვაქვს ქვემოთ სათანადო ადგილებზე.

ისტორიული წყაროებითა და მატერიალური კულტურის ნაშთებით მოწმდება, რომ ქრისტიანობა დადესტანში, სახელდობრ, ლეკეთში საქართველოდან გავრცელდა. ამას ადასტურებს თეიმურაზ ბაგრატიონის (ბატონიშვილის) ფრად მნიშვნელოვანი ცნობა, სადაც ვკითხვლობთ, რომ „...არაინ ლეკთა შორის ძველად ნაშენები ეკლესიანი და მონასტერნი — რომელნიმე სრულიად თლილითა ქვითა ნაშენნი, გარნა აწ რომელნიმე დარღვეულნი და სხვანი უქმად, რომელნიმე მიზიგთებად (მეჩეთებად) მათად შეკვალებულნი... თუმცა-და შემდგომად თემურლენგისა მიიღეს მათ სჯული მუჰამედისა და არღარა უტყეებდეს თვის შორის საღმდელითა, გარნა მეფემან ალექსანდრე I (1414 — 1442 წწ) განდევნა მუნით მოლანი არაბთანი და კვლად მიაგნა იგინი პირველსავე წესსა“².

დამოწმებული ამონაწერის ბოლოში მოხსენიებულ მეფეთა-მეფე ალექსანდრეს გამოყვებამ სწორედ იმ პერიოდში (XV ს პირველ ნახევარში) მოუწია, როდესაც საქართველო თემურლენგის მიერ დანგრეული და აოხრებული ქვეყნის აღდგენა-განახლება, დიდი მასშტაბის „აღშენებლობის“ დაწყება.

ქვეყნის შიგნით დანგრეულ ტაძართა და საყდართა აღდგენა-აღშენებას შესდგომია ალექსანდრე მეფე³. მან კარგად იცოდა, თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა გაერთიანებული საქართველოსათვის მონღოლთა ნაოხრალი მეზობელი ადგილების განახლებასაც, როგორც ირკვევა, მან არა მარტო საქართველოს ტერიტორიაზე მოჰკიდა ხელი დანგრეულ ნაგებობათა აღდგენას, არამედ ლეკეთშიაც აღადგინა მონგოლთა ბატონობის პერიოდში ნანგრევებად ქცეული ეკლესიებიც. მეჩეთებად გადაკეთებულ ეკლესიებში ჩაყენებული მაჰმადიანებიც განდევნა, ადგილობრივი მოსახლეობა ისევე ქრისტეს სჯულზე მოაქცია, კვლავ აღადგინა ლეკეთშიც ქრისტიანობა

¹ კ. კ. ე. ლ. ო. ძე, ქართული კულტურის ისტორიისათვის მონღოლთა ბატონობის ხანაში, ვტრედება ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. II, თბილისი, 1945, გვ. 216.

² მ. ჯანაშვილი, საქართველოს ისტორია, მეორე გამოცემა, ზ. ბ. ბ. ნ. ა. ო. ძე, თბილისი, 1895, გვ. 207.

³ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი IV, თბილისი, 1967, გვ. 18—34.

და მამა-პაპათა ტრადიციულ ისტორიულ უფლებებს დაუმორჩილა ეს მხარე.

დამოწმებული ისტორიული ცნობები იმჟამინდელი საქართველოს ძლიერებაზე, ახსრებული ქვეყნის მოღონიერებაზე, ქვეყნად მშვიდობისა და დაწუნარებულ ცხოვრებაზე მეტყველებს, მაგრამ საქართველოსათვის ეს ბედნიერება ხანგრძლივი არ გამოდგა.

ალექსანდრე მეფის სიცოცხლეშივე საქართველოს გაუჩნდა ახალი მტერი თავრიზის მეფის ჯეჰან-შაჰის სახით¹. ამ დროიდან მოკიდებული ეს მტრობა XVII საუკუნემდე — შაჰ-აბასის დრომდე გაგრძელდა. შაჰ-აბასმა მოისყიდა დაღესტნის ტომები და მისი წაქეზებით ლეკებმა პირველად აღმართეს მახვილი საქართველოს წინააღმდეგ.

ამას ისიც დაემატა, რომ ოსმალეთის ჯარი ქართლში შემოიჭრა (1723 წ.), ამ გარემოებამ კიდევ უფრო გაათავიმა ლეკები. ისინი წინ მოუძღოდნენ ოსმალეთის ჯარებს. „ოსმალმა რომ ჯარები შემოიყუნა საქართველოში, საქართველოს დასაპყრობლად, აი აქედგან დაიწყო ოსმალ-ლეკებისაგან საქართველოს გაოხრება“²...

საპრეტისა და ოსმალეთის განდევნის შემდეგაც ლეკების მტრობა საქართველოსადმი დიდხანს

გაგრძელდა. ლეკების თარეში, განსაკუთრებით საინგილოს ტერიტორიაზე, მხოლოდ მაშინ შენედა, როდესაც 1717-18 წლებში (1803) რუსებმა ჭარი და ბელაქანი აიღეს აპარის დამდეგს³.

საინგილოს ქრისტიანული ძეგლები, ზემოხსენებულ ქარცეხლიან ეპოქებში შეუშუსრავთ, დროთა მსვლელობაში ქრისტიანობის აღდგენასთან ერთად ზოგიერთი მათგანი განუახლებიათ კიდევ, მაგრამ მცირე მოცულობის საყდარ-ეკლესიების უმეტესს ნაწილს ქრისტიანული ქართული მოსახლეობის მოსპობის შემდეგ არ ღირსებია განახლება. ეს მცირე ეკლესია — ტაძრები საუკუნეთა სიღრმეში ისე ჩაძირულან, რომ დღეს მათი ნაშთების მიკვლევაც კი ძნელდება. იმდროინდელ ნანგრევებად ქვეული ძეგლებიდან ზოგიერთის ნაშთები დღესაც მრავალი იძებნება — ფიფინეთის, მუხახის, კატეხის წყლისა და გიშის წყლის სხობათა მიღამოებში.

საინგილოს ძეგლებიდან აღსანიშნავია ქრისტიანული არქიტექტურის ისეთი ნაგებობები, როგორცაა: ლეჟართის, ყუმის, ქურუმის, გიშის, პატარა ალავერდის, კასრის, მადლის, ზაგემის ანუ ბახთალის, ძელიცხოველისა და სხვ. ტაძრები და საყდარ-ეკლესიები.

ლემართის ტაძარი

ქ. კახიდან ჩრდილო-დასავლეთით თორმეტი კილომეტრის დაშორებით მდებარეობს უძველესი ქართული სოფელი — ლეჟართი, ანუ უწოდებენ ლეკები ლეჟეთ⁴.

გეოგრაფიული სახელი „ლეჟართი“ სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვა ავტორის მიერ სხვადასხვანაირადაა მოხსენიებული, ქართულ ლიტერატურაში — ლეჟართი ანუ ლეჟეთი (მ. ჯანაშვილი, ზ. ფილი, ა. ჩხენკელი, მ. დუმბაძე და სხვ.). რუსულ ლიტერატურაში კი Лехит — ლეჟით (И. Д. Барановский, М. И. Казиев, и др.), Ляжит — ლიჟით, (А. С. Хаханов, К. В. Тревер и др.).

სახელწოდება „ლეჟართი“ ქართული წარმოშობისაა. ამ სიტყვის ფუძეა ქართული სატომო სახელი „ქართ“. აქედან წარმოსდგება გეოგრა-

ფილი სახელი — სა-ქართ-ველო „...ადგილი, სადაც ქართველები ცხოვრობენ, ქართველებით დასახლებული ქვეყანა“⁴, სადაც „სა“ არის წინსართი, რომლის სინონიმიც მეგრულად „ლე“ (ლე-სა). ლე-ქართი (ლეჟართი) ქართველებით დასახლებული ადგილია, ისე როგორც ეს სამეგრელოს ზოგიერთი სოფლის სახელწოდებებშია მოცემული, (ლეძამე, ლესიკინე, ლეხაინდრე, ლებართი და სხვ.), რაც ნიშნავს ამა თუ იმ გვარით დასახლებულ სოფელს, — საძამე, სასიკინე, სახაინდრე, საბართი და ა. შ. ლეჟართიც ამგვარი წარმოშობის სახელწოდება უნდა იყოს: წინსართი „ლე“ და სატომო სახელი „ქართი“ ერთ კომპოზიტში გვაძლევს „ლეჟართს“, რომელსაც გეოგრაფიული სახელის მნიშვნელობა ჰქონია მინიჭებული.

საინტერესოა გიკოდეთ, თუ რა სახელით იხ-

¹ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი IV, თბილისი, 1967, გვ. 37.

² ალ. ჯამბაქუა-ობრელიანი, დაღესტნიდან ლეკების გამოსვლა და სხვა ამბები, ტფილისი, 1914, გვ. 1.

³ თ. ეორდანი, ქრონიკები, ტ. III, 1967, გვ. 628.

⁴ არ. ჩიქობავა, ენათმეცნიერების შესავალი, თბილისი, 1952, გვ. 203.

სენიებოდა აღნიშნული სოფელი და მისივე სახელწოდების ძველი ადრინდელ ისტორიულ წერილობით წყაროებში. ამ თვალსაზრისით ფრიად მნიშვნელოვანი ცნობაა დაცული ერთ-ერთ წერილობით ძეგლში, ზემოხსენებული „ოთხთავის“ ე. წ. „ანდერძში“, რომელიც დაწერილი ყოფილა 1310 წელს, ქურობუხის მთავარეპისკოპოსის კირილე დონაურის განკარგულებით. ზემოხსენებულ წერილობით ძეგლში დასახელებულია ძველი პერეთის ქრისტიანული ქართული სოფლების სახელებთან ერთად მათი საყდრები და ტაძრები — დაახლოებით ოცზე მეტი. ეს ტაძრები მოუხილავს საქართველოს პატრიარქს ექვთიმეს, ქრისტიანული სარწმუნოების მღვდმარტობის შესამოწმებლად. ამის თაობაზე „ანდერძში“ ვკითხულობთ, რომ „...სანატრელმან: მან: პატრიარქმან: ჩუენმან: ექთიმე: ...მოვლო საყდარანი: კასრი სამებისი: ყუმი ღვთისმშობლისა: ლექართი წმიდასა: მოციქულს-სწორისა: ნინოსისი!“ და ა. შ. სულ ჩამოთვლილია ოცზე მეტი დასახელების სოფელი. „ლექართის“ მოხსენიება ძველ ქართულ სოფელთა შორის ამ დასახელებულ ადგილის სიმძველეს მოაწმობს. აქვე უნდა დავძინოთ, რომ დადესტრის ლეკები ამ სოფელს „გურჯების“ სოფელს უწოდებდენ, მიუხედავად ამისა, რომ დღეს აქ მხოლოდ ჩამოსახლებული ლეკები მისახლდებენ.

დასასრულად, ამ კავითთან დაკავშირებით ზემოთ განხილულ მასალას იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ ზხენებული ქართული სოფლის უძველესი სახელწოდება არის „ლექართი“ და არა ლექეთი ან კიდევ სხვა რომელიმე ზემოხსენებული ასიმილირებული სახელწოდება.

სოფელ ლექართიდან (ჩრდილო-აღმოსავლეთით), სამი კილომეტრის დაშორებით, კავკასიონის მთის ძირას, სამხრეთ დასრეც კალთებს შორის, ერთ-ერთ შედარებით დავაყებულ ადგილზე მღვდარეობს ლექართის მონასტერი, რომლის შენობათა ნანგრევები თითქმის მთლიანად ნარეკლებითა და ტყითაა დაფარული.

ამ ადგილებს დღევანდელი იქაური მუსულმანური მოსახლეობა (ლეკები) „ქილისლარს“ ეძახის, რაც მათ ენაზე ეკლესიებს ნიშნავს.

ლექართის მონასტრის არქიტექტურული კომპლექსი ჭერჭერობით კარგად არ არის შესწავლილი, ნანგრევების მიხედვით ვარაუდობენ, რომ სხვადასხვა სახის სამონასტრო დანიშნულების ნაგებობათა შორის ათამდე თუ თორმეტამდე ეკლესია

უნდა იყოს, რომელთა დათვალიერებას აძნელებს ბარდ-ეკლებში ჩახვეული ტყე-ჭაგანარის მკიდრო საფარველი. „მეოცე საუკუნის დამდევამდე შემოუნახათ ამ ეკლესიებს ძველი ბრწყინვალეობის ნიშნები — „ჩუქურთმები, წარწერები, მხატვრობა რომლებიც დღეს უკვე აღარ შემორჩენიან“.

ლექართის მონასტრის ანსამბლი ძველად გალავნით ყოფილა შემოზღუდული, რომლის ფრამენტები და ნანგრევების ნაშთები დღემდე კიდევაც შემორჩენილი. ლექართის მონასტრის ნაგებობათა კომპლექსი თავისი სამონასტრო ცხოვრებით გელათის მონასტრის ანსამბლს მოგავგონებს. იგი შუა საუკუნეებში შეიძლება ითქვას, აღმოსავლეთ კახეთის სწავლა-განათლების კერას წარმოადგენდა, ლექართის მონასტრის კომპლექსი მღვდარეობის გამო ორ ჭკუფად იყოფა, მათ ადგილობრივი მოსახლეობა „ქვემო და ზემო ეკლესიებს“ უწოდებს.

ზემო ეკლესიების ნანგრევთა დათვალიერებისას ყურადღებას იქცევს „ერთი დიდი ტაძარი, რომელიც ყველაზე უძველეს და უკეთეს შენობად უნდა ჩაითვალოს. აგებულია ცუდად ნათალი კლდის ქვით, მხოლოდ კარები და ფანჯრებია ამოყვანილი მშვენიერად ნათალი ოთხკუთხი ქვით. თვით ეკლესია ჭვარედინ გეგმაზეა აგებული და აღამიანს აკვირებს თავისი სიმაღლითა და ბუმბერაზობით“.

მეორე ტაძარი კი, რომელიც „ქვემო ეკლესიების ჭკუფს“ ეკუთვნის, წმ. ნინოს სახელზე ყოფილა აგებული; ეს ცნობა მოცემულია 1310 წლის წერილობით ძეგლში (ზემოხსენებულ „ოთხთავის“ — „ანდერძში“) სადაც ლექართის ტაძარი მოხსენიებულია, როგორც „წმიდისა მოციქულთა სწორისა ნინოსისი“.

ლექართის წმ. ნინოს ტაძარი უძველეს ძეგლთა იმ მცირერიცხოვან კატეგორიას ეკუთვნის, რომლებმაც თავიანთი უნიკალობით სხვადასხვა დარგის მკვლევართა და მოგზაურთა ყურადღება დიდი ხანია მიიქციეს. ამ ძეგლებისადმი ცხოველი ინტერესი თავიდანვე გამოწვეული იყო გეგმის კომპოზიციის ორიგინალობით, რომელიც თალოსის ტიპის ნაგებობას წარმოადგენს; უძველესი ცნობები მის შესახებ ისტორიას არ შემოუნახავს; არაფერია ამ ტაძრის შესახებ გადმოცემული ქართულ მატერიალებში ან სხვა ისტორიულ წყაროში.

2 მ. დ. უ მ ბ ა ძ ე, აღმოსავლეთ კახეთის (საინგილოს) ისტორიიდან, თბილისი, 1953, გვ. 25.

4 ზ. ე დ ი ლ ი, საინგილო, თბილისი, 1947, გვ. 156.

5 მ. ჯ ა ნ ა შ ე ი ლ ი, საქართველოს ისტორია, თბილისი, 1895, გვ. 206.

6 მ. ჯ ა ნ ა შ ე ი ლ ი, საქართველოს ისტორია, თბილისი, 1895, გვ. 206.

1 მ. ჯ ა ნ ა შ ე ი ლ ი, საქართველოს ისტორია, თბილისი, 1895, გვ. 206.

2 ი. ა დ ა მ ი ა, ძველი პერეთის ხუროთმოძღვრული ძეგლები, თბილისი, 1969, ძეგლის მეგობარი, კრებული მეცხრამეტი, გვ. 49—50.

ერთადერთი უძველესი ცნობა, რომელიც ჰერების რელიგიასა და სალოცავ ტაძარს შეეხება, მოცემულია სტრაბონის (64—23 წწ.) ცნობილ გეოგრაფიულ თხზულებაში, სადაც ვკითხულობთ, რომ ალბანელები (პერები) „ღმერთებდა აღიარებენ მზეს, ზევსსა და მთვარეს, გამორჩევით მთვარეს, მისი სალოცავი არის იბერიის მახლობლად. ქურუმობს კაცი უწარჩინებულესი მეფის შემდეგ, ის განაგებს ტაძრის მიწას, რომელიც დიდი და კარგად დასახლებული, და (ეს პირი განაგებს) მიწასაც და ტაძრის მონებსაც“.¹

ეს ამონაწერი ჩვენს ყურადღებას იმით იმსახურებს, რომ აქ მოხსენიებული „სალოცავი“ — ტაძარი მდებარეობს იბერიის საზღვართან ახლოს, ამავე დროს ხაზგასმულია, რომ ტაძრის გარშემო „კარგად დასახლებული“ ადგილები ყოფილა. რაც ამ მხარის ხალხმრავლობაზე მეტყველებს. ხომ არ შეიძლება ვიგულოთ აქ მოხსენიებული სალოცავი დღევანდელი ლექართის ტაძრის ადგილას, მით უფრო, რომ ასეთი დიდი მასშტაბის სხვა ნაგებობა იბერიის საზღვართან ახლოს პერეთის ტერიტორიაზე არ გვხვდება.


როგორც ჩანს ქრისტიანული სარწმუნოების გავრცელებამდე აქ არსებული ტაძარი წარმოადგენდა „მთვარის სალოცავ ტაძარს“, რომელშიაც იყო „ღმერთების სამსხვერპლო“², ქრისტიანული სარწმუნოების გაბატონების შემდეგ, ჩვენი აზრით, ძველი ტაძრის ადგილზე უნდა იყო დაფუძნებული ან გადაკეთებული წმ. ნინოს სახელზე აგებული ლექართის ტაძარი, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა სამონასტრო ნაგებობათა კომპლექსს. აქვე უნდა შეენიშნოთ, რომ წარმართული სარწმუნოების სამლოცველოების ისტორიულ ადგილებზე ქრისტიანული ტაძრების აგება და გადაკეთება საქართველოში საერთოდ მრავალ ადგილზეა დამოწმებული, ამიტომ ამ ტრადიციის ლექართის წმ. ნინოს ტაძრის იმუნებლებიც გვერდს ვერ აუვლიდნენ.

ლექართის წმ. ნინოს ტაძრის შესახებ პირველი ცნობები სამეცნიერო ლიტერატურაში ალ. ხახანაშვილმა გამოაქვეყნა.

1940 წლამდე ლექართის წმ. ნინოს ტაძარი არ ყოფილა ხუროთმოძღვრული თვალსაზრისით შესწავლილი, პირველი არქეოლოგიური გათხრები სხუნეული ძეგლის გარშემო არქიტექტორ პ. დ. ბარანოვსკიმ ჩატარა, რომელმაც პირველად მოგვ-

ცა ლექართის ტაძრის ხუროთმოძღვრული ანალიზი.

ლექართის წმ. ნინოს ტაძარს პ. დ. ბარანოვსკი მიაკუთვნებს „ცენტრალური გეგმის“ მქონე ნაგებობის ტიპს შიდა ტეტრაკონქით³. მისი წრიული მოხაზულობის კომპოზიცია (სურ. 63) თავისი რთული ხუროთმოძღვრულ კონსტრუქციული გადაწყვეტის თვალსაზრისით ნათესაურ კავშირშია ისეთ ძეგლებთან, როგორიცაა: ბანას ტაძარი (VII—IX სს)⁴, ტაო-კლარჯეთში (ამჟამად თურქეთის საზღვრებში მდებარეობს).



სურ. 63. სოფ. ლექართი. შიდა ნინოს მრგვალი ტაძრის გეგმა

ლექართის წმ. ნინოს ტაძარს, როგორც აღდგენილი გეგმიდან ჩანს, წრიული მოხაზულობა აქვს და თითქმის მთელ პერიმეტრზე (დაახლოებით ერთი მესამედის გარდა) მონუმენტური თალები ჰქონია შემოვლებული.




ტაძრის გარშემო არსებული სვეტების უმეტესი ნაწილიდან მხოლოდ კონსტრუქციის დარჩენი-

³ Лекитский храм представляет собой здание так называемого «центрального плана» с внутренним тетраконхом на колоннах и круговым обходом «(П. Д. Барановский, Памятники в селениях Кум и Лекит, Москва-Баку, 1947, стр. 32)

⁴ გ. ჩუბინაშვილი, ნ. სვეტიცხოვე, ქართული არქიტექტურის გზები. თბილისი, 1936, გვ. 59—70.

Н. П. Северов. Памятники грузинского зодчества. Москва, 1947, стр. 189—190.

¹ თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, ცნობები საქართველოს შესახებ, თბილისი, 1957, გვ. 134—135.
² იქვე.



სურ. 64. სოფ. ლეჭართი. წმინდა ნინოს მრგვალი ტაძრის გუმბათქვეშა სვეტის ნაშთი ინტერიერში.

ლი, ხოლო ინტერიერში ტეტრაკონქის სვეტებიდან შემორჩენილია ორი მეტრის სიმაღლის ფრაგმენტები (სურ. 64, 65). წყობა შესრულებულია კვადრატული მოყვანილობის (23×23×5 სმ) წითელი ავურისაგან კირის ხსნარზე.

ტაძრის მრგვალი კედლის ფრაგმენტები (სიმაღლე 500 სმ, სისქე — 145 სმ) მოწმობენ, რომ ძირითად საშენ მასალად გამოყენებული ყოფილა ადგილობრივი რიყისა და „შირიშის“ ქვა. წყობა შესრულებულია კირის დუღაბზე (სურ. 66, 67).

ხანდაზმული ინგილოების გადმოცემით, აღნიშნული ტაძრის კედლის წყობაში, რიყის ქვის გარდა, ზოგიერთ ადგილებში გამოყენებული ყოფილა სუფთად გათლილი თეთრი ქვებიც, რომელთა შორისაც წარწერებთანაც ყოფილა. დღეს ასეთი ქვები კედლის წყობაში აღარაა შერჩენილი.

ა. ხახანაშვილმა პირველად ეს ძეგლი მოიხილა 1892—1895 წლებში. მას ხაზგასმით აქვს აღნიშნული, რომ „ლეჭეთის ეკლესიის გუმბათი“ ჩამონგრეულია და მხოლოდ კედლებია დარჩენილი.

ა. ხახანაშვილი დაწერილებით აღწერს ტაძრის კედლის ქვის წყობას. ძეგლის დათვალიერების დროს მას თვითონ უნახავს კედელში თლილი ქვები, რომლებიც რიყის ქვის წყობაში ყოფილა ჩაშენებული.

ა. ხახანაშვილი იქვე შენიშნავს, რომ — ადგილობრივ მცხოვრებთა გადმოცემით, აღნიშნული თლილი ქვები ჩამოტანილია ქუთაისიდან, რადგანაც მსგავსი ქვები მთელს ზაქათალის ოლქში არსად არ მოიპოვებაო¹.


რამდენად შეეფერება სინამდვილეს დამზადებული გათლილი ქვების ჩამოტანა დასავლეთ საქართველოდან, ამის მტკიცება ახლა ძნელია, მაგრამ ანალოგიური შემთხვევა მეორდება ჩრდილო კავკასიის მხარეში — საქართველოდან ქრისტიანობის ექსპანსიის პერიოდში, მაშინ, როდესაც ამ მხარეში უკვე შექმნილი იყო საქართველოს ეკლესიის ეპარქიები.

შესაძარბლად მოვიხმობთ მხოლოდ ერთ ფრიად დამახასიათებელ ცნობას, რომელიც მოცემული აქვს ვს. მილერს სოფ. თხაბა-ერდის (ტყობა-ფრდის) ტაძრის შესახებ (ვლადიკავკაის ოლქი); აღნიშნული ტაძრისათვის სუფთად გათლილი და ჩუქურთმებამოკვეთილი ქართული ასომთავრული წარწერებანი ქვები, ჩამოტანილი ყოფილა საქართველოდან².

¹ ა. ხახანაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 35.

² «Плиты с изображениями человеческих фигур и с орнаментами были, по мнению местных жителей, привезены из Грузии готовыми, так как такого материала нет в окрестностях храма».


Вс. Миллер. Материалы по археологии Кавказа, вып. I, Москва, 1888, стр. 12—13.



სურ. 65. სოფ. ლეკართი. მრგვალი ტაძრის ინტერიერის ნანგრევების საერთო ხედა

ა. ხახანაშვილისა და ვ. ს. მილერის ნაშრომებით დამოწმებული ხალხური გადმოცემით ლეკართისა და თხაბა-ერდის ტაძრების ქვის წყობას შორის აშკარა მსგავსებაა, ჩანს, ნაგებობებისათვის მოსაპირკეთებელი საშენი ქვების შორ მანძილზე გადაზიდვის პრაქტიკა საქართველოში უძველესი

დროიდან ყოფილა ცნობილი. ეს ქართული წერილობითი წყაროებიდანაც დასტურდება¹. საშენი მასალის შორ მანძილზე გადასაზიდად გამოყენებული ყოფილა სხვადასხვა სახის სატრანსპორტო საშუალებები და ტექნიკა².




სურ. 66. სოფ. ლეკართი. მრგვალი ტაძრის კედლის წყობის ფრაგმენტი

¹ „ხოლო ქვაი და კირი ფრიად შორის მოაქუნდა და ძნელთა მათ კაცთა ზურგითა.“ იხ. ვიორჯი მერჩულე, ცხოვრება გიორგი ნაძთელისა, პავლე ინგროყვას მიერ აღდგენილი დედანი, ტ. 1, თბილისი, 1949, გვ. 35—40.

² „მძიმე საშენი ქვების გადაზიდვა სპეციალური მარხილებით ხდებოდა, რომლებსაც აზაერები, კარაულები და ჯორები ეზიდებოდნენ.“

სამთო პირობებში — ძნელად მისასვლელ მთა აღვილებში მშენებლობისათვის საჭირო საშენ მასალებს მაშენებელი „მუშაკები“ ზურგით ეზიდებოდნენ ასევე ჭორებზე და კარაულებზე ვოდრებიოთა და ტომრებით გადაკიდებულ უზიდნიათ და სხვ.“



იხ. ივ. ჯავახიშვილის, მშენებლობის ხელოვნება ძველ საქართველოში, თბილისი, 1946, გვ. 152—153.



სურ. 67. სოფ. ლეკართი. შრგვალი ტაძრის აღმოსავლეთი კედლის ხედი ინტერიერიში. (ჯარის ღიობი).



სურ. 69. სოფ. ლეკართი. წმინდა ნინოს შრგვალი ტაძრის შეწყვეილებული ქვის სვეტის კაპიტელი.



სურ. 68. სოფ. ლეკართი. შრგვალი ტაძრის შეწყვეილებული ქვის სვეტის კაპიტელი (I), ზარჯვის ტაძრის შეწყვეილებული ქვის სვეტის კაპიტელი(II).

ლექართის წმ. ნინოს ტაძრის მსგავსი ნაგებობები, როგორც მისი წინამორბედი, ასევე მის შემდეგ აგებული, მიწისძვრის შედეგად დაქცეული.

ცნობილია, რომ ბანას ტაძარიც იმხანად, როგორც ახალი ტიპის სივრცობრივი ფორმა, იმდროინდელი სამშენებლო ტექნიკის დონის შესაბამისად ჯერ კიდევ არ იყო კონსტრუქციული სტრუქტურის თვალსაზრისით სრულყოფილი.

ამით უნდა აიხსნას ანალოგიური ნაგებობათა მიწისძვრებისაგან დანგრევა; ლექართის ტაძრის დაქცეული კედლები და ტეტრაპონქის სვეტების დარჩენილი ნაშთები სტიქიური დამანგრეველი ძალების უძლიერეს მოქმედებაზე მეტყველებენ.

დავუბრუნდეთ ძეგლის ხუროთმოძღვრული კომპოზიციის ზოგიერთი საკითხის გარკვევას.

ლექართის წმ. ნინოს ტაძრის გეგმა წრიული მოყვანილობისაა, რის გამოც მას სწორად „მრგვალ ტაძარსაც“ უწოდებენ. მისი სივრცობრივი ფორმის ხუროთმოძღვრული კომპოზიციის ანალიზი მეტად გაძნელებულია, ვინაიდან ჩამოქცეული კედლებისა და სვეტების გაშიშვლებული ფრაგმენტების გარდა არაფერია შემორჩენილი.

ვერაფერს ვიტყვით, ჯერჯერობით, ძეგლის არქიტექტურული მორთულობის და სივრცობრივი კომპოზიციის საერთო სისტემის პროპორციების შესახებაც.

ერთადერთი, რაც ამ ძეგლის ნანგრევთა შორის ჩვენს ყურადღებას იქცევს, ეს არის ქვის ერთი ბლოკისაგან გამოკვეთილი შეწყვილებული სვეტის ზედა ნაწილი, რომელიც ორიგინალური ქართული მარტივი კაპიტელითაა დაფარული.

კაპიტელიანი შეწყვილებული სვეტის აღნიშნული ფრაგმენტი, როგორც ირკვევა, არქიტექტორ პ. დ. ბარანოვსკის არ უნახავს, (ვერ შეუმჩნევია), ვინაიდან თავის ნაშრომში მის შესახებ არაფერს ამბობს¹.

ამ არქიტექტურულ ფრაგმენტს დიდი მნიშვნელობა აქვს ტაძრის ხუროთმოძღვრული ფორმების გასარკვევად.

როგორც ზემოთაც გვაქვს აღნიშნული, ორი შეწყვილებული სვეტი თავისი სადა კაპიტელით ერთ ქვაშია გამოკვეთილი (სურ. 68, ნახ. I, 69).

სვეტები ცილინდრული ფორმისაა, რომელთა

¹ აღნიშნული სვეტის თავი შემთხვევით იპოვა 1957 წ. სოფ. ქოთოქლის სკოლის ისტორიის მასწავლებელმა სიმონ ჭიტიაშვილმა.

1958 წ. მან უღრნალ „დროის“ მე-8 ნომერში გამოაქვეყნა წერილი „ახის ისტორიული ძეგლები“, რომელშიაც მოთავსებულია აგრეთვე ქ. კარბისის მიერ გადაღებული ლექართისა და პეტრეხის ძეგლების სურათი ასახულობს ფორტოსურათებთან ერთად ზემოხსენებული კაპიტელიანი შეწყვილებული სვეტის ფორტოსურათი.

დიამეტრი 23 სმ უდრის, ხოლო ქვის ბლოკის სიმაღლე, კაპიტელის ჩათვლით 113 სმ აღწევს;

კაპიტელის სიმაღლე 39 სანტიმეტრია, განი 52 სმ. უდრის, მისი წინახედი ძირთან ორი მოსახლეურ ნახევარი წრეხაზული მოყვანილობითაა დაბოლოებული, გვერდებიც ასევე ნახევარ წრეხაზულადაა ამოკვეთილი, რელიეფის სიმაღლე წინიდან ერთი სანტიმეტრია, ხოლო გვერდისა უფრო მაღლაა ამოწეული და ოთხ სანტიმეტრამდე აღწევს; კაპიტელის ზემოხსენებულ სიბრტყეებს არავითარი სხვა სახის რაიმე მხატვრული დამუშავება არ გააჩნია. იგი მხოლოდ მასებში გამოსახული თავისი მარტივი ფორმითა და პროპორციებით არჩაუღალ გამოიყურება.

აღსანიშნავია, რომ ამ დეკორაციული მორთულობის ზედამიზნე ამოკვეთილია ორი ხაზოვანი ნიშანი, რომელიც კაპიტელის ფუძიდან ქვემოთ ოცი სანტიმეტრის დაშორებითაა შარკვენა მხარეზე მოთავსებული (სურ. 68, 69).

თუ რა დანაშნულებისაა ეს ხაზოვანი ნიშნები ჯერჯერობით ამოუცნობია.

უპირველეს ყოვლისა, გათვალისწინებული უნდა იქნას ორი შემთხვევა: პირველი — იგი შეიძლება იყოს სამშენებლო ნიშანი ე. წ. „ქვის მთლელთა ნიშანი“, რომელიც საერთოდ ძველი დროის სამშენებლო ტექნიკისათვის დამახასიათებელია და აღრინდელ ძეგლებში თითქმის ყველგან გვხვდება საქართველოში²; მეორე — საფიქრებელია, რომ იგი ანბანის ასოებია, ქარაგმებითაა ერთმანეთთან დაკავშირებული.

ამ ასოების ანალოგიური ნიშნები გვხვდება ალბანურ (პერულ) დამწერლობაში, რომლის ნიმუშები საქართველოში კარგა ხანია მიკვლეულია. „მიკვლევარები ფიქრობენ, რომ ალბანური უნდა ყოფილიყო მოკლე უცნობი წარწერები, რომელთაც პოულობდნენ აღმოსავლეთ კავკასიაში (მაგ. ქ. დარუბანდსა და ნინოწმინდაში, გარეკახეთში), მაგრამ მათი ამომიფერა შეუძლებელი გახდა მცირე პოულობის გამო“³.

ნინოწმინდის ტაძრის (საგარეჯოს რაიონი) უცნობი წარწერა, რომელიც ჩრდილო-აღმოსავლეთის ფასადზე სტილიზებული ყვავილოვანი ორნამენტებით შემკულ ქვაზეა ამოკვეთილი, ქარაგმიანი დამწერლობის უძველეს ნიმუშს წარმოადგენს⁴ (სურ. 48).

² ლ. რ ჩ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, ქართული ხუროთმოძღვრების სამი უცნობი ძეგლი, 1948, გვ. 33—34.

³ А. Ш а н и д з е. Новоткрытый алфавит Кавказских албанцев и его значение для науки. Тб., 1938, стр. 63 (отдельный оттиск из Известий института языка, истории и материальной культуры им. акад. Марра, груз. филиала Академии наук СССР, т. IV).

⁴ ზემოხსენებულ წარწერიანი ქვა ამჟამად საგრძნობლად დაზიანებულია.

ნინოწმიდის ტაძრის ზემოხსენებული უცნობი წარწერა, ამოცნობილ და გამოფრულ იქნა ქართველი მეცნიერის ა. შანიძის მიერ. წარწერა წარმოადგენს ქრისტესადმი ვედრებას, რომელიც შემდგომად იკითხება: „ქე შე სტეფე არქ მ (ქრისტე შეიწყალე სტეფანე არქეპისკოპოსი)“.¹

მომზადილი ცნობები და დაწერილობის ნიმუშები საშუალებას გვაძლევს ლექსების წმ. ნინოს ტაძრის წარწერა ნინოწმიდის ტაძრის გაშიფრულ წარწერას შევადაროთ (სურ. 68, შდრ. სურ. 48).

შედარება გვიჩვენებს, რომ ლექსათისა და ნინოწმიდის საწყისი მთავრული ასოები პალეოგრაფიული მონაცემის მიხედვით (ასოების მოყვანილობა და მათი ფორმის სტრუქტურა) ერთმანეთის ანალოგას წარმოადგენენ. როგორც ირკვევა, შინაარსის მნიშვნელობითაც ერთნაირია და ისინი ერთნაირი მნიშვნელობით იკითხება „ქ“ (ქანი). ხოლო ლექსათის ტაძრის სვეტზე ამოკვეთილი მეორე ასოს მოყვანილობის ანალოგიური ასოს ნიშანი ამოკვეთილია ნინოწმიდის ტაძრის დაწერილობაში, რომელიც პირველი სტრიქონის ბოლოდან მეორეა, მაგრამ იგი საწინააღმდეგო მხარეზეა შებრუნებული. ამიტომ მას ჩვენ ქართულ ასომთავრულს ოდნავ სახეშეცვლილ „ქ“ (ენს) უფრო ვამსგავსებთ, რომელიც პირველ ასოსთან ერთად უნდა იკითხებოდეს „ქე“ — ქრისტე? (სურ. 69, შდრ. სურ. 48).

აქვე უნდა დავძინოთ, რომ ანალოგიური ხასიათის უცნობი წარწერები გვხვდება აგრეთვე ზოგიერთი ხალხური ძეგლის კედლებზედაც, სადაც პირველი მთავრული ასო, როგორც ქარაგმული დამწერლობის გასაღები, აქაც „ქ“-ქანით იწყება (სურ. 47).

საქიროა ფიცოდეთ, რა ფუნქციას ასრულებდა ლექსათის წმ. ნინოს მრგვალი ტაძრის განხილული კაპიტელიანი შეწყვილებული სვეტი, როგორც მორთულობა მის ხუროთმოძღვრულ სივრცობრივ კომპოზიციაში.

ზემოხსენებული კაპიტელიანი სვეტის ქვის ბლოკის გაბრტყელებული ზურგი გვიკარნახებს გამოთქვით მოხაზვება, რომ ის ტაძრის მრგვალი მოხაზულობის კედლის გარეთა ზედაპირზე უნდა ყოფილიყო ოდნავ გამოწვევით ჩაშენებული. სახელდობრ, იგი ზედა იარუსებისა და გუმბა-

თის ყელის კედლის დეკორაციულ სვეტს წარმოადგენდა, მისი ანალოგიური სვეტების მწყობრივ, როგორც პილასტრები, კაპიტელის ზემოდან ნახევარწრეხაზული დეკორაციული თაღებით უნდა ყოფილიყო ერთმანეთთან დაკავშირებული.

ლექსათის ტაძრის კედლის ნანგრევების მეორე იარუსზე ინტერიერში შემორჩენილია აგრეთვე მცირე ზომის ცილინდრული ფორმის თლილი ქვის პილასტრები, რომლებიც რიტმულადაა მრგვალი მოყვანილობის კედლის ზედაპირზე ირგვლივ განლაგებული (სურ. 65).

თუ როგორც იყო პილასტრები ზემოდან დაბოლოებული ან ერთმანეთთან დაკავშირებული, ამის დადგენა ჭარბობით ძალზე ძნელია. როგორც მითითებული ფოტოსურათიდან ჩანს, აღნიშნული პილასტრები ცილინდრული კედლის ზედაპირს ანაწევრებენ სექციებად და მონუმენტური დეკორაციული ჩარჩოების შთაბეჭდილებას ქმნიან.

საფიქრებელია, რომ ამგვარ ჩარჩოებში მოქცეული შიდა სივრცის კედლის სიბრტყეები კედლის მხატვრობისათვის უნდა ყოფილიყო გაკეთებული, რომელთა კვალი კედლის ნალესის ჩამოცილების გამო არსად ჩანს. ლექსათის წმ. ნინოს მრგვალი ტაძრის ნანგრევებში ჭარბობით არ არის აღმოჩენილი ხუროთმოძღვრული მორთულობის რაიმე სხვა ელემენტები ან სამკაულები. ამ თვალსაზრისით იგი ძალზე ჩამორჩება მისი მონათესავე ძეგლების (ბანა) ორნამენტულ-დეკორაციულ გადაწყვეტას.³

შეიძლება ითქვას, რომ ეს ძეგლი უკან იხევს აგრეთვე ქრონოლოგიურად. ბანას ტაძართან შედარებით, მისი სამშენებლო ტექნიკა რაღვენდამე არაქულად გამოიყურება და მრავალი საყურადღებო განმასხვავებელი ნიშნით ხასიათდება. ეს არაქულობა ჩამორჩენილობით კი არ არის გამოწვეული, არამედ იმით, რომ ქრონოლოგიურად წინ უსწრებს ბანას მშენებლობას, რის გამოც ლექსათის მრგვალი ტაძრის სამშენებლო ტექნიკა და ხუროთმოძღვრული მორთულობის მოტივებიც ადრინდელი ეპოქის დამახასიათებელ იერს ატარებს. ამიტომ მას, როგორც ცნობილია, უკვლავ უძველესი იდენტური ძეგლის — სირიის ე. წ. ბოსრეს ტაძრის (512 წ.) მშენებლობის ხანას აკუთვნებენ და ბანას ტაძრის წინამორბედ ძეგლად თვლიან.⁴


ლექსათის „მრგვალი ტაძრის“ უძველესი ხუ-

¹ ა. შანიძე, დასახ. ნაშრ. გვ. 54.

² 80—90 წელს გადაცილებულ მოხუცთა გადმოცემით, მათ კიდევ წინაპრებისაგან აქეთ გაგონილი, რომ ასეთი „ნაყიშანი ბისტები“ (სვეტები) აქ რამდენიმე ყოფილა, მაგრამ შემდეგ თანდათანობით დაკარგულა; უკვირო, აქს ერთი ამდენი ხანი, როგორ გადარჩაო“.

³ ა. აღამია, ძველი პერეთის ხუროთმოძღვრული ძეგლები, თბილისი, 1969, „ძეგლის მეგობარი“, კრებული 19, გვ. 51.

⁴ Таким образом, не лишено основания предположение о возможности трактовать Лекиту как один из памятников Кавказа предшествующих Звартнолу в формировании этого типа зданий (П. Д. Барановский, დასახ. ნაშრ. გვ. 33.



სურ. 70. დოლის ყანა (სამხრეთ საქართველო);
შეწყვილებული სვეტის კაპიტელი.

როთმოდღერული მორთულობის სიმცირე რა თქმა უნდა ძეგლის დამაჯერებელი დათარიღების საშუალებას ვერ იძლევა.

ლექართის ტაძრის ზემოხსენებული კაპიტელიანი შეწყვილებული სვეტის კომპოზიციას ქართულ მონუმენტურ ძეგლებში საინტერესო პარალელები ეძებნება. ქართული მონუმენტური ხუროთმოძღვრებისადმი მიძღვნილი ლიტერატურა იკნობს მრავალ ასეთ იდენტური კომპოზიციის მქონე შეტყუებულ დეკორაციულ სვეტებს, ანალოგიური ფორმის კაპიტელებით.

ლექართის ზემოხსენებული სვეტის ფორმებს ვხვდებით, როგორც უძველესი, ასევე გვიანი პერიოდის ქართული არქიტექტურის ისეთ ძეგლებში, როგორცაა — ხახლის (X ს), ალავერდის (XI ს), დოლისყანის (XIV—XVII სს), ზარზმის (XIV ს) და სხვა ტაძრებსა და ხალხურ ძეგლებში.

მათ შორის განსაკუთრებით გამოირჩევა ზარზმისა და დოლისყანის ტაძართა დეკორაციული

სვეტების მოცულობითი ფორმებისა და მოტივების აშკარა სიახლოვე ლექართის დეკორაციული კედლის სვეტთან, რაც ქართული ხუროთმოძღვრულ-მხატვრული კულტურის მკვიდრო ნათესაური კავშირით უნდა აიხსნას (სურ. 68, I, შდრ. II).

ლექართის წმ. ნინოს მრგვალი ტაძრის მშენებლობის პერიოდს ზარზმის ტაძრის აგებამდე დაახლოებით ხუთი საუკუნე აშორებს, მაგრამ მიუხედავად ამისა, ლექართის სადა კაპიტელიანი დეკორაციული შეწყვილებული კედლის სვეტის საერთო კომპოზიციას ქართულ ხუროთმოძღვრებაში არ დაუკარგავს თავისი მხატვრული ღირებულება. მის ხუროთმოძღვრულ უმარტივეს მოცულობით ფორმას, როგორც ჩანს, არ განუცდია კედლის პროცესი, იგი თითქმის ხუთი საუკუნის შემდეგაც განახლებულ მდგომარეობაში შეორდება ზარზმის ტაძრის კარიბჭის კედლებზე¹.

განხილული კედლის სვეტის დაუმუშავებელი სადა ზედპირები მომდევნო ეპოქებში თანდათანობით განვითარებას განიცდის — აღწევს მხატვრული დამუშავების სრულყოფას. ქვაზე კვეთილი სტილიზებული სხვადასხვა მოტივის სახით.

ლექართის წმ. ნინოს მრგვალი ტაძრის კედლის სვეტის განხილული შედარებით ანალიზმა გვიჩვენა, რომ ეს ელემენტი არ დარჩენილა მართლ ლექართის ტაძრის არქიტექტურული მორთულობის კუთვნილებად; მისი ხუროთმოძღვრული განვითარების დასრულებული სახე, ქართული დეკორაციული ხელოვნების შევრცელამდე აყვანილი და საუკუნეების მანძილზე უცვლელად მეორდება ქართული მონუმენტური არქიტექტურის თვალსაჩინო ძეგლებში.

საინტერესოა, რომ ლექართის ტაძრის კაპიტელის ანალოგიური ფორმა გამოყენებულია აგრეთვე დოლისყანის² გუმბათიანი ტაძრის მორთულობის ერთ-ერთ საუკეთესო სამაულებ³ (სურ. 68, 69. შდრ. სურ 70).

აღნიშნული სვეტის ფორმა დადასტურებულია ქართული ხალხური ხუროთმოძღვრების საგანძურშიაც. მისი იდენტური მოცულობითი ფორმები დღემდე შემორჩა დასავლეთ საქართველოს ძველი ხალხური საცხოვრებელი ოდა-სახლების ღია დერეფნების ხის სვეტების დამუშავებას, (სურ. 71)⁴.

¹ ვ. ბერიძე, სამცხის ხუროთმოძღვრება, თბ., 1955, 23-98.

² დოლისყანა — ამჟამად ისტორიული საქართველოს თურქეთის მიერ მიტაცებულ საზღვრებში მდებარეობს.

³ Н. М а р р, Дневник поездки в Шавшетию, С.-Петербург, 1911.

⁴ М. Г а р а к а н и д з е, Грузинское деревянное зодчество, Москва, 1959.

ასევე ანალოგიური მავალითები ფიქსირებული გვაქვს კახეთისა და საინგილოს ტერიტორიაზე (სურ. 68, 69, შდრ. ტაბ. 37, სურ. 71, ნახ. ა, ბ).


ჩვენი აზრით, ქართულ მონუმენტურ არქიტექტურაში ზემოხსენებული კაბიტელის უმარტივესი ტიპური ფორმები, როგორც ეროვნული ხუროთმოძღვრული მემკვიდრეობის უძველესი ელემენტი, ხალხური ხუროთმოძღვრული შემოქმედების სავანტურიდან უნდა იყოს გადატანილი.

ლექართის წმ. ნინოს მრგვალი ტაძარში ამ სვეტის გარდა სხვა ნაწილები ჭერჭერობით არ არის აღმოჩენილი, მაგრამ კედლის სვეტის ბაზისის ხუროთმოძღვრული ფორმის წარმოსახვითი აღდგენა (ვიდრე არქეოლოგია აღმოაჩენდეს ადგილზე მას) მაინც შესაძლებლად მიგვაჩნია სხვა ძეგლებში არსებული დეკორატიული კედლის სვეტების ანალოგიურად, ამ თვალსაზრისით ცალკე უნდა გამოეყოთ ზარზმის ტაძრის კედლის სვეტი, რადგანაც მასთან ვხედავთ ყველაზე ახლო და აშკარა ნათესაურ კავშირს¹. კაბიტელების მსგავსება უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ მათ ბაზისებიც ერთნაირი ჰქონდათ.

ლექართის წმ. ნინოს „მრგვალი ტაძრის“ ზემოხსენებული კედლის სვეტი შემუსრული ტაძრის საერთო ფონზე ჭერჭერობით ერთადერთ დასაყრდენ ხუროთმოძღვრულ ელემენტს წარმოადგენს.



ბ



სურ. 71. ხის სვეტის კაბიტელი (ა) დასავლეთ საქართველოდან, ხის სვეტის კაბიტელი, (ბ) საინგილოდან.

ყუმის ბაზილიკა

სოფელ ლექართის ჩრდილო-აღმოსავლეთით, დაახლოებით რვა კილომეტრის დაშორებით მდებარეობს ძველი ქართული სოფელი ყუმი, (ჯახის რ.), სადაც უმეტესად ჭანაშვილები ცხოვრობდნენ, მაგრამ შამაბასის შემოსევის შემდეგ მათი „...ხსენებაც ამოვარდნილა“²; ამჟამად აქ წახუროიდან ჩამოსახლებული ლეკები მოსახლეობენ.

ყუმი ტყის დაბურული ხეობის ერთ-ერთი ტიპური სოფელია, ძველად აქ ქართულ მოსახლეობას სამი საყდარი ჰქონია, რომელთა ნანგრევებმა ჩვენ დრომდე მოაღწია. ერთ-ერთი მათგანი, ყველაზე დიდი ტაძარი ე. წ. „ყუმის ბაზილიკა“, შედარებით კარგად დაცული, მოთავსებულია სოფ-


ლის ცენტრში. იგი მდებარეობს მთის პატარა მდინარე ყუმისწყლის მარცხენა ნაპირზე დღევანდელი სახერხი ქარხნის ზემოთ — დაახლოებით 40 მეტრის დაშორებით; დანარჩენი ორი ძველი მცირე ზომის ეკლესიებს წარმოადგენენ, რომელთა ნანგრევების ნაშთები საღლისოლ არავითარ ინტერესს არ იწვევს.

ყუმის საყდარი საქარველოს პატრიარქის ეკლესიის ისტორიულ მოგზაურობაში იხსენიება, აქ ნათქვამია, რომ ყუმის საყდარი „ლეთისმშობლის“ სახელზე ყოფილა აგებული.

ინგილოები ყუმის საყდარს „ყუმის დედალეთისას“ ეძახიან, ისტორიული ჰერეთის მკვლევარი დ. ჭანაშვილიც ყუმის საყდარს, „მარიამ დედალეთისას“ ეკლესიის სახელით იხსენიებს³.

¹ ვ. ბერიძე, სამცხის ხუროთმოძღვრება. თბ., 1955, გვ. 98, იხ. სურ. 30
² ზ. ელიო, საინგილო, თბ., 1947, გვ. 159.

³ დ. მ. ჭანაშვილი, ისტორიული და გეოგრაფიული აღწერა ჰერეთისა, ყურნ. მოგზაური. 1901, XII.



სურ. 72. სოფ. ყუმის. ღვთისმშობლის ტაძრის (ბაზილიკის) გეგმა.

სოფ. ყუმის ე. წ. ღვთისმშობლის ტაძრის¹ შესახებ პირველი ცნობები სამეცნიერო ლიტერატურაში ა. ხახანაშვილმა გამოაქვეყნა 1895 წ. (იხ. ექსპედიციის შედეგები).

აღნიშნული ძეგლის მეცნიერულ შესწავლას ხელი მოჰქიდა არქიტექტორმა პ. დ. ბარანოვსკიმ, რომელმაც პირველად აწარმოვა ყუმის ტაძრის არქეოლოგიური გათხრები 1939 წ., როგორც თვითონ იაიათოვსკი აღნიშნავს, მას მთლიანად არ დაუმთავრებია ძეგლის გამოკვლევა და გამოთქმული აქვს მოსაზრება, რომ ძეგლი დამატებით შესწავლა-გამოკვლევას საჭიროებს².

ყუმის „ღვთისმშობლის“ ტაძარი სამხრეთიან ბაზილიკას წარმოადგენს და გეგმის კომპოზიციითა და ხუროთმოძღვრულ-სივრცითი ფორმით ბოლნისისა და ვაზისუბნის ტაძრებს ენათესავება; შეიძლება ითქვას, რომ გეგმა ტაძრისა ზემოხსენებულ ძეგლების გეგმის კომპოზიციის განმეორებას წარმოადგენს (სურ. 72).

¹ А. Х а х а н о в, დასახ. ნაშრ., გვ. 35.

² П. Д. Барановский, დასახ. ნაშრ., გვ. 29.

³ იქვე, გვ. 30.

რუსული არქიტექტურის დიდ სპეციალისტს პ. ბარანოვსკის ხაზგასმით აქვს აღნიშნული, რომ ყუმის ბაზილიკის გეგმის გადაწყვეტის ხერხი ზემოხსენებულ ძეგლს მკვიდროდ აკავშირებს საქართველოსა და სომხეთის ყველაზე უდიდეს ადრინდელ ბაზილიკებთან (ბოლნისი, 478—494 წწ. ურიათუბანი (ვაზისუბანი) და ხაშში — VI ს. დასაწყისი ერეფური და ტეკორი, V—IV სს და სხვა)³...

ყუმის ბაზილიკის სივრცე ორრიგად მდგარი სვეტების საშუალებით დაყოფილია სამ ნაგად, რომელთა პირდაპირ, აღმოსავლეთისა და დასავლეთის ვანივ კედლებთან აღმართულია შემხვედრი პილონები. ხსენებულ სვეტებზე და პილონებზე დაყრდნობილია ნალისებრი ფორმის დიდი თაღები (სურ. 73, 75).

ნალისებური თაღები ერთ-ერთ გავრცელებულ ფორმადა აღიარებული განსაკუთრებით კახეთის არქიტექტურაში და ადრინდელი ბაზილიკების — ბოლნისის, წყაროსთავის, ანჩისხატის, ურზნისის, ხაშმის და ურიათუბნის (ვაზისუბნის) განუყოფელ კუთვნილებას წარმოადგენს.

პ. ბარანოვსკიმ ყურადღება მიაქცია ნაგებობის ცენტრალური ნაწილის, (ნავის) დაბოლოებას ძლიერ გამოჩეული აფსიდით. ეს ხერხი, — განმარტავს იგი — არქაულია და გვხვდება, მხოლოდ ერთ, ყველაზე ადრინდელ — ბოლნისის სიონში V საუკუნის მიწურულში⁴.

ამ შრომაში ძეგლის ვრცელი და ღრმა ანალიზის დიდი ნაწილი ადრინდელი ქართული ბაზილიკებისა და ყუმის ბაზილიკის იდენტიფიკაციის საკითხებს ეთმობა. ავტორის მიზანია დაამტკიცოს რომ ყუმის ბაზილიკა როგორც ხუროთმოძღვრულ-კონსტრუქციული, ისე სამშენებლო ტექნიკის თვალსაზრისით იდენტურ ნაგებობას წარმოადგენს ბოლნისის, ურიათუბნის (ვაზისუბნის) და სხვა ქართული ბაზილიკებისა.

1964 წ. არქიტექტორ პ. ბარანოვსკის მიწვევით აკადემიკოსმა გ. ჩუბინაშვილმა ადგოლზე შესწავლა ყუმის ღვთისმშობლის ტაძარი. ამის შედეგად მან კახეთის ბაზილიკებს კიდევ ერთი საყურადღებო ძეგლი დაუმატა ყუმის ბაზილიკის სახით⁵.

⁴ П. Д. Барановский, დასახ. ნაშრ. გვ. 31.

Простая монументальная архитектура Кумского храма, свойственная базиликальным постройкам и особенно памятникам северо-восточного Кавказа, в сочетании с парадным и живописным мотивом галерей, чисткость и совершенная законченность плана, рациональное использование дающих хороший красочный эффект местных материалов, родство с самыми разными зданиями Кавказа V—VI веков, позволяющее отнести сооружение базилики сел. Кум к VI веку.

⁵ Г. Ч у б и н а ш в и л и, Архитектура Кахетии, Тб., 1959, стр. 130—131.


გ. ჩუბინაშვილის გაშუქებული აქვს პ. ბარანოვსკის ნაშრომის ინტერპრეტაცია ყუმის ბაზილიკასთან დაკავშირებით, იქვე გამოსთქვაჰს ყურადსაღებ კრიტიკულ შენიშვნებს, იძლევა ყუმის ბაზილიკის მოკლე ანალიზს და სხვ.

პ. ბარანოვსკის ნაშრომიდან დეაქლმოსილი მეცნიერი ხაზგასმით გამოჰყოფს ყუმის ტაძრის დათარიღების საკითხს. მისი აზრით, ყუმის ბაზილიკის თარიღის დადგენა ძალზე გართულებულია. ისეთი სამშენებლო ელემენტების გამოყენება, როგორცაა ნალისებრი თაღები, ასევე რიყის ქვისა და აგურის ერთობლივი გამოყენების ტრადიცია კედლის წყობაში და სხვა მორტივები ძეგლის დათარიღებისათვის, რომელსაც პ. ბარანოვსკი ეყრდნობა, არაა საკმარისი. ქართული მეცნიერი იქვე დასძენს, რომ ყუმის ბაზილიკის ფორმა, გეგმის კომპოზიცია, ტრომპების გამოყენება და ლეკალური მოხაზულობის აგურისაგან ბურჯების ამოყვანა თავისთავად არ ეწინააღმდეგება ყუმის ტაძრის VI—VII საუკუნეებით დათარიღებას.

აღსანიშნავია, აგრეთვე ზ. ედილის ცნობები ამ ტაძრის შესახებ იმ თვალსაზრისით, რომ იგი გადმოგვცემს ძეგლის იმეამინდელ მდგომარეობას. სამშენებლო ელემენტების დახასიათებას და სხვ.

ყუმის ტაძრის „გეგმა ბაზილიკას წარმოადგენს, — წერს ზ. ედილი, აგებულია რიყის დიდი ქვებისაგან და ძველებური ქართული აგურისაგან. სიგრძით 30 მეტრია, სიგანით — 18, ხოლო საკურთხეველი კიდეც სამი მეტრით წინ არის წაწეული... ეკლესიას არ ეტყობა ამჟამად თუ შიგნიდან გალესილი ყოფილა ან თუ რაჲე კედლის მხატვრობა ჰქონია, რადგან დიდი თაღი კარგა ხანია ჩამონგრევიდა და წვიმისა და თქემს ყოველივე ჩამოურეცხია“¹ (სურ. 73, 75).

საინგილოს შესახებ არსებულ ლიტერატურაში დაცულია სხვა მნიშვნელოვანი ტექსტობრივი მასალაც ამ ტაძრის შესახებ. ერთ მათგანში მოცემულია ძეგლის ნანგრევების სამოცდაათი წლის წინანდელი აღწერა; ყუმის ტაძარს „სამი კარი აქვს, დიდრონი, თბილისის სიონის ეკლესიის კარებსავეთ, აგებული ყოფილა ანჩისხატის ეკლესიასავით. სამი თაღი აქვს და სამივე ორს დიდროვან აგურისაგან აშენებულ სვეტებზეა დამყარებული... თაღი სრულიად ჩამონგრეული აქვს. ნაშენია რიყის დიდ-



სურ. 73. სოფ. ყუმი. ღვთისმშობლის ტაძრის ინტერიერის ნანგრევთა საერთო ხედი ჩრდილოეთით.

როვანი ქვით, ჩაქუჩით შესწორებულევით, ეტყობა ადგილობრივ ოსტატებს აუშენებიათ. ასრე სთლიან დიდროვან ქვებს რიყისას ახლაც და შენობას აგებენ აქაურები. აგებულია მშვენივრად. თაღამდე სიმაღლე ჰქონია სამ საყენამდე. რითი ყოფილა დახურული არ ეტყობა. თაღის ნანგრევები ლეკებს გადაუზიდავთ შენობებისათვის“².

საგულისხმოა, რომ ხსენებული ძეგლის ქვის კედლის მშენებლობის ანალოგიურ ტექნიკას დღესაც იმეორებს ხალხური მშენებელი და სცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობებს იმავე წესით აშენებს. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ძეგლის ნგრევა, ნანგრევი ქვების დატაცება და საშენად გამოყენება ახლაც გრძელდება.


ყუმის ტაძარი, VI—VII სს. ქართული მონუმენტური არქიტექტურის ერთ-ერთი შესანიშნავი ძეგლი, მოკლებულია დაცვა-პატრონობას. მართა-

¹ ზ. ედილი, საინგილო, თბილისი, 1947, გვ. 160.

² დ. ჯანაშვილი, ისტორიული და გეოგრაფიული აღწერა პერეთისა, ეურნ. მოგზაური, 1901, № XII, გვ. 380.



სურ. 74. ყუმის ტაძრის ქვის კედლის წვობა და მემორიალური წარწერა



სურ. 75. ყუმის ბაზილიკის ინტერიერის ნალისებრი თაღი

ლია, ძეგლს აქვს მემორიალური დაფა, მაგრამ იქ არაფერია ნათქვამი ძეგლის თარიღის შესახებ, საკულტო არქიტექტურის ეს შესანიშნავი ძეგლი, რაშიც ეკვი არავის ეპარება, ალასირთის ციხედაა მონათლული (სურ. 74).

შიუხედავად იმისა, რომ ყუმის ტაძრის არქეოლოგიური გათხრები 1939 წელს თვით აზერბაიჯანის ძეგლთა დაცვის ცენტრალურ სამმართველოს (Азцуоп) ინიციატივით ჩატარდა,¹ აღნიშნული არქეოლოგიური გათხრების შედეგად შედგენილ იქნა ძეგლის რესტავრაციის პროექტი, მის ისტორიულ წარსულს მრავალი საინტერესო ნაშრომი მიეძღვნა.

¹ «Произведенные... центральным управлением охраны памятников (Азцуоп) раскопки дали возможность уточнить архитектурные памятники и составить проект реставрации» (П. Д. Барановский, დასახ. ნაშრ., გვ. 29).

ქურმუხის წმინდა გიორგის ტაძარი მდებარეობს რაიონული ცენტრის (ჯახის) სამხრეთ-აღმოსავლეთით, მისგან ორი კილომეტრის დაშორებით, ქურმუხის ხეობაში.

ტაძრისაკენ მიმავალი მგზავრი ჭერ ქურმუხის ხევისაკენ მიმავალ გზას უნდა ვაკვირდეთ, რომელიც პირდაპირ მიადგება მდ. ქურმუხზე გადებული ლიონის ხიდს, აქ ორი ავტომანქანა ერთმანეთს გვერდს ვერ აუცილებს. აქედან გზა მდ. ქურმუხის მარცხენა ნაპირზე მთის კალთებზე გადის, რამდენიმე წუთით და ქ. ნუხისაკენ მიმავალი გზის მარცხენა მხარეზე მგზავრის წინაშე მოულოდნელად გადაიშლება დიდებული სანახაობა ბრწყინვალე ძეგლისა.

ტაძრის ადგილი შესანიშნავადაა შერჩეული. ნაგებობის მოცულობა დიდი გემოვნებითაა შეხამებული ლანდშაფტთან.

ტაძარი წარმოადგენს ნაგებობისა და პეიზაჟის ურთიერთშერწყმის განუმეორებელ ნიმუშს. ტაძარი ამ ანსამბლში დომინირებულ ფორმად გვევლინება და მასზე იპყრობს მნახველის ყურადღებას. იგი ამყავდ გადმოჰყურებს მთელს არემარეს (სურ. 76).

ისტორიული წყაროებიდან ცნობილია, რომ ქურმუხის ტაძარი მრავალჯერ ყოფილა აოხრებული და დანგრეული მტრების მიერ, მაგრამ ქართველ ხალხს მრავალჯერვე აღუდგენია იგი.

ქურმუხის ტაძარი დანგრეული ყოფილა ჭერ კიდეც 1884 წლამდე. როგორც ირკვევა, უკანასკნელად იგი დაახლოებით 75 წლის წინათ აღუდგენიათ. ამის თაობაზე ისტორიამ საინტერესო ცნობები შემოგვიწვინა. ამ ცნობების მიხედვით „ახლანდელი ეკლესია აღდგენილია და დასრულებული 1894 წელს. მასალა და ნახევარი ფული ხალხმა მისცა ასაშენებლად, ნახევარი ქრისტიანობის აღმდგენელმა საზოგადოებამ. შვედნიერი გუმბათოვანი ეკლესიაა. ხალხი დღესასწაულობს მის დღეობას 10 ნოემბერს“¹.

აღსანიშნავია, რომ ქურმუხის წმ. გიორგის ეკლესიას თაყვანს სცემდა არა მარტო ქრისტიანი და მაჰმადიანი ქართველობა, არამედ არაქართველი მუსლიმანური მოსახლეობაც. ისინი ამ ადგილს წმიდათა-წმიდად მიიჩნევენ².

¹ ი ნ გ ი ლო ქ ა ნ ა შ ე ი ლი, პერეთის აღწერა, უფრ. მოგზაური, 1902, № 5.

² «Один раз в год в ноябре месяце, сюда стекаются не только христиане, но и мусульманы которые также считают это место святым и вместе с христианами

1968 წლის 10 აპრილს, ღამით, ამ ძეგლის გუმბათი — კონსტრუქციის ფორმის მაღალი გუმბათი, სამწუხაროდ, ისე ჩამოინგრა მთლიანად, რომ ზედ არცერთი ელემენტი არ შეჩინებია (სურ. 77).

გუმბათის აღდგენაზე ზრუნვას ინგილოები იმთავითვე შეუდგნენ. როგორც ირკვევა, ისინი ჭერ თავიანთი სახსრებით აპირებდნენ წმინდა გიორგის ტაძრის გუმბათის აღდგენას, შემდეგ კი აზერბაიჯანის ძეგლთა დაცვის მესვეურებმა გუმბათი „თვითონ აღადგინეს“.

მართალია გუმბათის ყელში ამჟამად წყალი არ ჩადის, მაგრამ მასზე „მორგებულ“ ქოლგისებრი ფორმის ცემენტით ნაღესი სახურავი სრულიად შეუფერებელია ქართული გუმბათოვანი არქიტექტურის ძეგლისათვის (სურ. 78).

„აღდგენილი“ გუმბათი იმდენად დაბალია, რომ შორიდან იგი სრულიად არ იკითხება (არც ჰგავს პირვანდელს), რის გამოც ძეგლი ამჟამად შორიდან თავმორადვეულად (უგუმბათოდ), დასახიჩრებულად გამოიყურება (სურ. 79).

ქურმუხის წმ. გიორგის ტაძრის გუმბათი აღდგენილი უნდა იქნეს პირვანდელი პროპორციებითა და ფორმით. (სურ. 76).

წმ. გიორგის ქურმუხის ტაძარი აგებულია ე. წ. კანგარის — კანგარაკის³ მთის ტყით დაფარულ კლდოვან თხემზე, აქედან იშლება თვალწარმტაცი სანახაობა ალაზნისა და ქურმუხის ბარაქიანის ველ-მინდვრებისა და დაბურული ტყის მასივებისა.

აღსანიშნავია, რომ ადგილობრივი მაჰმადიანი და ქრისტიანი ქართველების გადმოცემით, ეს ტაძარი წმ. გიორგის სახელობის ძველი საყდრის ადგილზეა აგებული და სახელიც აქედან აქვს შემორ-

приписывают ему свейство творить чудеса...» (К. Никитин, Енисели, Кавказ, 1867, № 94, 11).

³ იხ. აგრეთვე ქურმუხის ტაძრის საერთო სახელობის ფოტოსურათი გუმბათის ჩამორგევამდე, შ. ა. კახიევის მიხედვით (М. А. Казиев, Памятники истории Азербайджана, Баку, 1956, стр. 35, кар. 42) აქვე უნდა დაქობილი რომ საინგილოს ქართული ძეგლების აღდგენითი სამუშაოების ჩატარება განხორციელებულ უნდა იქნეს, საქართველოს და აზერბაიჯანის რესპუბლიკების ძეგლთა დაცვის კომიტეტის ურთიერთ-შეთანხმებისა და ერთობლივი თანამშრომლობის გზით.

⁴ დ. ქ ა ნ ა შ ე ი ლი, ისტორიული და გეოგრაფიული აღწერა პერეთისა, უფრ. მოგზაური, 1902 № 3.



სურ. 76. ქუროშხის წმ. გიორგის საერთო ხელი გზიდან.

ჩენილი. როგორც ჩანს ამ ხალხური გადმოცემის ძირი შორეულ წარსულიდან მომდინარეობს.

წმ. გიორგის ძველი საყდარი აგებული ყოფილა ზუზარმაზარი სიდიდის ერთ მთლიან ლოდზე.

ამ რამდენიმე ათეული წლის წინათ ზ. ედილს დაუთვალე რეზია აღნიშნული ძველი საყდრის ნაშთები; როგორც ირკვევა, მაშინ კარგად ჩანდა ძველი ნაგებობის კონტურის კვალი, ამაზე მეტყველებს მის მიერ მოცემული ცნობები. ზ. ედილი აღნიშნავს, რომ ძველი საყდრის „...საძირკველი და კედლების ნანგრევები დღესაც მოჩანსო“¹. აშკარადაც გამოირჩევა დღეობაში ჩაკირული რამდენიმე დიდი ზომის ქვა, რომელთა შესაბამის ხალხური გადმოცემა რომ არ არსებობდეს, რა თქმა უნდა, ყურადღებას არაეინ მიაქცევდა.

ქუროშხის ტაძრის ხელოვნობაძველების შესახებ

სამეცნიერო ლიტერატურაში ხელშესახები მასალა არ მოიპოვება. ჯერჯერობით არც ერთ მკვლევარს არ უცდია ამ შესანიშნავი ძეგლის შესწავლა.

ქართულ მატრიანეში იგი ცნობილია, როგორც მამათა მონასტერი. XIII საუკუნის დასასრულსა და XIV საუკუნის დამდეგს ქუროშხის მონასტერს ჰყოლია საქართველოს კათალიკოსს დაჭვემდებარებულ² მთავარეპისკოპოსი, რომლის განმგებლობაში შედიოდა აგრეთვე მთიულეთისა და დაღესტნის (წახურის) ეკლესიები.

ქუროშხის ტაძრის გარშემო ტყით დაფარულ ტერასებზე, სამონასტრო ცხოვრებისათვის დამახასიათებელი შენობათა ნანგრევების ნაშთები შეინიშნება, მაგრამ ტყეს და ჯაგნარს ისე დაუფარავს ქვები, რომ მისგან გამოუსვთფთავების გარე-

¹ ზ. ე დ ი ლ ი, საინგილო, თბ., 1947, გვ. 164.

² მ. ქ ა ნ ა შ ე ი ლ ი, საქართველოს ისტორია. თბ., 1895, გვ. 315.

შე, ცხადია, რაიმეს თქმა მათ შესახებ შეუძლებელია.

ტაძრის გეგმა სწორკუთხედს წარმოადგენს (სურ. 80), მის გარე პერიმეტრზე კედლებს არავითარი ღრმა ჩაჭრები ან გამოწეული სივრცობრივი ფორმა არ გააჩნია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ სიმეტრიის ღერძების გასწვრივ (ოთხივე მხარეზე) ოდნავ წინ გამოწეულ კედლის სიბრტყეებს (10 სმ), რომლებიც სივრცეში ანაწევრებენ ტაძრის დაუმუშავებელ დიდ სიბრტყეებს.

სწორკუთხედის შიდა სივრცე სამი ნაწილისაგან შედგება; გეგმარების მოდულად აქ გამოყენებულია კვადრატი, რომლის გვერდები (კედლების სიბრტყეებს შორის) 3,5 მეტრს უდრის.

ტაძრის შუა ნაწილში ასეთი კვადრატისაგან შედგება და აღმოსავლეთით მთავრდება ნახევარწრიული მოხაზულობის საკურთხეველით.

შუა ნაწილს მარცხნივ და მარჯვნივ მდებარე სივრცეები კედლის სიბრტყიდან გრძივი კედლის ღერძამდე იგივე ზომის კვადრატის ნახევრებისაგანაა შედგენილი; შუა ნაწილში მოქცეულ კვადრატის კუთხეებში ერთიგად გამართულ ტრომპებზე (კვადრატში ჩახაზულ წრეხაზის თავზე) აყვანილია რვაწახნაგოვანი ყელი, რომელიც დაგვირგვინებულია კონუსური ფორმის გუმბათით (სურ. 80).

ქურმუხის ტაძარი აშენებულია კარგად გამოშვარი წითელი აგურისაგან, კირის დუღაბზე. კედლებში გამოყენებულია აგრეთვე „ტინისა“ და „სიპის“ ქვებიც; ფრონტონები და გუმბათის ყელი მთლიანად აგურისაა.

როგორც ირკვევა, აქ ძირითადი სამშენებლო ერთეული კვადრატის მოხაზულობის თხელი აგურია (ზომები 22×22 სმ, სისქე 4 სმ). ზუსტად ასეთი ფორმისა და ზომის აგური გამოყენებულია რამდენიმე საუკუნით დაშორებულ ძეგლებში, ლეჩართი (VI—VII სს.), ბახთალა (XVI ს), ჩინარლუ და სხვ.

ანალოგიური ყალიბის აგური, როგორც ძირითადი სამშენებლო ერთეული, ფართოდაა გავრცელებული საქართველოს სხვადასხვა მხარის მონუმენტური და ხალხური ძეგლების მშენებლობაში.


ქურმუხის ტაძრის გეგმას ზუსტი პარალელები ეძებნება კახეთის ტერიტორიაზე. ამ თვალსაზრისით უურადლებას იპყრობს კახეთის ჩრდილო-დასავლეთ მხარეს არსებული (ბოდა-




სურ. 77. ქურმუხის წმინდა ტაძრის საერთო ხედი გუმბათის ჩამონგრევის შემდეგ.




სურ. 78. ქურმუხის ტაძრის ახლად აღდგენილი გუმბათურა გადახურვის საერთო ხედი.




სურ. 79. ქურმუხის წმინდა გიორგის ტაძრის საერთო ხედი გუმბათის აღდგენის შემდეგ.



სურ. 80. ქურმუხის წმ. გიორგის ტაძრის გეგმა.



სურ. 81. ფუძნარის ღვთისმშობლის ტაძრის გეგმა (კახეთი)



სურ. 82. ზღვზითის საყდრის გეგმა (საინგილო)

ვის ხევი) სოფ. ფუძნარის ღვთისმშობლის ეკლესია, რომელიც კახეთის მონუმენტური არქიტექტურის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ძეგლად ითვლება (სურ. 81).

ფუძნარის ეკლესიის კომპოზიცია და შინაგანი სივრცე, მისი კონსტრუქციული სტრუქტურა ქურმუხის ტაძრის განმეორებას წარმოადგენს (სურ. 80. შტრ. სურ. 81).

ძნელია იმის დადგენა თუ რომელი ამ ძეგლთაგანია უფრო ძველი. აკადემიკოს გ. ჩუბინაშვილის აზრით, ფუძნარის მცირე გუმბათოვანი ტაძარი, გეგმის გადაწყვეტისა და შენობის მასების აგებუ-

ლებათა მიხედვით XII ს. ბოლოსა და XIII ს. დასაწყისში აგებულ ძეგლთა ჯგუფს მიეკუთვნება¹.

ძეგლის შედარებითი ანალიზი საფუძველს აძლევს მას ფუძნარის ღვთისმშობლის გუმბათოვანი ტაძარი XIII ს. პირველ ნახევარს მიაკუთვნოს².

ამ ორი ძეგლის ერთმანეთთან შედარება კი გვიჩვენებს, რომ ქურმუხის წმ. გიორგის ტაძარი მშენებლობის ტექნიკით დიდად არ უნდა განსხვავდებოდეს ფუძნარის ტაძრისაგან. ამიტომ ქურმუხის წმ. გიორგის ტაძარი შეიძლება XIII ს. დასასრულით და XVI ს. პირველ ნახევრით დათარიღდეს.

მცირე მოცულობის ეკლესიები

ქრისტიანული სარწმუნოების გავრცელებამდე საქართველოში გაბატონებული იყო წარმართული სარწმუნოება. ცხადია, ამ სარწმუნოებას ექნებოდა თავისი სამლოცველო შენობები ან კიდეც ამ რელიგიის მქადაგებელთა „წმიდა ტახტები“.

როგორც ირკვევა, ქრისტიანული სარწმუნოების გავრცელების ხანაში წარმართული დანიშნულების სამლოცველოები, „კერპები“ და „წმიდა ტახტები“ რეკონსტრუქციის განიცდიან, ან მათ ნანგრევებზე, ქრისტიანული სამლოცველოები შენდებოდა.

შატბერდის ხელნაწერებში მოხსენიებულია, რომ საქართველოში ქრისტიანული სარწმუნოების გავრცელების ხანაში ანგრევდნენ წარმართულ

საღვთო შენობებსა და მათ კერპებს; მოთხრობილია აგრეთვე მათ ნაცვლად ეკლესიათა „აღშენების“ შესახებ („... და დაღვწენს საყერპონი და აღაშენეს ეკლესიანი“³).

ქრისტიანულმა სარწმუნოებამ ზემოხსენებულ ტერმინის „წმიდა ტახტის“ ნაცვლად ახალი სახელწოდება შემოიტანა ე. წ. „საყდარი“. ამრიგად „ტახტი“ და „საყდარი“ ერთმანეთის სინონიმებად

¹ Г. Н. Чубинашвили. Архитектура Кахетии, 1959, стр. 424—426.

² იქვე, გვ. 426.

³ შატბერდის ხელნაწერი X ს. № 1141, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტი (ქრესტომათია, გვ. 221—222).

ინმარებოდა. სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით „საყდარი“ არის „ტახტი“, რომელიც შემდეგ საყრებულო ადგილსაც ეწოდებოდა და ამიტომ „საყდარი“ ეწოდა იმ ნაგებობასაც, რომელსაც დღევანდელი ვაგებით ეკლესიის ან ტაძრის სახელით ვიცნობთ. ამრიგად, ტერმინი „საყდარი“ შემდეგ „ეკლესიამ“ შეცვალა, რომელიც საბას განმარტებით „შესაყრებელს“ წარმოადგენს.

აღსანიშნავია, რომ ბელაქის რაიონის ჩრდილოეთით ტყით დაფარულ მაღალი მთის კალთებზე დღემდე შემორჩენილია უძველესი ნაგებობათა გაურკვეველი ნაშთები; ამ ადგილებს მოსახლეობა „წერეთელ თახთას“ უწოდებს, რაც „წერეთლიანთ ტახტს“ ნიშნავს.

ჩვენი აზრით, ეს სახელწოდება ცეცხლთაყვანისმცემლობის (მახდვიანობის) დროიდან მომდინარეობს და ჩვენ დრომდე შემორჩა ქართულ ხალხურ მემკვიდრეობას. მან დაკარგა აღრინდელი მნიშვნელობა და დღევანდელი იგავებით ნიშნავს არა ტახტს, არამედ ქრისტიანული საკულტო დანიშნულების ნაგებობას, რომელსაც „საყდარს“ ანუ „ეკლესიას“ ვუწოდებთ.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ წერეთლების გვართან დაკავშირებულია არა მარტო ისეთი სახელწოდებანი, როგორცაა „წერეთელ თახთა“ ანუ „წერეთლიანთ საყდარი“, არამედ კიდევ სხვა დანიშნულების ისეთი სახელწოდებანი, როგორცაა: „წერეთელ ორ“ ან კიდევ „წერეთლიანთ კარი“ და სხვ.¹ ეს უკანასკნელი, ჩვენი აზრით, გვარებად დასახლების უძველეს სისტემასთანაა დაკავშირებული და იმ უბნის არსებობაზე მიგვანიშნებს, სადაც წერეთლები მოსახლეობდნენ².

შაჰ-აბასის შემოსევაში (XVII ს. დასაწყისი) საქართველოში კულტურის ყველა დარგი ინტენსიურად ვითარდებოდა, მაგრამ შაჰ-აბასის შემოსევებში იგი ძალზე შეაფერხა. მან გაანადგურა ხუროთმოძღვრული და სხვა ძეგლების უმეტესი ნაწილი. ამით უნდა აიხსნას ის გარემოებაც, რომ მცირე მოცულობის ეკლესია-საყდარების ნანგრევთა ნაშთები და მათი კვალი საქართველოს არც ერთ

მხარეში ისე უხვად არ იძებნება, როგორც საინიგლოს ტერიტორიაზე. ეს განსაკუთრებით შეინიშნება მთის ზონის ტყით დაზურულ ადგილებში, რაც ამ ადგილების მკვიდრო დასახლებაზე მეტყველებს. ამ უბნების თითქმის „ყოველ ნაბიჯზე“ შეიძლება წააწყდეს კაცი ეკლესიებისა და უძველეს ნამოსახლარ ადგილო ნაშთებს.

მოუხუშენტურ არქიტექტურას, ცხადია, წინ უსწრებს მცირე მოცულობითი ფორმები, რისი ნათელი მაგალითიცაა, პატარა-პატარა ეკლესიებით მოფენილი საინვილოს ტერიტორია.

თითოეული ეკლესიის საყუთარი სახელწოდება ჰქონია, მაგრამ აქამდე მათი სახელების დადგენა ფრიად ძნელი საქმეა. ამის გარდა ხსენებული ეკლესიების მიეკვლევა და მათი მთელი სისრულით აღრიცხვაც თითქმის შეუძლებელია, რადგან უმეტესი ნაწილი ფიზიკურად განადგურებულია, ნაწილი კი ისეა დაცულების მანძილზე ჩაგნარითა და ტყით დაფარული, რომ გამოსუფთავების გარეშე მათი ფიქსირება ვერ ზერხდება.

ისეთი ბუნდოვანი გამონაკლისიც გვხვდება, როდესაც ზოგიერთი ეკლესიის სახელი არა თუ მოხსენიებულია წერილობით წყაროებში, არამედ მათი ადგილმდებარეობაც კი მითითებულია. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს ზემოხსენებული ლ. ა. მაღალაშვილის „ოთხთავის“ წარწერა (1310 წ.), რომელშიაც მოცემულია მცირე მოცულობის ეკლესიის სახელწოდებანი, როგორცაა: „ქასრი სამებისა...“, ზარს წმიდისა მთავარ მოწამისა გიორგისი, ვარდიანს-წმიდისა ჰაბოისი, ვახუშტს არჩილისი, გიშნუსს ღეთისმშობლისა, ვარდთაშენს ელისი, თა... სარანს ყოვლად წმიდის მოციქულის ბერკისი...“ და სხვ.

ასევე დიდად ინიშნეულიანია XIX საუკუნის დასასრულს დ. ჯანაშვილის მიერ შესწავლილი მცირე მოცულობის ეკლესიების სახელწოდებანი, როგორც ჩანს, იზნანად ზოგიერთი ეკლესიის სახელწოდება მიიფიქსირებული და დაკარგული ჯერ კიდევ არ ყოფილა.

დავიმოწმებთ. რამდენიმე ცნობას, რომლებიც წარმოადგენს გვაძლევენ XIX ს. მიწურულში მცირე მოცულობის ეკლესიების მდგომარეობაზე. ამ ბერიადისათვის ცნობილი იყო შემდეგი სახელწოდების ეკლესია-საყდარები: „მაღლის ეკლესია (ნურქილისა) დანგრეულია... სოფ. ვარდიანის ეკლესია, ...ყოველივე აობრებულა თვით ეკლესიაც სრულიად დანგრეულია... სოფ. ნამარნევის დასაუღეთით არის პატარა წყლის ეკლესია (10×7 არშ.)... ნამარნევიდან ერთი კილომეტრის მანძილზე არის

¹ გ. ჩ ა ნ გ ა შ ვ ი ლ ი, დაახ. ნაშრ., გვ. 37.

² როგორც ირველი, საჩხერის წერეთლები საინვილოდან (პეტროსიან) ყოფილან გადმოსახლებულნი, წერეთლების მიგრაცია იმერეთში XIV ს. მიწურულში მოხდა — თემურლენგის შემოსევის დროს. ამის შესახებ ქართულ წერილობით წყაროებში დაეუღა საინტერესო ცნობა, სადაც ვკითხულობთ, რომ „წერეთელნი“ ოდეს მოვიდა ლანგ თემური და აიძულა მუნებურთა გამაჰმადიანება, ამით დაუტოვეს ადგილი თავისი და მევიდნენ ჩერქესს და მუნდგან გადმოვიდნენ იმერეთს, მეფის ბაგრატის დროს 1395 წელს და მან მიიღო პატივით, მისცა სახერე და უწოდა თავადად და აწცა არიანი მუნქეაითგან აქამოდ“... ერერ. მოგზაური, № 6 7, 1901, გვ. 562.

³ შ. ჩ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორია, მეორე გამოცემა ზ. კვიციანის, თბილისი, 1895, გვ. 206.

მშვენიერი ეკლესია, მთლად აგურით ნაშენი (13X8 არშ) დახურულია, მას დაბაზის ეკლესია ეწოდება... ბელაქნის ახლოს არის ჭანდრის საყდარი — ლეკები უწოდებენ შიმშატ ქილისას... სოფ. ბაზართან (ბახთალა) არის ღვთისმშობლის ეკლესია, დანგრეულია, მისი ნანგრევებისაგან ლეკები სახლები აუჭიბა... სოფ. ზარნის თავში ერთ ალაგას, ერთად არის სამი ეკლესია, აქ მრავალი სენაკი დარღვეულია, სჩანს მონასტერი ყოფილა... სოფ. გულუფი შესანიშნავი ეკლესიებით, მის პირდაპირ მთაზე მშვენიერს მოეპყებულ ალაგას აგებული ყოფილა დიდი მშვენიერი ეკლესია თამარ მეფის სახელზე... სოფ. კახ-ინგილოში წმინდა ბარბარეს საყდარი, სრულიად მოსპობილია..., ლურჯი ეკლესია (დანგრეულია) პატარა ალავერდის ეკლესია სოფ. კაისპოლოს“... და სხვ.¹

ზოგიერთი ამ ძეგლთაგანი ახლა სრულიად აღგვილია პირისაგან მიწისა, მაგრამ ის ადგილები წმიდა ადგილად მიჩნეული და შენარჩუნებული აქვს ის სახელი, რაც ეკლესიას ჰქონია. ამის მაგალითს წარმოადგენს წმიდა ბარბარეს საყდარის სოფ. კახ-ინგილოში, სადაც აღარაა ნაგებობის არავითარი ნიშანწყალი. არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ძეგლის ნანგრევები შემორჩენილია, მაგრამ მისი სახელი წერილობით წყაროებსა და ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში აღარაა დარჩენილი.

მცირე მოცულობის ეკლესიები, როგორც პატარა ნაგებობები, მტერთა ურდოებისათვის ადვილად დასანგრევი და ასაოხრებელი იყო, ამიტომაც ისინი პირველი მსხვერპლნი ხდებოდნენ; მრავალჯერ დაანგრეული და აღდგენილი ასეთი მცირე ფორმის ძეგლები, როგორც ზემოთაღ აღვნიშნეთ, დღესაც საკმაოდ ბევრი შეიძლება მოიძებნოს საინგილოს ტერიტორიაზე.

ტყით მდიდარ ადგილებში (პერეთის ტერიტორიაზე) ეკლესიების უმეტესი ნაწილი პირველ ხანებში ხისგან უნდა ყოფილიყო აგებული, რადგანაც ზე აქ ადვილად დასაშუშებელი და კვლავზე ხელმისაწვდომ ადგილობრივ საშენ მასალად ითვლებოდა.

უძველეს ხის ეკლესიასა თუ ეკედერს ჩვენ დრომდე არ მოუღწევია, რადგან მტერთა შემოსევების შემთხვევაში განადგურების პირველ ობიექტებად ხის ეკლესიები ხდებოდა.

ქვეყნის აღორძინებისთანავე ცეცხლისაგან განადგურებულ ხის ეკლესიებს ტრადიციულად იმავე ნახანძრულ ადგილზე აგებდნენ ხოლმე. ხის ეკლესიები თანდათანობით ქვისაგან აგებულმა ეკ-

ლესიებმა შეცვალა, წესისამებრ, მათ ძველი სახელი რჩებოდათ.

გავეცნოთ იმ ტიპურ, მცირე ფორმის ქრისტიანულ ძეგლებს, რომელთა ნაშთები ჭრჭყრობით კვლავ არსებობენ საინგილოს მიწაზე.

ძელი-ცხოველი. მდ. მაწიმის წყლის ხეობაში, სოფ. მაწიმის ქვემოთ, მდინარის მარცხენა ნაპირის ახლოს დაბურულ ტყეში დგას ერთი პატარა ქვით-კირის ეკლესია, „სიპი“ ქვებისაგან აგებული. ადგილობრივი მოსახლეობა მას ძელი-ცხოველს უწოდებს.

ეს სახელწოდება ძელი-ცხოველი უძველესი დროიდან მომდინარეობს (IV—V სს), იგი ისეთივე ეტიმოლოგიისა და შინაარსისა უნდა იყოს, როგორც „სვეტი-ცხოველი“. სვეტსა და ძელს აქ ერთნაირი მნიშვნელობა აქვს მინიჭებული, ხოლო ტერმინი „ძელის ეკლესია“ შედარებით გვიანი უნდა იყოს.

აღნიშნული ქვის ეკლესიის სახელწოდება ძელი-ცხოველი ანუ ძელის ეკლესია. ექვს გარეშეა, მის ადგილზე ხისგან აგებულ ადრინდელ ეკლესიის არსებობაზე მეტყველებს. ზეპირი გადმოცემებიდანაც ირკვევა, რომ ძველად დღევანდელი ქვის ეკლესიის ადგილზე ხისგან აგებული ეკლესია მდგარა, რომელიც მტრის შემოსევის დროს დამწვარა.

ადგილობრივ მსოფრეშთა გადმოცემით, ძელი-ცხოველის შემოგარენში 50—70 სმ. სიღრმიდან მიწის თხრისას ყველგან ნახშირი და ნაცარი ამოდიოდა, რაც ნახანძრული ადგილის არსებობაზე მიუთითებს.

ძელი-ცხოველის ეკლესიის გვემა ერთი მთლიანი სივრცისაგან შედგება აღმოსავლეთ მხარეზე წრიული აბსიდიით (ტაბ. 52).

აღნიშნული აბსიდის კედლის გარეთა კონტურს ზუთფახნაგოვანი მოყვანილობა აქვს. კედლის სისქე 80 სმ აღწევს, სიშტრიის ღერძზე მდებარე შუა წახანავის კედლის სიბრტყეში, აღმოსავლეთის და დასავლეთის კარიბჭის თავზე დატანებული აქვს სარკმელი, ასეთივე სარკმელია მოთავსებული სამხრეთის კედელშიც.

საგულისხმოა, რომ ასეთი მცირე მოცულობის ეკლესიას სამი კარიბჭე აქვს და მის ღიობებს გამოცლილი აქვს ხის ზღუდარები და კარბაეკები.

ძელი-ცხოველის ეკლესიის ზურთმოდგენება ძალზე სადა, უბრალო და ღარიბულია, მაგრამ მისი სივრცობრივი კომპოზიცია და კონსტრუქციული სტრუქტურა საშენებლო ტექნიკის თვალსაზრისით ინტერესოვლებული არაა. თავისი სივრცობრივი ფორმით იგი საინგილოს ტერიტორიაზე გავრცელებულ კარიბჭის ტიპის საცხოვრებელ მოცულობითი ფორმის განმეორებას წარმოადგენს

¹ ეურნ. მოგზაური, 1901, № 6 და № 7, № VIII და № IX, XII; № XIII.

² К. В. Тревер. Очерки по истории и культуры Кавказской Албании, М.-Л., 1959, стр. 297.

(ტაბ. 52, შდრ. ტაბ. 17, III); ასევე საინტერესოა კირით შედგენილი სიბი ქვისაგან აგებული ორქანობიანი სახურავი. გარედან მრავალწახნაგოვანი და შიგნიდან წრიული მოხაზულობის აბსიდა გადახურულია სფერული ნახევარკამარით. იატაკი აბსიდის ფარგლებში (საკურთხევლეში) შემადგენელია (ტაბ. 52. ობ. ქრილი).

ეს ეკლესია თავისი ფორმითა და გაბარიტებით (770×470 სმ) ტიპურია საინგილოსათვის. ყველაზე მცირე მოცულობის (420×520 სმ) უძველესი სამლოცველო, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, აღმოჩენილია საინგილოს ბარის ზონაში, „კავკასიის გრძელი კედლის“ არქეოლოგიური გათხრების დროს (1936 წ.). იგი გრძელი კედლის სისტემაში შემავალ საცხოვრებელ და თავდაცვით ნაგებობათა კომპლექსს ეკუთვნის¹. ძელი-ცხოველის გეგმის უმარტივესი სქემა დაედო საფუძვლად ერთაბსიდაიანი ვანჯითარებული გეგმის მქონე ეკლესიების არქიტექტურას.

გამოკვლევებმა გვიჩვენა, რომ ძელი-ცხოველის გეგმის კომპოზიციის ანალოგიური სქემები, ქრისტიანული სარწმუნოების ფართო გავრცელებასთან ერთად მკვეთარ ცვლილებებს განიცდის. განვითარების შემდეგ ეტაპზე არსებითად იცვლება მისი მარტივი გეგმის აბრისი და შინაგანი სივრცე. ასევე იცვლება მისი მოცულობითი ფორმა და კონსტრუქციული სტრუქტურა. ამის საუკეთესო მაგალითად შეიძლება დავასახლოთ ზედგზითის² ეკლესიის გეგმის კომპოზიცია, რომელიც „ძელი-ცხოველის“ უმარტივესი გეგმის განვითარებას წარმოადგენს³ (სურ. 82).

ამრიგად, ძელი-ცხოველის გეგმის უმარტივესი სქემა განვითარების შემდგომ ეტაპზე ზედგზითის გეგმის სახით ჯერარის მოხაზულობას იღებს, ზედგზითის გეგმის კომპოზიციაზე ადვილი შესამჩნევია ძელი-ცხოველის გეგმის ძირითადი სქემა, რომელსაც მარცხნივ და მარჯვნივ გრძივი კედლების გასწვრივ იერთებს ახალ სივრცეს და დებულობს სრულად ახალ სახეს.

ზედგზითის გეგმაზე დომინირებს და თვალსაჩინოდ იკითხება ძელი-ცხოველის ტიპური გეგმის სქემა თავისი დამახასიათებელი ელემენტებით — ნახევარწრიული მოყვანილობის აბსიდით, რომელიც გარეთაა გამოტანილი და ზღვარწახნაგოვანი მოხაზულობის კედლებითაა შემოფარგლული (ტაბ. 52. შდრ. სურ. 82).

¹ E. A. Пахомов, დასახ. ნაშრ., გვ. 43.

² ზედგზითის ეკლესიის ნანგრევები მდებარეობს ნუხის (შექის) აღმოსავლეთით, დაახლოებით 12—13 კმ. მანძილზე ობ. ზედგზითის ეკლესიის გეგმა.

³ Г. Н. Чубинашвили, Архитектура Кахетии, 1959, стр. 436.

გ. ჩუბინაშვილის მიერ ზედგზითის ეკლესია დათარიღებულია X—XIII სს.⁴. ხოლო ძელი-ცხოველის გეგმის კომპოზიცია წინ უსწრებს ზედგზითის გეგმას, ამიტომ იგი აღინიშნულ ძეგლად უნდა ჩაითვალოს, მაგრამ აქ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ძელი-ცხოველის ნაგებობა მრავალჯერ შენამუსრი ძეგლია, იგი აღდგენილია უნდა იყოს ზედგზითის აშენებიდან კარგა ხნის შემდეგ.

დასასრულ, ძელი-ცხოველის ეკლესიის ზუსტი თარიღის დადგენა მეტად გაძნელებულია, ვინაიდან თვით ძეგლზე ეპიგრაფიკის არავითარი ნიშანი არ მოიპოვება და არც მისი თავგადასავლის ისტორიას შემოუწინავენ რაიმე ხელმოსაყიდი საბუთი. ასეთი ტიპის მცირე მოცულობის ეკლესიები საქართველოში გავრცელებული იყო ქრისტიანობის სახელმწიფოს სარწმუნოებად აღიარების დროიდან, ვიდრე XIX ს. მეორე ნახევრამდე.

სამშენებლო ტექნიკის მიხედვით ძელი-ცხოველის ეკლესიის თარიღად შეიძლება ვივარაუდოთ XIV—XV სს.

ხალხური გადმოცემით, უკანასკნელად ძელი-ცხოველი აღდგენილ და განასრულებულ იქნა ინგილოების მეორედ გაქრისტიანების პერიოდში, რაც XIX ს. პირველ ნახევრის მიწურულს ემთხვევა.

კასრის საყდარი მდებარეობს კახში, მის დასავლეთით, საყარაულეს მთის თხემის შინდაკ ადგილზე, გარშემო ტყე რომ აკრავს, მას კასრის საყდრის მთის სახელითაც იცნობენ. ეს სახელი ეკლესიამ (და ადგილმა) მიიღო დღემდე შემორჩენილი „საყდრის ქვევრისაგან“⁵, ანუ „საყდრის კასრისაგან.“


საყდრის სამხრეთ-აღმოსავლეთით დაფერდებულ ადგილას, დღესაც კარგად მოჩანს მიწისქვეშა ჩასასვლელი ქვის კიბის რამდენიმე საფეხურით, რომელიც დიდი ხანია ჩაქეულა და ჩახერგილა ღორღითა და დიდი ქვებით.

XIX ს. მიწურულში იგი მოიხსენია საინგილოს პირველმა ქართველმა მკვლევარმა ალ. ხანანაშვილმა. მისი ვადლოცემიდან ირკვევა, რომ მიწისქვეშა ჩასასვლელი ზემოდან თათთა ყოფილა გადახურული⁶.

⁴ იქვე, დასახ. ნაშრ., გვ. 436.

⁵ ამ ქვევრში ინახებოდა კახის მოსახლეობისაგან შემოწრილი სახედაზე ღვინო. „დღეს ეს ქვევრი უპატრონოდ არის მიტოვებული და ნახევრად ქვებით ამოვსებული, მცოვრებნი ამობენ, ასი ჩაუი ღვინო ჩაილიაო“ (ზ. ელიო, საინგილო, 1947, გვ. 161).

⁶ «Нижне церкви, во дворе до сих пор сохранился подвал в виде громаднейшего кувшина. Снизу к этому кувшину в земле проделан узкий вход на сводах». (А. С. Хачанов, დასახ. ნაშრ., გვ. 34).



სურ. 84. შალის ეკლესიის ნანგრევთა საერთო ხედი.

კასრის საყდარი მოხსენებულია ისტორიულ წყაროებში, ლ. ა. შალაშვილის ცნობილი სახარებისათვის მიწერილ „ანდერშში“, ირკვევა, რომ კასრის საყდარი წმიდა სამების სახელზე ყოფილა აგებული — „კასრი სამებისაი“¹.

კასრის სამების საყდრის აშენების შესახებ ცნობა მოიპოვება ქართულ მართლმადიდებელ წიგნებში. იგი აგებული ყოფილა საქართველოს მეფე არჩილის მიერ (VIII ს.). ჭუნაშვილის თხზულებაში ვკითხულობთ, რომ არჩილ მეფე „დაჯდა წუქეთს და აღაშენა კასრი და ხევსა ლაკაუსტისასა აღაშენა ციხე“². კასრის სამების საყდარი მრავალგზის აოხრებული და აღდგენილი ძეგლია. უკანასკნელად იგი 1912 წ. აღდგენილა საკუთარი სახსრებით მღვდელ შიხელი ყულაშვილის³.

აღ. ხაზანაშვილის გადმოცემით, კასრის სამების საყდარი აშენებულია თეთრი თლილი ქვისაგან,⁴ ხოლო ზ. ედილის აღნიშნული აქვს, რომ იგი აშენებულია კლდის ნამტვრევი ქვებისაგან. როგორც ჩანს, თლილი ქვის პერანგი, რომელსაც აღ. ხაზანაშვილი შეესწრო, ზ. ედილის დროს (დაახლ. ნახევარი საუკუნის შემდეგ) აღარ ყოფილა დარჩენილი⁵.

კასრის საყდრის უკანასკნელ აღმდგენელსა და განმანახლებელს (მ. ყულაშვილს), იგი აღგილობრივი „ტინის“ ქვებისაგან აღდგენილა⁶ აღდგენიდან 10 წლის შემდეგ აღნიშნული ძეგლი საბოლოოდ დაარბიეს მუსავატელებმა, რომლისგანაც დღეს

¹ შ. ჯანაშვილი, საქართველოს ისტორია, თბილისი 1895, გვ. 206.

² ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით (ქართლის ცხოვრება) ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. 1, თბილისი, 1955, გვ. 243.

³ ზ. ედილი, საინგილო, თბილისი, 1947, გვ. 161, ა. ნ ხ ე ე ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 32.

⁴ А. С. Хаханов, დასახ. ნაშრ., გვ. 34.

⁵ ზ. ედილი, საინგილო, 1947, გვ. 161.

⁶ ხანდაზმული ინგილოების გადმოცემით მოწმდება, რომ კასრის სამების საყდრის ნანგრევებში ძველად მართლა ყოფილა ლამაზად გათლილი თეთრი და ვარდისფერი ქვები, რომლებიც ჩამოსახლებულ ლეკებსა და თათრებს დაუტოცია და გაუზიდათ ბუხრების ასაშენებლად.

მხოლოდ ნანგრევებია შემორჩენილი. ზ. ედილის ცნობა სწორედ ამ ნანგრევებში დარჩენილ „კლდის ნამტკრევ ქვებზე“ მიუთითებს.

კასრის საყდრის ნანგრევები დღესათვის მთლიანად დაფარულია ჯანგლითა და ნარეკლარით. ჩვენ იგი ნაწილობრივ გავწმინდეთ, ძეგლის აზომვის დროს.

კასრის საყდრის შემორჩენილი კედლის ფრაგმენტებში (დასავლეთის კარიბჭესთან და აბსიდაში დაახლოებით 150—200 სმ სიმაღლეზე) საშენ მასალად გამოყენებულია ხევის რიყის ქვა და ნაწილობრივ ფორებიანი გაუთლელი ქვა. კედლის სისქე 80 სმ უდრის.



კასრის საყდრის გეგმა სწორკუთხედს წარმოადგენს (825×556 სმ), კედლების გარეთა სიბრტყეები სრულიად გლუვია, არ გააჩნია არავითარი გამოწევა ან ჩაღრმავება (სურ. 83). ეკლესიის შინაგანი სივრცე, წრიული მოხაზულობის აბსიდით დაბოლოებული ერთგანყოფილებიანი დარბაზისაგან შედგება. დასავლეთის კარიბჭის ზღუდარიდან დღეს მხოლოდ მისი ღიობის ნაწილია დარჩენილი. აღმოსავლეთით, აბსიდის სიმეტრიის ღერძზე გადაჩენილ კედლის სისქეში დატანებულია სარკმელი, ხოლო ჩრდილოეთის და სამხრეთის კედლებში ერთმანეთის პირდაპირ ორ-ორი სარკმელია გაკრული.

კასრის სამების ტაძარს არავითარი კედლის მხატვრობა ან ხუროთმოძღვრული (მორთულობა) არ შეჩენია.

ვანჩაძიანთ მადლის ეკლესია. მდებარეობს ბელაქნის მახლობლად ლავოდეზ-კახის შავისტრალური გზის მარჯვენა მხარეზე, დაახლოებით 5 კილომეტრის დაშორებით. ადგილობრივი მცხოვრებნი მას „ნურ-ქილისას“ ეძახიან. აღნიშნული ძეგლი 1518—1574 წლამდე კარგად ყოფილა შენახული. ამას ადასტურებს ლევან მეფის მეუღლის თინათინის მიერ შეუპოვის მონასტრისათვის გაცემული გუჯარი¹.

სამწუხაროდ, ეს ნახევრად დანგრეული ეკლესია დიდ ველზე უპატრონოდ დგას და ახლო-მახლო სოფლებიდან მორეკილი ნახიისა და მწყემსების სადგომად ქცეულა (სურ. 84).

ძეგლის გეგმის კომპოზიცია და საშენი მასალა, რომლითაც იგია აგებული, აშკარად მიუთითებს შვენებლობის ორ პერიოდზე: პირველ პერიოდში აგებული უნდა იყოს თვით ეკლესია, მეორეში — სამრეკლო, წრთული მოხაზულობის აბსიდიანი ბაზილიკური ეკლესია აგებულია დიდი ზომის რიყის ქვებისაგან კორის ხსნარზე, შემდგომში ეკლესიის კარიბჭის დასავლეთის კედელზე მიუშენებიათ აგურის სამრეკლო (სურ. 84, 85).



სურ. 83. კასრის — წმინდა სამების საყდრის გეგმა

სიის კარიბჭის დასავლეთის კედელზე მიუშენებიათ აგურის სამრეკლო (სურ. 84, 85).

ეკლესიის განი 7 მეტრამდე აღწევს, ხოლო სივრცე 9 მეტრს აღემატება, სამრეკლოს გეგმა კვადრატს წარმოადგენს — 620×620 სმ.²


ძეგლის დათარიღებას ართულეს ეპიგრაფიკული მასალის უქონლობა. ამიტომ ჭერჭერობით ხუროთმოძღვრულ ანალიზს, მის ცალკეულ ელემენტთა და სამშენებლო ტექნიკის დონის განსაზღვრას უნდა დავეყრდნეთ. ვანჩაძიანთ მადლის ეკლესიას პარალელები თვით საინგილოს ტერიტორიაზე ეძებნება.

აღნიშნული ძეგლის გეგმა კასრის სამების საყდრის გეგმის ასლს წარმოადგენს. ეს ორი ძეგლი იდენტურობას იჩენს ერთმანეთისადმი არა მარტო გეგმის გადაწყვეტის თვალსაზრისით, არამედ ცალკეული ელემენტების ზომებითაც (სურ. 85, შდრ. სურ. 83).

პირველადი მოცულობითი ფორმა მადლის ეკლესიას შენარჩუნებული აქვს დღემდე, იგი გადახურულია შიგნიდან კამარით შეკრული ორქაბანობიანი სახურავით; ასევე შენარჩუნებული აქვს

¹ დ. ჯანაშვილი, ისტორიული და გეოგრაფიული აღწერა პერეთისა, ეურნ. მოგზაური, №№ VIII და IX, გვ. 740.

² ზ. ედილის ცნობა ეკლესიის ზომების შესახებ (14 მ. X 20 მ.) სინაღდელს არ შეეფერება, დასახ. ნაშრ., გვ. 147.



სურ. 85. მადლის ეკლესიის (ნურ-ქილისას) გეგმა.


სარკმელებისა და კარიბჭის ზღუდარები, მხოლოდ კედლებიდან ალაგ-ალაგ გამოცლილი აქვს ქვები, თითქმის მთლიანადაა გაზიდული აბსიდის კედლისა და გარეთა კუთხეების თლილი ქვები.

მადლის ეკლესიას გალექებული ქართველები ახლაც თაყვანსა სცემენ¹. მათი გულშემატკივრობით ეს ძეგლი დღემდე არსებობს. ამ ეკლესიას ძირითადად გალაცოვები პატრონობენ. ეს გალექებული ქართველები რევან ვაჩნაძის შთამომავალი

¹ ეურნ. მოგზაური, 1901. № 10.

არია². როგორც ხალხური ზეპირი გადმოცემებიდან ირკვევა, სწორედ ამის გამო ეწოდება ამ მცირე ფორმის ქრისტიანულ ძეგლს ვაჩნაძიანთ მადლის ეკლესია.

საყურადღებოა, რომ მადლის ეკლესიის მსგავსი ძეგლების არსებობა დამოწმებულია აგრეთვე საქართველოს სხვადასხვა მხარეში, სახელდობრ, ისტორიული ტაოს მიწა-წყალზე. ამის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს იშხანის ტაძრის გვერდით მდებარე 1006 წელს აგებული ე. წ. „მცირე ეკლესია“³. (სურ. 86).



სურ. 86. იშხანის (სამხრეთ საქართველო) მეფეთა მეფის გურგენის ეკლესიის გეგმა


მშენებლობის მეორე პერიოდს ეკუთვნის დასავლეთით მიშენებული სამრეკლო, რომელიც თანამედროვე კახეთის ტერიტორიაზე გავრცელებული ქართული ხუროთმოძღვრების გვიანი პერიოდის დამახასიათებელი ტიპური სამრეკლოების⁴ განმეორებას წარმოადგენს. სამრეკლოს პირველი სართული გეგმის კვადრატული მოზაზულობა და მეორე სართულის რეაწახანაგოვანი ტიპური ფანჯატურებისგან გადწყვეტა თავისი სივრცობრივი ფორმითა და კონსტრუქციული აგებულებით XII—XIII სს. უნდა მივჯეტუნოთ, ხოლო მადლის ეკლესიის მშენებლობის პირველი პერიოდი XI—XII სს. მიჯნას არ უნდა სცილდებოდეს.

პატარა ალავერდი. მდებარეობს ქ. კახში; ქართულ წყაროებში კახი მოხსენებულია კაკის სახელწოდებით, ძველ [დროში კახი გვარებდად ყოფილა დასახლებული, ეს ტრადიცია დღესაცაა შენარჩუნებული. ყოველ გვარს ან რამდენიმეს ერთად თავისი საყდარი ჰქონია.

² იქვე.

³ E. Таманшвили, Археологическая экспедиция в южные провинции Грузии. Тб., 1952, стр. 42, табл. 1.

⁴ Г. Н. Чубиншвили. Архитектура Кахетия, Тб., 1959, стр. 492—493.



სურ. 87. სოფ. კახისთავი. პატარა ალავერდის საერთო ხელი დასავლეთიდან

ძველ დროში (XVIII ს.) კახში თორმეტი ეკლესია ყოფილა¹, რომელთა ნანგრევები ან ნასაყდრალი ადგილები დღესაც დაცულია. თორმეტი ეკლესიიდან დღემდე შემორჩენილია მხოლოდ სამი — წმ. გიორგის საყდარი „შუაგულ სოფელში“ (კახინგილოში), კასრის საყდარი საყარაულოს მთაზე, რომლის შესახებ ზემოთ უკვე ვეჭონდა საუბარი და „პატარა ალავერდის“ საყდარი (სურ. 87) კახის თავეში (კაკბაშში).

პატარა ალავერდის საყდარი შიდა კახეთის დიდი ალავერდის მეტოქეა. ხალხური გადმოცემით, იგი „იმ დიდი ალავერდის ძეა“. ყოველი წლის 14 სექტემბერს (ძველი სტილით), ისე როგორც კახეთში, აქაც იმართება იგივე „დიდი ალავერდობა“. ე. წ. „ალავერდის ხატობა“ ანალოგიური წესჩვეულებით.

„პატარა ალავერდის“ გუმბათიანი ტაძარი აგებულია „ძველი უგუმბათო-ბაზილიკური ეკლესიის ადგილზე“ XIX ს. მიწურულში.“ ეს იყო უკანას-

კნელი ტაძარი საინგილოს ტერიტორიაზე, რომელიც აღდგენილ იქნა ხალხის მიერ საკუთარი სახსრებით (1888 წ.).

საინგილოში ყველაზე კარგად ეს „პატარა ალავერდია“ დღემდე შემონახული. მაგრამ აქამად ძველი საველალო მდგომარეობაშია გუმბათის გადახურვის დაზიანების გამო (სურ. 87).

გიშის საყდარი მდებარეობს მდ. გიშის წყლას ხეობაში — სოფ. გიშში, რომელიც ისტორიულ ქ. ნუხადან (შაქიდან) 4 კილომეტრითაა დაშორებული.

სოფელი გიში მთის ტიპური სოფელია, იგი გაშენებულია მთის ძირას დიდ მადლობზე. ხოლო საყდარი სოფელ გიშის აღმოსავლეთით ყველაზე ამაღლებულ ადგილზე მდებარეობს. იქიდან იშლება მდინარე გიშისწყლის ხეობის თვალწარმტაცი ბუნების დიდი სანახაობა.

საყდარს ვარშეშო ქვის დიდი გალავანი ჰქონია შემოვლებული, ნანგრევთა ნაშთები დღესაც საყმარადა შემორჩენილი. საყდარსა და გალავანის შემოვარენში სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობათა ნაშთები შეინიშნება.

¹ იურნ. მოგზაური, 1901, № XII.

² ე. ა. დ. მ. მ., ძველი ჰერეოი. სურათთაგანული ძეგლები (ძეგლის მუგობარი № 19).



სურ. 88. გიშის ღვთისმშობლის ტაძრის საერთო ხედი აღმოსავლეთიდან.

ქართული საისტორიო წყაროებიდან ირკვევა, რომ გიშის საყდარი ღვთისმშობლის სახელზე ყოფილა აგებული. აღნიშნულ ცნობას ვიმოწმებთ ლ. ა. მაღალაშვილის ზემოხსენებული „ოთხთავის“ მინაწერიდან, სადაც ვკითხულობთ „...პატრიარქმან ჩუენმან ექუთიმე მოიბილა... და მოვლო ქიშ-ნუსს ღვთისმშობლისა“¹... საყდარი და სხვანი.

გიში მოხსენებულია აგრეთვე დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის მიერ, რომელიც გადმოგვცემს, რომ 1117 წელს დავით აღმაშენებელმა „...დაიპყრა გრიგოლისძენი... და აიღო ციხე გიში“².

ასევე მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის სოფელ გიშისა და მისი საყდრის შესახებ XVIII საუკუნის ისტორიკოსი ვახუშტი ბაგრატიონი: „—გიში არს მთის ძირს, რომელი იყო საერისთო წუქეთისა და ეკლესია დიდი, გუმბათიანი, და იქ-

და ეპისკოპოზი, მწყემსი ელისენსა, წუქეთისა და შაიხისა“³... როგორც ჩანს, გიშის ღვთისმშობლის საყდარი ვახუშტის მოხსენებული აქვს გუმბათოვან დიდ ეკლესიად, რაც, ჩვენი აზრით, ცოტა არ იყოს, გადაჭარბებულია. ჩვენს ღრომდე შემორჩენილი ღვთისმშობლას საყდარი (სურ. 88), მართალია, მაღალყლიანი გუმბათოვანი ნაგებობაა, მაგრამ იგი არ შეიძლება მივაკუთვნოთ დიდ ეკლესიებს. მისი ძირითადი ზომები გვემაზე 6,90 X 7,70 მ უდრის.

გიშის ღვთისმშობლის ეკლესიის გეგმა ერთგანყოფილებიანი წვარცელბული დარბაზია, რომელიც წრიული მოხაზულობის აბსიდიითა დაბოლოებული (სურ. 89). ეკლესიის კედლის სისქე ერთ მეტრს აღემატება. წყობა შესრულებულია უხეშად ნათალი ფორიანი ქვებისაგან — შირიმისაგან კირის დუღაბზე, საშენ მასალად ნაწილობრივ რიყის ქვებიცაა გამოყენებული. ნაგებობა შიგნით და გარეთ მთლიანად შელესილი ყოფილა კირის ხსნარით, მაგრამ დღეს ნალესის უქუტესი ნაწილი ჩამოცვენილია (სურ. 88).

დასავლეთიდან, კარიბჭის კედელზე, მიშენებული ყოფილა სამრეკლო, რომლის მასიური კვადრატული კვეთის (1,0 X 1,0) პილონები დღესაცაა შემორჩენილი; ორი მათგანი კარიბჭის კედელზეა მიშენებული, ხოლო ორიც მათ პირდაპირ მდგარა. დღეს მარჯვენა პილონი აღარ არსებობს.

საყდრის გუმბათის ქაღალა ეყვს როგორც შიგნიდან, ისე გარედანაც ცილინდრული ფორმა აქვს. იგი ზემოდან ქვის ძალზე ამობურცული კარნიზით ბოლოვდება. გეგმაზე ადვილი შესაჩინევაა ძეგლის მშენებლობის სხვადასხვა პერიოდი და გადაკეთების შედეგად გამოწვეული ცვლილებები.

გიშის საყდრის მთელი ნაგებობა და კარისებური რვაწახნავოვანი პირამიდული ფორმის გუმბათი დღემდე კარგადაა შემონახული (სურ. 88).

როგორც ირკვევა, გიშის საყდრის გუმბათი და ზოგიერთი სხვა ელემენტი უკანასკნელად აღდგენილ და გადაკეთებულ იქნა XIX ს. პირველ ნახევარში⁴.

გიშის ღვთისმშობლის ეკლესიის დათარიღება, რა თქმა უნდა ძნელდება, იმის გამო, რომ ძეგლი რამდენჯერმეა დანგრეული, აღდგენილი და გადაკეთებული.

გ. ჩუბინაშვილის აზრით, შესაძლებელია გარჩევა იმ ძლიერ დანგრეული უძველესი ეკლესიის ნაშთების, რომელიც XI ს. აუშენებიათ. გ. ჩუბინაშვილი იქვე შენიშნავს, რომ ეს პატარა ეკლესია

¹ მ. ჭანაშვილი, საქართველოს ისტორია, თბილისი, 1895, გვ. 206.

² ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის დასახ. ნაშრ., თბილისი, 1955, გვ. 334.

³ ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბილისი, 1941, გვ. 95—96.

⁴ ზ. ედილი, დასახ. ნაშრ., გვ. 167.

თავისი უტყვევი არქიტექტურით არ შეიძლება მივიღოთ ეპისკოპოსთა იმ კათედრად, რომელიც არსებობდა ჯერ კიდევ VI საუკუნეში, სახელდობრ, „გიშელთა“ კათედრად; ასევე მისი აზრით, ეკლესიის შესასვლელი (კარიბჭე) გადაკეთებულია XIX საუკუნის შუა წლებში¹.

აღნიშნული ნაგებობის დასათარიღებლად უნდა გავითვალისწინოთ ის ისტორიული პროცესები, რომლის მეოხებითაც ძველი განიცდიდა პერიოდულად ნგრევასა და აღდგენას. ძველის აგებისა და ნგრევა-განახლების პირველ პერიოდად შეიძლება მივიღოთ VI—XI სს. ხოლო მეორე პერიოდს ვაკუთვნებთ XVII საუკუნიდან ვიდრე XIX ს. მეორე ნახევრამდე².


ზეგამის ღვთისმშობლის ეკლესია. ძველი მდებარეობს სოფ. ბახთალაში, ყოფილი უძველესი ქალაქის ზეგამის, იგივე ბაზრის ნაქალაქარის ტერიტორიაზე (ზაქათალის რაიონი), რაიონული ცენტრიდან სამხრეთით 20—22 კილომეტრის დაშორებით, მდ. ალაზნის მარცხენა ნაპირზე, „იქ, სადაც გაშენებული იყო ქალაქი ბაზარი“³, იგივე ზეგამი — შაინგილოს უძველესი სავაჭრო ცენტრი.

აღვილობრივი მოსახლეობა ამ ეკლესიას ხშირად ფალდახლოს ტაძარსაც უწოდებდა — „ლევები ამ ეკლესიას ფერიყალას ეძახიან, რაც თამარის ციხესა ნიშნავს“⁴.

ეკლესიის ახლოს მიწის თბრის დროს 1858 წ. ინვლიოებს აქ უპოვნიათ ქართულ (მხედრული) წარწერიანი ზარი, საიდანაც ირკვევა, რომ ზარი ბახთალას ღვთისმშობლის ეკლესიისათვის შეუწირავს კახეთის მეფეს ლევანს, რომელიც 1520 — 1574 წლებში მეფობდა, ამიტომ ამ ძველის მშენებლობასაც კახეთის მეფეს ლევანს მიაწერენ, რა თქმა უნდა, ამ ძველის დათარიღებისათვის ეს სრულიად არ არის დამაჯერებელი საბუთი, რადგანაც ზარზე არსებული წარწერა ძველის ეპიგრაფიკულ რაიმე სამშენებლო ხასიათის უშუალო ამსახველ მასალას არ წარმოადგენს.

პირველი ცნობები და ფოტოგრაფიული სურათი ამ ძველის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში ა. ხახანაშვილმა გამოაქვეყნა 1898 წელს.

სოფ. ბახთალას ღვთისმშობლის ეკლესია მალაღუშბათოვან მცირე მოცულობის ეკლესიების ჯგუფს ეკუთვნის, აგებულია კარგად გამოწყვა-



0 1 2 3 4 5 6 7 8 M.

სურ. 89. გიშის ღვთისმშობლის ტაძრის გეგმა

რი ქართული აგურისაგან (სურ. 90), კახეთის ამ სახის ნუროთმომდგრული ძეგლებისათვის დამახასიათებელ ყალიბზე. ეკლესიის ინტერიერის კედლები მდიდრულად ყოფილა მოხატული, მაგრამ დრომ და ხელყოფამ განადგურა კედლის მხატვრობა. საშინლადა დასახიჩრებული ფრესკები — „თვალეზი დანის წვერით აქეთ ამოჩიქნილი, მაგრამ მაინც ეტყობა მიტყმა ქრისტესი, მიძინება ღვთისმშობლისა“⁵.


¹ Г. Н. Чубинашвили, Архитектура Кахетии, Тб., 1959, стр. 435—436.

² მშენებლობის პირველი პერიოდიდან დარჩენილია უმნიშვნელო გადაკეთებით განახლებული ტაძრის გეგმა, ხოლო მეორე პერიოდიდან დასავლეთის მხრიდან მიშენებული ორსართულიანი სამრეკლოს მხოლოდ სამი პილონი, (მეოთხე მთლიანად დანგრეულია).

³ ზ. ე დ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 151.

⁴ იქვე, გვ. 152.

⁵ იქვე.



სურ. 90. სოფ. ბახთალა (ზაგენი). ლეთისშობლის ეკლესიის საერთო ხედი.

დღესდღეობით ძეგლი უპატრონოდაა მიტოვებული, სოფ. ბახთალას ლეთისშობლის ეკლესია პირველად 1967 წელს ვინახულეთ, ხოლო მეორედ — 1969 წ. ეს იყო საინჟინლოს ტერიტორიაზე ერთ-ერთი ყველაზე კარგად შემონახული მაღალეკლიანი გუმბათოვანი ქართული ეკლესია, რომელსაც ხუროთმოძღვრულ სივრცობრივი ფორმა პირვანდელი სახით ჯერ კიდევ დაუზიანებლად ჰქონდა შემორჩენილი. 1971 წლის 10 ივლისს ქართული ხუროთმოძღვრების ეს შესანიშნავი ძეგლი მთლიანად დაინგრა. ქართული ეროვნული კულტურის საგანძურს მოაკლდა კიდევ ერთი ხუროთმოძღვრული ძეგლი (XV ს)¹. დღეს მისგან დარჩენი-

ლია მხოლოდ თავმოკრული, შემუსრული ეკლესიის დაზიანებული კედლები (სურ. 91).

ნინოწმინდის ეკლესია. მდებარეობს სოფ. ალიბეგლოს (კახის რაიონი) საზრეთ-აღმოსავლეთით, სოფლის ბოლოში, ე. წ. ძველი კალოს უბანში. იგი მრავალჯერ ყოფილა დანგრეული და აღდგენილი.

ხალხის მესხიერებას შემორჩა საინტერესო ცნობა, რომ ნინოწმინდა უკანასკნელად ხალხს განუახლებია თავიანთი სახსრებით. საინჟინლოში ქრისტიანობის 'მეორედ აღდგენის' პერიოდში (1850-55 წწ.).

ნინოწმინდის გუმბათი, სამრეკლო და ორქანობიანი კრაპიტის სახურავი შეკეთებულა 1930—32 წწ. მაშინ როდესაც იგი პირველად გამოყენებულ იქნა საწყობად. სამეურნეო დანიშნულების მინი-

¹ A. C. Хаханов, დასახ. ნაშრ. გვ. 33—34.



სურ. 91. სოფ. პახთალა (ჩავეში). ღვთისმშობლის ეკლესიის ინტერიერის საერთო ხედი გუმბათის ჩამონგრევის შემდეგ

ქებამ ეს პატარა ეკლესია დანგრევისაგან იხსნა, იგი დღემდე კარგადაა შემონახული¹ (სურ. 94). სოფლის ამ უბანში ეკლესიის ახლოს მოსახლეობენ ყიყიშვილები, რომლებსაც ძველ დროიდანვე მიწდობილი ჰქონიათ ნინოწმიდის პატრონობა.


ყიყიშვილების წინაპრებს შიშინაობის დროს დავალებული ჰქონდათ ეკლესიის განძეულობის გახიზვნა (გადამალვა), ეს ტრადიცია ელიზბარ ყიყიშვილის სახლობას ჩვენს დრომდე გაუგრძელებია; ერთ კიღობანში ჩალაგებული ნინოწმიდის საეკლესიო ნივთები დღესაც ინახება მის ოჯახში — საცხოვრებელი სახლის აყარში. მათ შორის ყურადღებას იპყრობს შემდეგი ნივთები: თავმოკრევალებულ ხის ჩარჩოში ჩასმული წმიდა ნინოს ორი ხატი (ხეზე, 37×50 სმ); წმიდა ნინოს გამოსახულება შესრულებული ზეთის ფერებში. წმიდა გიორგის ხატი, რომელიც ჰედურ ნახელავს წარმოადგენს (27×21,5), დაზიანებული სახარე-

ბა, ვერცხლის გრძელტარიანი სახედაზე კოვზი, ორი ცალი ვერცხლის ჯვარი (39,5×20 სმ, 31,0×19 სმ) და სხვ. ასეთია არასრული სია ნინოწმიდის საეკლესიო ნივთებისა, რომლებიც მოწიწებისა და თავყვანისცემის ტრადიციას შემოუნახავს ჩვენს დრომდე.

მტერთა შემოსევის დროს, განსაკუთრებით შაჰ-აბასის თავდასხმების ხანაში ტაძარ-საყდრებიდან საეკლესიო განძეულობის გახიზვნის ტრადიციამ მოსახლეობასა და ცალკეულ ოჯახებში, არალეგალური ქრისტიანული სამლოცველოების ანუ წმიდა ადგილების მოწყობამ საინგილოს ტერიტორიაზე ქართული მოსახლეობის ნაწილი იხსნა ეროვნული გადაგვარებისაგან; ქრისტიანობამ ამ საქმეში დიდი როლი შეასრულა.

ერთ-ერთი ასეთი არალეგალური საოჯახო სამლოცველოა არსებობის შესახებ ცნობა კირიველად გამოაქვეყნა ალ. ხახანაშვილმა. ეს სამლოცველო სოფ. კახ-ინგილოში (კაქში) ყოფილა გამართული ხუციშვილების ოჯახში, სადაც სხვა საეკლესიო ნივთებს შორის ინახებოდა მეფე ვახტანგ VI

¹ სხვადასხვა მიზეზის გამო ზემოხსენებული ეკლესიის აზომა ვერ მოხერხდა, ამიტომ არაფერს ვამბობთ ძეგლის გეგმის შესახებ.



სურ. 92. სოფ. კახ-ინგილო. წმ. გიორგის საყდრის სამრეკლოს დასაყდრეთის კედლებზე გამოსახული დიდი ქვარი.

მიერ 1709 წ. თბილისში დასტამბული სახარება¹, ამ სახარებას ხალხი „ხუციანთ ოთხთავს“ უწოდებს. „...ხუციანთ ოთხთავი“ მოსე ხუციშვილის სახლში ინახებოდა. ყოველ მარიამობა დღეს იქ ვიყრიდით თავს და ჩვენს ქართველობას მოვაგონებდით ერთმანეთს. აქ იყო კიდობანში შემონახული ბარძიმი, ფეშხუმი, ჟამნი, კონდაკი და სახარება“²...


¹ «В селении Кахи в доме Хуцишвили осмотрены нами церковные предметы, принадлежавшие, вероятно 5-ти древним храмам и вынесенные из них тогда, когда церкви начали приходить в запустение. Предметы эти Евангелие, напечатанное в типографии царя Вахтанга VI в Тифлисе в 1709 году». (А. С. Хаханов, — დასახ. ნაშრ., გვ. 37.

² ა. ჩ ხ ე ნ კ ე ლ ი, დასახ. ნაშრ. გვ. 34.

ვინ იცის კიდევ რამდენი საინტერესო განძია საინგილოს ტაძრებიდან გამოტანილი და გადაძალული (ვახიზნული), რომელთა აღმოჩენას უნდა მოველოდეთ ტყით დაფარულ ნასახლარ ადგილებსა და გამოქვაბულებში, ან კიდევ ე. წ. „წმიდა ადგილებში“.

კახის წმიდა გიორგის ეკლესია მდებარეობს სოფ. კახ-ინგილოს ცენტრში, პატარა მდ. კაკისწყლის მარცხენა ნაპირიდან 20—30 მეტრის დაშორებით, აღნიშნული ეკლესია კაკის წმიდა გიორგის სახელითაა ცნობილი.

ხალხური წყაროებიდან ირკვევა, რომ ახლანდელი ეკლესია აგებულია წმ. გიორგის ძველი საყ-



სურ. 93. სოფ. კახ-ინგილო. წმ. გიორგის საყდრის სამრეკლოს საერთო ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან

დრის ადგილზე. აქ ეკლესიის გალავნის შიგნით — ეზოში დაახლოებით 40—50 წწ. წინათაც კი ეყარა წარწერებიანი დიდი ქვები; ხანდახმული ინგილოები ირწმუნებიათ, რომ ეს ქვები ძველი საყდრის ნანგრევებიდან გადარჩენილი ქვები იყო. მათივე გადმოცემით, ამ ქვებს ქრისტიანი მოსახლეობა თაყვანს სცემდა, დღესასწაულების დროს მათზე „წმიდა სანთელს“ ანთებდნენ და იქვე „თეთრსაც“ შეწირავდნენ. ხსენებული ქვები ახლა არსად არ იძებნება, არავინ იცის, თუ რა ბედი ეწია მათ და სად გაქრნენ ისინი.

დღევანდელი ეკლესია (ძველი საყდრის ადგილზე) აგებულია, დაახლოებით XVIII ს. პირველ ნახევარში¹. იგი უკანასკნელად განახლებულ იქნა XIX ს. მიწურულში, ივანე ბაბა ბულუღაშვილის მიერ.

წმინდა გიორგის საყდარი ქვის მაღალი გალავნით ყოფილა შემოზღუდული, რომლის ნაშთები დღესაც კარგად შეინიშნება, ჩვენ დრომდე მოაღწია აგრეთვე, აღნიშნული საყდრის კომპლექსში შემაჯალმა უძველეს ნაგებობათა ზოგიერთმა ნაშთმა.



სურ. 94. სოფ. ალიბეგლო. ნინოწინდის საყდრის საერთო ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან.

¹ აღნიშნული ეკლესია, დღეს გამოყენებულია კოლმეურნეობის საწყობად, რის გამოც მისი ვაზოშვა ვერ მოხერხდა.


ძველი ნაგებობებიდან ყურადღებას იქცევს გან-
ცალკევედელი სამსართულიანი სამრეკლო, რო-
მელიც რამდენაღმე გადაკეთებული და აღდგენილი
სახითაა დღემდე შემონახული (სურ. 93).

სამრეკლოს კოშკი აგებულია მდ. ქურუმის
ხევის რიყის დიდი ქვებისაგან, კირის ხსნარზე, სა-
დაც კამერებისა და გუმბათის სვეტების წყობაში

გამოყენებულია აგრეთვე კვადრატული მოყვანი-
ლობის (22×22 სმ) აგური.

აღსანიშნავია, რომ სამრეკლოს აღმოსავლეთ ფა-
სადზე აგურისა და ქვის წყობის ჩაღრმავებით (ჩაქ-
რით) გამოსახულია საკმაოდ დიდი ზომის ჭვარი,
რომელსაც თითქმის მთელი სართული აქვს დათ-
მობილი (სურ. 92).





თ ა ვ ი მ ი შ ვ ი ღ ე

ჩუჭურთმა და კერამიკა

ქერეთის იმ ნაწილში, რომელიც უფრო გვიან საინგილოს სახელითაა ცნობილი, მრავლადაა მოპოვებული ქართული ხალხური ხელოვნების ისეთი ძველი ნიმუშები, როგორცაა: ჩუჭურთმა ხეზე და ქვაზე, ქედურობა და მხატვრული კერამიკა, მოჩუჭურთმებული სურები, თასები, ფიალები და სხვ.

შემუსრული ძეგლების ნანგრევებიდან არქეოლოგების მიერ გამოტანილი და შესწავლილია ხეზე და ქვაზე კვეთილი ჩუჭურთმიანი ფრაგმენტები.

ჩუჭურთმა ხეზე. ჩვენს მიერ თავმოყრილია საცხოვრებელ შენობებზე, კანტი-კუნტად დღემდე შემორჩენილი ხელოვნების ფრაგმენტები; დგამ-კორთეების მხატვრული მორთულობის მაგალითები.

ძველ ხალხურ საცხოვრებელთა ინტერიერებში დედაბოძების, თახჩების, დგამების (ავეჯის) და შენობათა სხვა ნაწილების ორნამენტებით მორთვის ჩვეულება საქართველოში უხსოვარი დროიდან მომდინარეობს, „ორნამენტებს ხეზე საცხოვრებელი ნაგებობის კონსტრუქციაში საბატიო ადგილი ჰქონია განკუთვნილი და გარკვეული ფუნქცია უტარებია“¹.

საინგილოში ჩუჭურთმას „ნაყიშს“ ეძახიან. „ნაყიში“ ანუ „ნახიში“ არაბულ-თურქული ტრანსკრიფციის სიტყვაა და ნიშნავს რელიეფურ მოხატულობას. გამჭოლი შემკულობის აღსანიშნავად ხალხში არსებობს ტერმინი „შაბაქა“, „შაბაქად დამუშავება“, „მოშაბაქება“, „შაბაქიანი მოაჭირი“ და სხვ.

სიტყვა „შაბაქა“ სულხან-საბა ორბელიანს ლექსიკონში არ აქვს მოცემული, მაგრამ ქართული სინონიმთა ლექსიკონში იგი შეტანილია და ნიშნავს ჩუჭურთმას. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ქართულ წერილობით წყაროებში სიტყვა „შაბაქა“ გვხვდება, როგორც „მორთომოდგრული დამუშავების აღმნიშვნელი ტერმინი.

მავალითისათვის შეიძლება დავიმოწმოთ გ. ავალიშვილის მოგზაურობის დღიურიდან ზოგიერთი ადგილი: „გარეგანი შენობაი ჭამისა ამისა არს თლილითა ქვითა შაბაქად ხელოვნებულითა“... ან კიდევ „საქურთხეველი — ნახევარფარგლოვანი, კანკელი ხისა შაბაქად მოჭრილი“... და „ასევე... შაბაქად მოჭრილნი ფიცართავან“² და სხვ.

ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით

¹ გ. ჩ ი ტ ა ი ა, სიცოცხლის ხის მოტივი ლახურ ორნამენტში, აკად. ნ. მარის სახ. ენის, ისტორიისა და მატერიალუ-

² გ. ა ვ ლ ი შ ვ ი ღ ი, მგზავრობაი, თბილისი, 1967, გვ. 232—272.

ირვევია, რომ საინგილოს ტერიტორიაზე ძველთაგანვე გავრცელებული ყოფილა, ხეზე ამოკვეთის ორი ძირითადი სახეობა: ყრუ ფონზე რელიეფურად ამოკვეთილი, და ხეზე გამჭოლი ამოხერხვის წესით მიღებული „გამჭოლი“ შაბაქა პაეროვანი ჩუქურთმის სახიანი ელემენტები.

ძველ საცხოვრებელ სახლთა შესწავლამ გვიჩვენა, რომ ჩუქურთმის ხეზე ჰრის პირველი სახეობა გამოყენებულია დაბარაზულ და ერდოიან-აყაჩიან საცხოვრებელთა ინტერიერებში. სახელდობრ, „დედაბოძების“ (ტაბ. 23, სურ. 34). კორთების (ტაბ. 53) და კილოზების (ტაბ. 54) მრავალსახოვან მხატვრულ დამუშავებაში.

შაჰ-აბასის შემოსევების პერიოდიდან და შემდეგ „ლექიანობის“ მიერ მანძილზე (XVII ს.) XIX ს I ნახევრამდე ქრისტიანული სარწმუნოების დევნასთან ერთად განსაკუთრებით ყრუ ფონზე შესრულებულ რელიეფურ ჩუქურთმას ისლამის სარწმუნოება „საეკლესიო მორთულობად“, ე. წ. „საყდრის ნაყიშებად“ მიიჩნევა, რის გამოც მაჰმადიანთა მესვეურები მას ანადგურებდნენ. ამ იმხროვე განსაკუთრებით დაზარალდა საცხოვრებელთა ინტერიერები. დედაბოძების, კართების, კარების და სხვა ნაწილების მხატვრულად დამუშავებული ზედაპირები სრულიად მოისპო. ცხადია, მაჰმადიანთა შიშით ხალხური შემოქმედება ვეღარ ვითარდებოდა, იგი დაინდია.

მიუხედავად აღნიშნულისა, ქართულმა ჩუქურთმამ მაინც გაუძლია ძნელებდობას და ხეზე კვეთილობის პლასტიკურმა სახეობამ ფრაგმენტების სახით მაინც მოაღწია ჩვენს დრომდე.

ყრუ ფონზე კვეთილი ჩუქურთმების კომპოზიციებში ყურადღებას იმსხურებს მხატვრული დამუშავების ფორმები. მათში ძირითადად გამოყენებულია ისეთი გეომეტრიული მოტივები, როგორცაა: სამკუთხედები, კვადრატები, რომბები, წრეხაზები და სხვ. ასევე ყურადღებას იპყრობს ცალკეული მხატვრული ელემენტების უძველესი ემბლემური ფორმების თემატიკა, რომელშიც გამოსახულია: მზე, მთვარე, ჭვარი, ხელი, ფარი, ხმალი, ყანწი, თასი და სხვ. (ტაბ. 23, 53, სურ. 34).

საინგილოში გავრცელებული ორნამენტული დეკორის, როგორც თემატიკა და მოტივები, ისე ჰრის ტექნიკა ქართული ჩუქურთმის მხატვრული დამუშავების ტრადიციებზე აგებული.

ამ თვალსაზრისით ცხოველ ინტერესს იწვევს სოფელ კაზ-ინგილოდან აყარში ნაპოვნი კორთეს გადარჩენილი ფრაგმენტის მხატვრული დამუშავების სახეები, რომელიც წრეხაზების, ანუ რგოლების მოტივებითაა შესრულებული. წრეხაზების, ანუ რგოლების ცენტრები ჰვარაყულადაა


განლაგებული; აღნიშნული ცენტრებიდან შემოხაზული წრეხაზები ერთმანეთს კვეთენ, რომელთა გარშემო რელიეფურად ამოკვეთილი რგოლები ერთმანეთშია ჩაწნული, მათივე ცენტრებში პატარა-პატარა წრეხაზები ან ვარდულებია პლასტიკურად ამოკვეთილი (ტაბ. 53. იხ. ნახ. II).

ყრუ ფონზე წრეხაზების მოტივებით მხატვრულად დამუშავებული რელიეფური ჩუქურთმის მსგავსი ნიმუშები ძველთაგანვე ფართოდ ყოფილა გავრცელებული მთელ საქართველოში.

ამის ნათესაყოფად საქმარისია დღემოწმით რამდენიმე მაგალითი: ერთ-ერთი მათგანი აღებული გვაქვს მღვიმევის მონასტრის (ყვირილის ხეობა) კომპლექსში არსებული ბუნებრივ გამოქვაბულში მოქცეული ბაზილიკური ეკლესიიდან (XIII ს.); მისი მდიდარი დეკორის ფრაგმენტებიდან ყურადღებას იმსახურებს ფრესკებით მოხატული აღსავლის კარის ხის ჩარჩოზე გამოსახული ზემოთ აღნიშნული „კორთეს“ მორთულობის — ანალოგიური ორნამენტის ნიმუში, რომელიც კედლური ხელოვნებითაა შესრულებული (სურ. 95).

ორნამენტის იდენტური კომპოზიციის წყობა დამოწმებულია აგრეთვე ბოლნისის სიონის ქვის მხატვრულ დამუშავებაში. ლაზური ხალხური საცხოვრებელი სახლების ინტერიერებში, რომლებიც ლაზების საყოველთაოდ სახელგანთქმულ ხეზე კვეთილობის მხატვრულ მეგვიდროვობას მიეკუთვნება! (სურ. 96).

საინგილოში დღემდე შემონახული კორთების შემკობის წესი ჩუქურთმის ხეზე კვეთილობის მაღალი ტექნიკისა და ხალხური ხელოვნების თვითმყოფი კულტურის უძველეს ტრადიციებზე მერტყელებს.




სურ. 95. მღვიმევის მონასტრის (ბაზილიკის) საკურთხეველს კარის საპირის კედლური ორნამენტის ფრაგმენტი. ყვირილის ხეობა (კიათურის რაიონი)

¹ П. Я. Марр. Из поездки в Турецкий Лезистан (впечатления и наблюдения), С-Петербург. 1910, стр. 63, рис. 18, Тб., 1904.

ვახუშტი ბაგრატიონი ლაზების შესახებ აღნიშნავს, რომ „კაცნი არიან ხელოვანნი ხის მუშაკებითა“¹... ლაზებმა უძველესი დროიდან ხეობით ვითქვეს სახელი მთელ საქართველოში და მის საზღვრებს გარეთაც. ერთ დროს იმერეთს, რაჭას, ქართლსა და კახეთშიაც² იხელოსნებად და სახლების მკეთებლად სულ ლაზები იყვნენ; მთელს იმერეთში ხის და ქვის სახლებს მხოლოდ ლაზი ხელოსნები აკეთებდნენ, ამათ მეტი სხვა არავინ³.

სამკუთხედის მოტივებით დამუშავებული ხის ზედაპირებიდან ცალკე უნდა გამოვყოთ სკივრები, რომლებიც ყურადღებას იმსახურებენ თავიანთი მხატვრული დამუშავების კომპოზიციური წყობითა და ხერხებით (ტაბ. 54).

ცნობილია, რომ სამკუთხედოვანი კვეთილი რელიეფური ჩუქურთმა, როგორც დეკორატიული ხელოვნების ერთ-ერთი სახე, უძველესი დროიდან გავრცელებული იყო საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში. შესაძარბვლად ვიმოწმებთ სვანურ⁴, მოზბეურ⁵ და ზეგსურულ⁶ კიდობნებს.



სურ. 96. ხეზე კვეთილი ჩუქურთმის ნიმუში. ლაზი ოსტატის ნახელოვან.

ჩუქურთმის დამუშავების მეორე სახე გამჭოლი ამოზერხვის („შაბაქას“) წესითაა შესრულებული.

ყურადღებას იმსახურებს საინგილოს საცხოვრებელი სახლების მოაჯირების ბრტყელი კაბიტელებისა და დარბაზების „შაბაქად“ (ჩუქურთმულად) დამუშავებული ხის ნაწილები, რომლებიც დღემდე კიდევ შემორჩენილია დოკუმენტად, ფრაგმენტების სახით (ტაბ. 55, სურ. 97, I, II, III).

¹ ვახუშტი, საქართველოს გეოგრაფია, შ. ჯანაშვილის გამოცემა, თბ., 1904, გვ. 248.

² ზ. კიკინაძე, დსახ. ნაშრ., გვ. 36.

³ Н. Чубинашвили, Грузинская средневековая художественная резьба по дереву, Тб., 1958, табл. 1, 2, 7, 8.

⁴ ს. შაკალაძე, ხევი, 1934, გვ. 143, სურ. 51.

⁵ გ. ართილაყვა, XVI—XVIII ს. ქართული მატერიალური კულტურის ისტორიიდან, თბ., 1965, გვ. 183, სურ. 100. 10.

ჩუქურთმა ქვაზე. საქართველო ქვის არქიტექტურის ქვეყნადაა ცნობილი, რომელსაც საუკუნეების მანძილზე გამოუმუშავებული აქვს ქვის მხატვრული დამუშავების საყუთარი ხერხები და ეროვნული ტრადიციები.

საინგილოს მონუმენტური ხელოვნობის კახეთის არქიტექტურულ სკოლას მიეკუთვნება. მიუხედავად იმისა, რომ საინგილოს ტერიტორია ძალზე ღარიბია სათლელი საშენი ქვებით, ძველი ეკლესიების ნანგრევებმა და ნაშთსალოარებმა მაინც მრავლად შემოინახეს წულჩუქურთმიანი და რელიეფური, მხატვრული გამოსახულებიანი ქვები, რომელთა დამუშავება და თავმოყრა ჯერ არავის უცდია, რათა შესაძლებელი იყოს მათი მეცნიერული შესწავლა.

ჩუქურთმიანი ქვებს, ადგილობრივი მოსახლეობა ხშირად პოულობს ლექართის შემუსრულ მონასტრის მიდამოებში. ქ. ნუნხის სამხრეთით, აზინაურის ველის დასალიერთან ისტორიული ხორანთას (იგივე ქ. პერეთის ჩრდილო-აღმოსავლეთით) (სურ. 1) მტკვრის სანაპიროზე და თანამედროვე მინგეჩაურის სანაპიროზე და სხვ.⁷

ძველი მინგეჩაურის მიდამოებში ჩატარებულმა დიდი მასშტაბის არქეოლოგიურმა გათხრებმა 1951 წ. სუღალიანში გამოავლინეს სხვადასხვა პერიოდის (V—VI სს და VIII—IX სს) ბაზილიკის ტიპის ტაძრები⁷. აღსანიშნავია, რომ აქვე ნაპოვნია ამ ბაზილიკების ქვაზე კვეთილი არქიტექტურული სამკუთხედები: კაბიტელები, ბაზისები, მხატვრულად დამუშავებული ცალკეული ქვები და სხვ.



სურ. 98-ზე წარმოდგენილი ნიმუშები ყურადღებას იქცევენ თავიანთი არქაული ხასიათითა და ორიგინალობით; ერთი მათგანი თხელი ქვის ფილას წარმოადგენს, რომელსაც ირავლივ მხატვრულად შემოჭრილი ფირად საინტერესო პროფილირებული აბრისი აქვს (სურ. 98, I), მასზე შუაში ამოკვეთილია რვიანის მოხაზულობის ხვრელი, იქვე ზემოთ და ქვემოთ ამოკაწრულია უცნობი ანბანით შესრულებული ქარაგმული წარწერა.

მეორე ქვაზე შუაში რელიეფურადაა ამოკვეთილი ვარდულა (სურ. 98, II).


საინგილოში იგი მსობრივად გვხვდება დღემდე შემორჩენილ დედაბოძებზე (ტაბ. 23), კორთეებზე (ტაბ. 53, I), კოდობნებზე (ტაბ. 54) და სხვ.

⁷ Г. М. Асланов, Р. М. Ваидов, Г. Н. Нонев, Древний Мингичаур, (эпоха неолита и бронзы), Баку, 1959, стр. 5.

⁷ Р. М. Ваидов, Раннесредневековое городище Сугдагилан, КСИИМК вып. 54, стр. 132.




სურ. 97. სოფ. კახ-ინგილო. დარეაზას კარის (ვიშკრის) ზეკურობების ნიმუშები.



სურ. 98. შინგეჩაურის არქეოლოგიური სამკაულის რელიეფი ქვაზე (არქეოლოგიური მასალების მიხედვით).

ვებულია, მაგრამ ერთ-ერთი მათგანი განსაკუთრებით გამოირჩევა გულმოდგინე მხატვრული დამუშავებით, როგორც ჩანს, იგი მთავარი ფასადი უნდა იყოს. მასზე საკმაოდ მაღალი რელიეფით გამოსახულია სიმბოლური ხე, რომლის მარჯვნივ და მარცხნივ სიმეტრიულად ამოკვეთილია ყელმოდერებული, კისერზე ზონარშემოხვეული ფარშავანგები² (სურ. 99).

ანალოგიური სიმეტრიული კომპოზიცია, ცოცხალი ხის მარჯვნივ და მარცხნივ ფრინველებისა და ცხოველების სიუჟეტით, საქართველოში საერთოდ ძველი დროიდანაა გავრცელებული და უც-



სურ. 99. ფარშავანგების რელიეფურა გამოსახულება კაპიტელის ქვაზე.

ქერეთის ისტორიულ ტერიტორიაზე, სახელდობრ, შინგეჩაურის არქეოლოგიური გათხრების დროს (1948 წ.) აღმოჩნდა სამშენებლო ქვა ალბანური წარწერით, რომელიც დათარიღებულია V—VI სს¹.

ხსენებულ ქვას პარალელოპიპედის ფორმა აქვს (80×80×55 სმ), რომელსაც ზედა წიბოს გარშემო კარნიზის გვარად ოთხივე მხრივ გამოწეული არშია (7—8 სმ სიგანის) გასდევს ალბანური წარწერით (სურ. 99).

მითითებული ქვის ოთხივე წახნაგი დამუშა-

ხოდ არ გამოიყურება; იგი გვხვდება როგორც ხალხურ ისე ქრისტიანულ მონუმენტურ ძეგლებში, ხეზე და ქვაზე რელიეფური. კვეთილობის სახით.


აღნიშნული სიუჟეტის გამოყენება ქართულ ხალხურ და მონუმენტურ ხელოვნებაში ჯერ კიდევ შინგეჩაურის გათხრებამდე იყო შესწავლილი; ღრმა მეციერული შედარებითი ანალიზის მეშვეობით ანალოგიური გამოსახულებები ხეზე და ქვაზე პროფ. გ. ჩიტაიამ გამოარკვია და გამოაქვეყნა 1941 წ. ამ მოტივის მან „სიცოცხლის ხის მოტივები“ უწოდა³.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ „სიცოცხლის ხის“

¹ История Азербайджана, Баку, 1958, стр. 101.

² С. М. К а з и е в, Новые археологические находки в Мингечауре ДАН АЗЕРБ. ССР» Т. IV, 1948, № 9, стр. 399; Памятники Истории Азербайджана, под редакцией М. А. Казиева, Баку, 1956, стр. 26. рис. 26.

³ გ. ჩიტაია, სიცოცხლის ხის მოტივი ლაზურ ორნამენტში, ენოქის შოამგე, X, 1941, გვ. 303, 313.



სურ. 100. ცხოველების რელიეფური გამოსახულება კერამიკულ ფილაზე (თყოზარდის ბაზილიკა)

მოტივები ხეზე და ქვაზე თითქმის ყველგან ტრადიციულად შესრულებულია ამოკვეთის ხერხით: მაგრამ აღსანიშნავია, რომ ხალხურ ხელოვნებაში გვხვდება აგრეთვე საწესო გრაფიკული ნიმუშებიც, ე. წ. „სიციოცხლის ხის“ მოტივების სიბრტყეზე გრაფიკულად გამოსახვის ხერხი. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იმსახურებს სვანური ხალხური შემოქმედებიდან საღებავით გამოსახული ცხოველთა სიუჟეტი. აქ გამოსახულია ფიჭვის ხე, აქეთ-იქიდან ხისკენ მობრუნებული ორი ცხოველი, რომლებიც მთელი ტანით აზიდულები არიან ზევით და ხის ტოტებს ეტანებიან¹.

მსგავსი კომპოზიციები გვხვდება აგრეთვე საქართველოს საზღვრებს გარეთ — დაღესტანში, ინგუშეთში და სხვ. ინგუშეთიდან ცნობილია თყოზარდის ეკლესიის გვერდით აღმოჩენილი კერამიკული ფილა, რომელზედაც გამოსახულია „...ტოტებგაშლილი ხე ნაყოფითურთ და მის გვერდზე წვრილფეხა ცხოველები, ერთი ერთ მხარეს და მეორე — მეორე მხარეს. ამათ ფეხებს შორის ასო-

მთავრული ასოებია“² (სურ. 100). ქაჩავმა ჯერ კიდევ ამოკითხული არაა.

მინგეჩაურში აღმოჩენილი რელიეფიანი ქვის დანიშნულების შესახებ მეცნიერთა შორის არსებობს აზრთა სხვადასხვაობა.

რ. მ. ვაილოვის აზრით, ეს არის საკურთხეველის ქვა, რომელზედაც აღმართული იყო ხის ჯვარი³; აკადემიკოსმა გიორგი ჩუბინაშვილმა სპეციალური შრომა მიუძღვნა ამ არქეოლოგიურ მონაპოვარს და მისთვის ჩვეული სიღრმით, ვრცელი შედარებითი ანალიზის საფუძველზე მივიდა იმ დასკვნამდე, რომ შესაძლებელია ხსენებული ქვა ბაზისის ქვა ყოფილიყო, რომელსაც ზემოდან შუაში 8 სმ ზერული აქვს სვეტის ჩასამაგრებლად. გ. ჩუბინაშვილი, ამ შემთხვევაში ა. შანიძისა და ს. მ. კაზიევის მოსაზრებებს იზიარებს⁴.



კ. ვ. ტრევერს მიანია, რომ ზემოხსენებული რელიეფიანი ქვა ბაზისი კი არა, კაპიტელია; მისი აზ-

¹ გ. ჩიბრაია, დასახ. ნაშრ., გვ. 312

² P. M. В а н д о в, Раннесредневековое городище Су-даглана, КСИИМК, вып. 54, 1954, стр. 132.

³ О художественной среде и хронологических рамках Мингечаурского рельефа (Материалы по истории Азербайджана, т. II, Баку, 1957, стр. 213.

¹ გ. ბარდაველიძე, ქართული (სვანური) საწესო გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები, თბ., 1953, გვ. 45.



II

სურ. 101. ბრინჯაოს სურა. ორი ფარშავანგის სტილიზებული გამოსახულება „სიცოცხლის ხის“ მოტივებით

რით, იგი ხის სვეტზე უნდა ყოფილიყო ზემოდან მორგებული!

„სიცოცხლის ხის“ მოტივებით მხატვრულად დამუშავებული ფარშავანგის სიუჟეტის სიმეტრიული კომპოზიციები საქართველოში, როგორც ირკვევა, ქრისტიანული სარწმუნოების დამკვიდრების დღიდან იწყებს თანდათანობით გავრცელებას ქრისტიანული ძეგლების ხუროთმოძღვრულ-მხატვრულ დამუშავებაში.

ამ მხრივ ყურადღებას იმსახურებს ბოლნისის სიონის არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილი ანალოგიური ფრაგმენტები, ასევე ქვემო ბოლნისის კაპიტელის რელიეფი, ფარშავანგის სიუჟეტით, რომელიც დათარიღებულია V საუკუნით².

იღნტური კომპოზიცია დაცულია წვიმეთის (ყოფილი ხცისის, ხაშურის რაიონი) ბაზილიკის სამხრეთ ფასადის ქვაზე, რომელიც ძირითადად

იმეორებს მინგჩაურის ზემოხსენებული რელიეფის კომპოზიციას³.

ხცისის ზემოხსენებული ბაზილიკა აგებულია 1002 წელს⁴.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ კავკასიის ალბანეთის ხუროთმოძღვრულ-მხატვრულ მეგკვიდროებაში ფარშავანგის გამოსახულება გვხვდება არა მარტო ზეზე და ქვეზე რელიეფური კვეთილობის სახით, არამედ ჰედურ ხელოვნებაშიც, განსაკუთრებით ვერცხლის თასებისა და სურების გლუვი ზედაპირების შესამკობად (სურ. 101, I და II); მათი ფორმები და მხატვრული დამუშავების ტრადიციები, როგორც ვგვიან პერიოდის ნახელავი, ქართული და ირანული ხელოვნების ურთიერთობაზე მეტყველებს. ყურადღებას იქცევს აგრეთვე ხალხური ჰედური ხელოვნების ზოგიერთი ნიმუში (სპილენძის ჭურჭლის სახით), რომელიც დღემდე შემორჩენილია საინვილოში და მოცულობითი ფორმებისა და მხატვრული დამუშავების საუკეთესო ნიმუშებს წარმოადგენს (სურ. 102, 103).

¹ კ. ტ რ ე ვ ე რ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 300.

² გ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 213, სურ. 1.

³ P. Ш мер л и н г, Древний Цвинотский храм близ сел. Цхуши.

⁴ ი ქ ვ ე, გვ. 139.



0 10 20 CM.

სურ. 102. სპილენძის სურა — „ყარყარა“, სოფ. კატეხიდან

მხატვრული კერამიკა. საინგილოს ტერიტორიაზე როგორც შემორჩენილია თიხის ჭურჭლის უძველესი ხალხური სახელები, როგორცაა მაგალითად: არაჩი, კილანა, კოჭობი, ჭუჭულა (ჭინჭილა); გოზაური, კვაწია, თუნგულ (თუნგულა), ქოცო, ღერგი, ქვევრი, ბადია, ბარზიმი და მრავალი სხვა; რაც იმაზე უნდა მეტყველებდეს, რომ აქ უძველეს დროიდან ფართოდ ყოფილა გავრცელებული კერამიკული შინამრეწველობა. სავალალოა, რომ აღნიშნული ხალხური სახელები დღითიდღე შორდებიან ხალხურ მეტყველებას და განიჭიან

გარდუვალ ასიმილაციას, რის შედეგადაც სრულიად გაქრობა მოელოთ.

სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით „ჭურჭელი, ზოგადი სახელის არს ყოველთა ჭურჭელთა, ხოლო ეს ჭურჭელი განიყოფება ათოთხმეტად“... აღნიშნული თოთხმეტივე სახეობა საბას ცალცალკე აქვს დანიშნულებს მიხედვით დაჯგუფებული და თითოეული მათგანი განმარტებული; მათ შორის განმარტებულია საინგილოში დღემდე შემორჩენილი თიხის საოჯახო ჭურჭელის ზემო-



0 5 10 CM.

სპილენძის ჭურჭელი — „თუნგულა“, სოფ. კახ-ინგილოდან


ხსენებული ზოგიერთი სახელი, მაგალითად: გოზაური, ქოცო, ბადია, ქვევრი და სხვ.

ქველი ალბანეთის ტერიტორიაზე — ნუხის მახრის სოფელ ნიჭში (1915 წ.)¹. იალოილუ-თათაში² (1926 წ.) და მინგეჩაურში³ (1948—1952 წწ.) არქე-


¹ Е. А. Лалаян, Раскопки в сел. Ниджи и Варташен Нухинского уезда. Изд. Кавк. Отделения Московского археолог. общества, Тифлис, 1919, вып. V, стр. 37—47.

² Д. Шарифов, Раскопки в Ялониу Тапа, (Нухинский у.), Баку, 1927, стр. 50.

³ კ. ტ რ ე ვ ე რ ი, დასახ. ნაშრ., (იხ. კერამიკა).



სურ. 103. შხატერული კერამიკა პერტიიდან (არქეოლოგიური მასალების მიხედვით)



სურ. 104. მხატვრული კერამიკა კახეთიდან (არქეოლოგიური მასალების მიხედვით)

ოლოგიური გათხრების დროს აღმოაჩინეს უძველესი კერამიკული ჭურჭლის მრავალფეროვანი ფორმები. ამ ჭურჭლის წარმოშობა უშუალოდ დაკავშირებულია მეურნეობის სხვადასხვა დარგთან — მევენახეობა-მეღვინეობასთან, მებაღეობასთან, მეფუტკრეობასთან, მესაქონლეობასთან და სხვ. (სურ. 104).

საყურადღებოა აგრეთვე, რომ ზემოაღნიშნული კერამიკული ჭურჭლის მრავალყალიბიანი სახეები თავიანთი დანიშნულებით, უნიკალური ფორმებითა და კონსტრუქციული სტრუქტურით აშ-

კარად იდენტურია ალაზნის ველის (მდ. ალაზნის გამოღმა გადმოსახლებული ინგილოების სოფ. სამთა წყაროს ახლოს) არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილ კერამიკასთან. ამ თვალსაზრისით განსაჯუთრებით გამოირჩევა შემდეგი სახის ჭურჭელი: სამფეხა თეფში, გრძელნისკარტიანი საწუროანი ხელადა, ბარძიმი, ჭინჭილა ვიწრო მოკლე მილით, ორყურა მათარა და სხვ.¹ (სურ. 105).

¹ გ. ნიორაძე, ალაზნის ველის გათხრები, თბ., 1940, გვ. 1, 39, 50, 51.


ზემოაღნიშნული კერამიკის ანალოგიური ფორმები აღმოჩენილია აგრეთვე სხვადასხვა დროს კახეთის შემდეგ სოფლებში: ჩუმლაყში, ანთოკში, წინანდალში, ძველ გავაზში, იყალთოში და სხვ.¹

დასასრულს უნდა აღვნიშნოთ, რომ კახეთის კერამიკა და მინგეჩაურ-იალოილუ-თაფას კერამიკის შედარება გვიჩვენებს, რომ (სურ. 104. შდრ.

¹ გ. ნ. ო. რ. ა. ძ. ე, დასახ. ნაშრ., გვ. 19—38.

105) მატერიალური კულტურის ეს ძეგლები, როგორც ქვეყნის დაწინაურების, მისი თვითმყოფი მაღალი კულტურის მაჩვენებელი, წარმოშობით ერთი სათავიდან მომდინარეობს და კულტურის ერთ წრეს განეკუთვნება.

აქვე დავძენთ, რომ საინგილოს ხუროთმოძღვრული ძეგლების შესწავლის შედეგად იქმნება თავმოყრილი ახალი მასალის ფონდი, რომელიც ერთერთ მნიშვნელოვან წყაროდ იქცევა ჩვენი მომავალი თაობისათვის.



РЕЗЮМЕ

ГРУЗИНСКОЕ НАРОДНОЕ ЗОДЧЕСТВО

КНИГА ТРЕТЬЯ

САИНГИЛО

Данная монография посвящена изучению народного зодчества одного из исторических краев Восточной Грузии т. н. Саингило.

В этой монографии рассмотрены сохранившиеся по сей день на территории Саингило уникальные древние образцы грузинской народной и монументальной архитектуры.

Изученные нами памятники представлены в трех видах: 1. Народные жилищные и хозяйственные постройки; 2. Сооружения оборонительного назначения; 3. Монументальные памятники культового зодчества.

Существующий литературный фонд, в котором сохранены древнейшие сведения о Саингило, представлен двумя частями; в первой части находятся письменные сообщения, начиная с античного периода до XVIII — XIX веков (т. е. до присоединения Грузии к Российской империи); вторая же часть содержит литературу разных отраслей, начиная со времен присоединения Закавказья к России и вплоть до семидесятих годов XX века. Дана краткая характеристика этой литературы и критический анализ.

Древние географические названия: Эрети, Саингило, Албания, Алвания — являются синонимами.

В результате частых нашествий врагов и изменения политических и социально-экономических отношений, границы Саингило и его географическое название часто менялись. Эрети как географическое название в грузинских письменных источниках упоминается еще с V века, отмечен также город Эрети на исторической карте XVIII века. (рис. 1).

Этимология географического названия «Эрети» учеными еще окончательно не установлена. Географическое название Саингило

(Ингило) как термин входит в употребление со второй половины XVIII века. О понятии «Ингило» существуют разные мнения, «Ингило» не является племенным названием. В книге рассмотрены существующие разные версии в отношении возникновения этого термина. Та часть старого Эрети, которая известна под названием Саингило, достигала до Нухи (рис. 2, 3). Этот край и в настоящее время знаменит остатками грузинской материальной культуры.

Детальное описание Эрети (Саингило) дано у известного грузинского географа XVIII в. Вахушти Багратиони. Территория Саингило состоит из равнин и высокогорных областей, поэтому природные условия этой местности отличаются большим разнообразием. Природно-климатические условия оказывают свое влияние на поселение, на планировку жилищных и хозяйственных построек, на конструктивную структуру и их типовое формирование.

Сведения о древнейшем населении Эрети приводятся у исследователей античного, а также нового периода. Население Эрети в античную эпоху состояло из племен, говорящих на двадцати шести языках, среди них были грузинские племена: кухи, кахи, эры, карты и др., которые отличались своей высокой культурой и жили на левом берегу Куры.

Компактное заселение территории Саингило чужими племенами происходит в XVII — XVIII вв., вслед за которым последовало изгнание и уничтожение местного грузинского населения.

Грузинское население современного Саингило разделено на две группы: ингилойцы-христиане и ингилойцы-магометане. Ингилойцы-христиане, в основном, населяют район Кахи, а

инглийцы-магометане живут во всех трех районах.

Главными отраслями сельского хозяйства в Саингило с древнейших времен были: животноводство, плодоводство, виноградарство, шелководство, зерновые культуры и др.

Эрети как древнейшее географическое название на исторической карте Грузии уже не фигурирует и совершенно предается забвению с периода основания Картл-Кахетинского царства (со второй половины XVIII в.).

Значительная часть северо-восточной территории Внутренней Кахетии, особенно высокогорные склоны большого Кавказа, раньше были населены грузинскими и другими соседними племенами. В то время в Кахетии существовали строгие крепостнические взаимоотношения; а в «аварском» населении Дагестана со второй половины XVI в. возникла совершенно противоположная форма общественных взаимоотношений в виде т. н. «вольных общин». Именно этим обстоятельством было вызвано бегство «нижних слоев» населения Кахетии (бегство крепостных крестьян) и переход (укрытие) в «вольные общины».

Установление жилищных зон и их пределов. По нашей классификации территория Саингило делится на три жилищные зоны:

Первая жилищная зона состоит из Алазанской, Оджинсуурской и Саржайской равнин до «Большой стены Кавказа» (рис. 3). Она состоит из временных и постоянных жилищных пространств: временным местом для жилья является «летнее временное жилище», где живут сезонно, а постоянным жилищным местом является деревня.

Возникновение т. н. «летних временных жилищ» — сезонного поселения — связано с животноводством, поэтому эта форма сезонного поселения была использована в горной зоне.

Вторая жилищная зона территориально является продолжением первой жилищной зоны. Она начинается за «Большой стеной Кавказа» и доходит на севере до села Элису, а на западе, включая историческое Пипинетское ущелье, проходит вдоль села Мацими и до теперешних границ Лагодехского района (рис. 3). Рельеф второй жилищной зоны, по сравнению с первой, сложен, он постепенно повышается к северу.

Третья жилищная зона начинается с линии северного предела второй жилищной зоны и длится до Дагестанской границы.

Маршруты путешествия. Основным источником для данной монографии послужил выявленный и собранный нами материал на территории Саингило в разные времена.

С целью изучения народного зодчества нами было проведено пять экспедиций: пер-

вая — в 1955 г. в горных и равнинных селах Кахского района, вторая — в 1960 г., где были исследованы села Курмухского ущелья, третья была проведена в 1967 году в районах Белакани и Кахи. Четвертая и пятая были проведены в 1968 и 1969 годах (см. схему маршрутов путешествия, рис. 3).

К вопросу датирования исследованных памятников. Большая часть памятников различного значения, сохранившихся до сих пор на территории Саингило, дошла до нас в виде развалин. О них не существует никакого материала эпиграфического характера, вследствие чего датирование их чрезвычайно осложнено. Поэтому с целью датирования как народных, так и монументальных памятников, в основном, у нас использован архитектурный анализ обмеренных памятников.

Некоторые вопросы планировки и застройки старой деревни Саингило

О древнейших формах поселения деревни Саингило история не сохранила никаких сведений.

Села Саингило делятся в основном на две группы — горные и равнинные села. Горные села, в свою очередь, делятся на две части — у подножия горы и предгорье (рис. 4, 5).

Основные элементы планировки и заселения старого села. Сельское население Саингило состоит из фамильно-населенных участков и носит название той фамилии, которая впервые здесь поселилась. Ярким примером этого являются названия старых участков, сохранившихся до настоящего времени: Хуццанткари (населено людьми по фамилии Хуццшвили), Церетлианткари (т. е. Церетели), Вачнадзантикари (Вачнадзе), Отараанткари (Отарашвили), Сосикаанткари (Сосикашвили), Чиритаанткари (Чириташвили) и др.

У населенных участков есть также названия, означающие хозяйственное и географическое местоположение, например: Калосубани (участок для гумна), Хевиспири (край ложбины), Цкаросубани (участок около родника), Мтисдзире (у подножия горы), Цихисубани (участок в районе крепости) и др.

До настоящего времени сохранились и такие названия, как: Азнаурис мтеби (дворянские горы), Азнаурта убани (дворянский участок), Азнаурис мидамоеби (дворянские окрестности), Саазнауро адгили (азнаурское место) и др. Перечисленные названия указывают на разделение местного населения на социальные слои.

Усадьба. В устной словесности грузинского населения Саингило для термина «Кармидамо» сохранилось название, «Ээдарваза»; «Эзе» на диалекте инглийцев озна-

чает двор (ср. груз. «эзо»), а «дарваза» — ворота.

Дифференциация «больших семей», существующих в системе фамильного поселения, вызвала также парцелацию земель — расчленение общинных земель на усадьбы (дворовые участки).

На территории Саингило в основном распространены усадьбы двух типов: один тип характерен для равнинных деревень (распространен в первой и во второй жилищной зоне), а второй тип характерен для горных деревень третьей жилищной зоны. Усадьбы равнинных деревень, по сравнению с усадьбами горных деревень, возникли позже.

Равнинные усадьбы обширны и имеют несложное строение (таб. 1, 2, 3, 4.), а у горных усадеб неправильное, сложно-геометрическое очертание, что вызвано особенностями рельефа (таб. 5, 6).

Одним из важных элементов планировки усадьбы является тупик, который разветвляется от главной дороги и выполняет функцию подступа к усадьбе (рис. 6, 7).

Следует отметить, что распространенные в Саингило усадьбы по своей композиции и элементам планировки напоминают колхские усадьбы (Западная Грузия) (таб. 3, 5, 6; ср. таб. 7, I и II).

Усадебные заборы. Одним из архитектурных элементов здешних усадеб являются заборы.

Разновидность усадебных заборов была обусловлена необходимостью отдельного отгораживания дворов разного назначения: со стороны главной дороги села (с внешней стороны) забор должен был быть выше, прочнее и неприступнее, для внутренних же дворов — сравнительно легкий и редкий.

Внешние заборы встречаются двух типов: плетенный забор из прутьев («ткрушули») и построенный из булыжных («снип-рикрика») камней. Отмеченные заборы сверху накрыты обрезками лозы, т. е. «барзгуми», которые прибавляют забору высоту, вследствие чего заглянуть во двор и увидеть там что-либо невозможно. (рис. 8, 9).

Следует отметить, что в равнинных местах второй жилищной зоны каменные ограды выстроены из камней Большой стены Кавказа. Для внутренних дворовых заборов используются заборы следующего вида: частокольные, плетеные, редкие («мечхерули»), шаткие («канкала») и из живой изгороди.

Аналогичные примеры подтверждаются также в других районах Грузии.

Дарваза. Одним из важных архитектурных акцентов древней усадьбы являются ворота, которые ингилойцы называют «дарваза». По объемным формам и назначению, дарваза встречается следующего типа: внут-

ренняя несложная (рис. 10, 11) и внешняя сложная дарваза (рис. 12, 13).

Дарвазы (ворота-чишкари) бывают двух типов. Первого типа — по объему маленькие и примитивные, они известны под названием шатких ворот (рис. 10), а второй тип — это «калитка для хода через забор», которая висит на заборе, образуя высокий переход. Ингилойцы называют его «кац» (рис. 11).

Большая дарваза представляет собой перекрытую постройку, которая сооружена на четырех столбах или постройных по бокам каменных стенах, и покрыта четырехскатной крышей из черепицы или осоки (рис. 12, 13, таб. 8, 9, 10, 11).

С целью художественной обработки деревянных частей дарвазов использованы характерные для капителей колонн и перил балконов жилых домов многочисленные орнаменты, полученные сквозным выпиливанием (таб. 12).

Азербайджанцы и аварцы, населяющие территорию Саингило, строят дарвазы такой же формы, как и ингилойцы (рис. 14, 15). Представляет также интерес такая разновидность дарвазы, которая объединена с хозяйственной или жилищной постройкой (таб. 13).

Аналогичные примеры находим также в сокровищнице народного зодчества горных районов Грузии: часто кукурузник надстроен над воротами или пристроен сбоку (рис. 16, таб. 14).

Постройки над воротами сохранены в селах древнего Пипинетского ущелья и считаются образцами надвратного сооружения, нижний же этаж занимает выход (таб. 15 А и В).

Нижний этаж ворот постепенно развивается — возникают помещения хозяйственного назначения — хлев или конюшня. Их верхний этаж тоже в дальнейшем развивается, получает вид типичного жилища (таб. 16, 17, рис. 17, 18).

С конца XVIII и до начала XIX века дарвазы приняли самую развитую форму в виде «триумфальной арки», которая стала одним из центральных объектов усадеб феодалов (рис. 19).

Подобные «триумфальные арки» в большем или меньшем количестве встречаются также на территории Азербайджана и Грузии, среди построек преддверия древних городов (рис. 20).

Четырехколонные дарвазы по своей конструкции напоминают те ворота, зарисовку с натуры которых (XVII в.) нам оставил итальянский миссионер-художник Христофор Каstellи (рис. 21).

По словам местных жителей, в старину в Саингило всюду стояли деревянные дарвазы. Интересно, что ворота на четырех столбах типа «дарваза» до сих пор сохранились

на территории Западной Грузии (рис. 22, таб. 18).

Объединенные же с хозяйственными и жилищными помещениями постройки типа дарваза (с проходом посередине) сохранились в Западной Грузии (таб. 13, ср. рис. 23) и в постройках ее соседей — черкесов и кабардинцев (рис. 24).

